

კუბიკუნი ჩემი მშვიდობის – ნათელა ნიჭლაიმშვილისა და  
პროფ. ტატილი ძაბულის – ნათელ სსოფტს.

**Rusudan Zekalashvili**

# **Georgian Dialogic Speech**

(Main Linguistic and  
Extralinguistic Characteristics)



Publishing House “**UNIVERSAL**”

Tbilisi 2012

# რუსულან ზექალაშვილი

ქართული დიალოგური მეტყველება

(ძირითადი ლინგვისტური და  
ექსტრალინგვისტური მახასიათებლები)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2012

ნაშრომში შესწავლილია ქართული დიალოგური მეტყველების ძირითადი ენობრივი და არაენობრივი მახასიათებლები, გამოვლენილია მისი უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნები, განსაზღვრულია თავაზიანობის ფენომენის მნიშვნელობა კომუნიკანტთა საკომუნიკაციო სტრატეგიის არჩევისათვის, გამოვლენილია გრამატიკული კატეგორიების კონტექსტური სემანტიკური ცვლილებები და ტრანსსემანტიზაცია თავაზიანობის გამოხატვისას ქართულ დიალოგებში.

წიგნი განკუთვნილია ლინგვისტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, ასევე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის.

რედაქტორი:

პროფ. გიორგი გოგოლაშვილი

რეცენზენტი:

პროფ. ცირა ბარბაქაძე

© რუსულან ზექალაშვილი, 2012

გამომცემლობა „ანისისალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-683-8

## სარჩევი

შესავალი ..... 7

### თავი პირველი

#### დიალოგური მეტყველების (საუბრის) ანალიზი

|      |   |    |
|------|---|----|
| 1.1. | საკითხის შესწავლის ისტორიიდან .....   | 11 |
| 1.2. | დიალოგური მეტყველების (საუბრის) ანალიზის<br>საგანი .....                        | 13 |
| 1.3. | დისკურსის ანალიზის ძირითადი მიმართულებები<br>თანამედროვე ენათმეცნიერებაში ..... | 17 |
| 1.4. | კომუნიკაციის მოდელი და მისი კომპონენტები .....                                  | 20 |
| 1.5. | ზეპირი კომუნიკაცია .....  | 25 |
| 1.6. | დიალოგური მეტყველების ძირითადი მონაწილეები და<br>ერთეულები .....                | 27 |
| 1.7. | დიალოგის შესწავლისა და ჩანაწერის მეთოდები .....                                 | 30 |

### თავი მეორე

#### ექსტრალინგვისტური ფაქტორები და მახასიათებლები

#### ქართულ დიალოგურ მეტყველებაში

|        |   |    |
|--------|---|----|
| 2.1.   | ექსტრალინგვისტური ფაქტორები დიალოგურ<br>მეტყველებაში .....      | 33 |
| 2.2.   | დიალოგის მონაწილეთა სოციალური მახასიათებლები ..                 | 37 |
| 2.3.   | ქართული დიალოგური მეტყველების სახეები.....                      | 44 |
| 2.4.   | დიალოგური მეტყველების ექსტრალინგვისტური<br>მახასიათებლები ..... | 49 |
| 2.4.1. | პარავერბალური საშუალებები .....                                 | 51 |
| 2.4.2. | არავერბალური საშუალებები .....                                  | 55 |

### თავი მესამე

#### ქართული დიალოგური მეტყველების შიდაენობრივი

#### მახასიათებლები

|          |  |    |
|----------|--|----|
| 3.1.     | დიალოგური მეტყველების ანალიზის დონეები ..... | 62 |
| 3.1.1.   | ანალიზის მაკროდონე .....                     | 63 |
| 3.1.2.   | ანალიზის შუა დონე .....                      | 77 |
| 3.1.3.   | ანალიზის მიკროდონე .....                     | 91 |
| 3.1.3.1. | მორფოლოგიური დონე .....                      | 93 |
| I.       | მოუბარი პირი და გრამატიკული კატეგორიები..... | 93 |
| II.      | პერსონალობა .....                            | 96 |

|   |     |
|---|-----|
| III. მოდალობა .....   | 113 |
| IV. სხვა გრამატიკული კატეგორიებისა და ფორმების<br>დანიშნულება დიალოგში .....          | 123 |
| 3.1.3.2. ქართული დიალოგური მეტყველების <b>ლექსიკის</b><br>ზოგიერთი თავისებურება ..... | 124 |
| 3.1.3.3. <b>სინტაქსური დონე</b> .....   | 130 |
| 3.2. დიალოგის სიგნალები .....   | 134 |
| 3.2.1. დიალოგის სტრუქტურულ-კომპოზიციური<br>სიგნალები .....                            | 134 |
| 3.2.2. შინაარსობრივ-მოდიფიკაციური სიგნალები.....                                      | 138 |
| <b>თავი მეოთხე</b>  |     |
| <b>საკომუნიკაციო რეგისტრები ქართულ დიალოგურ<br/>მეტყველებაში</b>                      |     |
| 4.1. საკომუნიკაციო რეგისტრები და ფუნქციური<br>სტილები .....                           | 142 |
| 4.2. საკომუნიკაციო რეგისტრები ინდიკატორები .....                                      | 151 |
| 4.2.1. ოფიციალური რეგისტრი .....  | 164 |
| 4.2.2. არაოფიციალური რეგისტრი .....   | 167 |
| 4.3. მიმართვათა ფუნქციები სამეტყველო რეგისტრის<br>შექმნაში ქართულ დიალოგებში.....     | 171 |
| 4.3.1. შენ/თქვენ მიმართვები .....   | 171 |
| 4.3.2. ვოკატიური მიმართვები თანამედროვე ქართულ<br>დიალოგებში.....                     | 179 |
| <b>ქართული დიალოგური მეტყველება</b>   |     |
| (ზოგადი მიმოხილვა და დასკვნები) .....   | 188 |
| <b>Georgian Dialogic Speech (Summery)</b> .....                                       | 202 |
| <b>ბიბლიოგრაფია</b> .....   | 216 |
| შემოკლებები .....   | 236 |

## შესავალი

თანამედროვე ენათმეცნიერება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ენობრივი მოვლენებისა და ცოცხალი მეტყველების შესწავლას კომპლექსურად – როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორების მოხმობით პრაგმატული თვალსაზრისით.

დიალოგური მეტყველება (საუბარი), საერთოდ, ადამიანის ვერბალური კომუნიკაციის უძველესი და საბაზისო ფორმაა და საფუძვლად უდევს მის ყველა სახეობას. ენა, როგორც რეალიზებული პროდუქტი, დაკავშირებულია საუბართან ანუ გვეძლევა მისი ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი სიტყვიერი კომუნიკაცია, მონოლოგურიც კი, შინაგანი ბუნებით დიალოგურია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის ორიენტირებულია ადრესატზე. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ყველანაირი მეტყველება მონოლოგურია. ასეთ შემთხვევაში გულისხმობენ საუბრის ან ტექსტის სეგმენტებს, რომლებიც, ცხადია, ცალკალუკე მონოლოგურია, მაგრამ მთლიანობაში საუბარი ან ნებისმიერი ტექსტი მეტ-ნაკლებად მანიც ამჟღავნებს დიალოგურ ბუნებას.

ქართული დიალოგური მეტყველება (საუბრები) ძირითად ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებთან კავშირში კომპლექსური კვლევის ობიექტი დღემდე არ ყოფილა, მით უმეტეს, თავაზიანობის ფენომენის გათვალისწინებით, რადგან, ჩვენი აზრით, თავაზიანობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესა ფაქტორია კომუნიკაციის წარმატებისა და საკომუნიკაციო რეგისტრის საშუალებების შესარჩევად.

ქართული ზეპირი დისკურსის (საუბრების) კვლევა მოიცავს ანალიზს სხვადასხვა ენობრივ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ, ლექსიკურ, სტილისტიკურ) დონეზე, პარალინგვისტურ და არავერბალურ საშუალებებთან კავშირში. საკითხი მრავლისმომცველია, რადგან საუბრის ანალიზი ინტერდისციპლინარული დარგია და გულისხმობს კონვერსაციის სოციოლინგვისტური და პრაგმალინგვისტური ასპექტების შესწავლას ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში.

ჩვენი **მიზანია** ენობრივ-არაენობრივი საშუალებების კომუნიკაციური დანიშნულებისა და ფუნქციების შესწავლა ქართულ დიალოგურ მეტყველებაში.

ენობრივი კონტაქტების ზრდამ დღევანდველობაში კიდევ უფრო აუცილებელი გახადა ნებისმიერი ენის უნივერსალური და სპეციფიკურ-ეროვნული ნიშნების გამოკვეთა. კომუნიკაციისა და დისკურსის კვლევის თეორიისთვის ფასეულია ცალკეული ენის ემპირიული მასალა, მისი განზოგადება, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს ენათმეცნიერების თეორიაში.

ქართული დიალოგური მეტყველების პრაგმალინგვისტური და სოციოლინგვისტური შესწავლა დღემდე ფრაგმენტულ და არათანამიმ-

დევრულ ხასიათს ატარებდა. ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომით ოდნავ მაინც შეივსება არსებული ხარვეზი და სტიმული მიეცემა შემდგომ კვლევებს ამ მიმართულებით.

ნაშრომში გამოყოფილია თანამედროვე ქართული დიალოგების გამოყენების სფეროები, დადგენილია მათი სახეები, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები არაენობრივ ფაქტორებთან მიმართებაში და, საერთოდ, შესწავლილია თანამედროვე ქართული დიალოგური მეტყველება ლინგვისტიკის უახლესი დარგის – საუბრის ანალიზის – ცნებათა და კვლევის მეთოდების მოშველიებით.

ცოცხალი დიალოგური მეტყველება წინათ ლინგვისტიკის შესწავლის ინტერესებს მიღმა რჩებოდა. ჩვეულებრივი ყოფითი საუბრები ან თუნდაც ზეპირი დისპუტები ნაკლებად ექვემდებარებოდა ლინგვისტურ ანალიზს, მაგრამ ახლა შესაძლებელი გახდა მათი ჩანერა და კვლევა.

**თეორიული** თვალსაზრისით ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს ქართული დიალოგური მეტყველების მექანიზმისა და სტრუქტურის გამოვლენა, რეპლიკათა მონაცვლეობის წესებისა და კომუნიკანტთა როლების დადგენა, დიალოგური მეტყველების ენობრივ-არაენობრივი მახასიათებლების გამოყოფა სხვადასხვა დონეზე, საკომუნიკაციო რეგისტრებისა და მის ინდიკატორთა დადგენა, მოსაუბრეთა სტრატეგიაში თავაზიანობის ფაქტორის მნიშვნელობისა და გამოხატვის საშუალებების გარკვევა.

- ნაშრომში ჩამოყალიბებული და დაზუსტებულია დისკურსის ანალიზის ძირითადი ცნებები ქართულ დიალოგებში; მოცემულია რამდენიმე ახლებური დეფინიცია და შემოთავაზებულია ზოგიერთი ტერმინის ქართული ეკვივალენტი;

- ყველა ძირითადი საკითხის შეჯამებულია განმაზოგადებელი სქემებითა და მოდელებით;

- დადგენილია ქართული დიალოგებისთვის რელევანტური გარეენობრივი ფაქტორები, რომლებიც დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად: I. კომუნიკაციის მონაწილეებთან დაკავშირებული პარამეტრები; II. საკომუნიკაციო სიტუაცია – ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური გარემო; III. დამოკიდებულება კომუნიკანტებს შორის და მათი ენობრივ-პრაგმატული კომპეტენცია. კომუნიკანტების ფაქტორში ძირითადად მიჩნეულია მოუპარი პირის ინტენცია და საკომუნიკაციო სტრატეგია, ადრესატისთვის – ინტერპრეტაციის ნორმები და შესაბამისი ქმედებანი;

- ჩამოყალიბებულია კომუნიკანტთა არსებითი სოციალური პარამეტრები: სიმეტრიულ-ასიმეტრიული მიმართება ასაკის, სოციალური მდგომარეობისა და სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხის მიხედვით, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულება და ნაცნობობის ხარისხი;

- დიალოგური მეტყველების სახეები დაჯგუფებულია ორი მთავა-

რი საკლასიფიკაციო ნიშნით: კომუნიკაციის წარმართვის **უშუალო** და **გაშუალებული** ფორმები;

▪ დახასიათებულია ქართული დიალოგური მეტყველების ფონაციური მხარე (პარალინგვიზმები) და არავერბალური პარამეტრები (კინე-სიკა), გამოვლენილია მათი უნივერსალური და ეროვნულ-სპეციფიკური ნიშნები;

▪ დიალოგური მეტყველება გაანალიზებული თავაზიანობის თეორიასთან კავშირში და წამოყენებულია დებულება თავაზიანობის ფაქტორის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ თანამოსაუბრეთა სტრატეგიის არჩევისათვის;

▪ საკითხი შესწავლილია კომპლექსურად სხვადასხვა დონეზე: **მაკროდონებზე** განხილულია საუბრის დიდი სეგმენტები, ახსნილია დიალოგის სტრუქტურული და თემატურ-შინაარსობრივი ორგანიზაციის მექანიზმი; გამოვლენილია დიალოგის ფაზების ხანგრძლივობისა და ფორმების განმაპირობებელი ფაქტორები, დადასტურებულია **ფატიკური** კომუნიკაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართულ დიალოგებში;

▪ **მუჟა დონეზე** დადგენილია ჯერობის მექანიზმი, საუბრის თემატური და ორგანიზაციული მონებარიგების საშუალებები; გამოვლენილია კომუნიკანტთა რესპონდენტურობის (აქტივურობის) ხარისხი, მათი განსხვავებული როლები, როლების კონფლიქტის წარმოშობის სიხშირე და მიზეზები;

▪ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართული დიალოგური მეტყველების **მიკროდონებზე** და გამოვლენილია საუბრების ლინგვისტური (მორფოლოგიური, მორფოლექსიკური და სინტაქსური) მახასიათებლები;

▪ ახლებურადაა გააზრებული საკომუნიკაციო მოდელის კომპონენტთა მიმართება ძირითად გრამატიკულ კატეგორიებთან; ხაზგასმულია თავაზიანობის, როგორც ყველა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამაერთიანებელი ფენომენის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენობრივი ერთეულების არჩევანისა და, საერთოდ, კომუნიკანტების ქცევისათვის;

▪ წამოყენებულია დებულება ქართულ დიალოგურ მეტყველებაში პერსონალობისა და **მოდალობის** მორფოსემანტიკური კატეგორიების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ; დადგენილია **პირისა და რიცხვის** (პერსონალობის) ნაწილობრივი და სრული ტრანსსემანტიზაციის ფორმები კომუნიკაციაში;

▪ განხილულია **მოდალობის სემანტიკური ველი**, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ენობრივი დონის ერთეულებს;

▪ ახლებურადა დაჯგუფებული დიალოგის **სიგნალები** და გამოყოფილია მათი ძირითადი ფუნქციები: I. დაალოგის ორგანიზაცია, II. მისი მოდიფიკაციური მოწესრიგება და III. შეფასების გამოხატვა. დადგენილია

ამ სიგნალების როლი დიალოგებში კონპერაციულობის მისაღწევად;

▪ ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოყოფილია ორი ძირითადი საკომუნიკაციო რეგისტრი და დადგენილია მათი ინდიკატორები: მიმართვათა სხვადასხვა ფორმა და თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები; ჩამოყალიბებულია მიმართვათა დისტრიბუცია და სოციოლინგვისტური პარამეტრები თანამედროვე ქართულ დიალოგურ მეტყველებაში;

▪ კვლევის შედეგების მიხედვით დადასტურებულია რამდენიმე ლინგვისტური უნივერსალია ქართულ დიალოგურ მეტყველებაში: ერთი მხრივ, ენობრივ საშუალებათა ეკონომიურობისა და, მეორე მხრივ, კომუნიკაციურ ერთეულთა სიჭარბის ტენდენცია;

▪ ანალიზით დადასტურებულია ქართველებისთვის დამახასიათებელი ნიშნები საუბრებში: კომუნიკაბელობა, ემოციურობა, ექსპრესიულობა, თანაგრძელებისა და ყურადღების გამოხატვის უნარი, არტისტიზმი, სწრაფვა თეატრალიზაციისკენ სხვადასხვა ყოფით სიტუაციაში; მეორე მხრივ კი, როლების კონფლიქტის სიხშირე, საუბრის ფაზების დაუცველობა, საკომუნიკაციო რეგისტრთა უნებლივ თუ გამიზნული აღრევა, რეპლიკათა გადაფარვის სიხშირე და სხვ.

ნაშრომმა შეიძლება სტიმული მისცეს ქართული ზეპირმეტყველების (დიალოგების) კორპუსისა და ზეპირი ტექსტების ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნას, რომ არ დაიკარგოს ქართული მეტყველების ნიმუშები და მომავლისთვის დაგროვდეს საანალიზო მასალა.

კვლევისთვის საჭიროებისდა მიხედვით გამოყენებულია საუბრის ანალიზის, სამეტყველო აქტთა თეორიისა და სხვა შეთოდები. ფაქტების ინტერპრეტაციისათვის კი ამოსაგალია ლინგვოპრაგმატიკული მიდგომა. კვლევის მეთოდიკა ორიენტირებულია არა მარტო მცირე ენობრივ სეგმენტებზე (წინადადებებზე), არამედ გამონათქვამებსა (სამეტყველო აქტებსა) და უფრო დიდ კომუნიკაციურ ერთეულებზე (რეპლიკებზე, მთელ დიალოგებზე), ყურადღებაა მიქცეული დიალოგური მეტყველების სეგმენტირებაზე, მოსაუბრეთა ცვლის წესებზე, დიალოგის სიგნალების საკომუნიკაციო დატვირთვაზე.

ყველა მოხმობილი მეთოდი ემპირიულია, ეყრდნობა რეალურ ოფიციალურ თუ ყოველდღიურ საუბრებს (ზოგჯერ – მხატვრულ ტექსტებსაც). საკვლევ მასალად გამოყენებულია ქართული ტელე- და რადიოგადაცემები (ინტერვიუები, გასართობი ტელეშოუები, დისკუსიები, პირდაპირი ტელეკომუნიკაცია მსმენელთან, საჯარო გამოსვლები და განხილვები), ყოველდღიური საუბრების აუდიოჩანაწერები, კომპიუტერული საუბრები, ინფორმატორთა გამოკითხვის მასალები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.

## თავი პირველი დიალოგური მეტყველების (საუბრის) ანალიზი

### 1.1. საკითხის შესწავლის ისტორიიდან

ენათმეცნიერები ლინგვოპრაგმატიკის საკითხებით დაინტერესდნენ XXს-ის 60-70-იანი წლებიდან და ლინგვისტურ მოვლენებთან დააკავშირეს არალინგვისტური, სიტუაციით განპირობებული ასპექტები.

**პრაგმალინგვისტიკის** (ანუ ლინგვოპრაგმატიკის) ცენტრში დადგა მიმართება: ენა და ადამიანი და ცოცხალი ენის კვლევა წარიმართა არაენობრივ ფაქტორებთან კავშირში.

პრაგმატიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, ეფუძნება **ჩ. პირსიას** (პირსი, 1934) და **ჩ. მორისის** (მორისი, 1971) ნიშანთა თეორიას (სემიოტიკას), თუმცა თავისი ძირებით უკავშირდება უძველეს დარგს – **რიტორიკას**, როგორც ენობრივი ზემოქმედების ხელოვნებას. მართალია, რიტორიკა იკვლევდა მონოლოგურ მეტყველებას, მაგრამ ითვალისწინებდა საუბრის პარტნიორს ანუ ადრესატს (რეალურს ან წარმოსახვითს).

პრაგმატიკის განვითარებისათვის გარკვეული წინაპირობა შექმნა ასევე რამდენიმე ლინგვისტურმა დარგმა: სტილისტიკამ, კომუნიკაციურმა სინტაქსმა, შემდგომ – მეტყველებისა და სამეტყველო ქმედების თეორიამ და ტიპოლოგიამ, კომუნიკაციის თეორიამ; კავშირი აქვს მას სოციოლინგვისტიკასთან, ფსიქოლინგვისტიკასთან და სხვ.

ყველაზე მჭიდროდ პრაგმატიკა დაკავშირებულია **კომუნიკაციის თეორიასთან**, რადგან მისი კვლევის საგანია ენობრივ ნიშანთა ფუნქციონირება მეტყველებაში და კომუნიკაციური ურთიერთობის წესები ანუ ენის გამოყენების შესხავლა სიტუაციებში. პრაგმატიკის საკვლევი საკითხები ფართო სპექტრისაა და შეხების წერტილები აქვს სხვა დარგებთანაც, ამდენად, პრაგმალინგვისტიკა შეიძლება ჩაითვალოს ინტერდისციპლინურ მეცნიერებად.

პრაგმალინგვისტიკის ბირთვს წარმოადგენს სამი ძირითადი საკვლევი მხარე: 1. გამონათქვამის მიმართება სინამდვილესთან; 2. გამონათქვამის დამოკიდებულება მოუბრის მიზანთან; 3. კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი სოციალური პოზიციების, როლისა და სტატუსის გამოხატვის ენობრივი ფორმები.

ლინგვოპრაგმატიკის ძირითადი დარგებია: 1. სამეტყველო აქ-

ტექნიკის თეორია; 2. კონვერსაციული იმპლიკატურის თეორია; 3. ტექ-სტის ლინგვისტიკა; 4. საუბრის ანალიზი და სხვ. პრაგმატიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო თავაზიანობის თეორიის ჩამოყალიბება და სამეტყველო ეტიკეტის საკითხების წინ წამოწევა (ლაკოფი, 1973; ლიჩი, 1977; 1983; ბრაუნი/ლევინსონი, 1978ბ; ჰაფერლანდი/პაული, 1996 და სხვ.).

**სამეტყველო აქტების თეორიამ** (ოსტინი, 1965; სიორლი, 1969) ახსნა მეტყველება, როგორც მოქმედება. მისი დამსახურება იყო სამეტყველო ქცევის არსის წვდომა, სამეტყველო აქტის ნაწილების გამოყოფა და მათ შორის კავშირის დადგენა, ადრესატის ფაქტორის წინ წამოწევა. მართალია, ამ თეორიის წარმომადგენლებს არ განუხილავთ წინადადებაზე დიდი ენობრივი ერთეულები, მაგრამ ყურადღება მიაქციეს მსმენელის მიერ გამონათქვამის აღქმა-ინტერპრეტაციასა და შესაბამის რეაგირებას. ამით უკვე გადაიდგა ნაპიჯი დიალოგის, როგორც კომუნიკაცითა ერთობლივი ქმედების, შესასწავლად, რადგან სამეტყველო აქტის ოლოკურიური ძალა მხოლოდ მსმენელზე ორიენტაციით ირკვევა. გამონათქვამის ინტენციისთვის ყურადღების მიქცევამ მოამზადა ერთგვარი საფუძველი ახალი ლინგვისტური დარგის – საუბრის ანალიზისათვის. აშკარა გახდა, რომ თუკი ერთი და იგივე აზრი ენობრივად შეიძლება გაფორმდეს მრავალნაირად, ასევე დასაშვებია ერთი და იმავე გამონათქვამის ინტერპრეტაცია განსხვავებულად (ექტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით).

კომუნიკაციის წარმართვის აუცილებელი და უნივერსალური პირობები შეისწავლა პოლ გრაისმა **კონვერსაციული იმპლიკატურის თეორიაში** (გრაისი, 1975) და დიალოგური მეტყველება (საუბარი) ჩათვალა მოსაუბრისა და მსმენელის (კომუნიკაცითა) თანამშრომლობად, კოოპერაციად. მეცნიერმა ჩამოაყალიბა კომუნიკი-ისთვის აუცილებელი რამდენიმე მაქსიმა: 1. რაოდენობის, 2. ხარისხის, 3. რელევანტურობისა და 4. რაგვარობის (საუბრის მანერის ანუ მოდალობის). პირველი მაქსიმა გულისხმობს ინფორმაციის ადეკვატურ ნორმირებას, საკმარის ინფორმაციულობას; მეორე – მიმართებას ჭეშმარიტებასთან; მესამე – შესაბამისობას თემასთან, მის მიზნებთან, მეოთხე კი – გამონათქვამის ჩამოყალიბების მანერას ნათლად, თანამიმდევრულად, სხარტად და გარკვევით.

ორივე თეორია ჩამოყალიბდა ენის ფილოსოფიის ბაზაზე და დიდი ბიძგი მისცა ენათმეცნიერების შემობრუნებას პრაგმატიკისა-კენ.

## 1.2. დიალოგური მეტყველების (საუბრის) ანალიზის საგანი

პრაგმალინგვისტიკურმა მიმართულებებმა ენათმეცნიერება გამოიყვანა „სპილოს ძვლის კოშკიდან“ და აქცია ყოველდღიური პრაქტიკული საჭიროების მეცნიერებად.

ენათმეცნიერთა წრეში ხშირად იმეორებდნენ ამ აზრს: „რეალური მეტყველება (parole, performance, speech, usage – რა ტერმინიც უნდა იყოს გამოყენებული) საკმაოდ ცვალებადია იმისათვის, რომ ექვემდებარებოდეს ალწერას“ (ბელი, 1980, 38), მაგრამ ეს შეხედულება მიუღებელია პრაგმალინგვისტისა და სოციოლინგვისტისათვის. მართლაც, მცდარია შეხედულება, თითქოს ბუნებრივი საუბრები ლინგვისტიკისთვის მარტივი, უინტერესო და ღარიბია. სწორედ ყოველდღიურ დიალოგებში მეტავრცება პირველად ენის განვითარების ტენდენციები, მისი დინამიკური და ექსპრესიული ბუნება, ყოფითი მხატვრულობა, სოციალურ-გეოგრაფიული ნაირფეროვნება, მოკლედ, საუბარი (დიალოგური მეტყველება) არის „ენა მოქმედებაში“, „ცოცხალ სიტუაციებში“, თავისი განუმეორებლობითა და ინდივიდუალობით.

**საუბრის (დიალოგის) ანალიზი და ტექსტის ლინგვისტიკა** შეისწავლის ენის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს ფორმებს – საუბრებსა და დაზერილ ტექსტებს – სოციალური ფუნქციების გათვალისწინებით.

რა თქმა უნდა, ლინგვისტიკის ეს უახლესი მიმართულებები დაფუძნებულია ენათმეცნიერების ტრადიციულ დარგებზე, მაგრამ იყენებს კვლევის ახალ მეთოდებსაც. მიუხედავად იმისა, რომ საუბრის ანალიზი შედარებით ახალი საენათმეცნიერო დარგია და მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე ლინგვისტურ მიმართულებებთან, მას აქვს საკუთარი საკვლევი ობიექტი – საუბარი, მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარეები.

**დისკურსის ანალიზი** დისციპლინათაშორისი კვლევის სფეროა, რომელშიც ლინგვისტებთან ერთად მონანილეობენ სხვა დარგის სპეციალისტები (სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეთნოგრაფები, ლიტერატურათმცოდნები, ფილოსოფოსები). ტერმინ „დისკურს“ ახლებური მნიშვნელობა მიანიჭა ე. ბენვენისტმა (1974), ხოლო ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ (discourse analysis) პირველად გამოიყენა ზ. ჰარისმა 1952 წელს (ჰარისი, 1952).

როგორც ცნობილია, ნინათ ნინადადებაზე დიდ ერთეულებს

არ მიიჩნევდნენ გრამატიკის სფეროდ, არამედ განიხილავდნენ სტილისტიკასა და რიტორიკაში. „ტექსტის ლინგვისტიკა ამოდის ერთიანი, კომპლექსური ერთეულის – ტექსტის – მთლიანობიდან წინადაღებაზე გავლით სიტყვისაკენ“ (გიოცე/ჰეს-ლიუტიხი, 1998, 512).

**საუბრის ანალიზი** იხილავს ცოცხალ ენას, მის სტრუქტურას, შექმნის მექანიზმებს, სამეტყველო ქცევის ფორმალურ და შინაარსობრივ მხარეებს კომპლექსურ ფუნქციურ ერთიანობაში.

მაშასადამე, საუბრის ანალიზი იხილავს ზეპირ ტექსტს, კონკრეტულ ენებზე ნარმართულ საუბრებს და შემდეგ უბრუნდება სიტყვის დონეს ანუ, ტრადიციული ლინგვისტიკისაგან განსხვავებით, კვლევის მიმართულება არის რთულიდან მარტივისკენ, რათა მოხერხდეს მთლიანი ენობრივი ერთეულის კომპლექსური აღქმა.

**დისკურსის** (ფრ. *discours*, ინგლ. *discourse*) უწოდებენ გაბმულ ტექსტს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან ერთად. ესაა „ტექსტი, აღებული მოვლენათა ერთობაში; მეტყველება, განხილული როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, როგორც ადამიანთა და მათი შემეცნების მექანიზმების ურთიერთქმედებაში მონაწილე კომპონენტი“ (არუთინოვა, 1981, 356). მას ხატოვნად უწოდეს „ცხოვრებაში ჩაძირული“ მეტყველება (ლელ, 1990, 136). დისკურსი მიმართულია როგორც პრაგმატულ სიტუაციასთან, ისე კომუნიკანტების მენტალურ პროცესებთან (ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული წესები და მეტყველების წარმოქმნა-გაგების სტრატეგიები) (ლელ, 1990, 137).

XX საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდა ე. კოსერიუს შემოთავაზებული ტერმინი „ტექსტის ლინგვისტიკა“ – *linguistica del texto* (*Textlinguistik*) (კოსერიუ, 1981). ტექსტისა და დისკურსის ცნებები დღემდე სადაც და პრობლემურია. მათ ზოგჯერ იყენებენ სინონიმური ანუ ფართო მნიშვნელობით და გამოყოფენ ზეპირ და წერილობით ტექსტებს, ანდა – ზეპირ და წერილობით დისკურსებს. 70-80-იან წლებიდან უკვე ცდილობენ ტექსტისა და დისკურსის ცნებათა დიფერენციაციას, რომ ეს ტერმინები გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენებოდეს ვიწრო მნიშვნელობით: ტექსტი – მხოლოდ დაწერილი ტექსტების მიმართ, დისკურსი – ზეპირი საუბრებისა და გამოსვლების მიმართ.

**თ. ლევანდოვსკის** ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი იმეორებს ვან დეიკის მოსაზრებას, რომ ტექსტად ჩაითვალოს როგორც დაწერილი, ისე ზეპირი ტექსტები – ყოველდღიური დიალოგები, ექიმთან საუბარი, წარმოთქმული სიტყვა, საგაზეთო პუბლიკაციე-

ბი, მხატვრული ნაწარმოებები და სხვ. (იხ. ლევანდოვსკი, 1994; ვან დეიკი, 1980, 1-17). ამავე აზრს იზიარებს **დ. კრისტალიც** (დ. კრისტალი, 1997, 116). **დ. ვუნდერლიცი** ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთ მიმართულებად მიიჩნევს ზეპირი დიალოგური ტექსტების ანუ დისკურსის კვლევას (ვუნდერლიცი, 1976, 297).

გერმანულ ლინგვისტიკაში გამოყენება ორი ტერმინი: gesprochene Sprache და geschriebene Sprache (იხ. ბუსმანი, 1990, 281; ლევანდოვსკი, 1994), თუმცა შესაბამისი ცნებები – ნალაპარაკები ენა და დანერილი ენა – ქართულში ვერ დამკვიდრდა მოუხერხებლობის გამო.

ენის გამოყენების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ფორმა ადამიანის არსებობის მთელ მანძილზე არის **საუბარი** – დიალოგური მეტყველება. ლინგვისტიკურ ლიტერატურაში ის განმარტებულია შემდეგნაირად: „**საუბარი** არის ენის ბუნებრივი გამოყენების ფორმა ყოველდღიურობაში, როცა ორი ან მეტი მონაწილე ძალდაუტანებლად, მაგრამ სოციალურად მოწესრიგებული წესების დაცვით ენაცვლება ერთმანეთს საუბრის მსვლელობაში“ (ლევანდოვსკი, 1994, I, 356). თანამედროვე ენათმეცნიერებაში იყენებენ ტერმინებს: **საუბარი**, ზეპირი დისკურსი, კონვერსაცია, დიალოგი (ინგლ. spoken language, talk, conversation, discourse, dialogue; გერმ. gesprochene Sprache – „სალაპარაკო ენა“ ანუ ზეპირმეტყველება; Gespräch, Konversation, Dialog; რუს. устная речь, разговорная речь, диалог, диалогическая речь) (იხ. კრისტალი, 1997; ლევანდოვსკი, 1994, I, 356; ბუსმანი, 1990, 280; ლელ, 1990, 136).

ევროპული ტრადიციით, ტერმინები დიალოგი (ან დიალოგური მეტყველება), კონვერსაცია და **საუბარი** ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა (უკანასკნელი ორით აღნიშნავდნენ ყოველდღიურ საუბრებს), თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა უკვე მათ სინონიმებად მიიჩნევს.

ჩვენ მიზანშენონილად ვთვლით, რომ გამოვიყენოთ რამდენიმე სინონიმური ტერმინი: დიალოგური მეტყველება, დიალოგი, საუბარი და ზეპირი დისკურსი. შესაბამისად, სინონიმურია დიალოგური მეტყველების ანალიზი და საუბრის (დისკურსის, კონვერსაციის) ანალიზი.

დისკურსი ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს ყველა ტიპის ზეპირმეტყველებას (მონოლოგს, დიალოგსა და პოლილოგს). **დიალოგი** (ბერძნ. dialogos) ორი ადამიანის საუბარია. როცა კომუნიკაციის მონაწილე ორზე მეტია, მაშინ გვექნება **პოლილოგი**, თუმცა

ანალიზის დროს დიალოგისა და პოლილოგის დიფერენციაციას არ მივიჩნევთ აუცილებლად. მთავარი ისაა, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მონაწილეები ერთად არ ლაპარაკობენ, რეპლიკათა ცვლა ორ კომუნიკაცის შორის ხდება და ამიტომ ყველანაირ საუბარს აღვნიშნავთ დიალოგით (ან დიალოგური მეტყველებით), თანაც ანგარიშს ვუწევთ ამ ტერმინის გამოყენების დიდ ტრადიციას, დაწყებულს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან.

**დიალოგური მეტყველება** ენობრივი ურთიერთობის პირველადი ბუნებრივი ფორმაა და გენეტიკურად უკავშირდება ზეპირ-მეტყველების სასაუბრო სფეროს, ესაა ზეპირ რეპლიკათა მონაცვლეობა, რომელთა ენობრივ მხარეზე ზეგავლენას ახდენს უშუალო აღქმა და ადრესატის როლის გააქტიურება (იხ. ლელ, 1990, 135). დიალოგს იხილავენ პარალინგვისტურ (რიტმიკა-ინტონაცია) და არა-ლინგვისტურ (ჟესტ-მიმიკა) თანმხლებ საშუალებებთან ერთად.

თანამედროვე დისკურსის თეორიას ნიადაგი მოუმზადა ენის პრაგმატიკულმა კვლევამ (პარტმანი, 1975; უნდერლიხი, 1976), კომუნიკაციის სოციოლინგვისტურმა ანალიზმა (შჩეგლოფი/საქსი, 1973), ტექსტების ლოგიკურ-სემიოტიკურმა აღნერამ (გრეიმასი/კურტე, 1983), კოგნიტიურმა ფიქოლოგიამ, კომუნიკაციის ეთნოგრაფიის აღნერამ, ანთროპოლოგიურმა კვლევებმა და სხვ. ზოგიერთი მეცნიერი მის ფესვებს ეძებს ამერიკულ ეთნომეთოდოლოგიაშიც, რომელიც სწავლობს სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფის ადამიანთა ქმედებისა და ინტერაქციის წესებს.

ტრადიციული ლინგვისტიკის კვლევის ობიექტის გაფართოების სურვილმა ნარმოშვა პ. პალეკის ჰიპერსინტაქსი, ვან დეიკის მაკროსინტაქსი (1980), ვ. დრესლერის ტექსტის სინტაქსი (1973; 1978); დისკურსის თეორიის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ასევე მეტყველების პრაგმატიკულმა კვლევამ.

საუბრის (კონვერსაციის) ანალიზი, როგორც ემპირიულად ორიენტირებული მეთოდი, სწავლობს საუბარს ბუნებრივ გარემოში, მის ფუნქციურ და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მხარეებსა და პრაგმატიკულ ორიენტაციას: საუბრის ტიპებს, რეპლიკათა მონაცვლეობას ანუ ჯერობას, მის წესებს, თემათა გაშლას, საუბრის ფაზებს (დასაწყისს, ძირითად ნაწილს, დასასრულს), ჯერის მიღებასა და გადაცემას, რეპლიკის ხანგრძლივობას, არგუმენტაციის, თანხმობის, საწინააღმდეგო აზრის გამოხატვის საშუალებებს, მსჯელობის ორგანიზაციას, კომუნიკანტთა სტატუსისა და საუბრის სიტუაციის ზეგავლენას საუბრის ორგანიზაციაზე და სხვ.

დიალოგური მეტყველების კვლევის მეთოდები ძირითადად ემპირიული და ექსპერიმენტულია; საანალიზო მასალად გამოიყენება ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, რომელთა ტრანსკრიფციების მოშველიერით შეისწავლება მეტყველების თანმხლები საშუალებებიც.

### **1.3. დისკურსის ანალიზის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ენათმეცნიერებაში**

დიალოგის კვლევის ისტორია არც ისე ხანგრძლივია. დიალოგურ მეტყველებას პირველად მიაქცია ყურადღება **ლევ იაკუბინ-სკიმ** (1923) (იხ. იაკუბინსკი, 1986), განსაკუთრებით — პარალინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ მხარეს, თუმცა ეს ნაშრომი შეუმწეველი დარჩა უცხოელ ენათმეცნიერთა წრეებში.

ზეპირმეტყველების პრაგმატიკულ კვლევაში ახალ ეტაპად იქცა **საუბრის ანალიზის** ჩამოყალიბება ცალკე ენათმეცნიერულ დარგად. გამოიყო მისი რამდენიმე მიმართულება: 1. საუბრის სახეობები (ბუნებრივი, არანუირებული, ფიქტიური, ინსცენირებული); 2. სივრცისა და დროის კოორდინატები; 3. პარტნიორთა კონსტიულაცია; 4. საჯარობის ხარისხი; 5. მიმართების სტრუქტურები; 6. მოქმედების სახეობის ამსახველი ფორმები (დირექტიული, ნარატიული, დისკურსული); 7. ნაცნობობის ხარისხი (მოუბარი); 8. საუბრის მომზადების ხარისხი; 9. თემატიზება; 10. ენობრივი და პრაქტიკული ქმედების ურთიერთკავშირი (ლევანდოვსკი, 1994, I, 358; ჰენე/რებოკი, 1982).

საზღვარგარეთულ და რუსულ ლინგვისტიკაში ბევრი საინტერესო ნაშრომია ლინგვისტიკის ამ ახალ სფეროში. საანალიზო პრობლემების სპექტრი ფართოა: ზოგადი მიმოხილვითი მასალა და თეორიული საკითხები (ბერენსი, 1976; შრედერი/შტეგელი, 1981; ჰენე/რებოკი, 1982; მტუბასი, 1983; ტეხტმაიერი, 1984; ბრინკერი/ზაგერი, 1989; ფრიცი/ჰუნდსნურშერი, 1994); საუბრის ანალიზის მეთოდიკა და ჯერობის მექანიზმი (საქსი/შტეგლოფი/ჯეფერსონი, 1974); დიალოგის სტრუქტურა (ინგვე, 1970; შტეგლოფი/საქსი, 1973; ფრანკე, 1990), მისი ცალკეული ტიპები და კლასები: ტელე- და რადიოსაუბრები (ლინკე, 1985; ჰოლი, 198; ბურგერი, 1991); კონსულტაციური საუბრები (ვამპოფი/ვენცელი, 1979; ვენცელი, 1984; ნოთდურფიტი/რაიტემაიერი/შრედერი, 1994), ინტერვიუები (შვიტალა, 1979), სამედიცინო-თერაპიული საუბრები (ელიხი, 1990), მოკლე, თავაზიანი საუბრები (შნაიდერი, 1988), ყოველდღიური საუბრები

(რამგე, 1978), საუბრები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში (სინკლერი/კოუტჰარდი, 1975; ელიხი/რებაინი, 1983; ელიხი, 1984; რედერი, 1984), დიალოგები სახელმწიფო დაწესებულებებში (ბეკერ-მროცვეკი, 1992).

ამ ბოლო დროს ძალზე აქტუალური გახდა გენდერული პრობლემების შესწავლა (ლაკოფი, 1975; ტრიომელ-პლიოცი, 1982; 1984; ვერნერი, 1983; შმიდტი, 1988; კოტჰოფი, 2001; გიუნთნერი/კოტჰოფი, 1992).

ასევე შესწავლილია: მიმართვები (ბეში, 1998), ნაწილაკების ინტერაქციული ფუნქცია (ვაიდტი, 1983), მოდალური სიტყვები (ლანგნერი, 1994), მსმენელის როლი (ჰენე, 1979), საუბრის სოციო-ლინგვისტური და კულტურათაშორისი ასპექტები (ნოილანდი, 1981; გამპერცი, 1982ა, ბ; გიუნთნერი, 1993).

რამდენიმე ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება დიალოგების არავერბალურ მხარეზე (შერერი/ვალბოტი, 1979; ზიგმანი/ფელდშტაინი, 1985 და სხვ.).

ამას გარდა, გამოცემულია რამდენიმე საინტერესო კრებული აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით (ვეგენერი, 1977; დიტმანი, 1979; შმილდერსი, 1979; ქერუბიმი/ჰენე/რებოკი, 1984 და სხვ.) (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ბუსმანი, 1990; ლევანდოვსკი, 1994; ლელ, 1990; ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994).

**რუსულ** ენათმეცნიერებაში გამოიყოფა კვლევის შემდეგი მიმართულებები: ზოგადთეორიული საკითხები (არუთინოვა, 1979; 1981; 1998; ბახტინი, 1986; ზემსკაია, 1987; კარასიკი, 1989; 1994; გოლუბევა-მონატკინა, 1990; ფილიპოვი, 1993; 2003; ანისიმოვა, 2003; მაკაროვი, 2003); კომუნიკაცითა როლები (კორპუსოვა, 1995); რეპლიკათა ცვლის ანუ ჯერობის მექანიზმი დისკურსში (სტოლიაროვა, 2001; მაჯიხინზადე, 2001); კომუნიკაციის კონკრეტული სახეები სხვადასხვა სიტუაციაში (ივანოვა, 1994; შესტაკოვა, 1995; ზიგმანი, 1997; კანჩერი, 2002; ფაიბიშენკო, 2002; პალატი, 2003; ლინ მეი, 2003); თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები კომუნიკაციაში (კუდრიავცევა, 1991; ხარჩარეკი, 1998; კარპოვა, 2002; კულნინა, 2002); სამეტყველო ეტიკეტისა (ფორმანოვსკაია, 1973; 1984; 1987; 1989ა, ბ; აკიშინა/ფორმანოვსკაია, 1982; 1983; დავიდოვა, 1990; არუთინიანი, 2000; ლი სიჩანი, 2001) და ფატიკური კომუნიკაციის საკითხები (გოლდინი, 1978; 1983; ალექსეენკო, 1987; კოზლოვსკაია, 1993; ჩერნიკი, 2002; სნიტკო, 2005); შეპირისისპირებითი კვლევა კულტურათა შორის (მინასოვა, 2000; გუდკოვი, 2003); საუბრის პარა-

ვერბალური და არავერბალური მხარე (პაპი, 1985; კრეიდლინი, 2002) და სხვ. გამოიცა კრებულები: ენობრივი კომუნიკაცია და საზოგადოება (1974), ეროვნული კულტურა და ურთიერთობა (1977), ეთიკის ენები (2000), ენობრივი თავაზიანობა (2003), კულტუროლოგია (ენციკლოპედია) (1998), ეტიკეტის ენციკლოპედიები (1997; 1999; 2000) და სხვ.

**საქართველოშიც** დაწყებულია სოციოლინგვისტური და პრაგმალინგვისტური ხასიათის ინტენსიური კვლევა (უმეტესად ევროპული ენების მასალაზე ან ქართულთან შეპირისპირებით). შეიძლება დავასახელოთ კვლევის რამდენიმე მიმართულება: ტექსტის ლინგვისტიკისა და კომუნიკაციის ზოგადი პრობლემები (სერგია, 1983; შაბურიშვილი, 1983; გვენცაძე, 1986ა,ბ; ფურცელაძე, 1998; შენგალაია, 2004); სოციოლინგვისტიკის ასპექტები (ლერნერი, 1989; ლებანიძე, 1998; 2004; ტაბიძე, 2003; კიკვიძე, 1999; 2004; ლადარია, 2004; ბოლქვაძე, 2005); სამეტყველო აქტების თეორია (ესაკია, 1989; პეტრიაშვილი, 2002); დისკურსის ორგანიზაციულ-სტრუქტურული და სოციალური პრობლემები (ყიასაშვილი, 1986; გოგოლაძე, 1999; დარასელია, 1999; 2006; რუსიეშვილი, 1999); ლინგვოპრაგმატიკული კვლევა „სახის“ თეორიასთან კავშირში (ლილი გოქსაძე და ახალგაზრდა მეცნიერები: თარხნიშვილი, 2002; ჭანტურია, 2002; გოგოლაშვილი, 2006; ლიკა გოქსაძე, 2006; აფაქიძე, 2008; ბოჭორიშვილი, 2008; რუხაძე, 2008 და სხვ.); ფატიკური კომუნიკაციის პრობლემები (გოქსაძე/დემეტრაძე, 1996; დემეტრაძე, 1996; ცერცვაძე, 2004); თავაზიანობის გამოხატვა ქართულსა და გერმანულ ენებში (სესიაშვილი, 1988; 2002) და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია გამოკლევები ქართული ენის მასალის მიხედვით. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ რამდენიმე მეცნიერის ნაშრომს: მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში (აფრიდონიძე, 2003), თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები ქართულში (კიკვიძე, 1999), ენისა და კულტურის მიმართების საკითხები (კიკვიძე, 2004), სამეტყველო ქცევის მოდელირების შესახებ (წულეისკირი, 2005), მეტყველების თანმხლები პარალინგვისტური საშუალებები (თ. ომიაძე, 1998), მჭევრმეტყველების პრაგმატიკა (ბარბაქაძე, 2003ა,ბ), დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიული პრობლემები (ს. ომიაძე, 2006; 2009), ნანილაკების კომუნიკაციური ფუნქცია (შერაზადიშვილი, 2003), ჩართული სიტყვა-გამოთქმების ტიპები და ფუნქციები (ახვლედიანი, 2001) და სხვ. მიმართვის ზოგიერთ ასპექტს ქართულ-

ში ყურადღება მიაქცია პროფ. ვინფრიდ ბოედერმა (1985; 1988), ქართული სუფრის ეტიკეტს – დ. ჰოლისკიმ (1983), ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჰ. კოტჭოფის ნაშრომები (1991ა; 1995; 1998), მისივე – თავაზიანობის ზოგიერთი საკითხი კულტურათაშორის ასპექტში (კოტჭოფი, 2003).

თავაზიანობისა და ეტიკეტის პრობლემებით, გარდა ენათმეცნიერებისა, დაინტერესებული არიან ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, კულტუროლოგები, ფსიქოლოგები, დიპლომატები, ანთროპოლოგები, სოციოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები (მაგ., საერთაშორისო ეტიკეტის საკითხებზე საინტერესო ნაშრომები აქვს გ. ჯოლიას, 1999; 2000; 2003; 2004; ივ. ჯავახიშვილისა და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხებზე – დ. სართანიას, 2002 და სხვ.).

#### 1.4. კომუნიკაციის მოდელი და მისი კომპონენტები

**კომუნიკაცია** (ლათ. *communicatio*, სიტყვისაგან *communico* – „ვაკავშირებ“, „საერთოს ვხდი“, „ვეურთიერთობი“) არის ადამიანთა სოციალური ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა, როცა ხდება აზრების, იდეების გაზიარება, ინფორმაციის მიწოდება ცხოვრებისეული საქმიანობის დროს.


კომუნიკაციის პროცესი შინაგანი ბუნებით უნივერსალურია, რადგან აზროვნების ჩამოყალიბების სქემები ზოგადადამიანურია, მისი ეროვნულ-ენობრივი ვერბალიზაცია კი მეტყველების თანმხლები საშუალებების გამოყენებით (ფონაციით და კინესიკით). ექსტრალინგვისტური ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ადამიანური ურთიერთობის ფორმასა და შინაარსზე, რადგან კომუნიკაციას ახასიათებს სიტუაციური კონკრეტულობა და პრესუპოზიცია, მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენს კომუნიკანტთა ეროვნულ-კულტურული ტრადიციები და სხვ.

ადამიანთა შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს როგორც არავერბალურად, ისე ვერბალურად. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით იქცევა ინდივიდი სოციუმში პიროვნებად. კომუნიკაცია, როგორც სოციალური პროცესი, ემსახურება საზოგადოების ჩამოყალიბებას ერთობად და ასრულებს მასში გამაერთიანებელ ფუნქციას (ლელ, 1990, 233).

დიალოგური მეტყველებისთვის ისევე, როგორც საერთოდ ენისთვის, ძირითადია **საკომუნიკაციო** ფუნქცია, ანუ ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის ინფორმაციის გადაცემა, მაგრამ შეიძლება

მას ჰქონდეს ფატიკური ანუ კონტაქტის დამამყარებელი ფუნქცია.

თუკი ჩვენ წარმოვიდგენთ ენობრივ კომუნიკაციას მოდელის სახით, მაშინ მის კომპონენტებად უნდა გამოვყოთ: **კომუნიკაციები – მოლაპარაკე** (კომუნიკატორი, ადრესანტი ანუ მოუბარი), **მსმენელი** (საუბრის პარტნიორი, ადრესატი, თანამოსაუბრე), **გამონათქვამი** და გარემოება ანუ **სიტუაცია** (იხ. სქემა № 1; სქემის შედგენისას ვეყრდნობოდით ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანის ნაშრომს, 1994; მოდელი ოდნავ შეცვლილია).




სქემა №1. ვერბალური კომუნიკაციის მოდელი

XX საუკუნის ლინგვისტიკა დადგა ცოცხალი ენის კვლევის საჭიროების წინაშე. 1934 წელს გერმანელმა მეცნიერმა **კარლ ბიულერმა** პირველად აღწერა პრაგმატიკული ფენომენები და ყურად-

დება გაამახვილა ენის სამ ფუნქციაზე: ექსპრესიულზე, აპელატიურსა და რეპრეზენტაციულზე. ექსპრესიულში ის გულისხმობდა მოუბარი პირის პოზიციას, აპელატიულში – მსმენელისას, ხოლო რეპრეზენტაციულში – გარე სამყაროს პოზიციას (ბიულერი, 1934, 24-33).

ზეპირი კომუნიკაცია (დიალოგი) მიმდინარეობს კონკრეტულ სიტუაციაში, რომელშიც პარტნიორებს აკავშირებს ტემპორალურ-ლოკალური ერთიანობა ანუ ერთიანი „დეიქტური ველი“. ეს ტერმინიც **კარლ ბიულერმა** (1934, 102-120) შემოიტანა ენათმეცნიერებაში და გულისხმობდა, რომ საუბრის დროს კომუნიკანტები (მე – შენ) ერთ სივრცეში (აქ) და ერთდროულად (ახლა) იმყოფებიან (სქემა №2).



**სქემა №2. კომუნიკაციის დეიქტური ველი**

კომუნიკაციის მოდელის კომპონენტების ურთიერთმიმართება თვალსაჩინოს ხდის დიალოგური მეტყველების სპეციფიკას. კომუნიკაციური პროცესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, **მოლაპარაკე** (დამწერი), მეორე მხრივ, **მსმენელი** (მკითხველი), „მათი სოციალური თუ სიტუაციური პირობები და მიმართებები“ (ფურცელაძე, 1998, I, 81).

ვერბალური კომუნიკაციის თემასა და ფორმას განაპირობებს სამეტყველო სიტუაცია და პიროვნების (ადრესატის) ფაქტორი. მაშასადამე, აქ წინა პლანზეა წამოწეული არა გამონათქვამის გრამატიკულად სწორად ჩამოყალიბების წესები, არამედ სათქმელის ინტენციის უკეთ გამოხატვა.

1. **მეტყველების სუბიექტთან დაკავშირებით** შეისწავლება: გამონათქვამის აშკარა და ფარული მიზნები (კ. ოსტინის ტერმინოლოგიით, „ილოკუციური ძალები“); სამეტყველო ტაქტიკა და სამეტ-

ყველო ქცევის ტიპები; კომპერაციის (თანამშრომლობის) პრინცი-პისადმი დაქვემდებარებული საუბრის წესები (იხ. კონვერსაციის მაქსიმები: გრაისი, 1975); მოსაუბრის განწყობა, რეფერენცია, პრე-სუბოზიცია, მიმართება ნათქვამისადმი.

**2. მეტყველების ადრესატთან** მიმართებით ყურადღება ექცე-ვა: გამონათქვამის აღქმა-ინტერპრეტაციას, მასზე ზემოქმედებასა (პერლოკუციური ეფექტის შესახებ იხ. ოსტინი, 1965) და გამონათ-ქვამზე რეაგირების ტიპებს;

**3. კომუნიკანტთა შორის დამოკიდებულება** გამოიხატება სამეტყველო ურთიერთობის ფორმებით, რაც წარმოადგენს სოცია-ლურ-ეტიკეტურ მხარეს, მათს ურთიერთმიმართებას სამეტყველო აქტში;

**4. სიტუაცია** ასახულია დეიქტური ენობრივი ერთეულებით (ნაცვალსახელებით, ზმინზედებით და სხვ.), საკომუნიკაციო რეგის-ტრების ინდიკატორებით.

ადამიანთა ყოველდღიური კომუნიკაციისათვის განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა აქვს ენობრივ (კომუნიკაციურ) კომპეტენციას. დღეს დიდი ყურადღება ექცევა ე. წ. **სოციოლინგვისტიკურ კომპე-ტენციას** (იხ. თევზაძე, 1999, 5). ესაა არა მარტო „ენის სისტემის ცოდნა, არამედ აგრეთვე ამ ცოდნის რეალიზაციის წესები განსაზ-დვრულ სოციოკულტურულ ჩარჩოებში“ (ფურცელაძე, 1998, I, XVIII). დედაენაზე მოლაპარაკე ადამიანი, როგორც სოციუმის წევრი, მშობლიურ გარემოში დაბადებიდანვე ბუნებრივად ეუფლება ამ კომპეტენციას და შემდეგ ინტუიციურად ახერხებს სიტუაციის შე-საბამისად საუბარს, მაგრამ ურთიერთგაგებისათვის საჭიროა, რომ ეს კომპეტენცია ჰქონდეს მსმენელსაც (კომუნიკაციის პარტნიორს). უცხო ენის შემსწავლელს ხშირად სწორედ ეს კომპეტენცია აკლია, რადგან არ კმარა გრამატიკის წესებისა და ლექსიკის ცოდნა უცხო ენაზე სასაუბროდ. ზოგჯერ პიროვნებამ იცის უცხოური ენები, მაგ-რამ ვერ ფლობს ზიარ ფონისეულ ცოდნას, რაც განაპირობებს უც-ხო გარემოში საუბრის დროს „სახის“ რღვევას ან „ყოფითს შოკს“.

მაშასადამე, კომუნიკანტები ურთიერთობას ახერხებენ იდენ-ტური ან ნაწილობრივად **საზიარო ფონისეული** (კომუნიკაციური) ცოდნის (background knowledge) საფუძველზე, რომელიც გულის-ხმობს ადამიანის ქცევისა და (კერძოდ, სამეტყველო ქცევის) გარ-კვეული მენტალური მოდელის შექმნას ადამიანის ცნობიერებაში, რაც ურთიერთგაგებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

მოვიყვანთ ორ ნიმუშს იმის ნათელსაყოფად, რომ ურთიერ-

თგაგებისათვის აუცილებელია საზიარო ცოდნა. პირველი არის ნაწყვეტი გადაცემიდან „ათასიდან ერთი შანსი“, რომელშიც წამყვანმა გაიხსება პასაური ფილმიდან „მზე შემოღვიმისა“ ისე, რომ არ დაასახელა ის, თუმცა მაინც ყველასთვის გასაგები იყო. დაისვა შეკითხვა, როგორი რეაქცია ექნებათ მეზობლებს, თუკი ამ ყმაწვილთან ხმაურიანი სტუმრები მოვლენ.

ა – წამყვანი, ბ – მონაწილე (ბესო):

„ა. – და, რა თქმა უნდა, ამ შეკითხვაზე პასუხს გაგვცემს ბესო.

ბ. – არა, მე... ჩემი სტუმარი იგივე ჩემი სამეზობლოს სტუმარია. ასე რომ ვთქვათ, მე ვისაც მივიყვან... თან ძან მხიარულად ვართ და რასაც გავაკეთებთ, არანაირი ისეთი მეზობელი არა მყავს, რამე რო მითხრან, პირიქით, თუ გაუხარდებათ, დარწმუნებული ვარ...

ა. – ძალიან გთხოვთ, იქნება, ბესო, გვითხრათ, სად ცხოვრობთ ასეთ ლამაზ ადგილას და ასეთი კარგი მეზობლები გყოლიათ...

ბ. – ნაძალადევის რაიონში.

ა. – გასაგებია, ანუ... თქვენი მეზობლები არანაირად წინააღდეგი არ წავლენ, თუ თქვენ სახლში იქნება ხმაური...

ბ. – პატარა უბანია და აი, როგორც ერთი პატარა სოფელი, ისე ვართ რა, გვერდზე მყავს მეღვინე, თონე იქვეა...

ა. – მეღვინე გინდა, აგერ არი, მეთევზე გინდა, აგერ არი? გასაგებია, ძალიან მოხარული ვარ... ასეთი მეზობლობა, ეს მართლა არაჩვეულებრივია. სხვათა შორის, ეს ასე მარტო ნაძალადევში არაა, მთელ თბილისში იყო ხოლმე ეს.

ბ. – მე მინდა მთელ საქართველოში ვიყოთ ერთიანად მეგობრულად.

ა. – ღმერთმა აახდინოს ეს ოცნება!“ ((ტაში)) (გადაც. „ათ. ერთ.“, 1).

მეორეა ნაწყვეტი ინტერვიუდან მწერალ ზაზა თვარაძესთან, რომელიც ასე ამთავრებს საუბარს უცხოეთში შესაძლო ემიგრაციის შესახებ: – „მერე, როცა შეიძლებოდა უცხოეთში წავლა, ჯერ ერთი, არც ფული მქონდა და ალარც სურვილი. ის დრო წავიდა... „ჩემო იარალი“... ეხლა გინდა წადი და გინდა ნუ წახვალ“ (ინტ. ზ. თვარ.).

ცხადია, მოუბარმა (ზ. თვარაძემ) იცის, რომ „იარალის“ ხსენებისას ადრესატი გაიგებს სათქმელის ქვეტექსტს.

ზოგიერთმა მეცნიერმა (სპერბერი/უილსონი, 1981/1995) საეჭვოდ მიიჩნია როგორც იდენტური, ისე წანილობრივად საზიარო

ფონისეული ცოდნის ცნებები და შემოიტანა ტერმინი **კოგნიტური გარემო** (cognitive environment) – ანუ ფაქტებისა და ვარაუდების წყება კომუნიკაციის მსვლელობისას (იხ. დარასელია, 2002, 127).

კომუნიკაციური ქმედებისა და სიტუაციური პირობის ერთიანობის აღსანიშნავად ქრისტინა შვარცმა (შვარცი, 1985, 131) შემოგვთავაზა ტერმინი **კომუნიკაციური მოვლენა (ხდომილება)** – გერმ. *Kommunikationserreignis* (იხ. გვერცაძე, 2005).

საუბარი/დიალოგი მიმდინარეობს დეიქტურ ველში, პირის-პირ, ზეპირი მეტყველებით, აღიქმება აუსტიკურად, ახასიათებს მოუბრისა და მსმენელის როლების ცვლა (ჯერობა), რადგან მოსაუბრები ერთმანეთს რიგრიგობით ენაცვლებიან.

## 1.5. ზეპირი კომუნიკაცია

ვერბალურ კომუნიკაციას აქვს ორი ფორმა: ზეპირი ან წერილობითი. ზეპირმეტყველებას, განსხვავებით წერითი მეტყველებისაგან, აქვს ფონაციური მახასიათებლები: ტემპი, ხანგრძლივობა (მიმდინარეობს გარკვეულ დროში), ტემპრი, ხმის სიმაღლე, არტიკულაციური სიმკვეთრე და რიტმიკულ-მელოდიკური ნიშნები (აქტუენტი, ინტონაცია, ტონის ცვალებადობა, პაუზები, მახვილები...), რაც განპირობებულია მოუბარი პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობით, კომუნიკაციური ამოცანით, მსმენელთან (ადრესატთან) დამოკიდებულებით. ზეპირმეტყველებას აქვს ფორმალური და აზრობრივი სტრუქტურა (ენობრივი ფორმა და სემანტიკა), ესთეტიკური და ეთიკური შეფასების უნარი.

მეტყველების წერილობითი ფორმა ერთგვარი შუამავალია, რომელიც უცვლის სუბიექტის სათქმელს სემანტიკურ ნიუანსს მაშინ, როდესაც მოსაუბრე შუამავლის გარეშე ამყარებს ურთიერთობას ადრესატთან, რაშიც მას ეხმარება ხმა, სხეულის (თვალების, ბაგების, ხელების) მოძრაობა, გამომეტყველება.

ცხადია, ჩვენ არ ვაპირებთ ზეპირი და წერითი მეტყველების დაპირისპირებას და ერთ-ერთის უპირატესობის მტკიცებას. თითო-ეულს აქვს თავისი ფუნქცია, დადებითი (ძლიერი) და სუსტი მხარეები. ზეპირი კომუნიკაცია, მიუხედავად დროსა და სივრცეში შეზღუდულობისა, პირდაპირ ამყარებს კავშირს მოუბარსა და მსმენელს შორის და უმეტესად სპონტანური, ბუნებრივია, მდიდარია ფონაციურ-კინესიკური საშუალებებით, რასაც მოკლებულია წერითი მეტყველება.

ზეპირი კომუნიკაცია არის სწორედ ცოცხალი ბუნებრივი ენა, რომელიც მუდამ ვითარდება, ცვლის და ამკვიდრებს გრამატიკულ-სტილისტურ ნირმებს, იყენებს ახალ (მათ შორის უცხოურ) სიტყვებს. ესაა ენა დინამიკაში, თავისი პირვანდელი ფუნქციით – ადამიანებს შორის უშუალო ურთიერთობის საშუალება. მოსაუბრები იყენებენ ენას, როგორც დინამიკურ, ცვლად სისტემას და ხელს უწყობენ მის განვითარებას, „ცხადია, ენის სისტემური ხასიათი და მისი ცვალებადობა ერთმანეთს არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს. ასევე, ერთმანეთს არ გამორიცხავს ენის გამოყენება-ფუნქციონირება და ენის ცვალებადობა, რადგან ენა ცვალებადობას მისი გამოყენებისას განიცდის – არ იცვლება მხოლოდ ის ენა, რომელსაც ურთიერთობის საშუალებად არ იყენებენ“ (ფოჩხუა, 1974, 59-60).

ზეპირმეტყველების ყველაზე მცირე ლინგვისტური ერთეულია **ფონემა**, რომელიც ნარმოითქმის სამეტყველო ორგანოებით და აღიქმება სმენით (როგორც აკუსტიკური საშუალება). ზეპირმეტყველების ერთეულები იერარქიულად ასე ლაგდება: ფონემა → მარცვალი → სიტყვა → სიტყვათშენაერთი → გამონათქვამი (ან ნინადადება) → რეპლიკა → საუბარი (დიალოგი). შინაარსის მქონე უმცირესი ერთეულია **სიტყვა**.

თუკი ენობრივი დონის ფართო გაგებას მოვიშველიებთ, მაშინ თითოეული დასახელებული ერთეული შედის მის მომდევნოში, უფრო რთულში. ყოველი მომდევნო ერთეული განიხილება ლინგვისტიკის სხვა დონეზე (ამ მნიშვნელობით მეცნიერები იყენებენ სხვა ტერმინებსაც: ფაზა, სტრატუმი, იარუსი; გერმ. Ebene, ინგლ. level). შესაბამისად, ზემოთ დასახელებულ ერთეულებს შეისწავლის რამდენიმე ლინგვისტური დარგი: **ფონოლოგია** – ფონემას, მარცვალს, **ლექსიკოლოგია** – სიტყვებს, მორფოლოგია – სიტყვათა ფორმაცვალებადობას, **სინტაქსი** – შესიტყვებებსა და წინადადებებს, **სამეტყველო აქტოა თეორია** – ზეპირ გამონათქვამებს, ხოლო მასზე დიდ ერთეულებს – **საუბრის (დისკურსის) ანალიზი**. ბევრი მეცნიერისთვის წინადადებაზე დიდი ერთეული ლინგვისტიკის კვლევის ობიექტი აღარაა. ჩვენ ამ აზრს, ცხადია, არ ვიზიარებთ. დიალოგურ მეტყველებას, **საუბარს** აქვს თავისი სტრუქტურა, ენობრივ-არაენობრივი მახასიათებლები, ხანგრძლივობა; ის შეუქცევადი, ერთჯერადი და განუმეორებელია, რადგან ზუსტად იგივე სიტუაცია, იგივე კომუნიკაციები ან საუბრის თემა აღარ გამეორდება, ამიტომაც, გარკვეულწილდად, საუბარი იმპროვიზაციული და მოქნილია. დისკურსის ანალიზი განიხილავს მას, როგორც კომპლექსურ მთლიანო-

ბას, რომლისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია კომუნიკაციური სიტუაცია.

ამდენად, საუბრის ანალიზს აქვს დამოუკიდებელი საკვლევი ობიექტი და სრული უფლება, რომ ჩაითვალოს ცალკე ლინგვისტურ მეცნიერებად.

ზეპირი კომუნიკაცია ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება თავისი უამრავი სიტუაციითა და გარემოს ცვალებადობით, თუმცა ის დროსა და სივრცეში შეზღუდულობის გამო ლინგვისტებისათვის ღრმა შესწავლის ობიექტი არ გამხდარა. დროთა განმავლობაში, როცა შესაძლებელი გახდა შორ მანძილზე უშუალო საუბარი (ფიქსირებული ან მობილური ტელეფონით, პეიჯერით) და დანახვაც კი (კომპიუტერში, ვიდეოტელეფონში), გადაილახა სივრცითი (ლოკალური) დაბრკოლება, ხმის ჩამხერმა საშუალებებმა კი დაძლია დროითი (ტემპორალური) შეზღუდულობაც.

ნებისმიერი მეტყველება (ნერილობითი თუ ზეპირი) შინაგანად თითქმის ყოველთვის დიალოგურია ანუ ორიგნტირებულია მსმენელზე: რეალურზე – კონკრეტულ პიროვნებაზე, კოლექტიურზე ან აბსტრაქტულზე, იმპლიციტურზე. ამიტომაც ფართო გაგებით ლაპარაკობენ ნებისმიერი ტექსტის დიალოგურობაზე, რადგან ავტორი ყოველთვის ითვალისწინებს ადრესატის (მკითხველის) ფაქტორს.

ზეპირი დიალოგის სპეციფიკა ნერილობითან შედარებით არის კომუნიკანტების ერთად ყოფნა „დეიქტურ ველში“. ისინი ერთმანეთს ხედავენ და ხმა უშუალოდ ესმით, რეაქციებიც მაშინვე მუღავნდება (სივრცის ერთიანობა ირლვევა კომპიუტერულ კომუნიკაციაში), კომუნიკანტთა როლები ცვალებადია (მოსაუბრე იქცევა მსმენელად და პირიქით).

ენობრივი ფორმისა და სიტუაციის აფიციალურობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს დიალოგური მეტყველების სხვადასხვა ფორმა: ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, დარბაისლური, ყოველდღიურ-ყოფითი, მდაბიური თუ ვულგარულ-ფამილარული.

## 1.6. დიალოგური მეტყველების ძირითადი მონაწილეები და ერთეულები

ადამიანის ცხოვრებას თან სდევს და მსჭვალავს საუბარი (ბრინჯანი, 1971). მართლაც, ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელია ადამიანთა შორის ვერბალური ურთიერთობის გარეშე.

სამეტყველო აქტები, როგორც ენობრივი კომუნიკის ერ-

თეულები, ვერ ასახავენ სრულყოფილად ენობრივ რეალობას, მხოლოდ დიალოგი (საუბარი) ახერხებს ამას. მართალია, სამეტყველო აქტები ენობრივი კომუნიკაციის ძირითად ერთეულებად ითვლება, მაგრამ პრაგმატული კვლევისთვის საუბარი უფრო მოსახერხებელია, რადგან ის „იძლევა გარანტიას, შეუკუმშავად წარმოაჩინოს ენობრივი რეალობა“ (შენე/რებოკი, 1982).

დიალოგი ენის გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, სოციალური ყოველდღიურობის აუცილებელი ნაწილი. ესაა საუბარი ორ (ან მეტ) პიროვნებას შორის, ინტერაქტიური კომუნიკაცია ან ინტენციის მქონე ინტერაქცია, რომლის დროსაც გამონათქვამები მიმართულია ერთი ან რამდენიმე პარტნიორისადმი და მათ უნდა გაეცეთ პასუხი (ლევანდოვსკი, 1994, 223).

საუბრის ფორმასა და სტილს განსაზღვრავს მოუბარ პირთა მიზნები და მოლოდინი, თემა, თემათა ცვლა და მოუბართა ცვლა (ჯერობა).

დიალოგური მეტყველების ძირითადი მონაწილეები არიან **კომუნიკანტები** (მოუბარი პირი და მსმენელი), ხოლო მთავარი ერთეულებია: **რეპლიკა** (კითხვა და პასუხი), **ჯერი** (რიგი), **ჯერობა** (რიგითობა), **დიალოგის ანუ დისკურსის სიგნალები** (საუბრის სიტყვები).

**კომუნიკანტებს ანუ საუბრის პარტნიორებს** (თანამოსაუბრებს): სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებული ტერმინით აღნიშნავს: 1. **მოუბარი პირი:** მოსაუბრე, საუბრის სუბიექტი, კომუნიკატორი, კომუნიკაციის დამწყები, საუბრის მნარმოებელი, ადრესანტი, გამგზავნი, გამონათქვამის ან მეტყველების ავტორი; 2. **მსმენელი:** ადრესატი, კომუნიკანტი, საუბრის პარტნიორი, თანამოსაუბრე, მიმღები, მომხმარებელი.

**მოუბარი პირის არავერბალური, პარავერბალური ან ვერბალური სიგნალები** ორიენტირებულია მსმენელზე და ასრულებს დიალოგის წარმმართველ ან შემანარჩუნებელ ფუნქციას. მოუბარი პირის ყოველ ნათქვამს აქვს სამი დონე: პროპოზიციური, ილოკუციური და ენობრივი.

**მსმენელის უკუკავშირის სიგნალებიც** შეიძლება იყოს არავერბალური, პარავერბალური ან ვერბალური და ემსახურება მოუბარ პირთან კონტაქტის დამყარება-შენარჩუნებას.

**ადრესატი დიალოგში** (საკომუნიკაციო აქტში) მონაწილეობს, როგორც მსმენელი ან თანამოსაუბრე, რომლის აქტიურობას ადასტურებს სხვადასხვა ქმედება: მოუბარი პირის ნათქვამის ან მთელი

რეპლიკის შეფასება, შესწორების შეტანა, დათანხმება ან დაუთანხმებლობა, თანაგრძნობა და შესაბამისი მოქმედების შესრულება.

1. **პროპოზიციის** დონეზე ფასდება ნათქვამის მიმართება ობიექტურ სინამდვილესთან ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით და რამდენად მისაღებია ის მსმენელისთვის.

2. **ილოკუციურ** დონეზე ადრესატი აფასებს მთქმელის ინტენციის შესატყვისობას საკუთარ სტატუსთან, ინტერესებსა და სიტუაციასთან. ამ დროს დასაშვებია სამი შესაძლებლობა: ა. ინტენციის შესაბამისობა ადრესატის ინტერესებთან (ის მისაღები და ხელსაყრელია); ბ. ინტენციის წინააღმდეგობა ადრესატის სურვილებსა და მიზნებთან (ანუ მიუღებელია); 3. ინტენციისადმი წეიტრალური განწყობა (ილოკუცია არც მისაღებია და არც მიუღებელი).

3. მესამე დონეზე მსმენელი აფასებს ნათქვამის **სტილისტური** ანუ **ენობრივი** ფორმულირების შესაბამისობას სიტუაციასთან: თავაზიანია მისი ფორმა, წეიტრალური თუ უხეში (ვულგარული), ანუ რამდენად შეესაბამება საკომუნიკაციო რეგისტრს ანუ ტონალობას (იხ. სესიაშვილი, 1989).

მართალია, ჩვენ ვამბობთ მოუბარსა და მსმენელს, მაგრამ ეს დაყოფა გარკვეულწილად პირობითია. მთელი დიალოგის მანძილზე იცვლება კომუნიკანტთა როლები: მოუბარი პირი იქცევა მსმენელად და პირიქით, მსმენელი – მოუბარ პირად. ამ პროცესის აღსანიშნავად ანგლისტებმა ქართულად შემოგვთავაზეს ტერმინი **ჯერობა** (ინგლ. turn-taking, გერმ. Sprecherwechsel), რაც ნიშნავს მსმენელის მიერ მოუბარი პირისთვის სიტყვის ჩამორთმევას (სიტყვის აღებას), ე. ი. მის გადაცევას მოუბრად (ჩვენი აზრით, ჯერობის ნაცვლად აჯობებდა ტერმინ **რიგითობის** გამოყენება).

დიალოგის ტიპების მიხედვით განასხვავებენ ჯერობის სახეებს: **თვითარჩევანს**, **სხვის არჩევანს** ანუ ჯერის გადაცემას მოთხოვნით ან თხოვნით, ჯერის **ხელში ჩაგდებას** თვითონებურად.

კომუნიკაციურ-პრაგმატული თვალსაზრისით დიალოგური მეტყველების სტრუქტურული საფუძველი და უნივერსალური კატეგორიებია: **კითხვა** ანუ მიმართვა და პასუხი ანუ **შეპასუხება**, ორივეს კი აღნიშნავენ საერთო სახელით: **რეპლიკა** (ან ჯერი; ჩვენი აზრით, შეიძლება **რიგის** გამოყენება). **კითხვა-პასუხი** დიალოგურ მეტყველებაში ურთიერთდაკავშირებული რთული სტრუქტურული ერთობაა; დიალოგური მეტყველების სპეციფიკურ ფორმად გამოყოფენ ასევე **დისკუსიას**, **არგუმენტაციასა** და **თხრობას** (როგორც ერთ-ერთ მოზრდილ სეგმენტს).

## 1.7. დიალოგის ჩანერისა და შესწავლის მეთოდები

ჩვენ უკვე ხაზი გავუსვით იმ სიძნელეებს, რაც ახლავს სპონტანური საუბრის შესწავლას ლინგვისტიკაში. საუბარი, როგორც დასრულებული სახის ერთიანი ზეპირი ტექსტი, ბუნებაში არ არსებობს. კომუნიკაციები საუბრის მიმდინარეობისას ამყარებენ კავშირს მის ცალკეულ ნაწილს შორის და გამოაქვთ დასკვნები. ხშირად ეს ემყარება ინტუიციას და არაა გამორიცხული მცდარი ინტერპრეტაცია. ზოგჯერ გულითადად დაწყებული საუბარი გადაიზრდება ხოლმე კამათში, იქცევა გაუგებრობის წყაროდ და უილბლოდ, წარუმატებლად მთავრდება. ამის მიზეზების ინტერპრეტაცია საკმაოდ ძნელია. ლინგვისტს სჭირდება საუბრის აუდიო- ან ვიდეოჩანანერი, რომლის ხელახლა მოსმენა შეუძლია, შემდეგ კეთდება დიალოგის ტრანსკრიფცია, რაც ხელს უწყობს საუბრის აღქმას მთლიანობაში.

დისკურსის კვლევის მეთოდები ძირითადად ემპირიული და ექსპერიმენტულია, რადგან აუცილებელია ბუნებრივი გარემოს მაქსიმალურად გათვალისწინება.

ტრანსკრიფციული ჩანანერი არ ემთხვევა ლინგვისტურ-ფონეტიკურს (მაგ., წარმოთქმის დასაუფლებლად ან დიალექტოლოგიური მიზნებისთვის). თუკი ფონეტიკური ტრანსკრიფციისათვის აუცილებელია დიქციოს, დიალექტური ელფერის, წარმოთქმისა და გრამატიკული ფორმების სპეციფიკის ზუსტი ჩანიშვნა, აქ მთავარია აღინიშნოს ჯერის ცვლა ან შეწყვეტა, ლოგიკური აქცენტები, პაუზები, დუმილის მონაკვეთები, წამოძახილები, მოსაუბრეთა სიგნალები, არავერბალური საშუალებები და სხვ.

არსებობს პარტიტურის ჩანერის ხერხი (Partitur, Notation): როგორც მუსიკალურ პარტიტურაში ინტერება აკორდის შესაქმნელად ერთმანეთის თავზე ყველა ინსტრუმენტის პარტია, ასევე საუბრის ჩანერისას ერთმანეთის თავზე წერენ ერთდროულ რეპლიკებს (საუბრის გადაფარვას).

მეორე ხერხის მიხედვით, საუბარი ინტერება ორ ან მეტ სვეტად და ერთდროულად ნათქვამი რამ (ჯერის გადაფარვა) ხვდება ერთ ხაზზე.

ორივე ხერხს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. ცალკეული მოსაუბრის რეპლიკა უფრო თვალსაჩინოა მეორე ვარიანტში (როცა ერთ სვეტშია მოთავსებული), ერთიანი აღქმისთვის კი უკე-

თესია ერთმანეთის ქვეშ განლაგება, მუსიკალური პარტიტურის მსგავსად.

სეგმენტებად დაყოფილი რეპლიკები ინომრება სტრიქონების მიხედვით თანამიმდევრულად. ერთდროულად ნათქვამს (ჯერის გადაფარვას) ერთი ნომერი აქვს, მოსაუბრეთა აღნიშვნა მიღებულია დიდი ასოებით (A, B, C, N ...), შეიძლება ეს იყოს კომუნიკანტთა ინიციალები ან ნებისმიერი ასო, რომელთა მნიშვნელობის ახსნა თავიდანვეა მოცემული; ხანაც იწერება პიროვნების პროფესიის პირველი ასო (მაგ.: S – Student, D – Dozent და ა.შ.).

ჩანტერის დროს შესაძლებელია გრაფიკული ხერხების ვარიაცია: ინტონაციურად ან ლოგიკური მახვილით გამოყოფილი მარცვალი (სიტყვა) დაიწერება კურსივით, დაყოფით ან დიდი ასოებით, აღნიშნება ბრჭყალებით ან მძიმეებით. კვადრატულ ან სამკუთხა ფრჩხილებში მოთავსდება კომენტარი, მოუბარის გამოყოფილ მნიშვნელოვან ფრაზას ხაზი გაესმება, კვადრატში ჩაიწერება ან მახვილი დაესმება, ერთდროული რეპლიკები კი მთლიანად ამოიხაზება.

ამ ხერხის აღწერა და დამკვიდრება არის ჰ. ჰენესა და ჰ. რებოკის (1982) დამსახურება; საინტერესო მოსაზრებები აქვს ამ თვალსაზრისით ასევე ი. რებაინს (1999).

თუ კვლევის ინტერესებში შედის პარავერბალური და არავერბალური საშუალებების შესწავლაც, მაშინ ფრჩხილებში ესეც აღნიშნება (რიტმიკულ-მელოდიკური მხარე, პაუზები, აქცენტები, ტონის ცვლა, სიტყვების გამოყოფა, საუბრის ტემპი, ჟესტი, მოძრაობები, მიმიკა, ღიმილი, სიცილი, თავის გადაქნევა და ა.შ.). ეს პრინციპი მოგვაგონებს თეატრალური პიესების დიალოგებში ჩართულ რემარკებს.

ნარმოთქმული ტექსტის ზემოთ ან ქვემოთ აღნიშნება ინტონაციური ცვლილებების მრუდი, დამკვირვებლის კომენტარები.

მოვიყვანო ჰელგა კოტჰოფის ნაშრომში (1991ბ) ჩამოთვლილ გრაფიკულ ნიშნებს: – მოკლე პაუზა, - - გრძელი პაუზა (0,5 წმ-ზე ნაკლები), ( ) – 0,5 წმ-ზე მეტი პაუზა, (?) ? – გაუგებარი ტექსტი, ფრჩხილებში (...) – ბუნდოვანი ტექსტი, /...../ /...../ ჯერის გადაფარვა (ერთდროული ლაპარაკი), „ჰაჰაჰა“ – სიცილი, „ჰეჰეჰე“ – ჩაცინება, ჰ – ამოსუნთქვა, ჸ – ჩასუნთქვა, ჴ ტონის ოდნავ აწევა, ჵ ტონის დაშვება, ? – კითხვითი ინტონაცია, : გრძელი მარცვალი, \*\* – ჩურჩულით ნათქვამი, მთავრული ასოებით – ხმამაღლა ნათქვამი, (( )) – არავერბალური ქცევები.

ასეთ ჩანაწერში კარგად ჩანს ჯერის ცვლა, გადაფარვა, კომუ-

ნიკაციის შემაგსებელი და შემარბილებელი სიგნალები, შორისდებულები, ყოყმანის წამოძახილები, სიცილი და ა.შ.

საუბრის დასაწყისში აუცილებლად უნდა მიეთითოს კომუნიკანტების მონაცემები (ასაკი, სქესი, პროფესია), საკომუნიკაციო სიტუაცია და მთავარი თემა.

კარგი იქნება, თუ ლინგვისტური მიზნებითაც გამოვიყენებთ უცხოელ კინემატოგრაფისტთა გამოცდილებას სცენარებში დიალოგების ჩაწერისას. აქ დეტალურად აღინიშნება საუბრის პარალინგვისტურ-არალინგვისტური მხარე, რომ მსახიობებს გაუადვილდეთ სცენარისტისა და რეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელება; იყენებენ რეპლიკების სპექტრულ ფერებად დაშლის მეთოდსაც, უთითებენ ჯერის ცვლას, ერთდროულად ლაპარაკს, უესტ-მიმიკას, ფონაციურ თავისებურებებს და ა.შ.<sup>1</sup> ვფიქრობთ, საჭიროა ასეთი პრაქტიკული გამოცდილების დეტალური შესწავლა და ლინგვისტური მიზნებისთვის გამოყენება.

---

<sup>1</sup> ამის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა პროფ. თ. მახარობლიძემ.

**თავი მეორე**  
**ექსტრალინგვისტური ფაქტორები და**  
**მახასიათებლები ქართულ დიალოგურ მეტყველებაში**

**2.1. ექსტრალინგვისტური ფაქტორები დიალოგურ  
მეტყველებაში**

დისკურსის კვლევისთვის მნიშვნელოვანია როგორც **ლინგვისტური**, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორები, მათი ურთიერთკავშირი და კომპლექსური მიმართება. როგორც ცნობილია, „მეტყველების აქტის მიზანი სამეტყველო საქმიანობის ფარგლებს გარეთ ძევს: სამეტყველო საქმიანობა არასამეტყველო სფეროს ემსახურება და ამით არის განპირობებული... დღეს ალარავინ დავობს ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენაზე“ (კვარაცხელია, 1990, 10).

საუბრის **ლინგვისტური** მახასიათებლები, უნინარეს ყოვლისა, ეხება სათქმელის **შინაარსის** გამოხატვას ენობრივი ერთეულებით: **გრამატიკული** და **ლექსიკური** საშუალებებით.

ნარმატიული კომუნიკაცია გულისხმობს ადრესატის მიერ ადრესანტის შეტყობინების (ნათქვამის) სწორ ინტერპრეტაციას. ამისთვის მნიშვნელოვანია **ადრესატის ფაქტორის** ბოლომდე გაცნობიერება ანუ მისი სოციოლინგვისტური იდენტიფიკაცია. ექსტრალინგვისტური ფაქტორები მოიცავს საუბრის რეალურ გარემოს: გამოყენების სფეროს, პირობებს (სიტუაციას), სუბიექტის მიზანსა და სულიერ მდგომარეობასაც კი.

ძალიან ბევრი ურთიერთგამომრიცხავი აზრი დაწერილა და გამოთქმულა ექსტრალინგვისტური ფაქტორების რაობისა და რაოდენობის შესახებ.

**სოციოლინგვისტურმა** მიმართულებამ ენის ორგვარი ბუნება აღიარა: ენობრივი და სოციალური და მისი ცვალებადობის სოციალურ მიზეზებს დაუწყო ძიება. სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის ურთიერთობა გამოხატულია ენის ვარირებით, სიტუაციური ცვალებადობა კი დაკავშირებულია ენის გამოყენების სოციალურ სიტუაციებთან (კიკვიძე, 1999, 59). ამ თვალსაზრისით უ. ლაბოვთან გვხვდება ტერმინები: „სოციოლინგვისტური ინდიკატორები“ და „სოციოლინგვისტური მარკერები“ (ლაბოვი, 1966), ა. შვეიცერთან კი – „სტრატიფიკაციული ცვლადი“ და „სტრატიფიკაცი-

ულ-სიტუაციური ცვლადი“ (შვეიცერი, 1977, 83).

კომუნიკანტთა **სოციალურ სტატუსს** მიიჩნევენ ცვალებადი სოციალური როლის მდგრად, უცვლელ გამოვლენად გარკვეული დროის მონაკვეთში. ეს მახასიათებლები უწუალო გავლენას ახდენენ სამეტყველო აქტის ენობრივ-არაენობრივ მხარეზე. სოციალური **სტატუსი** გამოიხატება სოციოლინგვისტური ინდიკატორებით, სოციალური **როლი** – სოციოლინგვისტური მარკერებით (იხ. ლაბოვი, 1966; 1975; შვეიცერი, 1977; კრისინი, 1989; კიკვიძე, 1999, 61).

XX საუკუნის დიდმა ენათმეცნიერმა **რომან იაკოპსონმა** 1958 წელს დაასახელა კომუნიკაციის 6 ექსტრალინგვისტური ფაქტორი (იაკოპსონი, 1985): 1. მოსაუბრე (მთქმელი, ადრესანტი, მესიჯის გამგზავნი); 2. მსმენელი (ადრესატი); 3. შეტყობინება (მესიჯი); 4. საუბრის საგანი (ობიექტი); 5. კავშირის არხი (ზეპირი ან წერილობითი); 6. კოდი (ენა). თითოეულ ფაქტორს მეცნიერმა მიანიჭა შესაბამისი ფუნქცია.

**დ. ჰაიმზმა რ. იაკოპსონის** შეხედულებებზე დაყრდნობით გამოყო სამეტყველო აქტის 7 ფაქტორი ანუ კომპონენტი: 1. გამგზავნი (ადრესანტი); 2. მიმღები (ადრესატი); 3. შეტყობინების ფორმა; 4. კავშირის არხი; 5. კოდი; 6. თემა; 7. გარემო (სცენა, სიტუაცია) (ჰაიმზი, 1975, 58). როგორც ვხედავთ, მან რ. იაკოპსონისეულ ფაქტორებს დაამატა მხოლოდ საკომუნიკაციო გარემო. ა. შვეიცერმა ისინი განავრცო 16 კომპონენტამდე (შვეიცერი, 1989, 278-290): 1. შეტყობინების ფორმა; 2. გამონათქვამის შინაარსი; 3. გარემო; 4. სცენა, ფსიქოლოგიური გარემო მოცემულ კულტურაში; 5. მთქმელი; 6. ადრესანტი (გამგზავნი); 7. მსმენელი/აუდიტორია (მიმღები); 8. ადრესატი; 9. მიზნები (ორიენტირებული შედეგზე); 10. მიზნები (ორიენტირებული ობიექტზე); 11. გასაღები; 12. არხები; 13. სამეტყველო ფორმები; 14. ურთიერთქმედების ნორმები; 15. ინტერპრეტაციის ნორმები; 16. უანრები.

ვფიქრობთ, საკომუნიკაციო მოვლენათა დასახელებულ კომპონენტებში ბევრი რამაც საყურადღებო, მაგრამ საკლასიფიკაციო ნიშანი იმდენად გაურკვეველია, რომ ჭირს სხვადასხვა დონის ერთეულთა დაცალკევება.

**კ. იეგერმა** (1976) გარეენობრივი კრიტერიუმების კომბინაციით შემოგვთავაზა საინტერესო ტერმინი **მეტყველების** ანუ **საკომუნიკაციო კონსტრუაცია**, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ფაქტორებს: მოსაუბრეთა რაოდენობას, ცალკეული რეპლიკის მომზადების ხარისხს, მოსაუბრეთა ნაცნობობის ხარისხს, საუბრის დროით

შემოსაზღვრულობას და სხვ. (ლინკე/ნუსპაუმერი/პორტმანი, 1994, 289). ტერმინი კონსტიტუცია ნასესხებია ასტროლოგიდან და აღნიშნავს „ცის მნათობთა ურთიერთგანლაგებას, რომელსაც იყენებენ ასტროლოგიურ წინასწარმეტყველებათა საფუძვლად“ (უსლ, 1989, 250). ვფიქრობთ, მოხერხებულია ამ ტერმინის გამოყენება კომუნიკანტთა ექსტრალინგვისტური მახასიათებლების ერთობლიობისა და მათი მიმართების გამოსახატავად კომუნიკაციაში.

სხვადასხვა მეცნიერის შეხედულებათა გათვალისწინებით გამოვყავით ქართული დიალოგური მეტყველებისათვის რელევანტური ექსტრალინგვისტური ფაქტორების სამი მთავარი ჯგუფი: I. კომუნიკანტები; II. საკომუნიკაციო სიტუაცია; III. საუბრის შინაარსი და ფორმა (სქემა № 3):

I. კომუნიკანტებთან მიმართებაში დიალოგებში არსებითია შემდეგი ფაქტორები:

1. მოუბარი პირისა და მსმენელის (ან მსმენელთა) სოციალური მახასიათებლები (ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, განათლება და პროფესია, წარმომავლობა და ეროვნება);

2. კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება ანუ იერარქიულობის ხარისხი (ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური სიმეტრია-ასიმეტრია; ფიზიკური დისტანცია: პირისპირ ან დისტანციურად ყოფნა);

3. მოუბარი პირის ინტენცია (გამიზნულობა) და შერჩეული საკომუნიკაციო სტრატეგია;


4. კომუნიკანტთა ენობრივ-პრაგმატული ანუ საკომუნიკაციო კომპეტენცია და ურთიერთქმედების ნორმები (სამეტყველო ეტიკეტის ნორმები).

II. საკომუნიკაციო სიტუაცია ანუ გარემო: 1. დროულ-სივრცული მიმართება (საუბრის დრო და ადგილი ანუ ფიზიკური გარემოცვა); 2. სოციალური ჩარჩო (ოფიციალურ-საქმიანი და არაოფიციალური); 3. ფსიქოლოგიური გარემო.

III. დიალოგური მეტყველების შინაარსი და ფორმა:

1. საუბრის თემა (თემები);
2. სამეტყველო არხი (ზეპირი და შერჩეული);
3. სასაუბრო მანერა (სახუმარო, სერიოზული, დაუდევარი);
4. სამეტყველო ფორმა: **სტილი** ანუ საკომუნიკაციო რეგისტრი (ოფიციალური, არაოფიციალური); მეტყველების **სიტუაციური** (სოციოლექტი) ან ლოკალური ვარიანტები (დიალექტი, სალიტერატურო ენა); დიალოგის წარმართვის **ხერხი** (კითხვა-პასუხი,

**სქემა № 3. დიალოგური მეტყველების  
ექსტრალინგვისტურ-ლინგვისტური ფაქტორები**



დისკუსია, მტერიცება ანუ არგუმენტაცია, თხრობა, მსჯელობა, ფატიკური კომუნიკაცია, კონსულტაცია და სხვ.).

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიკაციიდან ჩანს, ექსტრალინგვისტური ფაქტორებიდან დიალოგური მეტყველების სახეობისა და ენობრივ-არაენობრივი მახასიათებლებისთვის განმსაზღვრელია **კომუნიკაციები** (განსაკუთრებით მოუბარი პირი), მათ

შორის დამოკიდებულება და საკომუნიკაციო სიტუაცია (გარემო). ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ დიალოგური მეტყველება არაა მხოლოდ ენობრივი მოვლენა, არამედ განპირობებულია გარეენობრივი (სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური) ფაქტორებით.

## 2.2. დიალოგის მონაწილეთა სოციალური მახასიათებლები

მოსაუბრეთა შორის არსებობს განსხვავება მათი სოციალური როლის, სტატუსის, მდგომარეობის, თანამდებობის, სქესის, ასაკის, განათლების, კულტურის დონის მიხედვით, რაც აირეკლება მეტყველებაში გამოყენებულ გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ საშუალებებში. მათი შერჩევის წესები საკმაოდ რთულია და ხშირადაა განპირობებული კომუნიკანტთა კულტურულ-ეთნოგრაფიული და ეროვნული სპეციფიკით. სწორედ ამ წესების დადგენა და აღნერა იქცა სოციო-ლინგვისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. ტერმინ „რეპერტუარს“ მთელი ენობრივი კოლექტივისთვის დამასახასიათებელი ენობრივი ვარიანტების აღსანიშნავად იყენებენ და მასში აერთიანებენ შემდეგ სახეობებს: სოციოლექტს, სტილს, რეგისტრს, იდიოლექტს, დიალექტს. ეს ცნება მოიცავს ცალკეული მოსაუბრის, საზოგადოების რომელიმე ფენისა თუ უფრო დიდი ენობრივი კოლექტივის მიერ გამოყენებულ ენობრივ ვარიანტებს რეგიონალური, სოციალური და სიტუაციური პარამეტრების მიხედვით (ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994, 307). მეცნიერები ხაზს უსვამენ ამ ტერმინთა გამიჯვნის სირთულესაც, რადგან ძნელი დასადგენია, არის თუ არა სხვაობა ენობრივ ვარიანტს, სტილსა და რეგისტრს შორის. ჩვენ ამ ტერმინებს ვმიჯნავთ და ვიყენებთ შემდეგი მნიშვნელობით: ენობრივი ვარიანტი ფართო ცნებაა და გულისხმობს წერითი თუ ზეპირი მეტყველების მონოლოგური თუ დიალოგური ფორმების ყველა სახესხვაობას; სტილი სპეციფიკურ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობაა წერით მეტყველებაში გამოყენების სფეროს მიხედვით, ხოლო რეგისტრი – ზეპირმეტყველების (კერძოდ, დიალოგის) ვერბალურ-არავერბალური პარამეტრები საკომუნიკაციო სიტუაციის მიხედვით.

**რომან იაკობსონი** ხაზს უსვამდა ენის ზუსტი მეცნიერული აღწერისთვის იმ გრამატიკული და ლექსიკური წესების შესწავლის მნიშვნელობას, „რომლებიც ეხებიან მოსაუბრეთა შორის განსხვავებების არსებობას მათი სოციალური მდგომარეობის, სქესის ან ასაკის თვალსაზრისით“ (იაკობსონი, 1985, 382).

ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, მუდმივად აღმოჩნდება სხვადასხვა როლში: ოჯახში, ქუჩაში, ტრანსპორტში, სამსახურში, მაღაზიაში, ტელეფონზე თუ კომპიუტერთან, მეგობრებთან ფინჯან ყავაზე, რესტორანში – ქორწილზე, საზეიმო თუ სამგლოვიარო სუფრაზე, დაბადების დღეზე, ექსკურსიაზე თუ ახალგაზრდულ წვეულებაზე, დისკოთეკებში და ა.შ. ის ცხოვრების მანძილზე უამრავ ცვალებად თუ მუდმივ სოციალურ როლს ასრულებს: სხვადასხვა დროს შეიძლება იყოს პაციენტი ექიმისათვის, კლიენტი ხელოსათან, მძღოლი, მგზავრი, ბრალდებული, ბრალმდებელი, მომჩივანი, დამთვალიერებელი, მსმენელი, გამვლელი, ფეხით მოსიარულე, დამნაშავე, მოსწავლე, სტუდენტი, გამოსაცდელი, გამომცდელი, მკითხველი, მასწავლებელი, ლექტორი, უფროსი, ხელქვეითი, კოლეგა და სხვ. ის ვიღაცის შვილი, შვილიშვილი, ძმა, ბიძა, ძმისშვილი, მეგობარი ან მეზობელია და ა.შ. ერთი დღის განმავლობაშიც კი ასრულებს ადამიანი რამდენიმე როლს: ოჯახში არის მამა, ქმარი ან ვაჟიშვილი; ქუჩაში – ფეხით მოსიარულე, მგზავრი, მძღოლი, მოძრაობის წესების დამრღვევი; მაღაზიაში – მყიდველი, საპარიკმახეროში – კლიენტი, სასამართლოში – მომჩივანი, ექიმთან – პაციენტი, სამსახურში – კოლეგა, ხელქვეითი ან უფროსი, თეატრში – მაყურებელი, დემონსტრაციაზე – დემონსტრანტი და ა.შ.

ადამიანი თითოეული როლის შესაბამისად მეტყველებს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ირგებს ამ როლებს და გარკვეულ სიტუაციაში ან ადგილზე შესაფერისად იქცევა, განსხვავებულად მეტყველებს, ესაუბრება სხვასაც, თან ითვალისწინებს უამრავ ასპექტს, იცავს ქცევის წესებს, იყენებს ეტიკეტურ ფორმულებს, აქვს განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და იცის, რომ უნდა გაამართლოს თანამოსაუბრის (პარტნიორის) მოლოდინი – ანუ **ექსპექტაცია**. მაგალითად, ახალგაზრდისგან არ ველოდებით რჩევა-დარიგებებს, ჭკუის სწავლებას და მის მიმართ ირონიულად განვერწყობით, თუკი დაარღვევს ამ წესს (ამ ბოლო დროს ეს სტერეოტიპიც ირღვევა).

კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლების მიხედვით, დიალოგები შეიძლება დაიყოს **სიმეტრიულად** (მოსაუბრეთა თანაბარი სოციალური მახასიათებლების შემთხვევაში: საუბარი მეგობრებს, დედმამიშვილებს, კოლეგებს, მეზობლებს, თანატოლებს შორის) და **ასიმეტრიულად** (სოციალური მდგომარეობით, სტატუსით ან ასაკით იერარქიული განსხვავების დროს: მოქალაქის ან ბრალდებულის საუბარი მოსამართლესთან, პაციენტისა – ექიმთან, სტუდენ-

ტისა – აკადემიკოსთან, ლექტორთან, მოსწავლისა – მასწავლებელთან, ხელქვეითისა – უფროსთან, შეფთან, ჩვეულებრივი წევრისა – თავმჯდომარესთან, მთხოვნელისა – პრეზიდენტთან, უფროსი ასაკის ადამიანისა – უმცროსთან ან ბავშვთან და ა. შ.).

ადამიანის სოციალური პარამეტრები ზეგავლენას ახდენს დიალოგური მეტყველების სახეობისა და ფორმის შერჩევაზე. ქართული რეალობისთვის რელევანტურად მივიჩნევთ კომუნიკანტთა ასაკს, პროფესიას, განათლებას, წარმომავლობას, სქესს, თანამდებობასა და სოციალურ მდგომარეობას (იხ. სქემა № 4). მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომელ სოციალურ ფენას ან ჯგუფს მიეკუთვნება კომუნიკანტი (მაგ., ვაჭართა, ბიზნესმენთა, ხელოვანთა, პედაგოგთა ნრეს თუ ქურდების ან ნარკომანებისას). ამათგან, ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე ქართულ საუბრებში გარკვეულ საკომუნიკაციო სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიალოგის მონაცილეთა სოციალური სტატუსი, ასაკობრივი სხვაობა, განათლება და წარმომავლობა. დისტანცია კომუნიკანტთა შორის (სოციალური, ასაკობრივი, ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური) მოქმედებს საუბრის ენობრივ მხარესა და მოსაუბრეთა არავერბალურ ქცევებზე.


**1. ასაკის** მიხედვით გამოიყოფა სიმეტრიული დიალოგები თანატოლთა შორის: მოხუცების, შუა ხნის ადამიანების, ახალგაზრდებისა და ბავშვებისა. ამ ბოლო დროს ინგლისურენოვანი სამყაროს გავლენით გამოიკვეთა ცალკე ასაკობრივი წრე – „ტინეიჯერთა“ ანუ მოზარდთა (13-19 წლისანი).

**ასაკოვანი** ადამიანების მეტყველება დარბაისლური, თავშეკავებული, შედარებით დახვეწილი, კონსერვატიული, ძველმოდურია.

**ახალგაზრდების** მეტყველება გამოირჩევა ექსტრავაგანტურობით, ბარბარიზმებისა და ვულგარიზმების სიმრავლით, ემოციურობით, დაუხვეწაობით, გამომწვევი დაუდევრობით, მოდური უარგონიზმებით.

ქართველი ახალგაზრდების ლექსიკა, სამწუხაროდ, საკმაოდ მნირია, მათს მეტყველებაში ბევრია რუსული და ინგლისური სიტყვა, უარგონული გამოთქმა (სლენგი). ეს შეიმჩნევა დიალოგის ყოველ ფაზაში, იქნება ეს მისალმებისა და გამომშვიდობების ფორმულები თუ საუბრის ძირითადი ნაწილი. მაგალითად, ხშირად ესალმებიან ასე: პრივეტ! ჰაი! პრივეტები!; ხოლო ემშვიდობებიან ასე: პაკა! პაკა-პაკა! ბაი! გუდ ბაი!..

#### სქემა № 4. კომუნიკაცია სოციალური მახასიათებლები



პარბარიზმები და უარგონიზმები: იტოგში, ვაბშე, დაუე, პროსტა, მოზგი, ტუსოვკა, დაგრუზული, გატეხილში ვარ, კლიენტი, მასტი, ტიპშა, სტერგა, კლიზმა, ნახალი, ხამი... მხეცია, გლივავს, ასწორებს, ტეხავს, გამიტყდა, დაიკიდე, ვეცემი ან დავეცი... ცვეტშია, სტოპრო; ინგლისური მოდური სიტყვები: შოპინგი, კასტინგი, ფართი, კოლორში; ბევრია ზმნად ქცეული გაქართულებული სიტყვა: ვგულაობ, ვკატაობ, ვმარიაჟობ, ვეპადხოდები, ვბალეიშიკობ, ვეპადხალიმები, დამიმესიჯე, დამიმისკოლე და სხვ.

„ახალგაზრდული მეტყველება“ საოცრად გავრცელდა მასმედიებში: გვესმის დივერსია, ტელეწამყვანის საუბარში, ტელეშოუებში, ეთერში პირდაპირ ჩართვაში (მაგ., I სტერეო, „ამტანი“, „ჯეობარი“ და სხვ.). თავის მხრივ, გასართობი მასმედიაც ცუდ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდების მეტყველებაზე.

ლინგვისტები სპეციალურად სწავლობენ ახალგაზრდულ მეტყველებას, ჟარგონიზმების შექმნის ხერხებსა და წყაროებს. ქართულადაც გამოცემულია ჟარგონთა მოკლე ლექსიკონი (ბრეგაძე, 1999).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომუნიკაციაში შეიძლება ერთად აღმოჩნდნენ თანატოლები (სიმეტრიული საუბრები) ან განსხვავებული ასაკის პიროვნებები (ასიმეტრიული საუბრები: საუბარი მოხუცსა და ახალგაზრდას შორის, საშუალო ასაკის პიროვნებასა და ბავშვს შორის, გამოცდილების მქონესა და გამოუცდელ ადამიანებს შორის). ასეთი შემთხვევები დამოუკიდებლად არის განსახილველი, ადამიანების ქცევისთვის გადამწყვეტია ეს ასიმეტრია (ასიმეტრიული საუბრების ლინგვისტური მახასიათებლები განხილულია მოძღვნო თავებში).

2. ამ ბოლო დროს ენათმეცნიერებაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მეტყველების განსხვავებებს **სქესის** მიხედვით. ლაპარაკია არა სქესის გრამატიკულ კატეგორიაზე, არამედ ქალისა და მამაკაცის (გოგონასა და ვაჟის) საუბრის მანერაზე, ლექსიკურ მარაგზე, დიალოგის წარმართვის სპეციფიკაზე, პარავერბალური და არავერბალური საშუალებების სხვაობაზე, ეროვნული თავისებურებების გამოვლენაზე ისტორიულ ჭრილში.

ქართველი ქალი დიალოგში უფრო მორიდებული და თავმდაბალი იყო, ხშირად სჯერდებოდა რესპონდენტურ (შედარებით პასიურ) როლს, ჯერის მიღებაზე თავს იკავებდა, ინიციატივას წაკლებად იჩენდა და ამჯობინებდა ჩრდილში ყოფნას, კამათში იშვიათად ერეოდა ან ცდილობდა დაპირისპირებული მხარეების მორიგებას.

ეს თვისებები დღეს უფრო იშვიათია, შეიმჩნევა უკუპროცესი: ქალთა სწრაფვა ემანსიპაციისაკენ აისახება მეტყველებაშიც. ქართველ ქალებში უკვე ბევრია აქტიური, დიალოგში ინიციატივის მქონე, თამამად რომ გამოთქვამენ საპირისპირო აზრს, ალარ არიან დამთმობი, ამჟღავნებენ შემტევ ხასიათს, თუმცა, მამაკაცებისაგან განსხვავებით, უფრო კორექტულნი არიან, იცავენ თავაზიანობის წესებს, სამეტყველო ეტიკეტს, ერიდებიან ლანდლვა-გინებასა და ადრესატის შეურაცხყოფას. ქალი მაინც მეტ დელიკატურობასა და გულისხმიერებას იჩენს მსმენელის (ადრესატის) როლში: ადგილად შეუძლია გაიზიაროს სხვის თვალსაზრისი, თანაუგრძნოს პარტნიორს, მოუბარს, რასაც **ემპათიას** უწოდებენ – ანუ „სხვის ადგილას დადგომას“, „სხვის როლში შესვლას“.

ქართულ გარემოში ქალი თანაბარუფლებიანია და არც საუ-

ბარში არაა დაჩაგრული მამაკაცებთან შედარებით (რაც ჩვეულებრივია ზოგიერთ არაცივილიზებულ ენობრივ კოლექტივში), ქალების მიმართ მოწინება და პატივისცემის გამოხატვის სურვილი იგრძნობა დიალოგის დროსაც.

რაც შეეხება ენობრივ მხარეს, ქართულ ენაში სქესი მორფოლოგიურ დონეზე არ გამოიხატება (არსებით სახელებში, ნაცვალსა-ხელებში ან ზმნებში).

3. ადამიანთა მეტყველებაში თავს იჩენს **პროფესიული** განსხვავებები. ექიმი, პედაგოგი, ადვოკატი, მუშა, გამყიდველი, გლეხი, მეცნიერი ერთნაირად ვერ ისაუბრებენ. მნიშვნელობა აქვს სპეციალობასაც, რადგან პროფესიული ლექსიკა ხშირად გამოიყენება საუბარში სხვა პროფესიის პიროვნებებთანაც კი. ამიტომ აქ უნდა განვასხვაოთ დიალოგები კოლეგებსა და არაკოლეგებს შორის.

4. მნიშვნელოვანია **განათლების** ფაქტორიც. ფიზიკური და გონებრივი შრომით დაკავებულ ადამიანთა მეტყველება განსხვავებულია. გონებრივად შრომობს უმაღლესი განათლების მქონე, წიგნიერი ადამიანი, რომლის ქცევები კულტურულია, მანერები – დახვეწილი, საუბარი – ლიტერატურული, დარბაისლური, თავაზიანი. თუმცა ინტელიგენტობა და არაინტელიგენტობა ზოგჯერ განათლებაზე არაა დამოკიდებული.

ინტელიგენტური საუბარი დარბაისლური, თავაზიანი და ტაქტიანია (განსაკუთრებით ძველი გიმნაზიელებისა, რომელთაც კლასიკური განათლება აქვთ მიღებული), დინჯი, აუდელვებელი, ლოგიკური, მწყობრი, მსჯელობა – დასაბუთებული; უყვართ ციტირება ძველებრძნული, რომაული ნაწარმოებიდან, ქართული და რუსული პოზიტიდან, შექსპირის პიესებიდან.

საშუალო თაობის ინტელიგენტი ქალების მეტყველებისთვის დღესაც დამახასიათებელია რუსული ფრაზების ჩართვა, ე. წ. ნარევი რუსულ-ქართული „სალონური სტილის საუბრები“, რაც ხშირად ითვლებოდა ინტელექტის საზომად და ძალიან ბუნებრივი ეჩვენებოდათ. ეს იყო XX საუკუნის 60-70-იანი წლებში მაღალი საზოგადოებრივი ფენის მოდა, რომლის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს განათლების მიღება რუსულ ენაზე. ექიმები, ფილოლოგები, ხელოვნების მუშაკები ლაპარაკობდნენ რუსულ-ქართულად, რაც ზოგს დღემდე შემორჩა. შემდეგ მათ ახალგაზრდებიც ჰქონდნენ, განსაკუთრებით თბილისში, რაც გამოზეული იყო გამორჩეულობის, არაპროვინციელობის ხაზგასმის სურვილით.

5. საუბრის სტილსა და მეტყველების თავისებურებებზე ზე-

გავლენას ახდენს კომუნიკანტთა **ნარმომავლობა**. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა საუბარი გამოირჩევა დიალექტური შეფერილობით (გურული, იმერული, კახური, ქართლური, აჭარული და სხვ.). შეიძლება გამოვყოთ მეტყველების **ურბანული** (ძირითადად, თბილისური) და **არაურბანული** (პროვინციული) ტიპები. სხვა დიდი ქალაქების მკვიდრთა მეტყველებაც მარკირებულია. განსხვავდება თვით თბილისის სხვადასხვა უბნის მაცხოვრებელთა საუბარი. პრესტიულულ უბანში ახალგაზრდები ცდილობენ, ილაპარაკონ ამ წრეში მიღებული მანერით: უარგონიზმებით, ბარბარიზმებით, სპეციფიკური ინტონაციით (წაგრძელებულად), არამკაფიო არტიკულაციით. ამ ბოლო დროს შეინიშნება რბილი „ლ“-ს, პროვინციალიზმების მომრავლება და თავაზიანობის წესების უგულებელყოფა.

დიალექტურ არეალში ოდნავ განსხვავებულია ეტიკეტური ფორმულებიც ან დაკანონებულია სახეცვლილი ვარიანტები. მაგ., მთამ: „გამარჯვება!“, „მოხველ მშვიდობით!“, „რა გვარ ხარ?“ იმერეთში: რაფერ (რაფრა) ხარ, თუ იც? რავა ხარ? კარგად მეყოლეთ, ჩემო ბატონო! ყველაზე მეტ ნაირსახეობას ვხვდებით შორისდებულურ მიმართვებში: ჯო! ჭო! ბიჯო! ბიო! გო! ქალო! ქა! (ცავ! ბეჩა! დია! ნენა! ბოშო!.. საკუთარ სახელთა კნინობით ფორმებში: ნათელია! სოსოია! ლევანია! ომარა! რომანა! ივანიკა! ნოდარია! გიგოია! ბიჭიკია! ჯუმბერა!.. და სხვ.

ქართული დიალოგური მეტყველებისთვის რელევანტური სოციალური პარამეტრები წმინდა სახით იშვიათად გვხვდება, რადგან რთულად და კომპლექსურად არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული. შეიძლება საუბრის მონაწილე იყოს: ასაკოვანი სოფლის მაცხოვრებელი, უფროსი თაობის ქალაქელი, თავაზიანი ყმანვილი, განათლებული ახალგაზრდა, გაუნათლებელი მოხუცი და სხვ.

კომუნიკანტები არა მარტო მეტყველებენ და მოქმედებენ თავიანთი სოციალური როლის შესაბამისად, არამედ ითვალისწინებენ ადრესატის (ადრესატთა) მახასიათებლებსაც.

**ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა:** თუ ქართულ ყოფას გადავავლებთ თვალს, უცხოელისთვის პირველ რიგში თვალში საცემია განსხვავება მეტყველების თანმხლებ საშუალებებში: უსტიკულაციის ინტენსიურობა და ემოციურობა; საალერსო ფორმულების ხშირი ხმარება (შენ ჭირიმე, შენ გენაცაალე, შენ შემოგევლე), დალოცვა (გაიხარე, იცოცხლეთ, ღმერთმა გამრავლოს, აგაშენოს და სხვ.); მყარი ფრაზეოლოგიური ფორმულების, ანდაზების, მეტაფო-

რების, აფორიზმების, ენამოსწრებული გამოთქმების, შეხუმრებების, ქარაგმული თქმების სიმრავლე (თუმცა ეს დამოკიდებულია კომუნიკაციების ასაკზე, განათლებისა და ნაკითხობის დონეზე, ლექსიკური მარაგის სიმდიდრეზე და ა.შ.). განსაკუთრებით აქცევენ ყურადღებას ქართული სუფრის, სადღეგრძელოების ორიგინალურობას. სუფრასთან ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გამოხატულია მაღალფარდოვანი ფრაზებით, ერთმანეთის ქებით. ვფიქრობთ, არ შეიძლება ამაში მხოლოდ უარყოფითი მხარის დანახვა ან ასეთი ქცევის ჩათვლა პირფერობად. ქართველები ასე გამოხატავენ დადებით ემოციებს, ზოგჯერ ამბობენ სასურველს და არა – რეალურს. ქართული სუფრა ხანდახან თეატრალურ სპექტაკლსაც კი ემსგავსება, რომლის მონანილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტკბილქართულობასა და ენამახვილობაში. ამიტომაც ენათმეცნიერები, ეთნოგრაფები ცდილობენ, უფრო ღრმად შეისწავლონ ეს ფენომენი და ჩასწვდნენ ქართული სტუმარობოყვარეობის საიდუმლოს (ჰოლისკი, 1983; კოტშოფი, 1991ა; 1995; 1998). ქართველი ამაყობს წარსულით, საკუთარი ქართველობით და უცხოელს ესეც უკვირს; თამადის ენამზეობაც კოლორიტული და განუმეორებელია (თუმცა ამ ბოლო დროს გახშირდა ქართული სუფრის ტრადიციების კრიტიკაც).

ქართველი ზედმეტად ოფიციალური იქაც არაა, სადაც ამას სიტუაცია მოითხოვს და გულითადობასა და მეგობრულ ტონს არ ღალატობს საქმიან გარემოშიც; დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს ნახევრად სერიოზული ლაპარაკი, ხშირი ხუმრობა (ახალგაზრდები უწოდებენ „შაყირს“, „კაიფობას“ ან „ღადაობას“), სიტყვებით თამაში, ანეკდოტების ჩართვა საუბარში.

როგორც გხედავთ, ქართულ დიალოგურ მეტყველებაში კომუნიკანტთა ძირითადი სოციალური მახასიათებლები (ასაკი, სქესი, პროფესია, განათლება, სოციალური მდგომარეობა, წარმომავლობა) სხვა გარეენობრივ ფაქტორებთან ერთად ახდენს ზეგავლენას საუბრის ენობრივ თუ არაენობრივ მხარეზე.

### **2.3. ქართული დიალოგური მეტყველების სახეები**

დიალოგის ანუ საუბრის კლასიფიკაციის სირთულეს განაპირობებს მისი სახეების მრავალფეროვნება, რადგან თვით ცხოვრებისეული სიტუაციაა მრავალგვარი. დიალოგების ანალიზის გასაადგილებლად სასურველია არსებობდეს შედარებით სრულყოფილი

კლასიფიკაცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საუბრის შიდა- და გარეენობრივი ფაქტორები.

როგორც უკვე აღვხიშეთ, საუბრის სახესა და მისი წარმართვის წესებს ძირითადად განსაზღვრავს ექსტრალინგვისტური ფაქტორები, მაგრამ გასათვალისწინებელია შიდაენობრივი პარამეტრებიც.

**1. საკომუნიკაციო გარემო გულისხმობს დიალოგის წარმართვის სიტუაციას, ადგილსა და დროს:** სად, როდის და ვისთან მიმდინარეობს საუბარი.

**2. მოსაუბრეთა კრიტერიუმები მოიცავს სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ეთიკურ მხარეებს.**

კომუნიკანტთა **სოციალური** როლები ზეგავლენას ახდენს დიალოგის ფორმასა და ხასიათზე (მაგ., ცოლი/ქმარი, დედა/შვილი, მამა/შვილი, და-ძმა, ბებია/შვილიშვილი და სხვ.); ასევე მნიშვნელოვანია მოსაუბრეთა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური მახასიათებლებიც: **სქესი** (ქალი/კაცი, ვაჟი/გოგონა), **ასაკი**, ერთმანეთის **შეფასება** (საქმის მცოდნე – დილეტანტი, განათლებული – გაუნათლებელი, გავლენიანი – უუფლებო), **სოციალური მდგომარეობა** (მდიდარი/ლარიბი, დამქირავებელი/მუშა, მათხოვარი/მოქალაქე, სახლის პატრონი/მოსამსახურე) და მათ შორის **ურთიერთობა** (მეგობრული, ინტიმური – ნაცნობებსა და ახობლებში, ფორმალური, ცივი – უცნობებში).

**3. საუბრის ფორმაზე** ზეგავლენას ახდენს მისი წარმართვის საშუალებები (მაგ., კომუნიკაცია ტელეფონით, ტელევიზიით, კომპიუტერით განსხვავდება პირისპირ საუბრისაგან); **საჯაროობის** ხარისხი (უშუალოდ, უცხო პირთა დაუსწრებლად თუ ვიდეოკამერების წინ, ვიწრო საკონსულტაციო ოთახში თუ საკონფერენციო დარბაზში, კაბინეტში თუ ტელესტუდიაში); **საუბრის საზოგადოებრივი** ხასიათი (კერძო საუბარი ოჯახურ წრეში და საზოგადოებრივი – მასმედიაში).

ადრესატზე **ორიენტაცია** ანუ **სტრატეგია** გულისხმობს საუბრის ფორმას: აღწერითს, არგუმენტაციულს, დარწმუნებითს, დისკუსიურს, ექსპრესიულს. მნიშვნელოვანია **საუბრის მომზადების** ხარისხიც (სპონტანური ანუ მოუმზადებელი და მომზადებული, რიტუალური) და **სოციალური მიზანი** (დარგობრივი, სასწავლო, სათათბირო, გასართობი, სავაჭრო, სარეკლამო და სხვ.) (იხ. გიორგე/ჰეს-ლიუტიხი, 1998, 553-554).

მაშასადამე, დიალოგის შინაარსი და ფორმა დამოკიდებულია

თემაზე, კომუნიკანტებს შორის ურთიერთობებსა და სიტუაციაზე, რომელშიც წარიმართება საუბრის პროცესი. გამონათქვემში ასახულია მოსაუბრის დამოკიდებულება სათქმელის, ადრესატისა და საკომუნიკაციო გარემოს მიმართ.

საუბრები განსხვავდება თემატურადაც: დაწყებული ვიწრო საყოფაცხოვრებო თუ სამსახურთან დაკავშირებული საკითხებით და დამთავრებული ოფიციალურ-საქმიანი ან განყენებული მსჯელობებით.

არსებობს დიალოგების კლასიფიკაციის მრავალი ცდა, თუმცა ძნელია რომელიმე მივიჩნიოთ საუკეთესოდ და უნივერსალურად. მაგ., ზოგი მეცნიერი სამეტყველო სიტუაციების მიხედვით გამოყოფს შემდეგ ტიპებს: უცნობ პირთა სტანდარტული ქალაქური საუბრები; ნაცნობ პირთა საყოფაცხოვრებო საუბრები; ნაცნობ და უცნობ პირთა კომუნიკაცია სამსახურში, საუბრები სოციალურ-კულტურულ სფეროში (ქარხანა, ფაბრიკა, ოფისი, ფოსტა, მაღაზია, თეატრი, კინო და ა.შ.) (იხ. ლელ, 1990, 135).

საუბრის სახეთა საინტერესო კლასიფიკაცია მოგვცა ჰ. ბრინ-კმანმა, რომელმაც გამოყო შემდეგი სახეები: კონტაქტური საუბარი, გასართობი საუბარი, შეკითხვა ცნობის მისაღებად, დაკითხვა, მოლაპარაკება, საგამოცდო საუბრები, დისკუსიები და დებატები (ბრინკმანი, 1971). ჰ. ჰენემ და ჰ. რებოკმა (1982) შემოგვთავაზეს შემდეგი ჯგუფები: პიროვნული საუბრები, საზეიმო საუბრები, საუბრები ლუდის სუფრასთან, დახლთან ე.ნ. Thekengespräche, საუბრები ყიდვა-გაყიდვის დროს, მედიებში, სასწავლო პროცესში, საკონსულტაციო საუბრები, დაწესებულებების ანუ ინსტიტუციური, სასამართლო პროცესის საუბრები და სხვ. ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი (1994) ასახელებნ საუბრის შემდეგ სახეებს: 1. ტელედისკუსიები, რადიოინტერვიუები; 2. ჩვეულებრივი ინტიმური საუბრები სუფრასთან; 3. პირისპირ საუბარი; 4. საკონსულტაციო საუბრები; 5. ე.ნ. Brainstorming (რუს. „мозговой штурм“) – აბდაუბდა საუბრები დაუკავშირებელი რეპლიკებით; 6. საუბრები მრგვალ მაგიდასთან (სხდომა, შეკრება).

ჩამოთვლილი სახეების კრიტერიუმები სრულიად განსხვავებულია. მაგ., ზოგან ძირითადია მონაწილეთა რაოდენობა და საუბრის პირადული ხასიათი (3), ზოგან – მოსაუბრეთა თანასწორობა (6), საუბრის წინასწარ განსაზღვრული მიზანდასახულება (4), მასმედიაში ჩართვა (1), თავისუფალი დრო ან გართობა (2) და სხვ.

პრაქტიკულად მართლაც უფრო მოხერხებული ჩანს დიალო-

გების განხილვა დაწესებულებების მიხედვით, რაც მოცემულია გი-ოცე/ჰეს-ლიუტის ნაშრომში (1998, 534).

ეს ინსტიტუციებია: 1. სოციალიზაციისა და აღმზრდელობითი დაწესებულებები; 2. ტოტალური დაწესებულებები; 3. საჯარო ინსტიტუციები (პოლიტიკური, მთართველობის, დიპლომატიური, მასმედის, რელიგიური და სხვ. დაწესებულებები); 4. იუსტიციისა და სამართლის დაწესებულებები (სასამართლო, პროკურატურა, ინტერპოლი); 5. პოლიტიკური და ხელისუფლების ორგანოები (პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, საკურებულო, სამხედრო ორგანიზაცია); 6. მასმედია; 7. კულტურულ-გასართობი ადგილები; 8. ჯანდაცვის დაწესებულებები; 9. რელიგიური; 10. მომსახურების სფერო და კომუნიკაციები... ამ დაწესებულებათა რაოდენობის განსაზღვრა და იერარქიული დამოკიდებულება სოციოლოგიის სფეროა და არა – ლინგვისტიკისა, თუმცა დიალოგები განსხვავებულია ამის მიხედვით.

ამ ინსტიტუციათა რაოდენობით ძნელია თქმა, რამდენად ვლინდება ამ კალასიფიკაციაში საუბრის მონაწილეთა ინდივიდუალური და ეროვნულ-კულტურული თვისებები. დიალოგების ზოგადი მახასიათებლები კი იმდენად მსგავსია სხვადასხვაენოვან გარემოში, რომ თითქმის არ ჩანს სპეციფიკური და განსხვავებული ნიშანი.

ჩვენ ვცადეთ წარმოგვედგინა ქართული დაალოგური მეტყველების ჩვენებული დაჯგუფება, რომელშიც მთავარ მადიფერენცირებელ ფაქტორად ჩავთვალეთ საუბრის წარმართვის ხასიათი ანუ სივრცულ-დროითი დისტანცია მოსაუბრეთა შორის: I. **უშუალო** (პირისპირი) და II. **გაშუალებული** (თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებითა და მასმედიებით) (იხ. სქემა № 5).


I. **უშუალო** საუბრები განსხვავდება კომუნიკანტთა შორის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისტანციის მიხედვით (ნაცნობობა ან საქმიანობა):

სიმეტრიული საუბრები (ნაცნობებსა და ნათესავებს შორის: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და კოლეგებთან). აქ ცალკე სახე-ობად გამოვყავით საუბრები სუფრასთან.

**ასიმეტრიულად** ვთვლით ყოველდღიურ ყოფით საუბრებს: უცნობებს შორის და იერარქიული ურთიერთობის დროს ნაცნობებში:

a. **არაოფიციალური** სიტუაცია: ყოფითი საუბრები უცნობებს შორის (მომსახურების სფეროში, ტრანსპორტში, მაღაზიებსა და ბაზარში) და დიალოგები კულტურულ-გასართობ სფეროში;

## სქემა № 5. დიალოგური მეტყველების სახეები



ბ. დიალოგები ოფიციალურ-საქმიან სიტუაციაში: სამეცნიერო საქმიანობაში, სასწავლო პროცესში, ეკლესიაში, ოფისებსა და სხვა დაწესებულებებში, პოლიტიკურ ორგანოებსა და ეკონომიკის სფეროში, სამკურნალო დაწესებულებებში (ექიმისა და პაციენტის საუბარი, კონსულტაციები), სამართალდამცავ ორგანოებში (სასამართლო, პროკურატურა).

ყველა ამ დაწესებულებაში საუბრები მომზადების ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს ბუნებრივი, ინსცენირებული (მომზადე-

ბული ან რიტუალური), ფიქტიური; განსხვავებული იქნება საუბრების საჯაროობის ხარისხიც.

II. გაშუალებული დიალოგები: 1. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით (სატელეფონო საუბრები და კომპიუტერით); 2. აუდიო- და აუდიოვიზუალური საშუალებებით (რადიო, ტელევიზია).

რადიო- და ტელეგადაცემათა უანრებიდან აღსანიშნავია: ინტერვიუ, გასართობი შოუპროგრამები პირდაპირი საუბარი მსმენელთან ან მაყურებელთან, დებატები აქტუალურ თემებზე, დისკუსიები, კონსულტაციები სპეციალისტებთან, რეპორტაჟები და ა. შ. მაგრამ მათი დაყოფა მაინც შეიძლება სამ სახედ: სერიოზულ, გასართობ და სარეკლამო გადაცემებად.

როგორც ვხედავთ, დიალოგური მეტყველება გვხვდება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში და მისი ხასიათი თუ ფორმა განპირობებულია სიტუაციით. საბოლოოდ კი საუბრის საკომუნიკაციო რეგისტრში აისახება ყველა ექსტრალინგვისტური ფაქტორი და შეირჩევა შესაბამისი ენობრივ-არაენობრივი მხასიათებლები.

დიალოგური მეტყველების მოცემული კლასიფიკაცია გამოყენების სფეროს მიხედვით, ვფიქრობთ, გამოისადეგი იქნება საუბრის ცალკეული სახის შემდგომი კვლევისათვის.


## 2.4. დიალოგური მეტყველების ექსტრალინგვისტური მახასიათებლები

წერითი და ზეპირი მეტყველება, როგორც აღინიშნა, ამჟღავნებს ბევრ საერთო და განმასხვავებელ ნიშანს. ზეპირმეტყველება მდიდარია ექსპრესიული საშუალებებით (პარა- და არავერბალურით), რომელთა არარსებობა წერით მეტყველებაში მხოლოდ ნაწილობრივ ივსება (მაგ., მხატვრულ ტექსტებში, პიესებში).

ვერბალური კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია პარავერბალური (პარალინგვიზმები ანუ მეტყველების ფონაციური მხარე) და არავერბალური საშუალებები – გამომსახველობითი მოტორიკა (საკომუნიკაციო მნიშვნელობის მქონე ჟესტი და მიმიკა ანუ კინემა, მხედველობითი კონტაქტი) (იხ. სქემა № 6).

ენათმეცნიერება ადრე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მეტყველების თანმხელებ (პარავერბალურ და არავერბალურ) საშუალებებს (თუ არ ჩავთვლით ანტიკურ რიტორიკას, რომელიც სპეციალურად სწავლობდა მათს როლს მჭევრმეტყველების ხელოვნებისათვის).

**სქემა № 6. დიალოგის ექსტრალინგვისტური  
(არავერბალური) მახასიათებლები**



ფონაციასა და კინესიკას უწოდებენ მეტყველების თანმხლებ საშუალებებს, მაგრამ სინამდვილეში ფონაციის გარეშე არ არსებობს თვით დიალოგური მეტყველება, რადგან ესაა მისი რეალობა.

როგორც ვიცით, ენობრივი ერთეულები პოლისემანტიკურია და მათი ზუსტი აღმა საჭიროებს დამატებით საშუალებებს (მათ შორის – პარავერბალურსაც). მაგ., შორისდებულები და ნაწილაკები: ეპ, ოპ, აპ, აპა, ვაპ, პმ, ოპო, ყოჩალ, ბიჭოს, აფერუმ, ჰო, დიახ და სხვ. სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული ფუნქციის მქონეა (შდრ. ვამპოფი/ვენცელი, 1979).

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში ჩვენ გამოვყოფთ პარავერ-ბალურ და არავერბალურ მახასიათებელთა სამ ძირითად ფუნქციას:  
**I. დიალოგის ორგანიზაციული მხარის მონესრივება: II. შინაარსობრივი მხარის შევსება-დაკონკრეტება: III. რეპლიკათა ინტერპრეტაცია-შეფასება და მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარება.**

თავის მხრივ, თითოეულ ამ ფუნქციაში შედის რამდენიმე ქვე-პუნქტი:

## I. დიალოგის ორგანიზაციული მოწესრიგება:

1. დიალოგის ფაზებზე გადასვლის აღნიშვნა (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული);
2. მინიშნება ჯერის (რიგის) მიღებასა და გადაცემაზე, ე. ი. ჯე-რის მიღების მომზადება.
3. ჯერობის ანუ რიგითობის (რეპლიკათა თანამიმდევრული მონაცვლეობის) ორგანიზება.

## II. შინაარსობრივი შევსება-დაკონკრეტება:

1. ნათქვამის საკომუნიკაციო ძალის გაძლიერება (მაგ., სიტყვის გადაცემის დროს მივმართავთ მომდევნო კომუნიკანტს, მისკენ გადავიხრებით, ვანიშნებთ მზერით ან ხელით);
2. მოუბარი პირის პოლისემანტიკური რეპლიკებისა და სიგნალების თანხლება, შევსება, დაზუსტება;
3. გამონათქვამისთვის საპირისპირო მნიშვნელობის მინიჭება (ირონიული ან ირიბი თქმის დროს). მაგ., დამცინავი გამომეტყველება, ჩაცინება, ხელების გაშლა, მხრების აჩერვა, ხელის ჩაქნევა, თვალების მოწყურვა, თვალის ჩაკვრა და ა. შ.
4. მსმენელის სიგნალების დაზუსტება (სინონიმურობის შემთხვევაში) ან ჩანაცვლება. მაგ., მოუბრის რეპლიკის დროს თანხმობის ნიმნად თავის დაქნევა იგივეა, რაც: დიახ, დიახ! ჰო! კი! სწორედ ასეა! რა თქმა უნდა! აბა რა! და სხვ.

## III. რეპლიკათა ინტერპრეტაცია-შეფასება და მოსაუბრეს-თან კონტაქტის დამყარება:

1. მოუბარი პირის დამოკიდებულების ასახვა ადრესატისადმი;
3. მსმენელის თანაგრძნობის სიგნალების დაზუსტება ან ჩაცვლება;
4. მსმენელის დამოკიდებულების გამოხატვა მოუბარი პირი-სადმი და ნათქვამის ინტერპრეტაცია-შეფასება.

ეს ფუნქციები საერთოა საუბრის თანმხლები პარავერბალური და არავერბალური საშუალებებისთვის.

### 2.4.1. პარავერბალური საშუალებები

მეტყველების სუბერსეგმენტურ მახასიათებელთა ერთობლიობას წარმოადგენს **პროსოდია:** ინტონაცია, რომელიც მოიცავს მელოდიკას, ტონს, საუბრის გარკვეულ ტემპს, პაუზებს, მახვილებს, ხმის სიმაღლეს ანუ ინტენსივობას, ტემპს, ლოგიკურ და ფონეტიკურ მახვილებს, პაუზებს.

გამოყოფენ პარალინგვისტური თანხლების შემდეგ ფუნქცი-

ებს: რიტმულს (ავტოდირიჟირება), რეფერენტულს (დეიქტური უესტები), სემანტიკურს (მნიშვნელობის დამაზუსტებელი), ემოციურ-შემფასებლურს (იხ. ლელ, 1990; თ. ომიაძე, 1998).

1. კომუნიკანტთა ემოციების, სათქმელის მოდალობის გამოხატვას ემსახურება **მელოდიკა**, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქარაგმულად, ხუმრობით, ირონით ლაპარაკის დროსაც. ის განასხვავებს ერთმანეთისაგან სამეტყველო აქტის სახეებს, გამოყოფს მოუბარი პირისთვის არსებით ადგილებს რეპლიკაში, ააშკარავებს ან ნილბავს ილოკუციას; ასევე აცალკევებს დიალოგის სუპერსეგ-მენტებს, უთითებს ჯერის გადაცემაზე, ასრულებს ინიციატორის (დამწყების) ან ტერმინატორის (დამასრულებლის) ფუნქციას.

მაშასადამე, მელოდიკა ავსებს რეპლიკების ინფორმაციულობას, ხაზს უსვამს კომუნიკანტთა სოციალურ მახასიათებლებს (ასაკი, სქესი, განათლება, თავაზიანობისა და კულტურის დონე) და მათს ურთიერთდამოკიდებულებას, ხელს უწყობს ექსპრესის გამოხატვას.

2. დიალოგური მეტყველების **ტემპი** დამოკიდებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე (საუბრის თემა, სიტუაცია, კომუნიკანტთა ასაკი, ემოციური მდგომარეობა, ურთიერთდამოკიდებულება, მოუბარი პირის ინდივიდუალური სამეტყველო თავისებურებანი, დიალოგის სახეობა, მისი მომზადებულობის ხარისხი და სხვ.). მეტყველების ტემპი შეიძლება იყოს: ნორმალური, ჩქარი და ნელი (შუალედური სახეებია: აჩქარებული და შენელებული) როგორც მთლიან, ისე ცალკეულ ენობრივ სეგმენტში.

3. **პაუზა** რეპლიკის შემადგენელი ნაწილია და გულისხმობს საუბრის ხანმოკლე ან შედარებით ხანგრძლივ შეწყვეტას (უნებლიერ ან განზრახ, მსმენელის, მოუბარი პირის ან წამყვანის მიერ). ზოგჯერ მოუბარი ჩერდება მოსაფიქრებლად (ამას უწოდებენ **ეზიტაციურ** ანუ **შეყოვნების** პაუზებს), შესაფერისი სიტყვა-გამოთქმის შესარჩევად ან ჯერის გადასაცემად ადრესატისათვის.

მოფიქრების პროცესში მოუბარი პირი იმეორებს ნათქვამს ან იყენებს შემავსებელ ხმოვნებს (ეე..., აა...), თანხმოვნებს (მმ..., ჰმ...) ან ე. წ. სიტყვა-პარაზიტებს (ისა, მაშდამე, ჰომ, ესე იგი...).

4. ხმის **სიმაღლე** (დინამიკა, ინტენსივობა) არის მეტყველების დროს ხმის ანევ-დანევა, ხმამაღლი, ხმადაბალი ან საშუალო (ჩვეულებრივი) სიმაღლის ხმით ლაპარაკი. აქაც ბევრი მომენტია გადამწყვეტი: საკომუნიკაციო, სიტუაციური, ინდივიდუალურ-ემოციური, სოციალური და სხვ.

ხმის სიმაღლე შეიძლება განაპირობოს ეროვნულ-კულტურულ სოციუმში მიღებულმა ეტიკეტის ნორმებმა, კომუნიკანტთა სქესმა, ასაკმა, სოციალურმა მდგომარეობამ. მაგ., უძცროსი ასაკის მოსაუბრები უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, სამსახურებრივი მდგომარეობით მაღლა მდგომი (უფროსი, შეფი, ბოსი, ფირმის პრეზიდენტი) თავს უფლებას აძლევს, ხელქვეითებს ელაპარაკოს ანეული ხმით, ზოგჯერ ყვირილითაც კი.

5. მეტყველებაში ხმას აქვს მრავალგვარი ელფერი, რომლითაც გამოიხატება ემოცია, სათქმელის ან ადრესატის შეფასება. ხმის ასეთ მოდულაციას ეწოდება **ტონი** (ტემპრი), რომელიც, მოსაუბრის ინდივიდუალური თვისებების მიუხედავად, სხვადასხვა დროს იცვლება (შეგვიძლია გავიხსენოთ დიდი რეჟისორების დამოკიდებულება დიქტიასთან, ხმის მოდულაციასთან სათქმელის ილოკუციური ძალის სრულყოფილად გამოსახატავად).

დიალოგის თითოეულ ფრაზას ავსებს პარავერბალური საშუალებები, რომელთა მნიშვნელობას ადასტურებს შემდეგი კომენტარებიც. ვინმეზე იტყვიან: რა მენტორული ტონით გველაპარაკება! ბაზრის დედაკაცივით ლაქლაქებს! და სხვ.

ზოგიერთ არავერბალურ ხერხს შუალედური მდგომარეობა უკავია პარა- და არავერბალურ საშუალებებს შორის, მაგ.: სიცილს (ჩაცინებას), ჩახველებას. მათი აღქმა აკუსტიკურია და ზოგჯერ საუბარში საკომუნიკაციო ფუნქციასაც ასრულებენ (მაგ., რეაქცია რეპლიკაზე, დაცინვა, გაფრთხილება, ნათქვამის იმპლიკატურაზე მითითება და სხვ.). ცხადია, არ ვგულისხმობთ ხველებას, როგორც ფიზიოლოგიურ მოვლენას, მაგრამ ჩაცინება, ჩახითხითება, ქირქილი, გადახარხარება სამეტყველო აქტის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას უკავშირდება და მის შემადგენელ ნაწილად იქცევა. მთქნარებაც კი სიგნალია და ზოგჯერ მსმენელის დაუინტერესებლობაზე მიანიშნებს.

დიალოგური მეტყველების სუპერსეგმენტური ფონაციური საშუალებების (პარალინგვიზმების) ერთობლიობა ზეპირ დისკურსს ანიჭებს ინდივიდუალობას, განუმეორებლობას, ემოციურობას, დინამიკურობასა და მოქნილობას (პლასტიკურობას). სახესხვაობებზე ზეგავლენას ახდენს კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლები, წარმომავლობა, ინდივიდუალური საარტიკულაციო თვისებები (იდიოლოგიტი). ამ თვალსაზრისით განსხვავდება ურბანული ტიპის დიალოგი არაურბანულისაგან (თვით თბილისის სხვადასხვა უბნის მაცხოვრებელთა საუბარიც კი), დიდი მნიშვნელობა აქვს სოცია-

**ლურ წარმომავლობასა და განათლების დონესაც.**

ჩამოთვლილი პარალინგვისტური საშუალებები უნივერსალურია, ახასიათებს ყველა ენის ზეპირმეტყველებას, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა მათი საკომუნიკაციო ფუნქციები საუბარში. ეს ეხება პარალინგვიზმების (პარავერბალური ქცევის) მარკირებულ სახეობებს, მაგ., განზრახ აჩქარებული ან შენელებული ტემპი, ძალზე ხმა-მაღლა ან ჩუმად ლაპარაკი, ხშირი პაუზები ან უპაუზო საუბარი, ასევე ლიმილი, ჩაცინება, ჩახველება, მთქნარებაც კი.

ქართული დიალოგური მეტყველების პარალინგვისტურ მხარეში სპეციფიკა თავს იჩენს საუბრის ტიპებისა და კომუნიკანტების სოციალური პარამეტრების მიხედვით, ანუ გადამწყვეტია ექსტრა-ლინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობა.

გამოვყოფთ ქართული საუბრების დამახასიათებელ ზოგიერთ პარალინგვისტურ თვისებას:

1. შედარებით აჩქარებულია ყოველდღიური სიმეტრიული დიალოგების ტემპი (თუ არ ჩავთვლით მოსაუბრეთა ინდივიდუალურ განსხვავებას, მაგალითად, წარმომავლობას: რაჭველი, ქართლელი ან კახელი უფრო ნელა ლაპარაკობს, ვიდრე გურული ან იმერელი).

2. პაუზები ყოფით საუბრებში მოკლეა, ოფიციალურ ასიმეტრიულ დიალოგებში კი ჭარბობს შეყოვნების (ეზიტაციური) პაუზები. ხშირია შემაგსებელი ბევრებისა (მმ..., ეე..., აა...) და სიტყვა-პარაზიტების გამეორება (მაშდამე, ესე იგი, რა მინდოდა მეთქვა, ჰოდა, ისა...) ოფიციალურ დიალოგებშიც კი. სამწუხაროდ, მეტყველების დაბალი კულტურის გამო ბევრი ადამიანი ლაპარაკობს ბორძიკით, უშვებს გრამატიკულ-სტილისტური ხასიათის შეცდომებს, იმეორებს ან ამარტივებს სიტყვებს (ხმოვნის, თანხმოვნის ან მარცვლის დაკარგვა: მარა, რო, კაი, ძან, მაგრა, რატო, იმიტო, რა ვი...).

3. თანამოსაუბრები შედარებით ხმამაღლა ლაპარაკობენ როგორც სიმეტრიულ, ისე ასიმეტრიულ დიალოგებში, მაგ., ქუჩაში, ტრანსპორტში, ოჯახში, დაწესებულებებში და ცდილობენ სხვისი ხმის გადაფარვას.

4. დიალოგური მეტყველების ემოციურობის გამო ხმის მოდულაცია მრავალფეროვანია, თუმცა ტელეგადაცემებში ზოგჯერ ადამიანები, ტელეწამყვანებისა და მსახიობების გარდა, არაბუნებრივი ინტონაციით და მონოტონურად საუბრობენ.

5. ამ ბოლო დროს შეიმჩნევა უცხოური ენების ინტონაციური მოდელის მიბაძვის სურვილი ქართულ დიალოგებში, რაც შეიძლება აიხსნას მასმედიის ზეგავლენითაც (კითხვითი წინადადების ბოლოს

დასმული მახვილი; წაგრძელებული ხმოვნები თხოვნის ხაზგასასმელად; აღმავალი ინტონაცია შერწყმული ან თანწყობილი თხრობითი წინადადებების ბოლოს დაღმავალის ნაცვლად და სხვ.).

6. გახშირდა ლოგიკური მახვილების არასწორი დასმა, არაარსებითი სიტყვების ინტონაციური გამოყოფა.

ესაა პარალინგვიზმების ზოგადი ნიშნები ქართულ საუბრებში.

#### 2.4.2. არავერბალური საშუალებები

**კინესიკა** ანუ საკომუნიკაციო მნიშვნელობის მქონე მოძრაობები არის დიალოგური მეტყველების არავერბალური საშუალებები: უესტი, მიმიკა, პოზა, სხეულის მოძრაობა, მხედველობითი კონტაქტი, ტაქტილური არხი და სხვ. მათი აღქმა ხდება ვიზუალურად, განსხვავებით უნებლივ მოძრაობებისაგან. კინესიკა ძირითადად გაცნობიერებულია, დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე, თუმცა ზოგჯერ ავტომატურია, ხანაც – რიტუალური, ტრადიციული ხასიათისა. მაგ., მსმენელი უმეტესად თვალმოუმორებლად უყურებს მოუბარს; როცა თვალს არიდებს, თავს დახხრის ან გვერდზე გაიხედავს, ამით ამჟღავნებს დაუინტერესებლობას, უგულისყურობას. **ლექციის** წაკითხვის დროსაც კი, როცა თითქოს აუცილებელი არცა მსმენელის სიგნალები, შეუძლებელია არავერბალური საშუალებების უგულებელყოფა. აუდიტორიაში მსმენელი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს მომხსენებელს, უყურებს თვალებში, აყოლებს მზერას მოძრაობისას. არ შეიძლება მთქნარება, გადაჩურჩულება, სხვა საქმის კეთება. სხვაობა ენობრივ კოლექტივებში მუდავნდება არავერბალურ ქცევებში: გერმანიაში ლექციის შემდეგ მსმენელები მაგიდაზე აკაკუნებენ მონონების ნიშნად, რაც ჩვენთან უცხო და უჩვეულოა, შეიძლება ლექტორმა შეურაცხყოფადაც კი ჩაითვალოს.

ტაშის დაკვრა ყოველთვის არაა მონიტორი, გამომსვლელის შუა სიტყვაში აპლოდისმენტები უკვე მოწონებას აღარ ნიშნავს: ორატორმა უნდა შეწყვიტოს სიტყვა, რადგანაც აუდიტორია ამას ითხოვს, ორატორის ნათქვამი მიუღებელი ან მოსაწყენია და ა.შ.

ჩვენ დიალოგურ მეტყველებაში გამოვყავით არავერბალური საშუალებების ძირითადი ფუნქციები (იხ. წინა ქვეთავი).

კინესიკური საშუალებები ხელს უწყობს დიალოგის მონაწილეთა თანამშრომლობას – კოოპერაციას, რეპლიკების სწორი თანამიმდევრობისა და თავაზიანობის წესების (სამეტყველო ეტიკეტის)

დაცვას. კომუნიკანტთა საუბრის ბუნებრივი მიმდინარეობა შეუძლებელია მათ გარეშე.

მხატვრულ ნაწარმოებებში პარა- და არავერბალურ საშუალებათა აღნიშვნას ემსახურება ავტორისეული ტექსტი ან რემარკა, რომელშიც ხშირად დაწვრილებითაა აღნერილი პერსონაჟთა მეტყველების ფონაციურ-კინესიკური მხარე. ადამიანის დახასიათებისას ხშირად ვიშველიებთ არავერბალურ ქცევას: ნარკომანივით იხედება! დირექტორივით შემოგვხედა! ძლივს მოგვესალმა, მინისტრივით იჯგიმება და ცხვირს მაღლა სწევს! რა დიდკაცურად ჩაგვიარა, არც კი გაგვილიმა, თითქოს ჩვენი შეფი იყოს! და ა. შ.

მოსაუბრეთა ეროვნული ხასიათი შეიძლება გარკვეულწილად აისახოს უესტსა და მიმიკაშიც. ზოგიერთი უესტი თითქმის ყველა ხალხში ერთნაირად აღიქმება, მაგრამ არის სხვაობებიც. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთისგან გამოირჩევიან ტემპერამენტით, რაც ვლინდება უესტიკულაციაში. ქართველებს, სამხრეთელების (ესპანელების, იტალიელების) მსგავსად, ახასიათებთ აქტიური უესტიკულაცია, მოსაუბრეთა ახლო დისტანცია.

**1. უესტი გულისხმობს ხელების მოძრაობასა და პოზიციას. მაშინვე თვალში საცემი ხდება არაბუნებრიობა, რადგან თითოეული უესტი უმუალოდ უკავშირდება კომუნიკაციის პროცესს და ასახავს მოსაუბრეთა სულიერ მდგომარეობას, ზოგჯერ უნებურად გასცემს კიდეც დამალულ განზრახვას, გრძნობას, დამოკიდებულებას თანამოსაუბრისადმი. უესტებში აისახება ადამიანის სოციალური მდგომარეობა, წარმომავლობა, კულტურის დონე, სამეტყველო სიტუაცია. რაც უფრო მაღალია ადამიანის კულტურისა და განათლების დონე, მით უფრო დახვეწილია უესტიკულაცია.**

უესტების მრავალფეროვნება და ინტენსიურობა განპირობებულია ეროვნული კულტურით, ცალკეული ადამიანის ტემპერამენტითა და განათლების დონითაც კი. საუბრის დროს ხელების ზედმეტი მოძრაობა ახასიათებს დაბალი კულტურის, გაუნათლებელ, უტაქტო ადამიანს. მაგალითად, ხელში რამე საგნის თამაში (ბურთულის, საკუთარი ბეჭდის, საყურის, ჭიკარტის, ფანქრის, ჰალსტუხის, თმის კულულის), სხვის ტანსაცმელზე (პიჯაპზე, ყელსახვევზე, სახელოზე) ხელის წავლება, ცხვირზე თითის სმა, ყურის ბიბილოს წვალება და სხვა უნებლივ უესტი ოფიციალურ დიალოგებში მიუღებელია. ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პროვინციელები და ქალაქელები (უესტების დახვეწილობით თვალში საცემია ინტელიგენტუ-

რი წრის წარმომადგენელი). არსებობს ე. ნ. მანქრული მოძრაობები, მოდური ჟესტები, ზოგჯერ გამომწვევიც (შუათითის ჩვენება შეგინების ნაცვლად) და სხვ.

**2. მიმიკა** არის სახის გამომეტყველება, მისი კუნთების მოძრაობა (პირის, ცხვირის, შუბლის, წარბების მიდამოში). ადამიანის სახის სხვადასხვა ნაწილის მოძრაობა ავსებს და ამდიდრებს დიალოგს, მატებს ნათქვამს ემოციასა და ექსპრესიულობას.

გუნება-განწყობილება, ინტერესი სათქმელისადმი, დამოკიდებულება თანამოსაუბრისადმი, კულტურის დონე შეიძლება გამომჟღავნდეს მიმიკითაც. ადამიანის სახეზე ამოვიკითხავთ, რამდენად გულწრფელია ის საუბრის მომენტში, რადგან სიყალბე მაშინვე აისახება გამომეტყველებაში. ასევე მუდავნდება სხვა ემოციები (სიხარული, ალტაცება, ალფრთოვანება, იმედგაცრუება, შიში, სინანული, თანაგრძობა, გულგრილობა და ა. შ.).

სანდახან მიმიკის შეცვლა გამიზნულად შეიძლება, რასაც ყველა ადამიანი ვერ ახერხებს. მაგ., მოაჩვენებს თავს ვინმეს, რომ დიდად დაინტერესებულია და გულისყრით უსმენს, თითქოს თანაუგრძნობს გასაჭირში თანამოსაუბრეს, ნუს ანდა უხარია მისი წარმატება...

საუბარში დიდი ძალა აქვს ღიმილს და შეუძლია შეასრულოს „ზღუდის“ ფუნქცია: შეასუსტოს ნათქვამის სიმკაცრე და კატეგორიულობა, საყვედურის სიმძიმე, განაწყოს თანამოსაუბრე მეცნიერებულად, დაადასტუროს გულისხმიერება, მაგრამ ღიმილი შეიძლება იყოს ირონიული, დამცინავი, სარკასტული, დამამცირებელი და ა. შ.

**3. დიალოგური** მეტყველებისათვის მნიშვნელოვანია **მხედველობითი კონტაქტი**, თუმცა ის ყველაზე ნაკლებადაა გაცნობიერებული და ძნელად ემორჩილება კონტროლს. მისი მეშვეობით შეიძლება საუბრის ორგანიზაციული მოწესრიგება, მოუბართა ანუ რეპლიკათა ცვლის (ჯერობის ანუ რიგითობის) წარმართვა (მაგ., ანიშნოს მსმენელს ჯერის მიღების აუცილებლობა), გუნება-განწყობილების, ადამიანთა მიმართ დამოკიდებულების გამოხატვა, დიალოგში მსმენელის ყურადღების დამადასტურებელი ვერბალური სიგნალების ჩანაცვლება ან შევსება, მისთვის ადეკვატური ან საპირისპირო ფონის შექმნა, კომუნიკაცითა შორის კონტაქტის დამყარება-განმტკიცებისთვის ხელის შეწყობა.

მხედველობის მოშველიებით ბევრი რამის გამოხატვა შეიძლე-

ბა: კეთილგანწყობის, მადლიერების, თანხმობის, სიყვარულის, მოკრძალების, პატივისცემის, გულისხმიერების, უნდობლობის, შიშის, დაციხების, იმედგაცრუების, ზიზღის, სიძულვილის და ა. შ. ეს დიალოგს ავსებს და ამდიდრებს, კომუნიკაციურად რელევანტური მნიშვნელობა აქვს მზერის ხანგრძლივობასა და ინტენსიურობას.

კინგისიკური საშუალებების გამოყენებას განაპირობებს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობა. ასიმეტრიულ საუბრებში ასაკით უმცროსი ან ხელქვეითი ვერ შეხედავს უფროსს უტეხად, თვალმოუმორებლად, თუ ეს არაა გაკვეთილი, ლექცია. მოკრძალებისა და მორიდების ნიშნად ქალი ზოგჯერ თავს ხრის და მზერას არიდებს მამაკაცს, თუმცა სხვა სიტუაციაში გვერდზე გახედვა უყურადღებობის, უზრდელობის სიგნალია ან არაგულწრფელობას, სიცრუეს ამჟღავნებს (ზოგჯერ – გაუბედაობას). ადამიანისთვის თვალებში ჩახედვა გულწრფელობის, ერთგულების დასტურია და ამ დროს მოტყუება ძნელია.

მხედველობითი კონტაქტი პოლიფუნქციურია, მისი სწორი ინტერპრეტაცია, რამდენად ჰარმონიულადაა შერწყმული საუბრის შინაარსთან, საპირისპიროა თუ არა, მოთხოვს ადამიანური ურთიერთობების ღრმა ცოდნას.

**4. პოზის უწოდებენ** სხეულის (თავის, ტანის, კიდურების) მდგომარეობას, რომელშიც მქდაცნდება ადამიანის ემოციური განწყობილება (დაძაბულობა, აგზებულობა, აღწევის გარე, ნერვიულობა, მლელვარება, უხერხულობა, დაღლა, ყურადღება, სიხარული, აღტაცება და ა. შ.), დამოკიდებულება კომუნიკანტისადმი, დაინტერესება საუბრით.

ქცევის წესები განსაზღვრავს, რომელ სიტუაციაში რა არავერბალური ქცევაა მისაღები. რაც დასაშვებია მხოლოდ ახლობლების წრეში, ასიმეტრიულ კომუნიკაციაში (არაოფიციალურ სიტუაციაში) მიუღებელია.

რამდენადაა კომუნიკანტი ჩართული საუბარში, ვლინდება პოზითაც. თუ ის სხვა რამეზე ფიქრობს, განზე დგას, არაა გადახრილი მოსაუბრისკენ, არ უყურებს პირდაპირ, თავიც დახრილი ან გვერდზე განეული აქვს. ასეთი პოზა ხელს უშლის კომუნიკაციის წარმატებულობას.

**5. პროქსემიკა** არის კომუნიკანტთა სივრცული განლაგება, მანძილი მათ შორის ანუ დისტანცია. კომუნიკაცია მიმდინარეობს

რომელიმე სივრცეში. მასში გამოყოფენ ოთხ ზონას: ინტიმურს, პირადულს, სოციალურსა და საჯაროს (ანუ საზოგადოებრივს) (იხ. თ. ომიაქე, 1998).

დისტანცია მოსაუბრეთა შორის ყველაზე ახლოა ინტიმურ ზონაში და ასახავს დიდ ნდობას, ახლობლობას, მეგობრულ დამოკიდებულებას. ასეთი დისტანცია საუბარში მხოლოდ ახლობლებთან შეიძლება. მნიშვნელობა აქვს კომუნიკანტთა სოციალურ როლსა და სტატუსს. საქართველოში ახალგაზრდულ წევში ამ მხრივ უფრო თავისუფლად იქცევიან და ჩვეულებრივია ახლო დისტანცია, ხელისხელგადახვეული ყოფნა. ასეთ ქცევას ასაკით უფროსებში იშვიათად ვხვდებით.

დისტანციის თვალსაზრისით სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში წესები განსხვავებულია. მაგ., იაპონელები ერთმანეთისაგან შორიშორს დგებიან, რათა მისალმებისას თავი კარგად დახარონ და მოწინება გამოამჟღავნონ. ინგლისელები, გერმანელები, სკანდინავიელები გაურბიან ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგომას. ქართველები იტალიელებისა და ესპანელების მსგავსად ამჯობინებენ ახლო დისტანციას პარტნიორთან, თუმცა აქაც ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი.

6. შეიძლება ბოლოს დავასახელოთ ტაქტილური არხის სახეობები: კოცნა, ამბორი ლოყაზე ან ხელზე, გადახვევა, მოხვევა, ხელის გადასმა, მხარზე ხელის დარტყმა ან მოთათუნება, ხელის ჩამორთმევა, მოფერება და სხვ. ცხადია, ეს არის ადამიანის ქცევა საერთოდ და არა – სამეტყველო ქცევა, მაგრამ საუბარში ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას: თან ახლავს რეპლიკებს, ავსებს, ჰარმონიულ ან საპირისპირ ფონს უქმნის მას, ხელს უწყობს ან უშლის კონტაქტის დამყარებასა და განმტკიცებას, მოსაუბრეთა „სახის“ შენარჩუნებას.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, არავერბალური ქცევა დიალოგური მეტყველების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და არ შეიძლება მისი უგულებელყოფა საუბრის ანალიზში. მართალია, ზოგჯერ ძნელია ზღვარის გავლება ჩვეულებრივ მოძრაობასა და კინესიკას შორის, რაც იწვევს გაუგებრობას, მაგრამ დიალოგური მეტყველების თანმხლები კინესიკური (არავერბალური) საშუალებები უმეტესად გასაგებია და ხელს უწყობს ან უშლის საუბრის ნარმატებულად წარმართვას.

ეს საშუალებები მარკირებულია ოფიციალურობის ხარისხის

მიხედვით, ე. ი. ზოგიერთი შეიძლება გამოვიყენოთ ოფიციალურ-საქმიან საკომუნიკაციო რეგისტრში, ზოგი — არაოფიციალურში, ზოგი კი — ყველა სიტუაციაში (გულითადად ხელის ჩამორთმევა, ფეხზე წამოდგომა და თავის დაკვრა...). მაგალითად, მხარზე ხელის დაკვრა, თვალის ჩაკვრა, გადახვევა და კოცნა შუა საუბარში მისა-ლებია მხოლოდ არაოფიციალურ სიტუაციაში.

საუბრის სპონტანურობა, სამწუხაროდ, აძნელებს არავერბა-ლური ქცევის ღრმა ანალიზს, რადგან მათი დაფიქსირება მხოლოდ ვიდეოაპარატურით შეიძლება, აუდიოჩანანერები ამ თვალსაზრი-სით შედარებით მნირია, რადგან არავერბალურ საშუალებებს ვერ აფიქსირებს. ჩანანერებში მაინც ბევრი რამ იკარგება, მაგრამ ამ ბო-ლო დროს საუბრის ანალიზში სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ პარალინგვიზმებს, იკვლევენ მათს როლს ადამიანურ ურთიერთო-ბასა და კომუნიკაციაში, ახდენენ სისტემატიზაციას, ინტერპრეტა-ციას, ავლენენ მათს ინდივიდუალურ და უნივერსალურ ხასიათს.

დიდი დახმარება გაუნია ენათმეცნიერებას ნოტაციის სპეცია-ლურმა სისტემამ, რომლის მიხედვითაც პარტიტურის მსგავსად არის ჩანიშნული ყოველი არავერბალური ქცევა, ფონაციური სპე-ციფიკა, რათა სრულყოფილი ჩანანერი მივიღოთ გასაანალიზებ-ლად, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ადამიანის ინდივიდუალობა, რადგან შეუძლებელია ყველა არავერბალური საშუალების ზუსტი და ადეკვატური ინტერპრეტაცია პიროვნების ხასიათის, ტემპერა-მენტის, სიტუაციის გაუთვალისწინებლად.

განსაკუთრებულ დაინტერესებას ამჟღავნებენ არავერბალუ-რი ქცევის მიმართ ფსიქოლოგები და ცდილობები საფუძვლიანად გა-აანალიზონ ადამიანის უსტ-მიმიკა, პოზა, გამომეტყველება, გამო-ხედვა, საერთოდ, იმიჯის მნიშვნელობა, საგულისხმო რჩევებს გვაწვდიან მათ ამოსახსნელად, რადგან, მიუხედავად ინდივიდუა-ლურობისა, ამ მხრივ ბევრი რამაც საერთო სხვადასხვა ეროვნების ადამიანში.

ყოველივე ეს საინტერესოა ლინგვისტიკისთვისაც, თუმცა მის ფარგლებს სცილდება.

მაშასადამე, ყველა ვერბალური, პარა- და არავერბალური სა-შუალება კომპლექსურად ქმნის დიალოგურ მეტყველებაში სიტუა-ციის შესაფერის ან შეუფერებელ საკომუნიკაციო რეგისტრს, აძლი-ერებს ან ასუსტებს ექსპრესიას და წარმოადგენს სამეტყველო ეტი-კეტის შემადგენელ ნანილს.

არავერბალური საშუალებების გამოყენების სპეციფიკურ

ნიშნად ქართულ დიალოგურ მეტყველებაში შეიძლება ჩაითვალოს: აქტიური უსტიკულაცია (განსაკუთრებით, ასიმეტრიულ ან სიმეტრიულ ყოფით საუბრებში), ექსპრესიული მიმიკა, ღიმილი, ახალგაზრდებში – სიცილი, პოზის ხშირი ცვლა; ტაქტილური არხი – კოცნა, ხელით შეხება; კომუნიკაცია შორის ახლო დისტანცია, თუმცა პროვინციელი მოსაუბრე უცხოსთან საუბარში უფრო მოკრძალებულია, შორს დგება (არის საპირისპირო შემთხვევებიც, როცა დაბალი კულტურის მოსაუბრე ვერ ხვდება, სად დადგეს, რა უქნას ხელებს, როგორ მოიქცეს და ძალიან ახლოს დგება პარტნიორთან, ხელით ეხება მის ტანსაცმელს, ყელსახვევს).

უცხოური ენობრივი გარემოს პარავერბალური და არავერბალური მახასიათებლები საქმიან-ოფიციალურ საუბრებში დიდად არ განსხვავდება ქართული დიალოგებისაგან: ასეთ სიტუაციებში ყველა თანმხლები საშუალება თავშეეკავებით და ზომიერად გამოიყენება.

# თავი მესამე ქართული დიალოგური მეტყველების შიდაენობრივი მახასიათებლები

## 3.1. დიალოგური მეტყველების ანალიზის დონეები


საუბრის ანალიზი იხილავს დიალოგური მეტყველების ორ მხარეს: ორგანიზაციულ-სტრუქტურულსა და თემატურ-შინაარ-სობრივს: პირველი გულისხმობს, თუ ვინ როდის, რამდენ ხანს, რამდენჯერ ლაპარაკობს, როგორ ერთვება საუბარში ან გადასცემს სხვას სიტყვას და ა.შ. ესაა საუბრის სტრუქტურა და ორგანიზაცია; მეორე მხარე (თემატურ-შინაარსობრივი) კი ყურადღებას ამახვილებს დიალოგის თემის დამუშავებაზე, მის გაშლა-გავრცობაზე, თემების ცვლის ფორმებსა და შესაძლებლობებზე. ამას გარდა, საჭიროა გაირკვეს, რა მიმართებაში ეს ორი მხარე და რამდენადაა ერთმანეთზე დამოკიდებული.

გერმანელმა მეცნიერებმა ჰელმუტ ჰენემ და ჰელმუტ რებოკმა შემოგვთავაზეს საუბრის ანალიზის სამი საფეხური (დონე): მაკროდონე, საშუალო და მიკროდონე (ჰენე/რებოკი, 1982, 20). ამ დაჯგუფების ძირითად პუნქტებს ჩვენც ვიზიარებთ და ვიყენებთ ქართული დიალოგური მეტყველების კვლევაში (იხ. სქემა № 7):

**1. დიალოგური მეტყველების ანალიზის მაკროდონეზე** (ზე-და საფეხურზე) განვიხილავთ საუბრის ფაზებს: დასაწყისს, შუა ფაზასა და დასასრულს, მათს რიტუალურ ხასიათს, ძირითადი და ქვეთემების ახსნას, შემოკლებულ ფაზებსა და ცრუ დასასრულს. ცხადია, ენობრივი გამოხატვის მიხედვით დიალოგის ფაზები განსხვავებულია სხვადასხვა კულტურულ არეალში, მაგრამ თითქმის ყოველთვისაა დაცული მთავარი სტრუქტურა, რადგან ესაა საუბრის აგების ზოგადი პრინციპი, ე.ნ. მაკროეტიკეტი.

**2. შუა დონეზე** (საფეხურზე) გავაანალიზებთ კომუნიკანტთა როლებსა და უკუკავშირის საშუალებებს, რეპლიკებს (გერმ. Gesprächsbeitrag; ინგლ. turn), ჯერობას (მოსაუბრეთა ცვლას), ჯერის ცვლის წესებს, რეპლიკათა თანამიმდევრობასა და შინაარსობრივ-თემატურ კავშირს.

**3. მიკროდონეზე** ვიხილავთ გრამატიკულ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკურ საშუალებებს საშუალო დონის ერთეულებთან მიმართებაში (შეფასებითი ლექსიკა, მიმართვები, ევფერიზ-



### სქემა №7. დიალოგური მეტყველების ანალიზის დონეები

მები), სიტყვათა შორის ჩვეულებრივი სინტაქსური კავშირების რღვევა გამონათქვამში და სხვ.

მიკროდონებზე ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ **პერსონალობისა და მოდალობის** სემანტიკურ კატეგორიებს, დიალოგის სიგნალების როლს, სტილისტურ დონეზე კი – თავაზიანობის ენობრივ ინდიკატორებს საკომუნიკაციო რეგისტრებში.

#### 3.1.1. ანალიზის მაკროდონე

##### 3.1.1.1. საუბრის ფაზები

საუბრის ანალიზის თეორიის ამოსავალია დიალოგში კომუნიკანტთა ურთიერთთანამშრომლობისა და ვერბალურ-არავერბალური ქცევების შესწავლა. ამისთვის მნიშვნელოვანია დიალოგის სტრუქტურის დადგენა.

ქართული დიალოგური მეტყველების მაკროსტრუქტურაში გამოიყოფა 3 მთავარი ნაწილი (ფაზა):

- დასაწყისი ანუ შესავალი;
- ძირითადი ნაწილი (თემის გაშლა, თემების ცვლა, დასაბუ-  
თება-არგუმენტირება და სხვ.);
- დასასრული ანუ დასკვნითი ნაწილი.

ეს სამი ნაწილი თითქმის კლასიკურია, მაგრამ, ცხადია, თი-  
თოეულის ხანგრძლივობა ინდივიდუალური და განსხვავებულია სა-  
კომუნიკაციო სიტუაციისა და სხვა გარეენობრივი ფაქტორების მი-  
ხედვით.

სამი ფაზა გამოიყოფა როგორც ზეპირ, ისე წერილობით ტექ-  
სტებში და ვლინდება ერთგვარი რიტუალიზებაც, განსაკუთრებით  
— საწყის და ბოლო ფაზებში. მაგ., პირველ ფაზაში აუცილებელია  
შესავალი ანუ მოსამზადებელი საფეხური ძირითადი ნაწილისათვის.  
საჯარო გამოსვლებში, საზეიმო მიმართვებში ეს არის, უპირველეს  
ყოვლისა, მისალმების ფორმულები, ხოლო ბოლო ფაზაში — გამომ-  
შვიდობება.

საუბარში (დიალოგსა თუ პოლილოგში) წერითს მეტყველე-  
ბასთან შედარებით უფრო რთულია ფაზების მკვეთრი გამიჯვნა,  
რადგან აქ ორი ან რამდენიმე კომუნიკანტი მონაწილეობს და მათი  
ვერბალურ-არავერბალური ქცევა ერთმანეთს უნდა შეეხამოს, რა-  
თა ბუნებრივად გადავიდეს ერთი ფაზა მეორეში. განსაკუთრებით  
საპასუხისმგებლოა ბოლო ფაზა ანუ საუბრის დასრულება ეტიკე-  
ტის დაურღვევლად. ეს კი დამოკიდებულია დიალოგის მონაწილეთა  
უნარზე, სწორად წარმართონ საუბარი და მოახერხონ მისი ორგანი-  
ზაციულ-სტრუქტურული მოწესრიგება. დიალოგის ან პოლილოგის  
წარმართვა გაცილებით მეტ სიძნელესთანაა დაკავშირებული მონო-  
ლოგთან შედარებით, რომელშიც აქტიურია მოუბარი, ხოლო მსმე-  
ნელი პასიურ როლს ასრულებს.

### **3.1.1.2. საწყისი (პირველი) ფაზა**

სხვადასხვა ტიპის დიალოგში საწყისი ფაზები ერთმანეთისა-  
გან განსხვავდება, თუმცა ყოველთვის არის მზადება საუბრის ძირი-  
თად ნაწილთან მისასვლელად. აქ გამოიყენება როგორც ვერბალუ-  
რი, ისე არავერბალური საშუალებები: ხელით ან მზერით მინიშნება,  
თავის დაკვრა, თვალის ჩაკვრა, ხელის ანევა და სხვ. ვერბალურად  
ეს ფაზა ატარებს რიტუალურ ხასიათს, რადგან ნებისმიერი საუბარი  
იწყება მისალმებით. სინონიმური საშუალებებიდან შესაფერისის  
არჩევას განაპირობებს ექტრალებებიდან ფაქტორები.

საუბრის საწყისი ფაზის ხანგრძლივობა დიალოგურ მეტყვე-

ლებაში არაა მკაცრად დადგენილი და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: პარტნიორთა ნაცნობობის ხარისხზე, საუბრის მონაწილეთა რაოდენობაზე, სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხზე, ბოლო შეხვედრიდან გასულ დროზე, ნაცნობობის სფეროზე, პარტნიორთა მოცლილობაზე, ერთმანეთის მიმართ დაინტერესებაზე, მათს გულწრფელობაზე.

ადამიანები მისალმებას აუცილებლად თვლიან არა მარტო შეხვედრისას, არამედ ისეთ სიტუაციაშიც, როცა თითქოს ეს არცაა სავალდებულო. მაგ., სტუდენტებმა ერთ-ერთ ლექტორს შეფასებისას უარყოფით თვისებად ჩაუთვალეს უსალმობა: – ისე შემოვა და დაინტებს ლექციას პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის, მოსალმების გარეშე, რომ ვეღარ ვიტანთ. ძალიან უშმური და უზრდელი კაციაო! (გამოკ. 3). მართლაც, „უსალმო“ და „უბოდიშო“ კაცი ქართულ სინამდვილეში ადამიანის უარყოფითი ეპითეტებია, ე. ი. ასეთ პიროვნებას თვლიან უზრდელად, არათავაზიანად, თავხედად და ქედმაღლად.

მისალმებასთან ერთად თანამოსაუბრეები ერთმანეთს მოიკითხავენ კიდეც: როგორა ხარ? რას შვრები? (ახლობლებთან); როგორ ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? ხომ კარგად ბრძანდებით? (ოფიციალური ურთიერთობის დროს). პასუხად ამბობენ: – გმადლობთ, კარგად! ისე რა! რა მიჭირს. არა მიშავს! რა ვიცი, ვარ რა! აბა, როგორ ვიქნებით? თავად?

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ყველაზე გავრცელებული თემა ყოველდღიური ქართული ფატიკური კომუნიკაციისათვის (ზოგჯერ ამას უწოდებენ „საუბარს საუბრის გულისთვის“, „უწყინარ საუბარს“, ინგლ. „small talk“). ასეთი თემებია: საუბარი ამინდზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ოჯახის წევრების (განსაკუთრებით, შვილების) განათლებაზე, წარმატებაზე, საყოველთაო პრობლემებზე, ხალხის გაჭირვებაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, მთავრობისა და ხელისუფლების შეცდომებზე, უაზრო რეფორმებზე, უფულობაზე, ხელფასებზე, უმუშევრობაზე და სხვ.

ოფიციალურ სიტუაციაში საუბრის შესავლისა და შემდგომი ნაწილის წარმართვის წესები დადგენილია შინაგანანესით, პროტოკოლით, რეგლამენტით (მაგ., სხდომაზე, თათბირზე, მაღალი ღონის ოფიციალურ მიღებაზე, სიმპოზიუმზე, დებატებზე, სამეცნიერო კონფერენციაზე, საზეიმო შეკრებაზე, სამგლოვიარო ცერემონიალზე და ა. შ.), რადიო- ან ტელეგადაცემებზე – თემატური რუპრიკით და სხვ.

მაგ.: „– გამარჯობათ, ქალბატონებო და ბატონებო! ნება მო-

მეცით, შეხვედრა გახსნილად გამოვაცხადო და შესავალი სიტყვა მივცე ბატონ N -ს!..“ (დიალ. 4).

„— ქალბატონებო და ბატონებო! მოგესალმებით და თავს ბეჭ-ნიერად ვთვლი, რომ მომეცა საშუალება, გადმოგცეთ...“ (დიალ. 5).

პოლილოგის მონაწილეებს, როგორც წესი, თავიდანვე წარუდ-გენენ ხოლმე ერთმანეთს:

„— ქალბატონებო და ბატონებო, ჩვენო საპატიო სტუმრებო, დიდ სიხარულს გამოვხატავ, რომ აქ მობრძანდით და გულითადად გესალმებით! წება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩვენი დღევანდელი სტუმ-რები! — (ასახელებენ სტუმრის სახელს, ზოგჯერ გვარსა და პროფე-სიას ან თანამდებობას).

ლონისძიების დასაწყისში შესავალი სიტყვა შეიძლება უფრო ვრცელი იყოს, როცა ორგანიზატორი აცნობს დამსწრეებს შეხვედ-რის მთავარ მიზანს:

„— მოგესალმებით, მეგობრებო! დღეს ისევ შევიკრიბეთ ტრა-დიციულ შეხვედრაზე და ჩვენი სტუმარია ქალბატონი თამარ ერის-თავი. საქართველოში ერთ-ერთი ადამიანი, ვისაც არ სჭირდება წარდგენა, გახლავთ ქალბატონი თამარი, მაგრამ მე მინდოდა ორიო-დე სიტყვა მეთქვა მის შესახებ, თუმცა ეს ყველას კარგად მოეხსენე-ბა, მაგრამ აუცილებელია. ეს სჭირდება სალიტერატურო ცხოვრე-ბას, ეს სჭირდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეს სჭირდება დღე-ვანდელობას და მომავალს, რადგან ქალბატონი თამარი ქმნის ღი-რებულებას, რამაც გაუძლო დროს და ყვედავთ, რომ ეს ის რეალო-ბაა, რომელშიც ვცხოვრობთ და ვხედავთ. ხშირად პოეზია ითარ-გმნება პროზად, თუ არ ითარგმნება, ჯობია, რომ სტილი გადმოვი-ლოთ... ჩვენთან არიან მთარგმნელები, რომლებიც თავდაყირა აყე-ნებენ ყველა შეხედულებას. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ თამარ ერისთავი...“ (დიალ. 3, თ. ერისთ.).

ყრილობის, სხდომის, თათბირის, კრების და ა.შ. ჩატარებისას ირჩევენ თავმჯდომარესა და მდივანს კენჭისყრით; თავმჯდომარის მოვალეობაა, ნაიყვანოს კრება, ხოლო მდივანმა უნდა ჩაინიშნოს კრების მსვლელობა და შემდეგ გააფორმოს ოქმის სახით.

შეკრებებზე, სხდომებზე და ა. შ. მოხსენებების ან კამათისათ-ვის დრო განსაზღვრულია რეგლამენტით, თუმცა ქართულ სინამ-დვილეში ამასაც ხშირად არღვევენ.

თუკი საუბარი, დებატები მრგვალ მაგიდასთან მეგობრულ გარემოში მიმდინარეობს და ნახევრად ოფიციალურია, სტუმრებს სთავაზობენ ჩაის, ყავას, მინერალურ წყალს, ხილს ან ნამცხვარს,

რომ დიალოგი უფრო ძალაუტანებლად წარიმართოს.

მაგ., „ა. – დაბრძანდით, ნუ მოგერიდებათ! ჩაის ხომ არ მიირ-თ მევთ?

ბ. – გმადლობთ, თუ შეიძლება ყავა!

ა. – რა თქმა უნდა! რომელი მოგართვათ: ნალექიანი თუ უნა-ლექო?

ბ. – ნალექიანი, თან უშაქროდ, თუ არ შეწუხდებით!

ა. – რას ბრძანებთ, ეს რა შეწუხება? ახლავე მოგართმევთ...“ (ყოფ. საუბ. 11)

ასეთი შესავლის შემდეგ საუბარი უფრო გულლიად წარიმარ-თება.

ადამიანთა ქცევაში აისახება მათი ურთიერთობები, სოცია-ლური როლი და სტატუსი, ნაცნობობის ხარისხი, სიტუაციის წინას-წარ დადგენილი მოთხოვნები. უცხო გარემოში ადამიანი ყურადღე-ბით აკვირდება ყველაფერს და ცდილობს, გაერკვეს სიტუაციაში, გამოიცნოს საუბრის მონაცილეთა სოციალური მახასიათებლები, ურთიერთდამოკიდებულება და შესაბამისად მოიქცეს.

**არაოფიციალურ** გარემოში ურთიერთგაცნობის შემდეგ, თუ-კი პარტნიორი უხალისოდ უპასუხებს შეკითხვებს ან გაზეთს ამოი-ღებს ნასაკითხად, ეს იმის სიგნალია, რომ დიალოგი საწყის ფაზაში-ვე შეწყდება. მაგ., ავტობუსში, მატარებელში, მეტროში, რიგში, ტრანსპორტშის გაჩერებაზე, კაფეში და ა. შ.

საქართველოში შემთხვევითი გამოსაუბრება გაცილებით ხში-რია, **უცნობები** ხალისით გააპამენ ხოლმე მასლაათს, უზიარებენ ერთმანეთს გულისტკივილს, შეხედულებებს. ასეთი დიალოგების-თვის საწყის ფაზად ხმირად იქცევა მისალმება ან საუბარი ამინდზე.

მაგ., „ა. – გამარჯობათ!

ბ. – გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო!

ა. – როგორ აცივდა, არა?

ბ. – აბა, აბა! ამ დროს და ასეთი სიცივეები? პირდაპირ აუტა-ნელია!

ა. – აირია, ბატონო, ქვეყანა, ჰავაც შეიცვალა და ადამია-ნიც!..“ (ყოფ. საუბ. 15).

უცნობებს შორის მოკლე საუბრის დაწყების საბაბად შეიძლე-ბა იქცეს ადგილის დათმობა ტრანსპორტში, რომელიმე ახალგაზ-რდის არათავაზიანი ქცევა და სხვ.

მაგ.: „ა. – დაბრძანდით, ქალბატონო!

ბ. – გმადლობთ, ნუ წუხდებით, თქვენი ჭირიმე!

ა. – რას ბრძანებთ? თავს ჯერ კიდევ ახალგაზრდად ვგრძნობ და მინდა ქალბატონს პატივი ვცე!

ბ. – გმადლობთ, გმადლობთ! ვიღას ახსოვს დღეს ქალი, ისე იშვიათი გახდა თავაზიანობა, რომ მიკვირს და უკვე მეხამუშება კი-დეც. უიმე, ბატონო, როგორ აგაყენეთ და შეგაწუხეთ!

ა. – არა უშავს, მალე ჩავდიგარ, აბა, ახალგაზრდები ხომ არ გაინძრევიან!

ბ. – ჰო, ჰო, აბა! მავრამ იმათაც ვერ ვამტყუნებ, ათასი პრობ-ლემა აქვთ, უჭირთ ალბათ.

ა. – რას ბრძანებთ, ქალბატონო? ახალგაზრდა რომ ვიყავი, სულ ფეხზე ვიდექი, როგორ დავჯდებოდი? შეიცვალა ყველაფერი, ალარც მოხუცი იციან და ალარც ქალის პატივისცემა!..“ (ყოფ. საუბ. 14).

**არაოფიციალურ-შინაურულ** სიტუაციაში, ნაცნობ-მეგობარ-თა შეხვედრისას, საუბრის საწყისი ფაზა უფრო გულითადი და არა-ფორმალურია: მოკითხვის სიტყვების ურთიერთგაცვლა, ერთმანე-თის ამბების გაგება, ქათინაურები:

„ა. – უი, შენ გენაცვალე, გამარჯობა!

ბ. – ვაიმე, ამას ვის ვხედავ! გაგიმარჯოს, ჩემო კარგო! სადა ხარ, რომ დაიკარგე?

ა. – რა, ვიცი, აქეთ ალარ გამოგსულვარ, ოჯახიო, შვილებიო, სამსახურიო...

ბ. – როგორ გამეხარდა შენი ნახვა! გეჩქარება, თუ გაქვს ორი-ოდე წუთი ჩემთვის?

ა. – შენთვის მე ყოველთვის მცალია, თან მართლა არ მეჩქარება, ერთად წავიდეთ და წავიჭორაოთ, კარგი? მომიყევი, აბა, ამ მთის, იმ ბარის, შენ რომ იცი, ისე ლამაზად!“ (ყოფ. საუბ. 17).

საუბრის **შემოკლებული ფაზები** ნაცნობებს შორის: როცა პარ-ტნიორს ეჩქარება, ბოდიშს იხდის და ალარ აგრძელებს საუბარს, ე.ი. საწყისი ფაზა უშუალოდ ებმის დასასრულს (ანუ გამომშვიდობებას).

მაგ.: „ა. – გამარჯობათ!

ბ. – გაგიმარჯოთ!

ა. – როგორ ბრძანდებით?

ბ. – სადღაა ბრძანება, უკვე ეს კითხვა ძველმოდური გახდა. როგორ ვიქნებით ამ სიტუაციაში?

ა. – ჰო, რას ვიზამთ, ჩვენც ასე ვართ, მივათრევთ ცხოვრების ჭაპანს... ბოდიშს გიხდით, ძალიან მეჩქარება, სამსახურში გავრბი-ვარ, სხვა დროს გნახავთ და დავილაპარაკოთ!

ბ. – არა უშავს, მეც მეჩქარება, ბაზარში უნდა გავიარო.

ა. – აბა, კარგად პრძანდებოდეთ!

ბ. – კარგად! მომიკითხეთ ოჯახში ყველა!

ა. – გმადლობთ, თქვენც მომიკითხეთ!“ (ყოფ. საუბ. 13)

ესაა ტიპური ფატიკური კომუნიკაციის ნიმუში, როცა ნაც-ნობები ესალმებიან და მოიკითხავენ ერთმანეთს. ამ მოკლე საუბარს ახლავს არავერბალური ქცევაც: ხელის ჩამორთმევა ან კოცნა, გა-ლიმება, თავის ან ხელის დაქნევა და ა. შ.

მეგობრები (და ახლობლები) პირისპირ ან ტელეფონზე ჩვეუ-ლებრივი მისალმების შემდეგ პირდაპირ იწყებენ რომელიმე მათ-თვის საინტერესო თემაზე საუბარს:

„ა. – გამარჯობა, თიკო!

ბ. – ოჟ, მაცაცოს გაუმარჯოს!

ა. – რა ქენი, თიკუშ, დაწერე სემინარი?

ბ. – კი, მაგრამ ბოლომდე ვერ მოვასნარი, პირდაპირ გავიტანჯე.

ა. – უჟ, შენ რა გითხრა! ცოტა მაიც ხომ გიწერია? მე კი

სტუმრები მომივიდნენ და ველარაფერი მოვასნარი, თან დედაჩემიც არ იყო სახლში. რა ვქნა?..“ (ყოფ. საუბ. 5).

საუბრის შეწყვეტის სიგნალებია შემდეგი რეპლიკები: არ მცალია, მეჩქარება, ბოლიში, მაგვიანდება, ნაცნობს უნდა შევხვდე, ბავშვი უნდა გამოვიყენო...

**ტელეფონზე საუბარი** ახლო მეგობრებს შორის იწყება ძალზე მოკლე შესავლით, რადგან აქ ძირითადი ნაწილია დიდი:

„ა. – ალო, მარი, პრივეტ! მე ვარ, თიკა!

ბ. – პრივეტ, რა იყო, რატომ გაქვს ასეთი ხმა?

ა. – არაფერი, ცოტა გავცივდი და მახველებდა. ხომ არ იცი, რა მოგვცა იმ „ისტერიჩკამ“ სასწავლად?

ბ. – უი, მეც არ ჩამინიშნავს, შენი იმედი მქონდა. ჩვენს ლან-ძლვას მოუნდა ის „სტერვა“ და ჭეუიდან აგვნია. სალოს დავურეკოთ, იმას ეცოდინება.

ა. – შენ დაურეკე, რა! ამას წინათ რაღაცაზე ავარდა და აღარ მინდა მაგასთან ბაზარი.

ბ. – კარგი, აბა, დამელოდე, გადმოგირეკავ...“ (ყოფ. საუბ. 6)

საუბრის **ხანგრძლივობაზე** ზეგავლენას ახდენს ისიც, რამდე-ნად სასიამოვნო და წარმატებულია პარტნიორთან ლაპარაკი.

უსიამოვნო თემაზე საუბრის შეწყვეტა აუცილებელია, რაც შეიძლება მალე, რომ უფრო მეტად არ დაიძაბოს სიტუაცია.

მართალია, ადამიანი თავისუფალია ვერბალური თუ არავერ-

ბალური საშუალებების არჩევანში, მაგრამ განურჩევლად ვერ გამოიყენებს მათ. ხშირად განმეორებად სტერეოტიპურ სიტუაციებში მოსაუბრე ირჩევს შესაფერის რიტუალიზებულ ქმედებას, საჭირო მზა ფრაზებს, კლიშეებს.

### 3.1.1.3. ძირითადი (შუა) ნაწილი

#### ა. შინაარსობრივი მხარე და თემატიკა

როგორც ვიცით, დიალოგური მეტყველების სახეთა კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტია საკომუნიკაციო სიტუაცია, გამოყენების სფერო და მიზანი (სამეცნიერო, სათათბირო, სასწავლო, საკონსულტაციო და სხვ.). შინაარსობრივ-თემატური მხარე განსაზღვრავს, რომელი სახისაა საუბარი: ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, კონსულტაციური, გასართობი თუ ყოველდღიურ-ყოფითი.

თემატურად დიალოგები ბევრნაირია, დაწყებული ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხებით, დამთავრებული გლობალური პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით.

გარკვეულ საზოგადოებაში არსებობს საჩითირო თემები: ქართველებში მიღებული არ იყო აშკარა და დაუფარავი საუბარი სექსის შესახებ, თუმცა თანდათან ეს ტაბუ ირღვევა. ოფიციალურ გარემოში, ცხადია, არ საუბრობენ ინტიმურ ან საოჯახო საკითხებზე, ყოფითა საქმეებზე, შვილებისა და მეუღლის სასიყვარულო ამბებზე. პაციენტი ექიმს უამბობს მხოლოდ სატკივარის შესახებ და არა თავის გატაცებებზე, მეზობლურ კონფლიქტებზე (ეს დასაშვებია ფსიქოთერაპევტთან).

თემის **მომზადებულობის** მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ტიპი:

1. წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული თემების შემცველი;
2. მოუმზადებელი, სპონტანური საუბრები წინასწარ დაუდგენელ თემებზე.

დიალოგი შეიძლება იყოს ასევე ბუნებრივი, ინსცენირებული ან ფიქტიური (შდრ. ჰენე/რებოკი, 1982; ლევანდოვსკი, 1994, 358). მისი შინაარსი განსაზღვრავს ასახვის განსხვავებულ ხერხებსაც: ზოგში ჭარბობს კითხვა-პასუხი, ზოგში – ნარატიულობა (თხრობა), დირექტიულობა, გეგვდება არგუმენტირება, დისკუსია და სხვ.

**ფიქსირებული** თემები უფრო დამახასიათებელია ოფიციალური სიტუაციისათვის (ტელე- და რადიოდისკუსიებზე, სამეცნიე-

რო კონფერენციებზე, პრეზენტაციებზე), **სპონტანური** საუბრები – ოჯახურ და მეგობრულ წრეში (სუფრასთან, სტუმრად, მოულოდნელი შეხვედრების დროს, სკოლასა და უნივერსიტეტში შესვენებებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვ.).

ნინასწარ განსაზღვრული თემისათვის კომუნიკანტები ემზადებინ, აყალიბებენ ძირითად თეზისებს, შეხედულებებს, მეორე შემთხვევაში კი არავინ იცის, რა საკითხი წამოიჭრება სასაუბროდ.

ამ ორ სახეობას შორის გვხვდება **გარდამავალი** ფორმებიც. გარკვეულ ენობრივ კოლექტივში მოქმედებს თითქოს ერთგვარი შეთანხმება, რა თემების შესახებ შეიძლება საუბარი და რაზე – არა.

ყოველდღიურ სპონტანურ ყოფითს საუბრებში ჭარბობს **ფატიკური** (არაფრისმთქმელი) ფრაზები, აქ ზედმეტია შინაარსობრივ-თემატურ მხარეზე ყურადღების გამახვილება, რადგან მხოლოდ გულთბილი რეპლიკები მონაცვლეობს. ესაა საუბარი გამოსაუბრებისათვის, კონტაქტის დასამყარებლად და განსამტკიცებლად. ძირითადი აქცენტი გადატანილია საწყის და დამამთავრებელ რიტუალიზებულ ნაწილებზე (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება...) და საუბრის შუა (ძირითადი) ნაწილი არაარსებითი და უმნიშვნელოა (ან საერთოდ აღარც არსებობს).

მთავარი სათქმელი დიალოგში გამოხატულია **შუა ნაწილში.** ოფიციალურ სიტუაციაში ეს მონაკვეთი აშკარად და ხაზგასმითაა გამოყოფილი (სხდომაზე, თათბირზე, პედსაბჭოზე, კონფერენციაზე, სიმპოზიუმზე, დებატებზე, შეხვედრებზე დირექტორთან, რექტორთან, ტელე- და რადიოგადაცემებში, კონსულტაციებზე, ექსპერტთან საუბარში და ა. შ.).

**სიმეტრიულ** დიალოგებში შუა ნაწილზე გადასავლა ხშირად შეუმჩნეველიცაა, ზოგჯერ გამოიყენება სპეციალური სიგნალები: ნაწილაკები, შორისლებულები, ზმნიზედები, ცეზურის მაჩვენებლები, პაუზები. მაგ., ჰომ, მაშ, ასე; ჰმ, აჲა, ჰეე, აბა, მოდი; იცი, რა; ახლა კი...

**ოფიციალურ** ვითარებაში ყოველი ფაზის დასაწყისი და დასასრული სპეციალურად ცხადდება. მაგ., „ ქალბატონებო და ბატონებო! ამით დავასრულეთ ჩვენი საზეიმო სხდომის შესავალი ნაწილი და გადავდივართ ძირითად ნაწილზე...“ (დიალ. 3).

„ მაშ, ასე, ამით ამოინურა ჩვენი კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებული მისასალმებელი სიტყვები და გადავდივართ ძირითად მოხსენებებზე...“ (დიალ. 5).

„ ახლა კი კონფერენციის შესაჯამებლად საბოლოო სიტყვას გადავცემთ აკადემიკოს...ს“ (დიალ. 4) და ა. შ.

დიალოგებში გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად და-ცულია სამეტყველო ეტიკეტის წესები. ეს ნორმები ერთხელ და სა-მუდამოდ დადგენილი კი არაა, არამედ ცვალებადია ისტორიულად და განსხვავდება საზოგადოების სხვადასხვა წრეში.

### **ბ. თემათა ცვლა**

კომუნიკანტთა კოორდინაციის მისაღწევად დიდი ძალისხმე-ვაა საჭირო, როცა თემები არაფიქსირებულია და ყოველ მონაწილეს უფლება აქვს წამოჭრას **ახალი თემა**, თუმცა შესაძლებელია თემის არჩევა ურთიერთშეთანხმების გარეშეც. მაგ., ერთ-ერთის წინადა-დებით: იცი რა, მოდი ვისაუბროთ გუშინდელ ფილმზე (წიგნზე, პიე-საზე, სიმღერაზე, სილამაზის კონკურსზე, საფეხბურთო მატჩზე...).

სპონტანურ საუბრებში ხშირად რომელიმე მონაწილე იღებს თავზე ინიციატივას და წარმართავს ჯერისა და თემათა ცვლას, რა-საც სხვები აჰყვებიან და დიალოგის ბოლოს სასაუბრო თემატიკა შეიძლება სრულიად დამორჩებული აღმოჩნდეს საწყისისაგან.

აქტიური მონაწილე (ინიციატორი) სვამს კითხვებს, მიმარ-თავს უშუალოდ რომელიმე კომუნიკანტს და ძალითაც ათქმევინებს აზრს.

რეპლიკების ადეკვატურობითა და დიალოგის ძირითადს თე-მასთან ორგანული კავშირით მიიღწევა კომუნიკანტთა თანამშრომ-ლობა.

ქართულ საუბრებში ახალი თემის წამოჭრა ან ძირითადი თე-მისაგან გადახვევა იწყება ე.წ. ენობრივი „ზღუდით“ – მობოდიშე-ბით:

„– ამასთან დაკავშირებით მინდა ბოდიშის მოხდით შემოგთა-ვაზოთ შემდეგი საკითხი!“; „–მაპატიეთ, რომ ოდნავ უნდა გადავუხ-ვიო ძირითადი თემიდან, მაგრამ...“; „–ვწუხვარ, რომ უნდა შეგაწყვე-ტინოთ და მცირე ხნით სხვა საკითხზე შევაჩირო თქვენი ყურადღე-ბა...“; „–ეს აქ რა მოსატანია, მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, უნდა შე-გახსენოთ ერთი ამბავი...“

ამ ეტიკეტურ ბოდიშის სიტყვებს „ზღუდის“ ფუნქცია აკისრია, რომ თემიდან გადახვევა არ იქნეს აღქმული შეცდომად, გაუგებრო-ბად, არამედ ჩაითვალოს გაცნობიერებულად და გააადვილოს მისი დაკავშირება წინა თემასთან.

**ოფიციალურ-საქმიან** გარემოში ასეთი ნებისმიერი ჩართვა შედარებით იშვიათია, თუმცა ქართულ სინამდვილეში არაა უცხო ასეთი ეპიზოდები (განსაკუთრებით, დებატების ან დისკუსიის

დროს), ამბის გახსენება. მაგალითად, რ. ჩხეიძე ლაპარაკობს ცნობილ მთარგმნელ თ. ერისთავზე და იუმორით იხსენებს:

„— გივი შაჰნაზარი და გივი გეგეჭკორი დამემოწმებიან ამაში. ...მ მითხრა, მიყვარდაო სიჭაბუკეშიო ქალბატონი თამარი, გულში მქონდა გარჭობილიო. მერე ეს ამბავი გამოიყენა მამაჩემმა ნოველაში, დიახ, სწორედ ეს მომენტი გამოიყენა...“

(დარბაზიდან სიცილი) – ამიტომ არის საჭირო მემატიანე!

– (დარბაზიდან) გული ამიტირდა პირდაპირ“ (დიალ. 3, თ. ერისთ.).

ოფიციალურ დიალოგებში ძირითადი თემა რჩება ძალაში, ტელენამყვანი ან საუბრის ინიციატორი აკონტროლებს, არეგულირებს თემების ცვლას, მონაწილეთა ჩართვას და რეპლიკათა ხანგრძლივობასაც:

– ვფიქრობთ, დროა, დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს!

– მოდით ისევ მთავარი თემა განვიხილოთ! ძალიან დავშორდით საკითხს.

საჭირო შემთხვევაში ტელეუწყრნალისტი თვითონაც ჩაერთვება კითხვებით, შენიშვნებით და შეახსენებს, რომ საკითხს დაუბრუნდეს ან სიტყვას სხვას გადასცემს, რეპლიკის ყოველი შეწყვეტისას ის ბოდიშს ან მადლობას იხდის (ესაა „ზღუდე“) და ამით ანიშნებს კომუნიკანტს, რომ ახლა სხვისი ჯერია, ასევე სვამს კითხვას პასუხის დასაკონკრეტებლად.

მაგ., ტელედებატების ერთ-ერთმა მონაწილემ (პარლამენტარმა) თქვა: „— ქვეყანა თავზე გვენგრევა და რა დროს კინკლაობა და ნიშნის მოგებაა! — რაო, ბატონო N, რა ბრძანეთ? ქვეყანა მართლა თავზე გვენგრევა? ამას თქვენ ამბობთ? აკი ვაშენებთო?..“ (გადაც. „რეაქც.“ 1)

პოლილოგური დისკუსიების სწორი წარმართვა, კოოპერაციულობისა და კოორდინირების დაცვა საკმაოდ დიდ ოსტატობას მოითხოვს წამყვანისაგან, თუმცა ტელეგადაცემა მით უფრო საინტერესო და მომგებიანია, რაც უფრო ცხარე კამათი გაჩაღდება, რაც უფრო საწინააღმდეგო აზრები გამოითქმება აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. კარგი უურნალისტი არეგულირებს საუბრებში ჯერის ცვლას, დროულად გადასცემს სიტყვას შემდეგ მოუბარს, ხანაც მოკლე კომენტარს აკეთებს, სვამს ახალ შეკითხვებს, აზუსტებს ნათქვას, გამოყოფს არსებითს მომენტებს, ბოლოს კი აჯამებს მთელ დისკუსიას.

არაოფიციალურ სიტუაციაში, ყოველდღიურ ყოფითს საუბ-

რებში, თემიდან გადახვევა და სხვა თემის წამოქრა უფრო ხშირია და არც ითვლება ეტიკეტის დარღვევად. აქ ჩვეულებრივია ასოციაციურად წამოქრილი საკითხის ატაცება ისე, რომ წინა თემას აღარ დაუბრუნდნენ.

მაგ., „უი, იცი, რა გამახსენდა?..

– აქ რა მოსატანია, მაგრამ ახალი ამბავი უნდა გითხრათ...

– აბა, ჩემს ამბავსაც გეტყვით!..“ (ყოფ. საუბ. 18).

ოჯახშიც მოითხოვს ზოგჯერ თანამოსაუბრე (ცოლი, ქმარი, დედა, შვილი, მამა) ლოგიკურ კავშირს სალაპარაკო საკითხთან: – იცი, როგორ მაღიზიანებს შენი აბდაუბდა საუბარი: ხან ერთ საკითხს მოედები, ხან მეორეზე გადახტები. აზრი ვერ გამოვიტანე“.

„– რა არის, რატომ არიდებ თავს ამაზე ლაპარაკს?

– ჰო, სულ ასე იცი, რატომ ამიგდე სიტყვა ბანზე?“ (ყოფ. საუბ. 19).

ასეთი ტიპის საუბრებშიც გამოიკვეთება ხოლმე რომელიმე მოსაუბრის ინიციატორული როლი.

როგორც ვხედავთ, ქართულ სინამდვილეში დიალიგებში ოფიციალურ სიტუაციებშიც არაა მკაცრად დაცული ფაზების ხანგრძლივობა. დებატები, დისკუსიები, კამათი ძალზე ემოციურ ხასიათს ატარებს: ყველა ცდილობს საკუთარი სიმართლის დამტკიცებას, ნაკლებად უსმენს თანამოსაუბრეს, ხშირია ჯერის გადაფარვა, ერთდროულად და ხმამაღლა ლაპარაკი, ემოციური რეპლიკები, უხამსი მიმართვები. კომუნიკანტებს სურთ სხვაზე ხმამაღლა თქვან რამე, ყვირილით აჯობონ სხვას. სამწუხაროდ, ლანძღავენ კიდეც ერთმანეთს და შეურაცხყოფას აყენებენ, რითაც ადასტურებენ საკუთარ უკულტურობას.

### 3.1.1.4. დიალოგის დასასრული – მესამე ფაზა

დიალოგის შუა – ძირითადი – ნაწილიდან მესამე ფაზაზე გადასვლა მზადდება თანდათან, ერთგვარი დამასრულებელი ეტაპით. თუ ეს არის ოფიციალური სიტუაცია, ფაზის ხანგრძლივობას დაადგენს რეგლამენტი, რადგან საუბრის დრო შეზღუდულია.

ტელე- ან რადიოგადაცემაში წამყვანი აჯამებს გადაცემას და ემშვიდობება მაყურებელს (მსმენელს). ამ დროს ყველა მონაწილეს გამოთქმული აქვს აზრი, გაჩუმებულია და უკვე აღარავინაა სიტყვის თქმის მსურველი: „ – მაშ, ასე, ჩვენ დღეს ვისაუბრეთ დღევანდელობის მეტად მწვავე და აქტუალურ პრობლემაზე... სტუდიაში გვყავდნენ ამ საქმის სპეციალისტები, მთავრობისა და ოპოზიციის

წარმომადგენლები, რომელთა აზრის გაგება მაყურებელს ძალიან აინტერესებდა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით ერთი კვირის შემდეგ, ამავე სტუდიაში, ამავე დროს, კარგად ბრძანდებოდეთ!..“ (გადაც. „პირვე.“).

ყოფითი საუბრის თემათა შეჯამება-შეფასება შეიძლება იყოს ემოციური ან საქმიანი: – ახლა ყველაფერი ნათელია! – ძალიან კმა-ყოფილი ვარ ამ შეხვედრით! – გავიგე, რაც მჭირდებოდა! – მართლა გულახდილი და სასიამოვნო საუბარი გვქონდა! – ძალიან მესიამოვნა თქვენთან ლაპარაკი!..

დამასრულებელი ფაზის სიგნალი შეიძლება იყოს ვერბალური: – ჰო, კარგი! მაშ, ასე! აბა, კარგი! აი... ესე იგი...

მაგ.: „ა. – ჰო, ამ წუთას ამაზე მეტს ვეღარაფერს ვიტყვით ალბათ.

ბ. – კარგი, აბა!

ა. – ვხვდებით ზეგ, 3 საათზე, უნივერსიტეტის პირველ კორ-პუსში, არ დაგავიწყდეს!

ბ. – არა, არ დამავიწყდება. აუცილებლად მოვალ. ყველა მომი-კითხე, კარგად იყავი!

ა. – კარგი, ბოდიში, ახლა აღარ მცალია, დაგირეკავ!..“ (ყოფ. საუბ. 5).

ესაა საუბრის ბოლო ფაზის ერთ-ერთი ნიმუში. ახალ თემაზე ცოტა ხნით ისაუბრეს კომუნიკანტებმა, შეიძლებოდა დიალოგის გავრცელა და სასურველ საკითხზე დეტალურად მოლაპარაკება, მაგრამ ინიციატორმა ამჯობინა დასრულება შესაბამისი სიგნალით: აღარ მცალია, დაგირეკავ.

თუ დიალოგი თანამდებობის პირის კაბინეტში მიმდინარეობს, ბოლო ფაზაზე გადასვლის სიგნალი შეიძლება იყოს არავერბალური ქცევა: ფეხზე ნამოდგომა (თუკი სხედან), ქალალდების გადაწყობა, ბლოკირების გადაშლა, ჩახველება, საათზე დახედვა, სიგარეტის ამოლება ან ჩაქრობა, სათვალის გაკეთება, მდივანი ქალის ან მოადგილის გამოძახება და სხვ.

**სატელეფონო** საქმიან საუბარში, როცა მთავარ საკითხზე შეთანხმდებიან, ინიციატორი (ვინც დარეკა) მიანიშნებს მეორეს, რომ დიალოგი უნდა დასრულდეს:

„ა. – კარგი, ვფიქრობ, ყველაფერზე შევთანხმდით. მაშ, ასე, ნახვამდის, ხვალ შევხვდებით!

ბ. – ნახვამდის, ხვალამდე!..“ (ყოფ. საუბ. 5).

დიალოგის წარმართვა დასასრულისკენ ეტიკეტის დაცვით

არც ისე იოლი საქმეა და კომუნიკანტთა ოსტატობას მოითხოვს, რომ უნებურად შეურაცხმყოფელი არ იყოს თანამოსაუბრისათვის. გაჭიანურებული დიალოგის შეწყვეტაც საკმაოდ რთული საქმეა, ამ დროს მოიბოდიშებენ ხოლმე, ტაქტიანად შენიშნავენ: „— მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, თავებდურად კი ვიქცევი, მაგრამ ძალიან მეჩქარება და ეგებ მხოლოდ მთავარი მითხრათ!.. (ყოფ. საუბ.).

დასასრული, გარდა მთელი საუბრის თემატური შეჯამებისა, შეიძლება წარმოადგენდეს სიტყუაციისა და დიალოგის ემოციურ შეფასებას (მაგ., კამაყოფილების, სიხარულის, აღტაცების, აღფრთოვანების თავაზიანი სიტყვიერი გამოხატვა), მომავალი შეხვედრის დროზე და გეგმებზე შეთანხმებას, მოკითხვის დაბარებას ნაცნობმეგობრებთან ან ნათესავებთან, ოჯახის წევრებთან, კეთილ სურვილებს, გამომშვიდობებას, მადლობას და სხვ.

გამოყოფენ ე. ნ. **ფიქტიურ (ცრუ) დასასრულსაც**, როცა ადამიანს შეცდომით ეჩვენება, რომ დიალოგი სრულდება, სინამდვილეში კი გრძელდება და კომუნიკანტს მეორედ უნებს გამომშვიდობება, მოკითხვის დაბარება. ეს ზოგჯერ რამდენჯერმე მეორდება.

ტელეგადაცემების ბოლოს ჩვეულებრივია მადლობის გადახდა და დამშვიდობება. მაგ., დასასრული ახალგაზრდული გასართობი გადაცემიდან „ათასიდან ერთი შანსი“:

„ა. — ძალიან დიდი მადლობა მობრძანებისა და გადაცემაში მონაწილეობისათვის, ულრმესი მადლობა!

ბ. — დიდი მადლობა ტელეკომპანია „იმედს“ და გადაცემას „ათასიდან ერთი შანსი“!

გ. — მოხარული ვარ, რომ აქ ვიყავი.

ა. — ძალიან დიდი მადლობა და მინდა შეგახსენოთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: ვინც ეძებს, პოულობს და (ტაში)... მაშ, ასე, ნახვამდის, დიდი მადლობა! მომავალ შეხვედრამდე სტუდიაში!“ (გადაც. „ათ. ერთ.“ 2).

ალ. ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთი სხდომა ასე დამთავრდა: „— ძალიან დიდი მადლობა უნდა გადაგიხადოთ მობრძანებისათვის და ძალიან მიხარია, რომ დღეს ერთმანეთს შევხვდით“ (დიალ. 1).

მაშასადამე, დიალოგური მეტყველების სამი ფაზა შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის აუცილებელ კომპონენტებს: მისალმებასა და დამშვიდობებას და ადამიანები ზოგჯერ პირად შეურაცხყოფად მიიჩნევენ მათს გამოტოვებას.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში მაკროდონები აშკარაა

საერთოდ ყველა ენობრივი კოლექტივის საუბრისთვის დამახასიათებელი უნივერსალური თვისებები: სამი ძირითადი ფაზის არსებობა, ერთი ფაზიდან მეორეზე გადასვლის ვერბალურ-არავერბალური სიგნალები, მოუბარი პირისა და მსმენელის საკომუნიკაციო სტრატეგიის არჩევანი.

ქართული ოფიციალურ-საქმიანი დიალოგების სპეციფიკურ ნიშნად მივიჩნევთ საუბრის ფაზების მკაცრი რეგლამენტაციის იშვიათობას და ყოფითი საუბრებისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმის არარსებობას, რადგან ხშირად გამოიყენება ჩართული ეპიზოდები (ხუმრობა, ანეკდოტი), ჯერის გადაფარვა (ერთდროული ლაპარაკი).

**არაოფიციალური (ყოველდღიურ-ყოფითი)** საუბრების სპეციფიკური ნიშნებია: საწყისი და დამასრულებელი ფაზების გახანგრძლივება, მათი რიტუალიზებული ხასიათი, ფატიკური კომუნიკაციის ერთეულთა სიჭარბე, ხალისიანი ხუმრობა, ნახევრად სერიოზული საუბარი; ცრუ დასასრულის სიხშირე, როცა მოსაუბრები რამდენჯერმე ემშვიდობებიან ერთმანეთს და შემდეგ ხელახლა განაგრძობენ დიალოგს.

ასეთ საუბრებსა და ახალგაზრდულ გასართობ პროგრამებში დიალოგის ორგანიზაციისათვის უფრო ინტენსიურად გამოიყენება არავერბალური საშუალებები (ჟესტიკულაცია – ხელით ან თავით მინიშნება, ხელების მოძრაობა მოქნილი და ექსპრესიულია, მიმიკა – მდიდარი და ემოციური).

### 3.1.2. ანალიზის შუა დონე

#### 3.1.2.1. მოუბარი პირი – მეტყველების სუბიექტი

დიალოგური მეტყველების მონაწილეები არიან **კომუნიკანტები**: მოუბარი და მსმენელი. საუბრის არსებითი თვისებაა ამ როლების ცვალებადობა: ერთი და იგივე პირი ხან მოუბარია, ხან – მსმენელი. თითოეულის რეპლიკის (ჯერის) ხანგრძლივობას გარეენობრივი ფაქტორების კომბინაცია განსაზღვრავს.

მოუბარი პირი საუბრის დაწყებამდე ითვალისწინებს ამ ფაქტორებს და ირჩევს შესაბამის საკომუნიკაციო სტრატეგიას. ის ორატორული სიტყვის წარმოთქმის დროსაც ვერ იქნება აბსოლუტურად თავისუფალი, საკუთარ თავთან მარტო. მას სჭირდება ორიენტაცია თუნდაც პასიურ მსმენელზე, რადგან მისი სიტყვის მთავარი მიზანია ზემოქმედება ადრესატზე. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია დია-

ლოგში, როცა მოუბართა ცვლას განაპირობებს სიტუაცია და ადრესატის ფაქტორი. მოუბარის სტრატეგიაა მსმენელისადმი ხშირი მიმართვა, მისი დამოწმება, რითაც მას აქცევს რეპლიკის თანაავტორად.

მოუბარი სხვადასხვა საშუალებით (პაუზა, ინტონაცია, საუბრის ტემპის შენელება, დაღმავალი ინტონაცია, მხედველობითი კონტაქტი და ა.შ.) აგრძნობინებს ადრესატს, სურს თუ არა საუბრის გაგრძელება. არსებობს მოფიქრების პაუზები, შორისდებულები, ნაწილაკები ან ბგერები, ე.წ. ვერბალური ბოლოკიდურები (გერმ. Anhangsel, ინგლ. tag-question): ჰმ, ჰოო, ეე, ისა, მაშდამე, იცი რა, რა მინდოდა მეთქვა... ასე ხომ? არა? როცა მოუბრის ტონი დაბლა იწევს, მაშინ რეპლიკა სრულდება, შემდეგ მიმართავს სხვას: არა? თქვენ რას იტყოდით ამაზე? ალბათ დამიდასტურებთ! ხომ არაფერს იტყვით? – ამ დროს მოუბარი იყენებს ჯერის გადაცემის უფლებას.

თუ მოუბარს არ სურს პოზიციის დათმობა და არ მოსწონს, როცა უტაქტოდ აწვეტინებენ საუბარს, იყენებს რამდენიმე ხერხს: აუწევს ხმას, რომ მეორე გადაფაროს და აჯობოს მას, დაუზიებით იმეორებს სათქმელს, იშველიებს ჟესტიკულაციას, იცვლის პოზას ან წყვეტს ლაპარაკს და საკუთარ უფლებებს ხმამაღლა შეახსენებს მეორეს: – ერთი წუთით, მე ჯერ არ დამიმთავრებია! მაცალეთ დამთავრება, თუ შეიძლება! მათქმევინეთ ბოლომდე, რაც მინდოდა! ეს რა წესია, რატომ არ მაცლით? (ასეთი რამ ქართულ სინამდვილეში ხშირია).

**დამანაწევრებელი** სიგნალებიც მიანიშნებს, რომ მოუბარი რეპლიკას აგრძელებს: – ეს, ერთი მხრივ... მეორე მხრივ კი...; ჯერ ეს მოგახსენეთ, ახლა კი...

მსმენელთან კონტაქტის დასამყარებლად და მის გასაძლიერებლად გამოყენებულია **რიტორიკული** კითხვები (მაგ., ვის შეუძლია ამ მოვლენის მიზეზის ახსნა? ვინაა ამაში დამნაშავე?). **ყურადღების** დამადასტურებელი **თანხმობის** სიგნალები ხშირად სამეტყველო ეტიკეტის მყარი ფორმულებია: აბა, რა ვიცი! აბა, რა გითხრათ! იმედია, მეთანხმებით! თქვენც კარგად მოგეხსენებათ! ვიცი, რომ გულში თქვენც იმავეს ფიქრობთ; როგორც თქვენ აღნიშნეთ (ბრძანეთ); ასე არაა? იცით რა? გესმით? გაიგეთ? მოიხედეთ! იცით, რა მინდა გითხრათ? იცით, რა მაინტერესებს?

მსმენელის ყურადღების მოდუნებას და დაუინტერესებლობას მოუბარი მაშინვე ამჩნევს და ჩაეკითხება კიდეც დასაზუსტებლად: „– რაო, არ მისმენ? ეტყობა, არ გაინტერესებს! თუ არ გინდა, არ ვიტყვი; რა იყო, ხომ არ დაგეძინა? ეჭ, წყლის ნაყვაა შენთან ლაპარაკი! რა აზრი აქვს ამის თქმას, მაინც სხვა რამეზე ფიქრობ! ნეტა

რა მალაპარაკებს! მე კი არ მეხალისება, რომ ვლაპარაკობ!“ და ა. შ.

დიალოგებში მოუბარი პირის მიერ ფატიკური კომუნიკაციის ერთეულების გამოყენება ხელს უწყობს საუბრის ბუნებრივ და დაუბრკოლებელ მიმდინარეობას, სამეტყველო ეტიკეტის წესების დაცვას და მოსაუბრეთა „სახის“ შენარჩუნებას. წინათ ასეთ ფრაზებს მიიჩნევდნენ საუბრის დამამდიმებლად, უმნიშვნელო და უაზრო სიტყვებად.

### 3.1.2.2. მსმენელი – დიალოგის აქტიური მონაწილე

ადრე გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ მოუბარს, ხოლო მსმენელი მხოლოდ პასიურ მონაწილედ მიაჩნდათ, მისი როლი მიჩქმალული იყო. დიალოგში მოუბარს სჭირდება ყურადღებიანი მსმენელი, თანაც ისეთი, რომელიც ამა თუ იმ საშუალებით მიანიშნებს თავის დაინტერესებაზე. ამას უნდღებენ **უკუკავშირის** ქცევას (ინგლ. back-channel-behavior, გერმ. Rückmeldeverhalten, რუს. обратная связь). გამოყოფენ **უკუკავშირის** სიგნალების რამდენიმე ტიპს:

1. **კერძალურს:** 1. დამოწმების სიგნალებს, რომლებიც გამოხატავენ მსმენელის ყურადღებასა და ინტერესსა, ხელს უწყობენ მისი „სახის“ შენარჩუნებას. მაგ., რას ამბობ, კაცო? რას მეუბნები? მართლა? ეს რა მითხარი? შენ რა გითხრა! ხედავ შენ? რას პრძანებთ? ნუთუ? დედა, დედა! ასეა, ასე! უყურე შენ! კი, კი, ასეა! ნნ, ნნ! ოჰ! ჰე! ჰე! ჰე! ჰე! აჰა! მასე მოუხდება! მაშ, რა ეგონა!... **თანხმობა:** კი, ასე იქნებოდა!, ასეც ვიცოდი! მჯერა! სწორია, სწორი! კი, კი! ჰე, ჰე! დიახ, დიახ!

2. **კომენტარის** შემცველ სიგნალებს, რომლებშიც მსმენელი გამოხატავს საკუთარ აზრსა და ემოციას ნათეჭამისადმი, ამბისადმი, პიროვნებებისადმი. აქ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახეობა: **ეჭვი** (სწორედ დაუკერებელია! ნამდვილად არ მეგონა! ეს მონაგონია! ეს ჭორია! არ არსებობს! ეს სისულელეა! ვერ დავიჯერებ! გაფიცებ შვილებს, მართლა?), **აღფრთოვანება** (უჰ! შესანიშნავია! მაგარია!), **სისარული** (ძალიან გამახარე! უჰ, რა კარგია!), **აღშფოთება** (ამას როგორ ვიფიქრებდი! არ გადამრიო! ჰე, რა საშინელებაა!), **სინანული** (საწყენია! ვნანობ! ძალიან ვდარდობ!), **დალოცვა-ნახალისება** (შენ გაიხარე! იცოცხლე! შენ გენაცვალე! შენ შემოგევლე! შენი ჭირიმე! აშენდა შენი ოჯახი! ნეტავი შენ!), **თანაგრძნობა** (ეჸ! უჸ! მე მოგიკვდი! ჩემი სიკედილი და არგადარჩენა! რატომ არ მოვკედები!) და სხვ.

ძირითადად ეს საშუალებები მაინც თანაგრძნობის გამოხატვას ემსახურება.

**II. არავერბალურ** სიგნალებს: უესტი, მიმიკა, პოზა (სხეულის მიბრუნება ან გადმოხრა მოუპრისკენ ანუ ყურადღების პოზა), თავის დაქნევა ან დანანებით გაქნევა, გაღიმება, გაცინება ან ჩაცინება, შეხედვა, თვალის ჩაკვრა და სხვ.

ამ სიგნალებით მუდავნდება ისიც, თუ რამდენად დაინტერესებულია ადრესატი ჯერის მიღებით ანუ დიალოგში აქტიური ჩართვით, რასაც განაპირობებს თემისადმი გაძლიერებული ინტერესი, კომპეტენტურობა მოცემულ საკითხში, დიალოგში ჩარევის აუცილებლობის შეგრძნება და სხვ.

მსმენელის ქცევა ზოგჯერ გაუცნობიერებული და ავტომატურია, რადგან ესაა რეპლიკის თანხლება, მაგრამ ავსებს მას და საუბრის აუცილებელი ნაწილია. მყარი ეტიკეტური ფორმულები (გერმანულად „Floskeln“), ერთი შეხედვით, გაცვეტილ ფრაზებად ალიქმება და ზედმეტად გვეჩვენება, მაგრამ მათ გარეშე ვერ შედგება ბუნებრივი კომუნიკაცია და დაიკარგება ორმხრიობა.

შეიძლება განვასხვაოთ კარგი და ცუდი მსმენელიც. ზოგიერთი არაადეკვატურად ალიქვამს მოუბრის რეპლიკებს, სვამს შეუსაბამო კითხვებს ან საერთოდ ამჟღავნებს დაუინტერესებლობას (ამთქნარებს, იხედება სხვაგან, ნარამარა უყურებს საათს, უადგილოდ იცინის, გადაუხვევს საუბრის თემიდან და სხვ.).

კომუნიკანტების თითოეული სიგნალი გათვლილია გარკვეულ სიტუაციაზე, მოითხოვს შესაბამის საკომუნიკაციო რეგისტრს და ყოველთვის არ გამოდგება. მაგალითად, ასაკით უფროსს ან სოციალური საფეხურით მაღლა მდგომს ვერ შეაფასებენ ასე: მაგარი ხარ! ჯიგარი ხარ! მაგრა ასწორებ! შენ რა გითხრა! დაგლიჯე რა! მხეცი ხარ! არ გადამრიო! ანდა შეუძლებელია ასე პროტესტის გამოხატვა: შენ რა, აფრენ? თავი ხომ არაფერზე მიგირტყამს? თავის მაგივრად ნეხვი ხომ არა გაქვს! სიმეტრიულ პარტნიორთან კი არ იყენებენ ხაზგასმულ-გადაპრანჭულ თავაზიან გამოთქმებს: – რას ბრძანებთ! ნამდვილად გასაოცარია, რასაც ამბობთ! ჭეშმარიტი ორატორი ბრძანდებით! ნება მიბოძეთ, მცირეოდენი შესწორება შევიტანო თქვენს მართებულ ნათქვამში.

ცხადია, ხუმრობით ან ირონიით ეს ხერხიც გამოიყენება, მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს საკომუნიკაციო რეგისტრების აღრევაა. უკუკავშირის სიგნალები მარტო მსმენელის პოზიციის გამოხატვა კი არაა, არამედ ახალი რეპლიკების სტიმულიც, საუბრის მამოძრავებელი ძალა.

უნდა ითქვას, რომ ქართულ დიალოგებში არაა იშვიათობა

მხოლოდ ფორმალური თავაზიანობისა და ზრდილობის გულისათვის პირფერობა, მლიქვნელობა და ყურადღებიანობის გათამაშება.

**ოფიციალურ** სიტუაციაში ძირითადად იცავენ საყოველთაოდ მიღებულ წესებს, თავშეკავებით გამოხატავენ ემოციებს, ზოგჯერ ირიბად, მინიშნებით ამბობენ საკუთარ აზრს. ამიტომ მსმენელის სიგნალები ხშირად იღებს რიტუალურ ხასიათს და გულწრფელობაც ნაკლებია.

ყოველდღიურ არაოფიციალურ საუბრებში ჯერის ცვლა (მოუბრისა და მსმენელის მონაცვლეობა) ბუნებრივად მიმდინარეობს და ძალდაუტანებელია, მსმენელიც უფრო აქტიური და გულწრფელია, თამამად აწყვეტინებს მოუბარს საჭიროების შემთხვევაში, ხშირად ერთვება დიალოგში, ემოციურად და გულლიად გამოხატავს და მოკიდებულებას ნათევამისადმი.

პოლილოგში გაცილებით ძნელია ჯერობის დაცვა. მართალია, მოუბარი ერთია, მსმენელი კი – რამდენიმე, მათ შორის არიან ე. წ. **თანამსმენელები** და **ყურის დამგდებები** (პასიური მსმენელები) (იხ. ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994; ამ მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი **მოყურადე**). ყველა ვერც შეძლებს ამ დროს უკუკავშირის სიგნალების გამოხატვას, მხოლოდ უშუალო ადრესატი თვლის თავს ვალდებულად, რომ ყურადღება და თანაგრძნობა დაადასტუროს.

### 3.1.2.3. კომუნიკანტთა როლები

დიალოგში კომუნიკანტთა როლების საკითხი უკავშირდება სოციოლინგვისტიკას, რადგან თანამოსაუბრების სოციალური სტატუსი და როლი გავლენას ახდენს მათს ქცევაზე. გარდა **ფუნქციური** (დროებითი) როლებისა, ადამიანებს საზოგადოებაში აქვთ **მყარი**, **მუდმივი**, სიტუაციისგან დამოუკიდებელი სოციალური როლებიც (მშობლები – შვილები, სტუდენტი – ლექტორი, მასწავლებელი – მოსწავლე, თანამშრომელი – უფროსი, შეფი) ან სოციალურ-საზოგადოებრივი და კულტურული სტატუსით განპირობებული (თანამდებობა, სამეცნიერო წოდება, ხელოვნების სამოღვაწეო სფერო და ა. შ.).

განასხვავებენ ორგვარ როლებრივ დამოკიდებულებას:

1. თანაბარუფლებიან პარტნიორთა ანუ **სიმეტრიულ** საუბარს;
2. არათანაბარუფლებიან პარტნიორთა (როცა რომელიმეს უპირატესი უფლებები აქვს) ანუ **ასიმეტრიულ** საუბარს.

როლებს შორის სხვაობა დამოკიდებულია საუბრის სახეობასა და სიტუაციაზეც. ოფიციალურ ღონისძიებებზე არსებობს სპეციალურად დანიშნული ან არჩეული წარმართველი მხოლოდ ერთი ღონისძიების განმავლობაში, ზოგჯერ კი – ხანგრძლივად, ე. ი. თავმჯდომარეობა და მდივნობა არჩევითია წლის მანძილზე; კონსილიუმების (ან სპეციალური თათბირების) დროს გადამწყვეტია უფროსი ექიმი (მთავარი სპეციალისტი); უნივერსიტეტის სემინარზე – ლექტორი, პროფესორი, სკოლაში – მასწავლებელი, სასამართლო პროცესზე – მოსამართლე, ტელე- ან რადიოსტუდიაში – ჟურნალისტი, კორესპონდენტი, ტელენამყვანი და ა.შ.

დანესებულების წესდებით დადგენილ, ორგანიზაციულად დაკანონებულ როლებს უწოდებენ **ინსტიტუციურს** ანუ **ორგანიზატორულს** (მაგ., კრების თავმჯდომარე, მოსამართლე, ლექტორი, მასწავლებელი...).

ნამყვანი, ორგანიზატორი დიალოგში სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით, უპირატესობებითა და **უფლებებით:**

1. ინყებს და წარმართავს საუბარს (მაგ., ხსნის კრებას, თათბირს ამა თუ იმ დაწესებულებაში; ტელენამყვანი თავიდანვე მიმართავს მაყურებელს, უძღვება გადაცემის მთელ მსვლელობას);
2. შემოაქვს ახალი თემები ან ცვლის მათ;
3. განსაზღვრავს დიალოგის ფაზების ხანგრძლივობას ანუ კონტროლს უწევს რეგლამენტის დაცვას;
4. აკონტროლებს თემების მიმდინარეობას (მონაცვლეობას) ანუ ახდენს თემატურ კორექციას;
5. სვამს კითხვებს, აკეთებს შენიშვნებს;
6. აწყვეტინებს პარტნიორებს საჭიროების შემთხვევაში; განსაზღვრავს ჯერის ცვლას ან სიტყვას გადასცემს ახალ მონაწილეს.
7. აჯამებს რეპლიკებს, მონაწილეთა გამოსვლებს და საუბრის მთელ მიმდინარეობას, ამთავრებს მას.

ორგანიზატორის **მოვალეობებია** დიალოგში: თავაზიანობის წესების დაცვა, მონაწილეთაგან სამეტყველო ეტიკეტით განსაზღვრული კორექტული მიმართვების გამოყენების მოთხოვნა, რომელიმე მოსაუბრის თავხედური გამოხტომის, უცენზურო გამოთქმების, ლანდლების, დიალოგის მონაწილეთა მხრიდან პიროვნების უნებური შეურაცხყოფის თავიდან არიდება, დაძაბული სიტუაციის განმუხტვა, საუბარში თვითჩართვის ბოროტად გამოუყინებლობა, კომენტარისთვის განკუთვნილი დროის დაცვა, ყველა კომუნიკანტის მიმართ ერთნაირი ყურადღების გამოჩენა; დიალოგის სწორად, თა-

ნამიმდევრულად წარმართვა, დროულად ჩართვა და საუბრის გაჭი-ანურების საფრთხის აცილება, მონაწილეებისთვის აზრის დაკონ-კრეტებაში შეშველება და ა. შ.

თითქმის ნებისმიერ დიალოგში გამოიყოფა ე.ნ. **აქტიური** (ინი-ციატორული) და **პასიური** (მორეაგირე) როლები. ერთი მონაწილე არის ინიციატორი, მეორე კი რეაგირებს მის რეპლიკებზე ამა თუ იმ ქცევით. ინიციატორული და რესპონდენტური ჯერი დაწყვილებულია, ეტიკეტურ ფორმულებშიც წინასწარა დადგენილი, რა პასუხი უნდა გაიცეს: ერთი პიროვნება ესალმება, საპასუხოდ მეორეც ესალმება, ერთ-ერთი ემშვიდობება, მეორეც ემშვიდობება, ვიღაც ბოდიშს იხდის – პარტნიორიც ცდილობს დანაშაულის ან სიტუაციის შემსუბუქება-გაიოლებას, ერთი ლოცავს ვინმეს ან ულოცავს დაბა-დების დღეს – მეორე მადლობას იხდის, ქათინაურის თქმას მორიდე-ბული მადლობა მოსდევს, შეკითხვას – პასუხი, შეთავაზებას – მისი მიღება ან უარის თქმა მობოდიშებით (თანხმობა რაიმე სახის კო-რექტივით), საყვედურს – ბოდიში ან თავის მართლება...

გარკვეულ ენობრივ კოლექტივში დაწესებულიც კია, რა რეაქ-ცია უნდა გამოიხატოს ამა თუ იმ ინიციატორულ გამოსაუბრებაზე. მაგ., საყვედურის თქმაზე მორიდებული ბოდიში უფრო თავაზიანია, ვიდრე გაუთავებელი თავის მართლება, ქათინაურზე – თავმდაბალი გაბათილება, შერბილება და არა – დამოწმება და ამაყი შეფერება, მისალმებაზე – საპასუხო სალამი და შემდგომი მოკითხვა და ა. შ.

მაგ., ორი მანდილოსნის საუბარი:

„ა. – რა მშვენიერი კაბა გაცვია! გადასარევად გამოიყურები და ძალიან გიხდება!

ბ. – ოჳ, რომ იცოდე, რამდენი ხნისაა, ჯერ კიდევ გათხოვებამ-დე ვიყიდე!

ა. – რას ამბობ? ძალიან თანამედროვეა. მაშინვე შეგნიშნე, თან საოცრად გამხდარი ჩანხარ, მგონი, ათ წელსაც გაკლებს.

ბ. – ოჳ, გმადლობთ, ძალიან გამახარე, რა ყურადღებიანი ხარ!“ (ყოფ. საუბ. 17).

შდრ. მეორე დიალოგი, რომელშიც ქალი იფერებს ქებას, რაც ნაკლებად მოსალოდნელი იყო სტერეოტიპულ სიტუაციაში და თა-ნამოსაუბრის მოლოდინი ცრუვდება:

„ა. – ოჳ, ირა, რა ლამაზი ხარ დღეს! როგორ ახერხებ, რომ სულ ფორმაში იყო და ასე ახალგაზრდა ჩანდე!

ბ. – რა ვიცი, აბა! ვცდილობ, როგორდაც მართლა ვინარჩუნებ სილამაზეს!“ (ყოფ. საუბ. 18).

ასეთ შემთხვევაში თანამოსაუბრე უხერხულობას გრძნობს, რადგან ჩვეულებრივი და მოსალოდნელი რეპლიკა არ მოჰყვა მის ქათინაურს.

ზოგჯერ რესპოდენტური როლი ბოლომდე პასიური რჩება: უპასუხებს მხოლოდ დასმულ შეკითხვებს, ეთანხმება ან უარყოფს რამეს.

ეს როლები ხშირად ცვალებადია: ინიციატორი იქცევა რესპონდენტად და პირიქით. ამკარად გამოხატულია ინიციატორული და რესპონდენტური როლები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, ასიმეტრიულ ყოფით საუბრებში დამახასიათებელია ინიციატორულ-რესპონდენტური როლების მონაცემები.

დიალოგებში არსებობს **აქციდენტური** (ლათ. *accidens, accidentis* – „შემთხვევითობა“) ანუ **ცვალებადი, არჩევითი როლები**, რომლებიც დროებითია, განპირობებული სიტუაციით ან მოსაუბრის ფუნქციით, საუბრის თემითა და სახეობით. კომუნიკანტს უპირატესობა ენიჭება მხოლოდ ალნიშნულ შემთხვევაში. მაგ., კამათის დროს მეტ ხანს ალაპარაკებენ გამორჩეულ სპეციალისტს, საქმის განსაკუთრებულად მცოდნეს, ფინანსისტს, პოლიტიკურ მიმომხილველს, კონსულტაციაზე სხვაზე მეტის თქმის უფლება აქვს ექიმს (იურისტს...), უნებლიერ მოწმეს, საბოლოო სიტყვას კამათის შეჯამებისა და შეაფასებისათვის ფსიქოლოგს ან ექსპერტს აძლევენ... ე. ი. ფუნქციური როლი მცოდნე პიროვნებას ამა თუ იმ სიტუაციაში უფლებას აძლევს, ისაუბროს სხვაზე მეტი, უფრო ხშირად, წამოჭრას ახალი თემები, შეაფასოს და კომენტარი გაუკეთოს სხვის რეპლიკებს.

არჩევითი როლი შეიძლება დაეკისროს ყოველ მონაწილეს სიტუაციისა და საუბრის თემის მიხედვით, მაგრამ იგრძნობა გარკვეული იერარქიაც.

კომუნიკანტთა როლები ყოველთვის არაა წარმოდგენილი სუფთა სახით და საკმაოდ რთულ ურთიერთობებსაც ასახავს. მაგალითად, როლის ინსტიტუციური განაწილების მიხედვით რომელიმე პიროვნებას უკავია დაქვემდებარებული ადგილი საუბრის წარმმართველთან შედარებით, მაგრამ სოციალური სტატუსი უპირატესობას ანიჭებს (მსოფლიო დონის მეცნიერი, გამოჩენილი ხელოვანი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი და ა. შ.). მაშასადამე, მას აკისრია სპეციალური ფუნქცია განსახილველ თემასთან მიმართებაში, ამიტომ აქვს უპირატესობები. ამ დროს შესაძლებელია წარმოიქმნას დაბრკოლებებიც და საუბარი წარუმატებლად წარიმართოს (ან სულაც ჩაიშალოს). დისკურსის ანალიზში იყენებენ ტერმინს **როლების**

**კონფლიქტი**, როცა სიტუაციური როლი საუბარში ეწინააღმდეგება მონაწილის სოციალურ სტატუსს. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ერთგვარი ბრძოლა საუბარში ძალაუფლებისათვის, რაც განსაკუთრებით ხშირად ფიქსირდება პოლიტიკოსებთან, ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებთან პირდაპირ ეთერში დისკუსიების დროს, რადგან დაპირისპირება მულავნდება დიალოგებშიც. ასეთ ვითარებაში რესპონდენტი თავის თავზე იღებს ინიციატივას, აწყვეტინებს უურნალისტს, არ უპასუხებს მას კითხვებზე, უსწორებს, ზოგჯერ თავად იგდებს ხელთ ინიციატივას და წარმართავს წამოჭრილი თემის ანალიზს (ამას უწოდებენ **ჯერის მოპოვებას**).

მოუბართა უფლება-მოვალეობების დარღვევა საუბარს ჩაშლით ემუქრება და იკარგება კომუნიკანტთა „სახე“, მაშასადამე, იღვევა თავაზიანობის წესები.

სამეტყველო ეტიკეტის გამოვლენა საუბარში არის სწორედ მოუბრისა და მსმენელის ვერბალური, პარავერბალური, არავერბალური სიგნალებისა და უკუკავშირის დასამყარებელი საშუალებების ადეკვატური გამოყენება, კომუნიკანტთა აქტიურ-პასიური და ინიციატივულ-მორეაგირე როლების სიტუაციის შესაბამისი შერჩევა, რათა არ წარმოიშვას როლების კონფლიქტი.

### **3.1.2.4. კომუნიკანტთა რესპონდენტურობის (აქტიურობის) ხარისხი**

რეპლიკათა შინაარსობრივი და ორგანიზაციული კავშირის დამყარება აუცილებელია საუბრის წარმატებულობისთვის. როცა რეპლიკები ურთიერთდაუკავშირებელი და დაუწყვილებელია, ინიციატივულ რეპლიკას არ მოსდევს ადეკვატური პასუხი, მაშინ იღვევა კავშირი და შეიძლება საუბარი არც გაგრძელდეს. რესპონდენტის კომუნიკაბელობა ვლინდება სიტუაციის შესაფერისი ვერბალური ქცევის შერჩევაში. ამას უწოდებენ **რესპონდენტურობას**. გერმანელი მეცნიერი ი. შვიტალა გამოყოფს მის რამდენიმე სახესხვაობას (შვიტალა, 1976; 1979): 1. **სრულს**, როცა თანამოსაუბრე ზუსტად რეაგირებს მოსაუბრის ინტენციასა და შინაარსზე; 2. **ნანილობრივს**, როცა გათვალისწინებულია შინაარსის მხოლოდ ერთი ნაწილი; 3. **არა-რესპონდენტურობას**, როცა არც საუბრის შინაარსია გათვალისწინებული და არც მოუბარი პირის ინტენცია (გამიზნულობა).

რესპონდენტი ითვალისწინებს დასმულ შეკითხვას, იღებს ჯერს, მაგრამ პასუხში შეიძლება გადაუხვიოს თემიდან და წამოჭრას ახალი თემა ასეთი შესავლით:

” – იცით, მინდოდა გამომეტქვა ჩემი მოსაზრება სხვა საკითხთან დაკავშირებით!“

„ – მე თუ მკითხვათ, ეს კი არაა აქ არსებითი, არამედ...“

„ – დიახ, სწორედ ამ თემასთან შეიძლება გავიხსენოთ...“

რეპლიკათა თემატური კავშირი, აზრის უწყვეტი დინება აუცილებელია დიალოგის მონაწილეთა კონპერაციისათვის. დიდი საკომუნიკაციო დატვირთვა აქვს მსმენელის დროულ და ადეკვატურ სიგნალებს. რესპონდენტურობა გარკვეულწილად კომუნიკანტთა აქტიურობის ხარისხია. გამოიყოფა მისი სახეები: **აქტიურობა, ნანილობრივი აქტიურობა და პასიურობა**, მაგრამ რესპონდენტურობა მოიცავს კომუნიკანტის ქცევის ადეკვატურობასაც სამეტყველო სიტუაციასთან.

მსმენელი ჯერის მიღებისას საუბარში რეპლიკების ჰარმონიულ ბმულობას აღნევს რამდენიმე საშუალებით: 1. წინა რეპლიკის სიტყვების გამეორებით, 2. დაწყებული წინადადების დასრულებით, 3. მიბმული კონსტრუქციებით, 4. საკავშირებელი სიტყვებით, 5. მსმენელის სიგნალებით და სხვ. მაგალითად:

**I. აგრძელებს** მოუბრის წინადადებას და თვითონ ამთავრებს აზრს:

1. „ა. – არა, პირდაპირ წარმოუდგენელია ეს! ასეთი საქციელი...“

ბ. – აუტანელია! ვიცი, აღგაშფოთებს, აბა რა? თან ვისგან? მეც ასე მოვიქცეოდი! აბა, რა! ამის მოთმენა როგორ შეიძლება?“ (ყოფ. საუბ. 18)

2. „ა. – არა, ასე მოქცევა დედასთან შეიძლება?“

ბ. – არც მამასთან და არც ვინმესთან! რას ამბობ, ჯერ ზრდილობა უნდა ჰქონდეს ადამიანს და მერე განათლება...“ (ყოფ. საუბ. 18).

**II. დამთავრებულ რეპლიკას უერთდება** შესაბამისი კავშირით და განავრცობს მას:

ა. „ – არა, ამას სტუდენტს როგორ გავაბედვინებ ლექციაზე!

– რადგანაც შენ იცი, როგორ დაიჭირო თავი და საინტერესოდ ატარებ ლექციას!“ (ყოფ. საუბ. 18).

**III. იმეორებს** რეპლიკის საყრდენ სიტყვებს ან გამოთქმებს და ამით ხიდს დებს წინა რეპლიკასთან:

ა. „ – არა, ამას როგორ გამიბედავს სტუდენტი ლექციაზე!

– აბა, რა! გაბედვით კი გაბედავს, მაგრამ არ გაკადრებს, რადგან გაფასებს და პატივს გცემს!“ (ყოფ. საუბ. 18).

როცა შინაარსობრივ-ტექსტობრივი კავშირი ჰარმონიულად მყარდება, რეპლიკები ურთიერთდაკავშირებულია, საუბარი თანამშრომლობაა და კონვერსაცია წარმატებულია.

**ოფიციალურ სიტუაციაში** ქართული დიალოგური მეტყველებისთვის დამასასიათებელი აღმოჩნდა **ნაწილობრივი** რესპონდენტულობა, ანუ ნაკლები ყურადღების მიქცევა საუბრის შინაარსისთვის, ინდივიდუალურობის ხაზგასმა და კომუნიკაციების სწრაფვა აქტიურობისკენ. ყოველდღიურ დიალოგებში ხშირია **არა-რესპონდენტულობაც** (ოჯახურ დიალოგებში, კოლეგებთან საუბრებში), როცა მსმენელის აქტიურობა დაბალია, რეპლიკებზე რეაქცია – იშვიათი ან არაადეკვატური, განსაკუთრებით – კონფლიქტურ სიტუაციებში.

### 3.1.2.5. ჯერობა – მოუბართა ცვლა

**ჯერის მიღება და გადაცემა.** დიალოგური მეტყველების უმნიშვნელოვანესი თვისებაა **ჯერობა** (რიგითობა) (ინგლ. turn-taking, გერმ. Sprecherwechsel) ანუ მოუბართა ცვლა, მსმენელის მიერ მოუბარი პირისთვის სიტყვის ჩამორთმევა (სიტყვის აღება), ე. ი. მისი გადაქცევა მოუბრად და ჩართვა საუბრის პროცესში.

თითოეული კომუნიკაციის ნათქვამს ვუწოდებთ **რეპლიკას** ან **ჯერს**. გერმანული ტერმინის სიტყვასიტყვითი თარგმანია **მოსაუბრის წვლილი** (გერმ. Sprecherbeitrag, Redebeitrag, ინგლ. turn).

კომუნიკაციურ-პრაგმატული თვალსაზრისით საუბრის სტრუქტურული საფუძველი და უნივერსალური კატეგორიებია: **კითხვა** (Frage) ანუ **მიმართვა** (Anrede) და **პასუხი** (Antwort) ანუ **შეპასუხება** (Enwiderung). **კითხვა** და **პასუხი** დიალოგურ მეტყველებაში ქმნის ურთიერთდაკავშირებულ რთულ სტრუქტურულ მთლიანობას, რომელიც ხასიათდება პასუხების ელიფსურობით და კითხვისგან გამომდინარებით (მიბმულია ვერბალური ან არავერბალური საშუალებით). კითხვის კომუნიკაციური ფუნქციაა პასუხის სტიმულირება ანუ პროვოცირება, ე. ი. წარმოადგენს მასზე რეაქციას და დიალოგურ მეტყველებაში უნდა გაანალიზდეს მასთან ერთად.

დიალოგის ტიპების მიხედვით განასხვავებენ ჯერობის შემდეგ სახეებს: ჯერის მიღება **თვითარჩევანით** (საკუთარი ინიციატივით საუბარში ჩართვა) (გერმ. Selbstselektion, Selbstwahl) და ჯერის გადაცემა მოთხოვნით ან თხოვნით: **სხვისი არჩევანი**, როცა სიტ-

ყვას გადასცემს მოუბარი პირი (გერმ.Übergabe) ან საუბრის წამყვანი (გერმ.Regelung durch den Gesprächsleiter). მაგ.: ტელენამყვანი მიმართავს სახელით პიროვნებას, რომელსაც სიხოვს აზრის გამოთქმას (ბატონო ლევან, იმედია, მოგვახსენებთ თქვენს კომენტარს!). ზოგჯერ არცაა აუცილებელი ვერბალური საშუალება, შეხედვა, თავის დაკვრა ან ტელეოპერატორის კამერის მიმართვაც საკმარისია ამის-თვის.

ზოგჯერ მსმენელი ჯერს თვითნებურადაც **მოიპოვებს** (გერმ. Redeeroberung, Redebehauptung). დიალოგში შეიძლება ასევე ახალი თემების წამოჭრა, მხარდაჭერა და განვითარება (გერმ. Themenanregung და Themenannahme).

საუბრებში კომუნიკანტები ითვალისწინებენ დიალოგის წარმართვის უნივერსალურ წესებს, რომლებიც ხშირად ირღვევა ქართულ დიალოგებში:

1. ერთდროულად ლაპარაკის თავიდან აცილება;
2. იერარქიულობის დაცვა (უფროს-უმცროსობა ასაკის, სოციალური როლისა და სტატუსის მიხედვით, ქალისთვის უპირატესობის მინიჭება);
3. მოსაუბრისთვის ხელის შეუშლელობა შეწყვეტილი სათქმე-ლის დამთავრებაში;
4. იერარქიულად უპირატესობის მქონე მონაწილისთვის ჯერის დათმობა.

**ჯერობის ფორმები.** დიალოგურ მეტყველებაში მნიშვნელოვანია ჯერის სიგრძე-სიმოკლე, ინტერვალის არსებობა-არარსებობა ორ ჯერს შორის. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე და განსხვავებულია სხვადასხვა ტიპის საუბრებში, მაგრამ მაინც გამოყოფთ **მოუბართა ცვლის** (ჯერობის) ოთხ ფორმას დროში მიმდინარეობის თვალსაზრისით:

**1. უნივერტი ცვლა [gap],** როცა ბოლო და ახალ რეპლიკას შორის თითქმის არაა შესვენება. საუბარი მიმდინარეობს ინტენსიურად, შეუწყვეტლივ, მოსაუბრები ერთმანეთს ცვლიან დაუბრკოლებლად;

**2. ჯერის გადაფარვა [overlap]** ანუ ახალი მოსაუბრე საუბარს იწყებს წინა რეპლიკის დამთავრებამდე და რაღაც მონაკვეთში ორივე ერთდროულად ლაპარაკობს, თუმცა ეს მაინც არ აღიქმება ერთმანეთისთვის ხელის შეშლად, რადგან წინა რეპლიკის **ბოლო** ნაწილი ან ახლის **დასაწყისი** მაინც ერთგვარი ეტიკეტური ნაწილია. მაგ.: დიახ; მაშ, ასე; ჩემი აზრით; მე მაინც ასე მგონია; მინდოდა კი-

დევ ერთხელ შემქმნებინა; უკაცრავად, მაგრამ უნდა ვთქვა; ასე არაა? თქვენ რას იტყოდით? მე ჩემი აზრი მოგახსენეთ; მე მგონი, სხვაც დამეთანხმება.

**3. მოსაუბრეთა ცვლის დროს წარმოიშობა დუმილის მონაკვე-  
თი და იქმნება უხერხული სიტუაციები, ე.წ. „საუბრის ხვრელები“**  
(ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994, 207). დუმილად ითვლება  
მოკლე პაუზაზე ხანგრძლივი ინტერვალი.

ქართულ ენობრივ სივრცეში მოსაუბრეთა ცვლისას დიდი პა-  
უზები არაა, პირიქით, კომუნიკაციები უფრო ხშირად ლაპარაკობენ  
ერთდროულად ან ანუვეტინებენ ერთმანეთს სიტყვას, იშვიათად –  
სპეციალურად ჩუმდებიან და პასუხს თავს არიდებენ.

**4. არის მეოთხე ფორმაცი, როცა მსმენელი ანუვეტინებს წინა  
მოსაუბრეს საკუთარი ინიციატივით, არ აცლის მას სათქმელის დამ-  
თავრებას და თვითონ ერთვება დიალოგში.**

შეიძლება მცდარი ინტერპრეტაციის გამო რეპლიკა დამთავ-  
რებულად მიიჩნიონ და ამას უწოდებენ **ცრუ დასასრულს**.

ქართულ დიალოგებში ჩვეულებრივია, როდესაც ვინმე ხუმ-  
რობით ჩაურთავს დიალოგში რეპლიკას, ვიღაც ანეკდოტს ჰყვება ან  
რამეს გადასძახებს მეორეს. საერთო მხიარულებაში ჩართვა არ ით-  
ვლება საუბრის შეწყვეტად, მაგრამ აქაც უმეტესად იცავენ ზომიე-  
რებასა და უფროს-უმცროსობის (იერარქიის) წესებს: ასაკით, ცენ-  
ზით უმცროსი ან ხელქვეითი ხუმრობითაც კი არ ანუვეტინებს მეო-  
რეს სიტყვას (გამონაკლისი ყველგან არსებობს).

**დიალოგის შინაარსი და ენობრივი გამოხატულება.** რაც შე-  
ეხება დიალოგური მეტყველების თემატურ მხარეს, შინაარსობრივ-  
სტრუქტურულ კავშირს თემათა შორის, აქ გასათვალისწინებელია  
ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა კომბინაცია.

**სიმეტრიულ** სპონტანურ საუბრებში ახლობელთა წრეში დია-  
ლოგის სტრუქტურა არაა მკაცრად მოწესრიგებული და არც შინა-  
არსია ლოგიკურად დახვეწილი.

**ოფიციალურ** სიტუაციაში კი ადამიანი კონტროლს უწევს დი-  
ალოგის ყველა მხარეს და კითხვა-პასუხების თანამიმდევრობა გან-  
საზღვრავს რეპლიკის ენობრივ ფორმას. დიალოგის მონაწილეები  
ხშირად წინასწარ ამზადებენ კითხვებს, სიტყვას და ჩამოწერენ ძი-  
რითადს საკითხებსა და თემებს. რეპლიკათა შორის არის თემატური  
კავშირი და საერთოა კომუნიკაციური დატვირთვა.

ინიციატორული და რესპონდენტური როლების შესაბამისად  
განსხვავდება სამეტყველო აქტებიც. რესპონდენტური აქტი ერ-

თგვარი რეაქციაა: დაეჭვება გამონათქვამისადმი ან თანხმობა, ახალი სარწმუნო ფაქტების მოშველიება მხარდასაჭერად. ამას გარდა, რეაქცია ინიცირებაზე (რესპონდენცია) მასტიმულირებელია შემდგომი ჯერისათვის.

ყველაზე გავრცელებული ფორმა დიალოგისთვის არის კითხვა-პასუხი. **კითხვების** კლასიფიკაცია შეიძლება რამდენიმე თვალსაზრისით:

**1. შინაარსობრივად:** არჩევითი ანუ ალტერნატიული, ზოგადი (რომელიც მოითხოვს დადებითს ან უარყოფითს პასუხს), სპეციალური ანუ გამიზნული, უკუშეკითხვა (ანუ შემხვედრი შეკითხვა), ჩაკითხვა (განმეორებითი შეკითხვა გაუგებრობის შემთხვევაში), დადასტურებითი (შენ **ხომ** კინოში გინდონდა ნასვლა?); მსგავსი კითხვები გვხვდება მოუბარი პირის სიგნალებში გამონათქვამის ბოლოს: არა? ასე არა? ასეა ხომ? ხომ არ ვცდები? ხომ მეთანხმებით? თქვენც ასე ფიქრობთ, არა?; რიტორიკული (რომელსაც პასუხი არ გაეცემა, ისედაც ცხადია), ყოყმანის გამომხატველი (შეკითხვა, დასმული საკუთარი თავისადმი, მსმენელის ან მკითხველისადმი).

**2. სტრუქტურულად:** მთელი წინადადების მიმართ დასმული ან ცალკეული სიტყვის მიმართ (ვინ, რა, სად, როდის, რატომ, რის-თვის კითხვითსიტყვებიანი წინადადებები), ასევე პირდაპირი, ირიბი და ექსლებრი კითხვები.

**3. სიტუაციის მიზნის** მიხედვით: ა. ცოდნის შესამოწმებლად დასმული (გამოცდაზე, სასწავლო პროცესის დროს: გაკვეთილზე, სემინარზე, პრატიკულზე); ბ. ვითარების გასაგებად, დასაზუსტებლად ან ახალი ინფორმაციის მისაღებად (მაგ., უურნალისტის ტელეინტერვიუ, უცნობთან საუბარი, ყოველდღიურ სიტუაციებში რამის გასაგებად, საკონსულტაციო საუბრებში, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში); გ. ოფიციალური, წინასწარ მომზადებული, დაკანონებული შეკითხვები, დასმული დადგენილი თანამიმდევრობით (რიტუალური ცერემონიის შესრულების დროს: ქორწინება, ჯვრისწერა, სხდომის წარმართვა, დისერტაციის დაცვა და სხვ.); დ. სასამართლო პროცესზე ან დაკითხვისას დასმული შეკითხვები და სხვ.

დიალოგის სპეციფიკური ფორმაა **დისკუსია**, რომლის დროსაც ხდება აზრების გაცვლა-გამოცვლა, რამის დადასტურება ან უარყოფა. კამათში აუცილებელია საკუთარი მოსაზრების განმტკიცება **არგუმენტაციით**.

ცალკე ვასახელებთ **თხრობას**, როგორც დიალოგური მეტყველების ერთ-ერთ მოზრდილ მონოლოგურ სეგმენტს, რომელიც ასა-

ხავს ან ინტერპრეტაციას უკეთებს მოუბარი პირის პოზიციას, შეხე-დულებებს, წარმოდგენას, აღქმას. ყოველდღიურ საუბრებში ხში-რად ჰყვებიან ამბებს (მაგ., ფინჯან ყავასთან, ქართულ სუფრასთან, ახალგაზრდულ წვეულებებზე), ანეკდოტებს, ხუმრობებს, გამოგო-ნილ ან ნამდვილ ამბებს.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, ქართული დიალოგური მეტყვე-ლების ანალიზის **შუა დონეზე** აშკარა მსგავსება სხვა ენებზე წარ-მართულ საუბრებთან რეპლიკათა ფუნქციებში, თემატური ურთი-ერთყავშირის ხერხებისა და კომუნიკანტთა როლების სახეებში (ინსტიტუციური და სიტუაციური, ინიციატორული და რესპონდენ-ტური, მუდმივი და ცვლადი, სიმეტრიული და ასიმეტრიული). ქარ-თულ სინამდვილეში ხშირია **როლების კონფლიქტი**, როცა სიტუა-ციური როლი ენინაალმდეგება კომუნიკანტის სოციალურ სტატუსს.

### 3.1.3. ანალიზის მიკროდონე

ქართული დიალოგური მეტყველების **მიკროდონე** გულის-ხმობს ზეპირი დისკურსის **ლინგვისტური** (მორფოლოგიურ-სინ-ტაქსური და ლექსიკური) პარამეტრების დახასიათებას.

ყოველ გამონათქვამს, თავის მხრივ, აქვს სამი დონე: 1. პრო-პოზიცია ანუ შინაარსი; 2. ილოკუცია ანუ ფუნქცია; 3. სტილი ანუ ენობრივი ფორმა (ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი, 2005დ).

ერთი და იმავე ილოკუციური მნიშვნელობის გადმოცემა შეიძ-ლება რამდენიმე გამონათქვამით, რომელთა შორის განსხვავება სწორედ მიკროდონებზეა ანუ ენობრივ ფორმებში (ასევე პარალინ-გვისტურ და არალინგვისტურ საშუალებებში). დიალოგურ მეტყვე-ლებაში ენობრივი საშუალებების მრავალფეროვნებაში შეიძლება დავრწმუნდეთ მარტივი მაგალითის მოშევლიებით. წარმოვიდგი-ნოთ სიტუაცია: დედა შეესწრო შვილების (და-ძმის) გაცხარებულ კა-მათს და უნდა მათი დაშოშმინება. წარმოვადგენთ რამდენიმე შესაძ-ლებლობას, რაც შეიძლება უთხრას მათ დედამ:

1. ახლავე შეწყვიტეთ ჩეუბი!
2. გაჩუმდით!
3. აბა, ახლა გეყოთ!
4. ძალიან გთხოვთ, გაჩუმდით რა!
5. ეჲ, ნეტა თქვენ მუდამ არ ჩეუბობდეთ!
6. დღეს მაინც რაზე ატეხეთ ჩეუბი?
7. მართლა არ მესმის, რა გჭირთ.

8. ეს გამუდმებული კამათი პირდაპირ აუტანელია!
9. სიჩუმე!
10. აბა, კმარა!
11. ოჰ, ეს გაუთავებელი ჩხუბი!
12. თუ არ გაჩუმდებით, მამათქვენს დავუძახებ!
13. თქვენ ნამდვილად გინდათ, ნააღრევად მომკლათ!
14. პირდაპირ გასაკვირია, ამდენი საკამათო რა გაქვთ?
15. აჯობებს ერთ-ერთმა მაინც დათმოს.
16. ერთს ხომ მაინც შეუძლია გაჩერება.
17. თქვენც და-ძმა გქვიათ რაღა! და ა. შ.

დედის სურვილი (ილოკუციური ფუნქცია), რომ შვილებმა შეწყვიტონ ჩხუბი, გამოხატულია სხვადასხვა ენობრივი ფორმით: ბრძანებით (1, 2, 3, 9), თავაზიანი თხოვნით (4), შეკითხვით (6), სურვილით (5), მტკიცებითა და ფაქტის აღნიშვნით (7, 8), ირონიით (17), მუქარით (12), საყვედურით (13), გაკვირვებით (14), რჩევით (15), ვარაუდით (16), აღშფორთებით (11). მართალია, ჩამოთვლილი გამონათქვამების ილოკუცია ერთია, მაგრამ მათ შორის სხვაობაა ენობრივ ფორმაში: ნაწილაკებსა და შორისდებულებში, ლექსიკური ერთეულების ემოციურ შეფერილობაში, ექსპრესიულობაში, ნინადადებათა მოდალურ-სტრუქტურულ სახეებში, ასევე – ინტონაციასა და უესტ-მიმიკაში. მსგავსი მაგალითების განხილვა გვარჩმუნებს, რომ კითხვითი წინადადება არ გამოხატავს მხოლოდ კითხვას, თხრობითი – ფაქტს, ბრძანებითი – ბრძანებას და სხვ. ყველა ჩამოთვლილ მაგალითს ვერც მივიჩნევთ წინადადებად (9, 10, 11), თუმცა თითოეულს აქვს ილოკუციური ფუნქცია და ზემოქმედების უნარი.

ვერბალურ საშუალებათა არჩევანზე დიალოგურ მეტყველებაში ზემოქმედებას ახდენს ყველა ექსტრალინგვისტური ფაქტორის კომბინაცია.

დიალოგის ლინგვისტური მხარე უნდა დახასიათდეს სხვადასხვა ტიპის საუბრისთვის ცალ-ცალკე და ერთ ნაშრომში ამ საკითხის ბოლომდე ამონურვა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ გამოვყავით მხოლოდ ძირითადი მახასიათებლები (საკომუნიკაციო რეგისტრების ინდიკატორთა შესაბამისად) და განსაკუთრებული ყურადღება დაუუთმეთ დიალოგური მეტყველების სპეციფიკურ სიგნალებს.

დიალოგის (საუბრის) ანალიზის მიკროდონეზე შესაძლებელია ენობრივი ერთეულების სემანტიკური დახასიათება, გრამატიკული კატეგორიების კომუნიკაციური მნიშვნელობების გამოყოფა საუბრის ოფიციალურობის ხარისხის გათვალისწინებით. უპირველეს

ყოვლისა, ეს ეხება პერსონალობის (პირისა და რიცხვის), მოდალობის (კილოს), ტემპორალობის (დროის) კატეგორიების ტრანსსემანტიზაციას, გვარის სტილისტურ დანიშნულებას, რაღვან კომუნიკაციის დროს გრამატიკული ფორმა ზოგჯერ განსხვავებულ სემანტიკურ-სტილისტიკურ დატვირთვას იძენს (ამოსავალი სემანტიკა ვიწროვდება, ფართოვდება ან გადაიაზრება).

საუბრის **ლინგვისტური** მახასიათებლები, უნინარეს ყოვლისა, ეხება სათქმელის შინაარსის გამოხატვას ენობრივი ერთეულებით: 1. **გრამატიკულით:** ა. **მორფოლოგიური** საშუალებებით (სიტყვათა ფორმები, გრამატიკული კატეგორიები), ბ. **სინტაქსურით** (სამეტყველო აქტთა სახეები შინაარსის მიხედვით, სიტყვათა წყობა, წინადადებათა კონსტრუქციები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები); 2. **ლექსიკურით** (ემოციურ-ექსპრესიული და შეფასების გამოხატველი სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები).

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ ლინგვისტურ მახასიათებლებზე, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დიალოგის სხვადასხვა საკომუნიკაციო რეგისტრის შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ პერსონალობასა და **მოდალობას.**

### 3.1.3.1. მორფოლოგიური დონე

#### I. მოუბარი პირი და გრამატიკული კატეგორიები

ვერბალური კომუნიკაციისათვის ამოსავალია მოუბარი პირი, რომლის თვალსაზრისი და პოზიცია გადამწყვეტია. ენას სამართლიანად მიიჩნევენ **სოლიმფასისტურ** სისტემად (ლათ. solus „ერთადერთი“+ipse „თვით“), რადგან გარე სამყაროს შეფასება ხდება მოსაუბრის პოზიციიდან (იხ. ჯორბენაძე, 1997, 101) ანუ ენა **ეგოცენტრულია** (ego – „მე“), „მე“-ზე კონცენტრირებული (იხ. თანდაშვილი, 1996; 1998).

მხატვრულ ან პუბლიცისტურ ნაწარმოებში მოუბარი პირია თავად ავტორი, რომელიც თხრობას ზოგჯერ პირველ პირში წარმართავს, ხანაც პასიურ მთხოვბელად გვევლინება. ასეთ შემთხვევაში ადრესატია ყველა მკითხველი (ე.წ. **კოლექტიური** ადრესატი). სამეცნიერო დისკუსიებში მსჯელობა ძირითადად III ან განუსაზღვრელ პირშია გადმოცემული ოპიტეტურობის პრინციპის დასაცავად, ხოლო საკუთარი წვლილის ხაზგასასმელად ავტორი იყენებს I

პირის მრავლობით რიცხვს (ე.ნ. ავტორისეულ „ჩვენს“).

ზეპირი დიალოგური მეტყველება, როგორც ვერბალური კო-მუნიკაციის ერთ-ერთი სახეობა, ცხადია, ეფუძნება მოუბარი პირის პოზიციას, რომელიც ხან ირიბი ობიექტია, ხან – პირდაპირი, ხანაც უშუალოდ არა დაკავშირებული მოქმედებასთან. ამიტომ მოქმედების სუბიექტი არ უნდა გავაიგივოთ მოუბარ პირთან – საუბრის სუბიექტთან.

უკვე აღვნიშნეთ, რომ კომუნიკაციის დეიქტური ველის კოორდინატებია: „მე – შენ – აქ – ახლა“. მაშასადამე, საუბარი მიმდინარეობს მოუბარსა (მე) და მსმენელს (შენ) შორის (რომელთა როლები ცვალებადია) გარკვეულ ადგილას (აქ) და აქტუალურ დროში (ახლა). გამონათქვამისთვის ათვლის წერტილია **უბნობის** მომენტი და **ადგილი** (იხ. წინ სქემა № 2).

ყოველ სამეტყველო აქტში გამოხატულია სინამდვილე, რომელშიც მონაწილეობენ კომუნიკანტები. **მოუბარი პირი** მიემართება **მსმენელს (ადრესატს)**, მოქმედების სუბიექტს (ან ობიექტებს), საკომუნიკაციო **სიტუაციას** (ადგილს, დროს), არსებულ სინამდვილეს და თვით გამონათქვამს. ენობრივი ერთეულები ასახავენ მიმართებას კომუნიკაციის მოდელის კომპონენტებთან. ენაში, როგორც კომპლექსურ სისტემაში, ყველა ერთეული მოუბარი პირის პრიზმითა გარდატეხილი.


თითოეული ზმნური კატეგორია უკავშირდება საკომუნიკაციო მოდელის რომელიმე კომპონენტს: I. კომუნიკანტებს (მოუბარსა და ადრესატს), II. სიტუაციას (დროსა და ადგილს), III. გამონათქვამსა და სინამდვილეს.

I. **კომუნიკანტებთან და მოქმედების სუბიექტ-ობიექტთან დაკავშირებულია:** **პერსონალობა** (პირისა და რიცხვის კატეგორია), რომელიც ასახავს სამეტყველო აქტში მონაწილესა და მოქმედების შემსრულებელს; **დესტინაცია** (ქცევა, ადრესატობა) – ობიექტების პოსესიურ-დანიშნულებითს მიმართებას სუბიექტთან ან ერთმანეთთან; **გვარი** – სუბიექტის მიმართებას მოქმედების შესრულებასთან აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით (პასიური გვარის ზმნაში რეალური სუბიექტი გრამატიკულად ობიექტია, გრამატიკული სუბიექტი კი – რეალური ობიექტი); **კონტაქტი** – მოქმედების შესრულების უშუალობას და შუალობითობას (ბრძანებით, იძულებით, თხოვნით, დახმარებით მოქმედების შესრულება).

II. **სიტუაციას უკავშირდება:** **ტემპორალობა:** a. დრო – **უბნობის** მომენტის მიმართება მოქმედების დროსთან (ახლანდელი, წარ-

სული და მომავალი დრო; ასპექტი, გზისობა); ბ. ლოკალიზაცია – მიმართება მოქმედების ადგილთან (გეზი, ორიენტაცია, სიტუაცია);

III. მოუბარი პირის დამოკიდებულება სინამდვილესა და და გამონათქვამის ჭეშმარიტება-მცდარობასთან – მოდალობა (ზმნის კილო და უნახაობითობა, როგორც მისი ერთ-ერთი სახეობა; იხ. სქემა № 8).



სქემა № 8. საკომუნიკაციო აქტი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები

როგორც ვხედავთ, მოუბარი პირის პოზიცია ამოსავალია თითოეული ზმნური კატეგორიისათვის (იხ. მელიქიშვილი, 2001; უთურგაიძე, 2002). თუ ამ კატეგორიებს დაუკავშირებთ სემანტიკურს, აღმოჩნდება, რომ კომუნიკაციის მოდელი მოიცავს მთელ ენობრივ ტექსტს (ამ შემთხვევაში – დიალოგს): I. პერსონალობის სემანტიკურ კატეგორიაში გაერთიანდება პირის ნაცვალსახელები; დესტინაციაში – კუთვნილებითი ნაცვალსახელები; ტემპორალობაში – დროის ზმნიზედები; ლოკალიზაციაში – ადგილის ზმნიზე-

**დები; მოდალობაში** – მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, შორისდებულები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები.

ამ სქემით შეიძლება დავრჩნენდეთ, რომ კომუნიკაციაში ყველა დონის ენობრივი ერთეული მონაწილეობს და ქმნის საკომუნიკაციო რეგისტრს, რომელშიც მათი ფუნქციები ურთიერთგანპირობებულია და განისაზღვრება კომპლექსურად. კომუნიკაციური მოდელი ასახავს ამ ერთეულთა ურთიერთკავშირს და სემანტიკურ კატეგორიათა ველები მოიცავს ყველა ენობრივ საშუალებას.

დიალოგურ მეტყველებაში ყველაზე მეტად მულავნდება ენობრივი ერთეულების სემანტიკური რელატიურობა (ფარდობითობა), რადგან ყველა გრამატიკული კატეგორიისა თუ ლექსიკური ერთეულის სემანტიკა განპირობებულია პრაგმატული კონტექსტით, შეფარდებითია, რაც განსაზღვრავს ენისა და მეტყველების დინამიკურობას და მოქნილობას.

## II. პერსონალობა

დიალოგური მეტყველების ლინგვისტური პარამეტრების დახსასიათებას ვიწყებთ **პერსონალობის** კატეგორიით.

დიალოგური მეტყველება ანუ საუბარი ვერ წარიმართება კომუნიკანტების გარეშე. **პირი**, როგორც ზმნის გრამატიკული კატეგორია, გამოხატავს მოქმედებისა (პროცესის) და სუბიექტის (ხანაცობიერების) დამოკიდებულებას მოუბარ პირთან (იხ. ახმანოვა, 1966, გვ. 220; როზენტალი/ტელენკოვა, 1982, 121). პირის კატეგორია საზიაროა პირის ნაცვალსახელების ლექსიკურ-გრამატიკულ ქვეკლასთან, მაგრამ აქ პირი ლექსებთა ნაკრებია და არა – გრამატიკულ ფორმათა წყება (ლელ, 1990, 271). ამიტომ პირს უწოდებენ „სუპერკატეგორიას“ (რევზინა, 1973). ე. ბერვენისტი პირთან აერთიანებს რიცხვის კატეგორიასაც (ბერვენისტი, 1974), ხოლო რ. იაკობსონი პირს აკუთვნებს კატეგორია-შიფტერებს, რადგან მისი მეშვეობით მყარდება კავშირი გამონათქვამსა და სამეტყველო აქტს (კომუნიკანტებს) შორის (იაკობსონი, 1972).

**მოუბარი** პირი, როგორც კომუნიკაციის ცენტრი, ამოსავალია ლინგვისტური დეიქსისისათვის. „მოუბარი ადამიანი უბნობის მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანი კატეგორიაა ზმნის სტრუქტურაში – ის გამოსავალია პირთა გაგებისათვის: მოუბარი, რომელიც ითვლება პირველ პირად, განსაზღვრავს მეორეს, ორივე ესენი ერთად კი არკვევენ მესამეს. ყოველგვარი საუბარი, თხრობა, მსჯელო-

ბა ისე მიმდინარეობს, რომ უეჭველად მოუბრად იგულისხმება ვინ-მე. ყოველი წიგნი... ისეა დაწერილი, რომ ყოველ ფრაზაში მოუბრის თვალსაზრისია გატარებული” (შანიძე, 1973, 168).

მეტყველების აქტში მონაწილეობის მიხედვით პირის გრამატიკულ-სემანტიკურ ველს ვყოფთ ორ მიკროველად: 1. საუპარში მონაწილე პირები (კომუნიკაციები): I პირი (მოუბარი), II პირი (მსმენელი) და 2. მეტყველების აქტის გარეთ მყოფი პირი (III). ჭეშმარიტი პირები სწორედ I და II არის, ხოლო III შეიძლება იყოს ადამიანიც, ცხოველიც, საგანიც, მოვლენაც. ის არც მოუბარია და არც მიმართვის ადრესატი, არამედ მის შესახებ საუბრობენ კომუნიკაციები<sup>1</sup> (იხ. სქემა № 9).

პირველ მიკროველში გამოვყოფთ ორ ზონას: მოუბარი პირი-სას (I) და მსმენელისას (II). ველის ბირთვში აღნიშნულია პირის პირდაპირი, პირველადი მნიშვნელობები:

„მე“ (I პირი) წარმოადგენს მოუბარს (მეტყველების ან გამონათქვამის სუბიქტს, ავტორს, მეტყველების აქტის წყაროს, ადრესანტს);


„ჩვენ“ გულისხმობს ორ ან მეტ პირს, რომელთა შორის აუცილებლად ურევია მოუბარი პირი (ე.ი. ინკლუზიური – მე და შენ/თქვენ ან ექსკლუზიური – მე და ის/ისინი).

„შენ“ – მეორე პირი არის მსმენელი (ან თანამოსაუბრე), კომუნიკაციის დროს ადრესატი, რომელსაც მიმართავს მოუბარი.

„თქვენ“ – მრავალი თანამოსაუბრე ან მსმენელი (შენ+ შენ, შესაძლებელია – არაკომუნიკანტიც (შენ+შენ... +ის/ისინი)).

დიალოგური მეტყველებისთვის განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება პერსონალობის მორფოსემანტიკური ველის პერიფერიული ნაწილი, რომელშიც იგულისხმება პირის არაპირდაპირი (გადატანითი, მეორეული, კონტექსტური) მნიშვნელობები. პირის კატეგორიის გამოხატულების პლანის მიმართება სემანტიკურ ვარიანტებთან შეიძლება დაკონკრეტდეს არა მარტო ლინგვისტური (ლექსიკური, სინტაქსური, სტილისტიკური...), არამედ ექსტრალინგვისტური (სიტუაციური, სოციალური, სპეციალიზებული) კონტექსტით (იხ. ვასილიევი, 1990, 149).

<sup>1</sup> ჩვენ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ III პირი არ ჩაითვალოს პირად, რადგან ის გრამატიკულად მაინც პირია და ქმნის ოპოზიციას I-II პირებთან, თუმცა არ მონაწილეობს საკომუნიკაციო აქტში.



სქემა № 9. სამეტყველო აქტი და ზმის პირები

ენათმეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სემანტიკა გამოხატავს სამ მიმართებას: საგნისადმი (**დენოტატიურს**), ცნებისადმი (**სიგნიფიკატურს**), სამეტყველო აქტის პირობებისა და მონანილებისადმი (**პრაგმატულს**), სხვა ენობრივი ნიშნებისადმი (**სტრუქტურულს**) (იხ. შეხედულება მართებულია პირის კატეგორიისთვისაც. პირის სემანტიკისთვის განმსაზღვრელია მიმართება მეტყველების აქტის პირობებისა და მისი მონანილებისადმი (**პრაგმატულ-დენოტატიური ასპექტი**). თავის მხრივ, ამას ემატება კომუნიკანტთა ურთიერთმიმართება (**სოციოლინგვისტური ასპექტი**).

ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყოფილია პირის შემდეგი სემანტიკურ-სტილისტური სახეობები: კვალიფიციური პირი (denoted person) – ე.წ. ავტორისეული მრავლობითი, განუსაზღვრელი და ზოგადი (ანუ განზოგადებული) პირი (ახმანოვა, 1966). ენციკლოპედიურ ლინგვისტურ ლექსიკონში აღნიშნულია პირის სემანტიკური ცვლილებები: **უპირობა** („светает“), **განუსაზღვრელობა** („Его не любят“) და **განზოგადებულობა** („Слезами горюю не поможешь“) (ლელ, 1990, 271–272). ასევე დახასიათებულია საერთოდ მრავლობითი რიცხვის 5 სემანტიკური ტიპი, რომელთა შორის ერთ-ერთია თავაზიანობის, განდიდების მრავლობითი ნაცვალსახელებსა და ზმნებში („Мы“ – სამეფო დოკუმენტებში, რუსული თავაზიანი „Вы“ – თქვენ, გერმ. Sie) (ლელ, 1990, 584; ყაუხჩიშვილი, 1968).

პირისა და რიცხვის კატეგორიათა ერთობლიობის აღსანიშნა-

ვად ვიყენებთ ტერმინ **პერსონალობას** (იხ. ზექალაშვილი, 2005ა).

ქართულში პირის სემანტიკა ძალზე მობილური და დინამიკურია, მისი შინაარსისა და გამოხატვის პლანებს შორის მეტყველების დროს ზოგჯერ არ დაისმის იგივეობის ნიშანი: ფორმით რომელიმე პირი შინაარსით შეიძლება იყოს **განზოგადებული** (ეხებოდეს ყველა პირს საერთოდ), **განუსაზღვრელი** (არ იყოს ნაგულისხმები კონკრეტული პირი), აღნიშნავდეს სულ სხვა პირს ან საერთოდ დაკარგული ჰქონდეს პირის სემანტიკა (**იმპერსონალურ ზმნებში**). პერსონალობის სემანტიკური ცვლა დამოკიდებულია სამეტყველო აქტის მონაწილეთა, კერძოდ, მოუბარი პირის მიზანდასახულებაზე ანუ განპირობებულია სამეტყველო ტაქტიკით: თავი აარიდოს ადრესანტის/ადრესატის პირდაპირ დასახელებას და პირი გამოხატოს განზოგადებულად ან განუსაზღვრელად (ამავე მიზანს ემსახურება ზოგჯერ ზმნის აქტიური ფორმის ჩანაცვლება პასიურით, როცა მოქმედი პირი აღარ აღინიშნება ზმნის სუბიექტად, მიჩქმალულია და კონცენტრირება ხდება თვით მოქმედებაზე, მოვლენაზე). პერსონალობის ტრანსსემანტიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ენის სოციალურ ბუნებასთან და ამიტომაც მისი არსის წვდომისათვის გადამწვეტია სოციოლინგვისტური ასპექტი.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოყოფთ პერსონალობის **სემანტიკური ტრანსპოზიციის** (ტრანსსემანტიზაციის) რამდენიმე სახეობას (იხ. სქემა №10):

I. **ნაწილობრივ** ანუ **არასრულ ტრანსსემანტიზაციას**, როცა პირველადი მნიშვნელობა ფართოვდება, თუმცა ზმნის ფორმით (ან ნაცვალსახელით) გამოხატული კონკრეტული გრამატიკული პირი არაა გამორიცხული.

1. **განზოგადებული** პირი გულისხმობს განურჩევლად ყველა პირს. გამოყენებულია ანდაზებში, ზოგად შეხედულებებში, აღიარებულ ჭეშმარიტებებში, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების აღსანიშნავად. განზოგადებული შეიძლება იყოს როგორც I პირი (მხ. ან მრ. რიცხვში), ისე II პირიც (უმეტესად მხ. რიცხვში), იშვიათად III პირის მრ. რიცხვიც:


ა. I პ. მხ. რ. „**მოუბარი პირი:**

„ვაზროვნებ – მაშასადამე, ვარსებობ“.

„რაც რომ ავი საქმე ვქვენი, ყველა თავზე დამიბრუნდა“ (ანდ.).

ბ. I პ. მრ. რ. „**ჩვენ**“:

„ჩვენ თავს არავის დავატყვევებინებთ... გვაროვნობით ვართ ასეთი“ (კლდ.).



სქემა №10. ზმინის პირისა და რიცხვის (პერსონალობის)  
ტრანსსემანტიზაცია

„ნამეტან უსაშუალობაში ვართ ჩავარდნილი და გასაკვირველია, რომ კიდევ ხალისიანათ ვართ (კლდ.).

„ხანდახან ისე აფედობამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს უბედურებას ვერა ვხედავთ“ (ჭავჭ.).

ზეპირი დიალოგებიდან: „თან ქართველები სწობებიცა ვართ, ამოჩემება ვიცით. ვიტყვით, რა მაგარია, რა მაგარი და შერჩება ხოლმე ეს სახელი ბოლომდე“; „მაგრამ რადგან ქართველები ასეთი ემოციურები ვართ, პირდაპირ დედის გინებაზე გადავდივართ და მძაფრად ჩანს. ემოციური ხალხი ვართ და ცოტა ქაჯებიც“ (ინტ. 6. შატ.).

### გ. II პირი „შენ“ – მსმენელი, ადრესატი:

დიალოგში მეორე პირი აღნიშნავს საუბრის თანამონაწილეს, კომუნიკაციის პარტნიორს, ადრესატს, მაგრამ ხშირად **შენ** განზოგადებულია, ადრესატი კოლექტურია, იგულისხმება ყველა და არა რომელიმე კონკრეტული პირი. ამიტომ მეორე პირი ყველაზე ხშირა-

დაა გამოყენებული ანდაზებში, აფორიზმებში, სენტენციებში, გან-  
ყენებულ მსჯელობებში:

„ქვევრს რასაც ჩასახებ, იმას ამოგძახებსო“ (ანდ.).

„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“  
(ანდ.).

„რაც მოგიყავ, დავითაო, ყველა შენი თავითაო“ (ანდ.).

„თუ წუთისოფელს ერთს ბერნ ხანს თვალი მოუხუჭვ, ისე გაგ-  
თელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“ (ჭავჭ.).

ზეპირმეტყველებაში ხშირად გვხვდება | პირის მაგივრად || პი-  
რის გამოყენება, რომელსაც განზოგადებულობის სემანტიკაც ემა-  
ტება:

„— არა მგონია, იქ ვინმე რამეს გათქმევინებდა და მოგისმენ-  
და“ (გადაც. „პირვ.“).

მოვიყვანთ ნაწყვეტებს სამი ინტერვიუდან, რომლებშიც ბევ-  
რჯერაა ეს ხერხი გამოყენებული: „როცა პირველად აღმოაჩენ, რომ  
რაღაც შეგიძლია, გინდა გილაცას გაუზიარ ეს აღმოჩენა“; „ახლა მე  
გინდა მაქს და გინდა მაძაბეჭ, ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა  
არა აქვს“; „ახალგაზრდა გადაჭარბებით არც უნდა შეაქო და არც  
უნდა აძალო და ძალიან სიფრთხილით უნდა მოეკიდო... არ უნდა გაი-  
მეტო მწერალი დასაღუპად. შეიძლება არც სარწმუნოება გქონდეს,  
არც მამული, მაგრამ ენა თუ გაქტს და ერი ამ ენაზე ლაპარაკობს, ის  
მამულსაც გაიჩენს და სარწმუნოებასაც. ამას თუ არ აჯობეჭ, ცოდო  
ხარ, ძალიან ცოდო. ამას მე იოლად ვჯობი. ისიც კარგად ვიცი, რა  
მაკლია, მაგრამ როდესაც თვითმიზნად ისახავ, რომ იყვირო, ილან-  
ძლო და ადამიანის ორგანოების ყველა სახელი ჩაწერო შენს წიგნში,  
ეს უკვე ალარაფერს ჰგავს“; „გულში კეთილი კაცი ჩაგახედებს. მას  
უნდა, რომ სხვამაც გაიზიაროს მისი სულის მშვენიერება, რომ გათ-  
ქმევინოს, ბიჭო, რა კარგია ცხოვრებაო“ (ინტ. ნ. შატ.).

„იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაა. დიდ რამეს ვერ დაწერ“; „რო-  
ცა ჭაში ხარ, იმ ჭიდან მარტო ჭის კედლებს ხედავ. შეგიძლია აღწე-  
რო დეტალურად ეს კედლები, მაგრამ ჭაზე ვერაფერს იტყვიო“; შე-  
გიძლია ფული მშოვო, მაგრამ უნდა დაწერო ბოზებზე, ნარკოტიკებ-  
ზე, რაღაც ამდაგვარზე“; „პლანს რო მოწევ, ეგ არ ნიშნავს იმას, რომ  
პლანზე წერო“; — როგორ მდგომარეობაში ხარ, როცა წერ, შეგიძ-  
ლია აღწერო? — პო, რაღაცა ატაცებული ხარ“; „თუ მთლად რეგვენი  
არა ხარ, შეეცდები გააკეთო, ხო?“ (ინტ. ზ. თვარ.).

„ეს უფრო არის საკუთარი თავის დაზღვევა ანუ ოინები იმი-  
სათვის, რომ გაამართლო შენი სიზარმაცე, — ოლონდ როგორმე არ

მიხვიდვე ფურცელთან და კალამთან“; „ის, რომ შენი სამშობლო გიყვარს, არ ნიშნავს, მაინცადამაინც პოზიტიური სადლეგრძელოების თქმას“; „შეიძლება ეს ცუდი ლიტერატურაა, მაგრამ შენ თვლი, რომ ასე უნდა ილაპარაკო იმ პრობლემებზე, რაც განუხებს, რაც აღელვებს საზოგადოებას ან მკითხველს“ (ინტ. ლ. ბულ.).

ქართულ დიალოგებში II პირის მხ. რიცხვის გამოყენება განზოგადებული მნიშვნელობით იმდენად გავრცელებულია, რომ, ვფიქრობთ, „შენ“ უნდა ჩაითვალოს განზოგადებული (ან ზოგადი) პირის ნაცვალსახელად, როცა იგულისხმება ყველა (ე. წ. კოლექტიური ადრესატი). II პირის ნაცვალსახელის სემანტიკური სახეს-ხვაობაა განზოგადებული (იგუვე ზოგადი) პირი, ამიტომ ზმნურ ფორმაშიც უნდა გამოიყოს პირის ეს სახეობა. ამ მოვლენას აქვს უნივერსალურობის ტენდენცია (მაგ., გვხვდება რუსულში, გერმანულში და სხვ.).

განზოგადებულობას გამოხატავს II პირი მრ. რიცხვშიც: „თქვენ ძალიან რომ მაქოთ, მე ხომ ვიცი, რას ვაკეთებ; ან რომ მაძაგოთ, არც იმას მივიღებ და არც იმას, გაიგეთ?“ (ინტ. ნ. შატ.).

**2. პირის განუსაზღვრელობა,** როცა რეალური მოქმედი უცნობია ან მოუპარი განგებ არ ასახელებს მას. ასეთ შემთხვევებში ზმნა დგას მრ. რიცხვის მესამე პირში, მაგრამ არასოდეს არაა აღნიშნული წინადადებაში „ისინი“, მით უმეტეს – კონკრეტული მოქმედი პირი:

„აქლემს უთხრეს: კისერი მრუდე გაქვსო და სხვა რაღა მაქვს სწორიო“ (ანდ.).

„ამბობენ, – თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს“ (ჭავჭავაძე).

„იტყვიან: მაღლის მთის ძირსა, უღრანს, უდაბურს ტყეშია, ლუხუმი იწვა დაჭრილი, ნატყვიარი სჭირს მკერდშია“ (ფშაველა).

„ჩვენ ოჯახში მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაუსაჯოთ“ (ნერ.).


დიალოგებიდან: „ჩემთვის, 61 წლის კაცისთვის, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ, როდესაც 22-23 წლის ბიჭი ან გოგო ხარ და საშინლად გადაფიცლიან – გაძაგებენ ან საშინლად გაქებენ, ეს არ ვარგა“; „დაწერა ხომ რაღაც? – იმდენი აქვს, იმდენი ადიდეს, რომ შეშინდა ეს კაცი; იმიტომ, რომ დიდი ტვირთი აჰკიდეს“ (ინტ. ნ. შატ.).

განსხვავებით ქართულისაგან, გერმანულში განუსაზღვრელობის გამოსახატავად გამოიყენება სპეციალური ნაცვალსახელი

**man** (მიღებული არსებითი სახელისაგან Mann → man): man sagt – (ე.ი. კაცი, ვიღაც ამბობს) ამბობენ, man spricht - ლაპარაკობენ;

**II. 1. პირის სრულ ტრანსსემანტიზაციას, როცა ზმნის ფორმით გამოხატული პირის ნაცვლად იგულისხმება სხვა. განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება I და II პირების (კომუნიკანტთა) ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა დიალოგურ მეტყველებაში. ეს მოვლენა ადრეც იყო შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში (კიზირია, 1987, 55-56; კვანტალიანი, 1990, 20-21).**

პირველი პირის ჩანაცვლებით მეორე (ან მესამე) პირის ადგილას მოუბარს სურს ტაქტიანად, ფრთხილად აჩვენოს, რას იზამდა მსმენელის ადგილას. აქ შეიძლება იყოს რჩევა, არარეალური პირობა, სინანული, დარიგება და სხვ. თუმცა საჭიროა ზმნის შესაბამისი მწკრივის – ხოლმეობით-შედეგობითის შერჩევაც (იხ. სქემა №11):



#### **ა. I პ. მხ. რ. = II პ. მხ. რ.**

„პატონო, ხმალი გადამიტყდა და დამიმოკლდაო, უპასუხა მეომარმა.

– ფეხს წინ წაჭდგამდი და დაგიგრძელდებოდაო, უბრძანა მეფემ და ომში შეერია“ (ზღაპრ.).

„ბაბუაშენმა გარეული ტახი დაიჭირა ყურით და შენ კი ერთი შინაური წუწკი ღორიც ვერ მოგიშორებია? ავიღებდი ჯოხს და დავ-

**კრავდი თავშიო!“ (წერ.).**

„სხვაგან რომ დაყიალობ, იქაც მივიდოდი, ვნახავდი და საკითხავი აღარ გექნებოდა“, – უთხრა მოწყებით დარიკომ ქმარს“ (კლდ.)

„თუ არ გიშვებდა, გამოვიპარებოდი, მოვკლავდი და ისე გამოვიქცეოდი“ (შენგ.).

მსგავსი ჩანაცვლება ჩვეულებრივია ყოველდღიურ საუბრებშიც. მაგ., „რას ყოფს ცხვირს სხვის საქმეში? დავიდუმებდი ენას და არ ავტომატურად ვაი-უშველებელს!“ (ყოფ. საუბ. 19).

ამ მოვლენას მიიჩნევენ ქართული ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებლად (კვანტალიანი, 1990, 20-21). მართებულადაა ახსნილი, რომ მსგავს კონსტრუქციებში შეკვეცილია პირობითი დამოკიდებული წინადადება (მე რომ ის ვყოფილიყავ ან მე რომ თქვენს ადგილას ვიყო) და მოცემულია მხოლოდ დარჩენილი ნაწილი, რომელშიც ზმნა ხოლმეობითის ფორმით (პირობით კილოში) არის გამოყენებული.

**გ. I 3. მხ. რ. = III 3. (გვხვდება იშვიათად):**

„ვიქენებოდი თავისითვის მოსვენებით!.. რა მიარბენინებდა ჯარში?“ (წერ.).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის **ემპათიის** გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ქართულ დიალოგურ მეტყველებაში. მართლაც, ასეთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოუბარი თავს აყენებს ადრესატის ადგილას, გადააქვს მოქმედება საკუთარ თავზე და ამით არბილებს სათქმელის კატეგორიულობას.

**გ. II 3. მხ. რ. = I 3. მხ. რ.**

„შენ“ ენაცვლება „მე“-ს, როცა ხდება მოუბარ და თანამოსაუბრე პირთა გაიგივება. ეს შემთხვევა ახლოსაა პირის განზოგადებულად წარმოდგენასთან, რადგან აქ პირველ პირს ენაცვლება „შენ“. ასეთ შემთხვევებში ხშირად ზმნის დროც განუსაზღვრელია, მოქმედება – მრავალგზისი (განუსაზღვრელი ანუ იტერატიული აწმყო, ხოლმეობით-შედეგობითი, მყოფადი ან უწყვეტელი, კილო – პირობითი ან თხრობითი; იშვიათად დასტურდება | თურმეობითი და III კავშირებითიც). ასეთი ჩანაცვლება მხოლოდ დიალოგშია შესაძლებელი და, ჩვენი აზრით, ესეც ემპათიის გამოხატვის საშუალებაა ანუ მოუბარი მსმენელს აქცევს მოქმედების თანაშემსრულებლად, ჩართავს საკუთარ განცდებში:

„ – შენ რავა მაშვლობ მერე? შენს სანინააღმდეგო საქმეში უნყობ ხელს?

– აბა, რა უნდა ქნა, მეტი გზა რომ არ გექნება, ჩემო საყვარე-

ლო ძმაო?!“ (კლდ.).

დიალოგებიდან: „რა კარგია, როცა მიდიხარ ბუნებაში და ტკბები საქართველოს ზღაპრული სილამაზით!“ (ყოფ. საუბ. 1)

„რას იზამ, ვერ ეტყვო კაცს პირში ასეთ რამეს“ (ყოფ. საუბ. 2).

„ქვეყნად ამდენი ახალი და საინტერესო რამ ხდება, შენ კი წევ-ხარ სანოლში და ვერაფერს ჰკვთებ!“ (გადაც. „დროება“).

ადამიანი – მოუბარი პირი – საკუთარ თავსაც შეიძლება დაე-ლაპარაკოს მეორე პირში, ე.ი. ადრესატად მიიჩნიოს:

„– უბედურო ჩემო თავო, მითი, გაბედე, ნუ ხარ ასე გლახაკი!“ (ყოფ. საუბ. 19).

### III პ. მხ. რ. = II პ. მხ.რ.

გრამატიკული ტაბუს საინტერესო მავალითი მოჰყავს კ. ჯორ-ჯანელს: ხევსურეთში მშობიარე ქალს სხვა ვინტე (მეუღლეც) არა-პირდაპირ მიმართავს – III პირში, თითქოს სხვაზე იყოს ლაპარაკი, ქალიც ასე პასუხობს:

„ – პურ ხო არ უნდ?

– მინდავ!

– ვაუა როგორ ხყავავ?

– კარგა ასავ“ (იხ. ჯორჯანელი, 1977, 73).

ინიათ მეფებს, თავადებს ყოველთვის უშუალოდ არ მიმარ-თავდნენ და III პირით მოიხსენიებდნენ. მაგ., – რას მიბრძანებს მეფე ბატონი? – რას ინდებს დიდი ხელმწიფე? მსგავსი მოვლენა (II პირ-თან III პირის ჩანაცვლებისა) დასტურდება რუსულსა და გერმანულ-შიც (გერმანულში თავაზიანობის Sie ნარმოშობით მესამე პირია).


დიალოგში ზოგჯერ III პირში ადრესატის (ან ადრესანტის) და-სახელებაც შესაძლებელია. მოვიყვანთ მაგალითს ინტერვიუდან:

„– ანუ, სხვა, უფრო დიდ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო ზაზა თვარაძე, მაშინ დანერდა რომანს ან რამე დიდტანიან წიგნს, ვთქვათ, ინგლისში?

– არა, ეს ზაზა თვარაძე შეიძლება დაიბადოს ინგლისში, მაგ-რამ არ გაიზრდება ისევ ის ზაზა თვარაძე. იქ სულ სხვანაირი გაიზ-რდება. ჯერ ერთი, მეტი განათლება ექნება. ყველაფერს სულ სხვა თვალით შეხედავს“ (ინტ. ზ. თვარ.).

2. ზმნის (ან ნაცვალსახელის) რიცხვის ტრანსსემანტიზაცი-ოს დროს მრავლობითი რიცხვის ფორმები ჩაენაცვლება მხოლობი-თისას, რასაც განაპირობებს საკომუნიკაციო სიტუაციის ექსტრა-ლინგვისტური (სოციოლინგვისტური) ფაქტორები (იხ. სარჯველაძე, 1997). ასეთ ფორმებს უწოდებენ გრამატიკულ ევფემიზმებს (კიკ-

ვიძე, 1999), რადგან ჩანაცვლებას ანუ ტრანსსემანტიზაციას განაპირობებს თავაზიანობის გამოხატვის სურვილი (იხ. სქემა №12).



### **1 პირის მრავლობითი რიცხვი მხოლობითის ნაცვლად 1. 1 გ. მრ. რ. = 1. მხ. რ. (ჩვენ = მე).**

ადამიანი საკუთარ თავზე ლაპარაკობს მრავლობით რიცხვში, რაც განპირობებულია სამეტყველო სტრატეგიით:

„მაგათ დააკლდათ ყველაფერი, მაგათზე ნაკლებები ვყოფილ-ვართ, რომ შემოვსულვართ ამ ოჯახში?“ (კლდ.).

2. არ. მარტიროსოვს მოჰყავს თავაზიანობის „ჩვენ“ ნაცვალსახელის გამოყენების საინტერესო მაგალითი ადრესატისადმი პატივისცემის გამოხატვის სურვილის გამო ისტორიული დოკუმენტიდან (ნასყიდობის წიგნიდან): „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგინერეთ და მოგართვით ჩვენ, ვეშაპიძემ იესემა თქუნენ, ამილახორს პატონს გივს“ (მაგალითი დამოწმებულია წიგნიდან: მარტიროსოვი, 1964, 66).

გ. კვარაცხელია გამოყოფს სამეცნიერო სტილში I პირის მრ. რიცხვის რამდენიმე სემანტიკურ ვარიანტს, მათ შორის არის ავტორისეული „ჩვენ“, რომლის გამოყენების მიზეზად მიიჩნევს თხრობის ობიექტურობის ჩვენებას (უსუბიექტობას) და ეტიკეტს (მოკრძალებულობას, თავმდაბლობას) (კვარაცხელია, 1990, 68-69), ე. ი. მოუბარი/ავტორი ხაზს უსვამს მხოლოდ თავის მოკრძალებულ წვლილს, ის ერთ-ერთია და არა – ერთადერთი. სამეცნიერო ეტიკეტში (წერითი მეტყველების გარდა, ზეპირ გამოსვლებშიც, პოლე-

მიკაშიც) დამკვიდრებულია „ჩვენ“, „მე“ თითქმის თავხედურ, მიუღებელ ტონად და ანაქრონიზმად აღიქმება.

„გფიქრობთ, რომ ამ მეთოდით კვლევა საინტერესო შედეგებს მოგვიტანს“ (სამეცნ. დისპუტი) და ა. შ..

3. შეიძლება „ჩვენ“ შეგვევდეს საქმიან-ოფიციალურ სტილშიც, როდესაც იჩქმალება ერთი კონკრეტული პირი (ის ერთ-ერთია „ჩვენ“-ში), მოუბარი პირის მიზანია ბრძანების ან გადაწყვეტილების კატეგორიულობის შერბილება (მაგ., დაწესებულების ხელმძღვანელის ან მთავრობის წარმომადგენლის საუბარში): ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ... ჩვენ ხელი მოვაწერეთ გადაწყვეტილებას...

4. „ჩვენ“ შეიძლება იყოს **ინკლუზიური** (მე+თქვენ) ლექტორის მეტყველებაში და გამოხატავდეს სურვილს, რომ სტუდენტები აღიქვას არა პასიურ მსმენელებად, არამედ აზროვნების თანამოხანილედ. მაგ.: ჩვენ დღეს ვისაუბრეთ ქართული ზმნის კატეგორიებზე; ჩვენ განვიხილოთ ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა...

5. პატარა ასაკის შეილთან საუბარში ან საბავშვო ბალში – აღმზრდელისა და აღსაზრდელის დიალოგში, მოსწავლისა და მასწავლებლის საუბარში (შედარებით დაბალ კლასებში), ასევე უფროსი ადამიანის დიალოგში უმცროსთან („აბა, დავწეროთ დავალებები!“ – სკოლაში).

მაშასადამე, სასაუბრო მეტყველებაში | პ. მრ. რ. (ჩვენ) გამოიყენება ბავშვებთან, ხანდაზმულებთან, ავადმყოფებთან და ენაცვლება II პირს, „როცა მეტყველი მოსაუბრისადმი თანაგრძნობას, თანამოხანილებას გამოხატავს, მასთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს: რა გვაწუხებს? რა გვინდა? რა გვტკივა? რატომ დავდივართ თავშიმველი?“ (კვარაცხელია, 1990, 70), „აბა, დღეს როგორ გორძნობთ თავს? საჭმელი გჭამეთ? წნევა ხომ არა გვაქვს?“ რადგან ყველაზე ხშირად ამ ფორმას იყენებენ ექიმები პაციენტებთან საუბარში, მას უწოდებენ „**საექიმო ჩვენ**“-ს („докторское Мы“).

ჩვენი აზრით, ასეთ ფორმას უნდა ეწოდოს **ემპათიის** ანუ **თანაგრძნობის**, „ჩვენ“, რადგან აქ წინა პლანზე დგას თანამოხანილების ხაზგასმა, თანაც, დასტურდება არა მარტო ექიმების მეტყველებაში. ამავე მიზეზით გამოიყენება I პირის მრ. რიცხვის ფორმა ბრძანებითად II პირის წაცვლად, მაგ., შევადგინოთ=შეადგინეთ.

6. სამეფო ანუ **განდიდების**, „ჩვენ“ (pluralis maiestatis) გავრცელებული იყო წინათ, იყენებდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და დასტურდება მრავალ ენაში. აქ ავტორისეული „ჩვენ“-ის საპირისპირო სემანტიკაა: ხაზი ესმება არა მოკრძალებულობას, მორიდებას, არა-მედ საკუთარი პერსონის მნიშვნელობის გამოყოფას, გამოყოფას,

განდიდებას, ამპარტავნებას, სოციალურ-იერარქიულ კიბეზე უპირატესობას (იხ. ყაუხჩიშვილი, 1968; კიკვიძე, 1995; 1999).

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებულია „ჩვენ“ ნაცვალსახელის გამოყენება ამ ფუნქციით XI, XV, XVI, XVII საუკუნეების ძეგლებში. მაგ.: „ჩვენ ღუთივ გუირგუინოსანმან მეფემან, პატრონმან ლეონ ესე უკუნისადმი უამთა გასათავებელი სიმტკიცისა სიგელი გვადრეთ და მოგაჭირეთ თქვენ“ (1569) (იხ. ბერძნიშვილი, 1989, 33). შდრ. გერმანულში: „Wir, Friedrich, König von Preußen“ (გიორგ/ჰეს-ლიუტიხი, 1998, 264).

### **თავაზიანობის „თქვენ“ – მეორე პირის მრავლობითი რიცხვი მხოლოდითის ნაცვლად**

**II პ. მრ. = II პ. მხ. რ.** – ევროპულ ენებში ტიპოლოგიურად არის შესწავლილი თქვენობითი (ზრდილობიანი) მიმართვის ისტორია-ჩამოყალიბება, გამოყოფილია ამ ენების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, სოციოლინგვისტური სტატუსი და პრაგმატული ფუნქციები (იხ. სვენუნგი, 1958; რებაინი, 1994; 2001 და სხვ.).

დიალოგური მეტყველებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეტყველებაში თავაზიანობის გრამატიკული ფორმების არსებობას, რადგან საკომუნიკაციო რეგისტრის ძირითად ინდიკატორად ჩვენ ვთვლით პირის თავაზიანი გამოხატვის შესაძლებლობას (ფამილარულ-ახლობლური „შენ“ თუ თავაზიან-ოფიციალური „თქვენ“) ადრესატისადმი მიმართვაში. II პირის მრ. რიცხვის ფორმის გამოყენება მხოლოდითში ნაგულისხმევი დენოტატის აღსანიშნავად ხაზს უსვამს პატივისცემას, მოკრძალებას ადრესატისადმი (იხ. ანდრონიკაშვილი, 1953, 25) და ითვლება „ამჟამად ცივილიზებული საზოგადოების სამეტყველო ეტიკეტის მიუცილებელ კომპონენტად“ (აფრიდონიძე, 2003, 36). (შენ/თქვენ ფორმათა დისტრიბუცია თანამედროვე ქართულში განხილულია თავში საკომუნიკაციო რეგისტრებთან დაკავშირებით).

მაგ.: „მოგახსენებთ, დიდებულო ხელმწიფევ!.. თუ აქამდისინ ვერა ვძედავდით თქვენთან გხლებოდით, ამის მიზეზი იყო, რომ გვეშინოდა თქვენის შენუხებისა და განრისხებისა!“ (ყაზბ.).

„თქვენობითი“ ფორმა ქმნის ოპოზიციას „შენთან“ როგორც პირის ან კუთხილებით ნაცვალსახელებში, ისე ზმნის **ნულოვან** და **თანიან** ფორმებში (შენ აკეთებ – თქვენ აკეთებთ). ასეთი ოპოზიციური ლექსიკური წყვილების არსებობა დასტურდება ქართულ ზმნებში (პირში მონაცვლე ზმნებში).

## განუსაზღვრელი პირი - III პ. მრ. რ. = I პ. მხ. რ.

1. მოუბარი პირი საკუთარ თავზე საუბრობს განუსაზღვრელ პირში (III პ. მრ. რიცხვში), როცა „მე“-ს თითქოს ეკარგება კონკრეტულ-პიროვნული თვისება და იგივედება რომელიმე ოფიციალურ დაწესებულება-ორგანიზაციასთან (ინსტიტუციებთან). ამ დროს მოუბარი საკუთარ თავს ალიქვამს ოფიციალურად მინიჭებული სამსახურებრივი „მოვალეობის შემსრულებლად“, ის უფლებამოსილია (პატრული, პოლიციელი, ავტონინსპექტორი, მორიგე, მცველი, ადმინისტრატორი, სკოლის დარაჯი, სასტუმროს შევიცარი, დისპეტჩერი, მოლარე, ბანკის თანამშრომელი და ა.შ.). მაგ., ავტონინსპექტორი, პოლიციელი ან პატრული ეუბნება გამვლელს: „- ვის უთხრეს, რომ აქ არ შეიძლება გავლა!“ (ყოფ. საუბ. 17).

ავტონინსპექტორი – მძლოლს: „- თქვენ გეუბნებიან, დასწიოთ მანქანა შენობიდან ორი მეტრით უკან!“ (ყოფ. საუბ. 17)

მოლარე – მაყურებელს: „- თქვეს თუ არა, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია!“ (ყოფ. საუბ. 18)

2. მოუბარი პირი გაიგივებულია ადამიანთა ჯგუფთან და თავს უფლებას აძლევს, ისაუბროს და იმოქმედოს მათი სახელით. ეს ძირითადად ხდება კონფლიქტურ სიტუაციაში.

მაგ., „- თქვენ, მოზი, გაგაფრთხილეს, რომ არ მიაწვეთ კარს!“ „- ხომ გაგიმეორეს ათასჯერ, რომ აქ მონევა აკრძალულია!“ „შენ გეუბნებიან, ახლავე დამიბრუნე ჩემი დოკუმენტები!“ (ყოფ. საუბ. 18).

3. მოუბარი თავს აკუთვნებს ასაკით „უფროსს“, ხოლო „უმცროსს“ აძლევს შენიშვნას, საყვედურობს, სთხოვს არასასურველი მოქმედების შეწყვეტას: „- ვის გუბნებიან!“ „რა გითხრეს?“ „რამდენჯერ უნდა გითხრან!“ „რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილონ!“ „- გასაგებად გაგიმეორეს თუ არა, არ მოკიდო ხელი ამ წიგნებსო!“ (ყოფ. საუბ. 18).

ასეთ შემთხვევებში ტონი კატეგორიულია, შეიცავს მუქარას, საყვედურს, გაფრთხილებას ან ნიშნის მოგებას.

III. ცალკე უნდა აღვნიშნოთ პირის სემანტიკის ნეიტრალიზაციის შესაძლებლობა (იმპერსონალიზაცია), როცა ზმნა III პირის ფორმითაა მოცემული, ხოლო პირის მნიშვნელობა დაკარგულია (იხ. ბასილაია, 1958; კვაჭაძე, 1977, 207-209). ასეთ ზმნებს ქართულში უწოდებენ პირნაკლს, იმპერსონალურს.

დიალოგური მეტყველებისთვის მნიშვნელოვანია პირის სე-

მანტიკის ვარირება მყარ ეტიკეტურ ფორმულებშიც. შესაძლებელია ვისაუბროთ ასეთ გამონათქვამებში ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად გამოხატულ პირზე, რადგან დღიალოგში წებისმიერი გამონათქვამი მიემართება ადრესატს (კონკრეტულს ან განზოგადებულს).

როცა ეტიკეტურ გამონათქვამებში ჩართულია ზმნა, მაშინ მოუბარი და მსმენელი (I და II პირები ან მარტო მეორე პირი) ექსპლიციტურად არის გამოხატული და ზმნის ნულოვანი ან თანიანი ფორმით გამოიხატება რეგისტრის არაოფიციალურობა თუ ოფიციალურობა (თავაზიანობა). მაგ., გმადლობთ! მადლობას გიხდით! მაპატიეთ! ბოდიშს გიხდით! მინდა ბოდიში მოგიხადოთ! გილოცავთ იუბილეს! გისურვებთ წარმატებებს! ნება მომეცით მოგესალმოთ! სულითა და გულით დაგლოცავთ! ნება მომეცით გამოგემშვიდობოთ! მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი და! მინდა დაგპატიუოთ კონცერტზე! მრავალს დაესწარით! გაიხარეთ! და ა.შ.

ზოგჯერ ეტიკეტურ ფორმულაში არაა გამოყენებული ზმნა, მაგრამ მისი ფუნქციური და სემანტიკური სინონიმი, რომელთანაც იგი ქმნის სინონიმურ თემატურ რიგს, პირის ფორმას აღნიშნავს, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს მყარი ფორმულაც იმპლიციტურად შეიცავს პირის მნიშვნელობას (ესაა ე.წ. სემანტიკური ადრესანტი და სემანტიკური ადრესატი; უნდებენ სემანტიკურ პერფორმატივებსაც (იხ. ფორმანოვსკაია, 1984; 1987; 1989ა,ბ).

**იმპლიციტურ** პირებში ქართულში იგულისხმება მოუბარიც და ადრესატიც. მაგ.: გამარჯობა (=მე გესალმები შენ)! მადლობა (=მე მადლობას გიხდ შენ), ბოდიში, უკაცრავად (= მე ბოდიშს გიხდი შენ), ნახვამდის (=მე გემშვიდობები შენ), კეთილი მგზავრობა (=მე გისურვებ შენ კეთილ მგზავრობას), ბედნიერი მგზავრობა (=მე გისურვებ შენ ბედნიერ მგზავრობას), მრავალ ახალ წელს (=თქვენ და-ესწარით მრავალ ახალ წელს!), სიცოცხლეები! (მე გისურვებ შენ ხანგრძლივ სიცოცხლეს)! ჯანმრთელობა! გაზრდა! გახარება! და ა. შ. აქ ეტიკეტური ფორმულები თითქოს შეეუმშულია, ზმნური ნაწილი სავალდებულო არაა და იგულისხმება.

უნდა აღვნიშნოთ ქართული სამეტყველო ეტიკეტის ერთი საყურადღებო ტერდენცია: **იმპლიციტური ადრესატის ექსპლიციტურად გამოხატვის სურვილი** ზოგიერთ მყარ გამოთქმაში. სწორედ ამიტომ გაჩნდა „-თ“ შემდეგ ფორმულებში: გამარჯობათ! ბოდიშით! თქვენი ჭირიმეთ! ძილი ნებისათ! და სხვ. (ამ პროცესს უწოდეს თავაზიანობის სემანტიკურად პროგრესული გრამატიკალიზა-

ცია, რომელშიც გამოვლინდა -თ-ს ჰიპერდისტრიბუცია, იხ. კიკვიძე, 2004).

ეტიკეტური ფორმულები ზოგჯერ იმპლიციტურად შეიცავს სხვა გრამატიკული კატეგორიების მნიშვნელობას (დროს, მოდალობას) ან ექსპლიციტური მნიშვნელობა გაცვეთილია და იგულისხმება სხვა, რადგან კომუნიკაცია მიმდინარეობს კონკრეტულ მომენტში (უბნობის დროს), კონკრეტულ ადგილს, კონკრეტულ პიროვნებებს შორის. მაშასადამე, ასეთ გამონათქვამებში, მიუხედავად ექსპლიციტურად გამოხატული გრამატიკული კატეგორიისა, იგულისხმება ახლანდელი დრო და თხრობითი კილო. კომუნიკაციის კოორდინატები „მე-შენ-აქ-ახლა“ ძალაში ყველა დიალოგში.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, ქართულ დიალოგურ მეტყველებაში I პირს ენაცვლება II, II პირს – პირველი, იშვიათად III პირს ცვლის I (ან პირიქით), ხოლო ყველაზე გავრცელებულია მრავლობითი რიცხვის გამოყენება მეორეული მნიშვნელობებით (სამეფო ან ავტორისეული „ჩვენ“, თანამდებობის ანუ ემპათიის „ჩვენ“, თავაზიანობის „თქვენ“, მოუბარი პირის განუსაზღვრელად ქცევა).

პერსონალობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ქართულ ენაში პირში მონაცვლე რამდენიმე ზმნის (ე.წ. **ლექსიკური ევფე-მიზმების**) არსებობა.

„როგორ ხართ?“ – თავაზიანი ფორმაა, მაგრამ პირში მონაცვლე ზმნა აძლიერებს თავაზიანობას: „როგორ ბრძანდებით?“ ასეთივეა: თქვი! – ბრძანეთ! რა ბრძანეთ? როგორც ბატონმა ივანემ ბრძანა; გეტყვი – მოგახსენებთ; დაჯექი! – დაბრძანდით! ადექი! – აბრძანდით! შემოდი! – შემობრძანდით! ჩადი! – ჩაბრძანდით! აიღე! – ინებეთ! როგორც გინდა – როგორც გენებოთ; რა გინდა? – რა გნებავთ? ჭამე! – მიირთვით! ნება მომეცი! – ნება მიბოძეთ! მოგცემ – მოგართმევთ! პატივი გვეცი, დაგვაფასე – პატივი დაგვდეთ! როგორც იცი – როგორც მოგეხსენებათ! შენთან მოვა – თქვენ გეახლებათ (იხ. პირში მონაცვლე ზმნებზე: შანიძე, 1973, 513-520; აფრიდონიძე, 2003; კიკვიძე, 1995; 1999).

უპირატესად ეს ზმნები ენაცვლება II პირის ფორმებს, მაგრამ გამოიყენება III პირშიც, თუკი პიროვნებაზე პატივისცემით ვლაპარაკობთ: როგორ ბრძანდება ბატონი გიორგი? ჩამობრძანდა ქალბატონი ნინო? ბატონი პროფესორი არ გახლავთ სახლში. რა ბრძანა პატივცემულმა ირაკლიმ? I პირში გვხვდება გახლავართ (=ვარ) ზმნა, ვჭამე – გეახლელით, გემრიელად მივირთვი, მაგრამ ამ შემთხვევებშიც მოსაუბრისადმია პატივისცემა გამოხატული.

ზემოთ აღნიშნული ზმნები პირველ პირში ირონიული ან სახუ-  
მარო მნიშვნელობითაც გვხვდება: ჩვენ ვძრძანდებით გამოჩენილი  
ადამიანები; ახლახან მოვძრძანდი და მივირთვი საჭმელი.

პირის სემანტიკური ტრანსპოზიციის (ურთიერთჩანაც-  
ვლებისა და ტრანსსემანტიზაციის) უნარი უნივერსალური ლინ-  
გვოსტილისტური მოვლენაა, რომლის მიზეზი პრაგმალინგვის-  
ტურ და სოციოლინგვისტურ სფეროშია, რადგან ადამიანური  
ურთიერთობების მრავალფეროვანი სპექტრი მეტყველებაში აი-  
რეკლება და მის სპეციფიკას განსაზღვრავს. ჩვენი აზრით, სწო-  
რედ თავაზიანობა უნდა ჩაითვალოს უნივერსალურ ექსტრალინ-  
გვისტურ ფაქტორთა ერთობლიობად, რომელიც განაპირობებს  
კომუნიკაციაში ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების შერჩე-  
ვასა და მორფოსემანტიკური კატეგორიების (მათ შორის, პირისა  
და რიცხვის) გადააზრებას (იხ. ზექალაშვილი, 2005ბ,გ).

პირისა და რიცხვის სემანტიკურ-სტილისტური ცვლილების  
პროცესის გამოსახვა შეიძლება გრაფიკულად: ვექტორის მიმართუ-  
ლება გვიჩვენებს ორგვარ სემანტიკურ ცვლილებას: I. პირის ფორ-  
მათა ტრანსსემანტიზაციას (I პირის ნაცვლად II-ის ან III-ის გამო-  
ყენება და პირიტი) და II. მხოლობითი ფორმის ჩანაცვლებას შე-  
საბამისი მრავლობითით (ე.წ. მეორეული მრავლობითი) (იხ. ნინ  
სქემები №11, №12).

ქართულ დიალოგებში ექსპლიციტურად გამოხატული პირე-  
ბის მეორეული მნიშვნელობებია:

#### **მხოლობით რიცხვში:**

I პირი – „მე“: 1. განზოგადებული პირი; 2. ჩანაცვლება II პირ-  
თან; 3. ჩანაცვლება III პირთან;

II პირი – „შენ“: 1. განზოგადებული პირი; 2. ჩანაცვლება პირ-  
ველ პირთან;

III პირი: 1. ირიბი მიმართვა მეორე პირისადმი (პირდაპირი მი-  
მართვის თავიდან ასაცილებლად); 2. იმპერსონალიზაცია;

#### **მრავლობით რიცხვში:**

I პირი – „ჩვენ“: 1. განზოგადებული პირი; 2. ავტორისეული  
(მორიდების) „ჩვენ“; 3. სამეფო (განდიდების) „ჩვენ“; 4. ემპათიის  
(თანაგრძნობის) „ჩვენ“;

II პირი – „თქვენ“: 1. განზოგადებულობა (კოლექტიური ად-  
რესატი); 2. თავაზიანობა;

**მესამე** პირი: 1. განუსაზღვრელობა; 2. განზოგადებულობა  
(იშვიათად); 3. მოუბარი პირის ჩანაცვლება.

როგორც ვხედავთ, პირის განზოგადებულობას ძირითადად გამოხატავს **შენ**, თუმცა ქართულში **შესაძლებელია განზოგადდეს ყველა პირი**, მესამე პირში კი ეს სემანტიკა გამოიხატება ლექსიკური სამუალებებით, კერძოდ, განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით (ვინმე, ვიღაც, კაცი, რომელიმე). **თავაზიანობის გრამატიკალიზაცია ვლინდება პირველი და მეორე პირების მრავლობითი რიცხვის ფორმებით.**

მაშასადამე, ქართულში პირისა და რიცხვის კატეგორიის სემანტიკურ-სტილისტური სახეცვლილებებია: I. მნიშვნელობის არასრული (ნაწილობრივი) ტრანსსემანტიზაცია (1. გაფართოება: 2. განზოგადება, 3. განუსაზღვრელობა), II. სრული ტრანსსემანტიზაცია (პირისა და რიცხვის ერთი ფორმის ჩანაცვლება მეორით) და III. პირის მნიშვნელობის ნეიტრალიზაცია (იმპერსონალიზაცია).

ვფიქრობთ, პირის კატეგორიის დახასიათებისას ქართულში უნდა გამოვყოთ პირის სემანტიკური სახეობები: **თავაზიანობის** (აგფორისეული), **განდიდებისა** (სამეფო) და **თანაგრძნობის** (ემპათიის), „**ჩვენ**“, განზოგადებული პირი (მხ. რიცხვის II პირი), **თავაზიანობის „თქვენ“**, განუსაზღვრელი პირი (მრ. რიცხვის III პირი), ხოლო ნაცვალსახელთა ჯგუფებს უნდა გამოეყოს განზოგადებული პირის ნაცვალსახელი „**შენ**“.

პირში მონაცვლე ზმნების გამოყენების სისტემური ხასიათი და შეხამებულობა ზმნურ და ნაცვალსახელურ თავაზიან ფორმებთან უჟღლებას გვაძლევს, რომ ქართულში თავაზიანობა გამოიყოს მორფოსემანტიკურ კატეგორიად, რომელსაც აქვს თავისი მარკერი ზმნაში (-თ) და თავაზიანობის გამომხატველი ეპულემისტური ზმნები.

### III. მოდალობა

დიალოგური მეტყველების ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია **მოდალობა**, რომელიც მოიცავს ენის თითქმის ყველა დონეს: **მორფოლოგიურს** (კილო, მნერივი), **ლექსიკურს** (მოდალური სემანტიკის ზმნები, მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, ზმნიზედები, შორისდებულები), **სინტაქსურს** (ჩართული სიტყვა-გამოთქმები, ნინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით).

**მოდალობის** (ინგლ. modality, გერმ. Modalität) განსაზღვრების შესახებ ლინგვისტიკაში ბევრი საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული, რადგან ამის მიზეზია თვით ამ კატეგორიის სირთულე, მრავალმხრიობა და ძირითადი საკვალიფიკაციო ნიშნის არარსებობა. შეხე-

დულებები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც კია. მოდალობის ფართო გაგება ძალზე ავრცობს მის საზღვარს, ცნება ბუნდოვანდება და ძნელდება მისი გამიჯვენა ექსპრესიულობისა და ემოციურობის გამოხატვის საშუალებებისგან. ზოგი მეცნიერი მოდალობას თვლის გრამატიკულ კატეგორიად, ზოგი – სინტაქსურად, ზოგიც – სემანტიკურად. გარკვეული სიმართლის მარცვალი სამივე შეხედულებაშია (იხ. გოქსაძე, 1997; პალმერი, 1986).

ყველაზე დასაშვებ ზოგად განმარტებად ითვლება შემდეგი: **მოდალობა** არის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის (ან მოქმედების) შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილესთან, ასევე ნათქვამის სუბიექტურ კვალიფიკაციას. მაგრამ ასეთი განმარტებაც არასრულია, რადგან არ გულისხმობს მოდალურ მნიშვნელობათა ბევრ ნიუანსს (იხ. ზვერევა, 1983, 12; იქვე, 143; ლელ, 1990, 303; ლევანდოვსკი, 1994). ჩვენთვის მისაღები ჩანს მოდალობის, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორიის, ასეთი დეფინიცია: **მოდალობა ასახავს სინამდვილისადმი გამონათქვამის ან მოქმედების შინაარსის დამოკიდებულებას, რომელსაც ამყარებს მოუბარი პირი** (ზვერევა, 1983, 19).

მოდალობა ენობრივი უნივერსალიაა, მიეკუთვნება ბუნებრივი ენის ძირითად კატეგორიებს და „განმსჭვალავს მეტყველების მთელ ქსოვილს“ (ვინოგრადოვი, 1950).

დისკურსში მოდალობის ენობრივი ერთეულების შერჩევა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადრესანტის ინტენციით (საკომუნიკაციო მიზნით), კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სიტუაციით ანუ **პრაგმატული კონტექსტით**. ყოველივე ამას კი მოიცავს სამეტყველო ეტიკეტი.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოვყოფთ მოდალობის სამ ასპექტს:

1. მოქმედების **სუბიექტის დამოკიდებულებას მოქმედებასთან**;

2. **მოუბარი პირის დამოკიდებულებას გამონათქვამთან**;

3. გამონათქვამის **შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილესთან**.

1. პირველი ახასიათებს თვით წინადადების შიგნით არსებულ დამოკიდებულებას და მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც ჯერ კიდევ შეუსრულებელს (ანუ **შესაძლებელს, აუცილებელს, სასურველს**), თუმცა დასაშვებს.

2. მეორეში გამოირჩევა მოუბარი პირის როლი, რადგანაც აქ ვლინდება მისი **დარწმუნების** ან **დაეჭვების** (დაურწმუნებლობის) ხარისხი, თუ რამდენად შეესაბამება გამონათქვამის შინაარსი სინამდვილეს;

3. მოდალობის მესამე სახე კი გამოხატავს გამონათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილესთან **რეალობა-არარეალობის** თვალსაზრისით.

ქართულში მოდალობა მოიცავს სემანტიკური ნიუანსების ფართო სპექტრს: 1. სუბიექტის დამოკიდებულებას **მოქმედებას-თან:** შესაძლებლობას, უნებლიობას, ნებართვას, აუცილებლობას, ვალდებულებას, სურვილს, ნატვრას; 2. მოუბარი პირის დამოკიდებულებას **გამონათქვამთან** (ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით): ვარაუდს, დაეჭვებას, დაურწმუნებლობას, უნებლიობას, უნახაობითობას; 3. მოქმედების ან თანამოსაუბრის ნათქვამის შეფასებას; 4. მოქმედების შესრულების **პირობის** არარეალურობასა თუ რეალურობას და სხვ.

მოდალობის **სემანტიკურ ველში** ქართულში გამოვყოფთ **გრამატიკულ** (მორფოსინტაქსურ) და **ლექსიკურ** (მორფოლექსიკურ) დონეებს (იხ. სქემა №13).

I. **მორფოლოგიურ დონეზე** მოდალობის გამომხატველი საშუალებებია:

1. ზმინის **კილო** (თხრობითი, წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი, კავშირებითი, პირობითი, უნახაობითი);

2. ზოგიერთი **მნკრივი** (თურმეობითი I და II, უნყვეტელი, ხოლმეობით-შედევგობითი, კავშირებითები);


3. **ზმინისინთა** სემანტიკური ნიუანსები (მაგ., უნებლიობა);  
II. **ლექსიკურ დონეზე** – მორფოლექსიკური და ლექსიკური საშუალებები (ძირითადად, პრაგმები), რომელთაც ვუწოდეთ **მოდალური კომუნიკაციური ერთეულები**: ა. მოდალური სემანტიკის **ზმები**; ბ. მოდალური **ზმინიზედები**; გ. მოდალური **ნაწილაკები**; დ. **ჩართული** (პარენთეზული) სიტყვა-გამოთქმები (ჩართული, მართალია, სინტაქსური ერთეულია, მაგრამ ფუნქციურად ამ ჯგუფში ვაერთიანებთ); ე. **შორისდებულები**.

III. **სინტაქსურ დონეზე**:

1. წინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილის);

2. მიმღეობური კონსტრუქციები (მაგ., მე გასაკეთებელი მაქვს; ეს დასაწერია);

### სქემა №13. მოდალობის სემანტიკური ველი ქართულში



3. დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთი სახე (მაგ., ვითარების გარემოებითი წინადადებები, პირობით დამოკიდებული წინადადება დასაწყისით: თუ შეიძლება და სხვ.).<sup>1</sup>

მოდალობის გარკვეული ნიშნები ახასიათებს **სხვათა სიტყვის** ნაწილაკებს, რადგან მოუპარი აუცილებლად მიიჩნევს, დაასახელოს გამონათქვამის წყარო (პირველი პირის ნათქვამის აღსანიშნავად – **-მეთქი**, დიალექტურში – **მეუთხარი**; სხვა პირისადმი მოუპარი პირის დანაბარებისა – **-თქო**; სხვათა სიტყვის გამოხატავად – **-ო**). ქართულ დიალოგებში, **თხრობის** სეგმენტებში, ძალზე ხშირია სხვა-

<sup>1</sup> მოდალობის ლექსიკური საშუალებები განხილულია მომდევნო ქვეთავში.

თა სიტყვის ნაწილაკების გამოყენება, განსაკუთრებით დიალოგური ეპიზოდების ჩართვის გადმოსაცემად.

მოუბარი პირი მოდალობის ვერბალურ საშუალებებთან ერთად იყენებს პარავერბალურსა და არავერბალურს (ინტონაციას, პაუზებს, მახვილებს, ხმის სიმაღლეს, ლაპარაკის ტემპის ცვლილებას, ჟესტ-მიმიკას და სხვ.).

დიალოგურ მეტყველებაში ჩვენ ძირითადად განვიხილავთ მოდალობის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებებს, ხოლო ლექსიკურში გამოვყოფთ მხოლოდ ზოგად თავისებურებებს, რადგან ეს ძალზე ფართო თემაა.

**რეალური** მოდალობა ქართულ ზმნაში გამოხატულია ინდიკატივით ანუ **თხრობითი** კილოს ფორმებით სამივე დროში (ახლანდელში, წარსულში, მომავალში) შემდეგ მწერივებში: ახმყო, უწყვეტელი, მყოფადი, წყვეტილი, თურმეობითი I, იშვიათად – თურმეობითი II (როცა გამოხატავს წინარე მოქმედებას წარსულში).

**არარეალობის** (ირეალობის) მოდალობა გადმოიცემა მორფოლოგიურად ზმნის **კავშირებითი** კილოთი (თვლიან, რომ ბრძანებითი კილოც არარეალურ მოდალობას აღნიშნავს, თუმცა ის გამოხატავს ბევრ სხვა წიუანსსაც: აკრძალვას, თხოვნას, მუდარას, რჩევას და ა.შ.), ლექსიკურად – მოდალური სიტყვებით და **სინტაქსურად** – ბრძანებითი და ძახილის წინადადებებით, ჩართული სიტყვა-გამოთქმებით. ბრძანება მიემართება მომავალ დროს (მასში გაერთიანებული წართქმითი და უკუთქმითი ფორმები).

ჭეშმარიტი არარეალობა გამოხატულია **კავშირებითი** კილოთი: შესაძლებლობა, სურვილი, ნატვრა, ოცნება, ვარაუდი, ეჭვი, პირობა რამე მოქმედების შესასრულებლად ან დამოკიდებულება გამონათქვამისადმი.

ამას გარდა, **კავშირებითი** კილოს ერთ-ერთი ფუნქციაა, მიანიჭოს გამონათქვამს ნაკლები კატეგორიულობა. ამ დროს კილოს ფორმის გრამატიკული მნიშვნელობა ცვდება სტილისტური ფაქტორის ზეგავლენით (ზვერევა, 1983, 136). ტ. ვინოკური სტილისტურ მნიშვნელობას განსაზღვრავს, როგორც ენის ნებისმიერი ერთეულის „თანამნიშვნელობას“ (ე.ი. კონოტატიურ მნიშვნელობას). ის მიიჩნევს, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულში კონოტატიური ელემენტი სჭარბობს დენოტატიურს და შესაძლებელია პირის, კილოსა და გვარის ზმნური ფორმების გამოყენება, როცა მათი სტილისტური მნიშვნელობა გრამატიკული მნიშვნელობის სუბსტიტუტად გვევლინება (იხ. ვინოკური, 1980, 44-45). ის იშველიებს ტერმინს „სტილისტური

მნიშვნელობის ექსპანსია“ (იქვე, 44), როცა გამონათქვამი კავშირებით კილოშია და სათქმელის კატეგორიულობა რჩილდება.

კილოს საკითხთან ქართულ ენაში მჭიდროდაა დაკავშირებული მნკრივთა ფუნქციები, რაც ღრმადაა შესწავლილი (ნათაძე, 1955; არაბული, 1984; გოგოლაშვილი, 1984; 1988; გეგუჩაძე, 2005; ფეიქ-რიშვილი, 1973; 1974; ფხავაძე, 1984 და სხვ.), გამოვლენილია ბრძანებითი კილოსა (ნინუა, 1968) და კავშირებითი კილოს სემანტიკურ-სტილისტური ფუნქციები (კოტინვი, 1959; ოქროპირიძე, 1975; პაპიძე, 1981; 1983 და სხვ.). მოდალობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების (ნაწილაკების, შორისდებულების და სხვ.) შესახებაც საყურადღებო ნამრომები მოგვეპოვება (ბაბუნაშვილი, 1953; 1957; შამელაშვილი, 1958; შერაზადაშვილი, 2003; ახვლედიანი, 2001).

როგორც ვიცით, ქართულში ზმნას შეუძლია გამოხატოს **უნახაობითობა I** და **II** თურმეობითებში (ზოგ დიალექტში – ანმყოს თურმეობითშიც: ნაყვარება, ნაწერავა, დანავალა...). ამ მნკრივებით ვლინდება დალოგურ მეტყველებაში **მოუბარი** პირის დამოკიდებულება გამონათქვამის **სარწმუნობისადმი**.

ჩვენ **უნახაობითობას** ვიხილავთ მოდალობის ველში, როგორც კილოს **ერთ-ერთ სახეობას** (და არა აქტის კატეგორიას), რადგან ვფიქრობთ, რომ ესაა სწორედ **მოდალობის** (კერძოდ, კილოს) **ერთ-ერთი ნაირსახეობა**, რადგან აღნიშნავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი: მოუბარი არაა მოქმედების თვითმხილველი (მას ამის შესახებ უთხრეს ან შემთხვევით გაიგო), ამიტომ ხაზს უსვამს უნახაობითობას ან საკუთარ დაურწმუნებლობას, დაეჭვებას ფაქტის სინამდვილეში (მაგ., თქვენთვის უთქვამთ, რომ მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ეს ასე არაა). რაც შეეხება I პირის ფორმას, აქ ზმნით გამოხატული ფაქტი რეალურია, მაგრამ ადრესანტი გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას: დაურწმუნებლობას, მივიწყებას ან მოქმედების გაუცნობიერებლობას.

მაგ.: „პირველი ლექსი რომ დავწერე, 4 წლის ვიყავი. მე არ მახსოვდა, მამიდაჩემმა მითხრა, ერთი სტროფი **დამიწერია**. მეგონა, 1-2 საათი გავიდა. **გასულა** 12 საათი“; „ისე, ჩემზეც **დაუნერიათ**, ჩემი რაღაცაც **განუხილავთ** ორ-სამ წერილში“; „**ლექსებიც დამიწერია** იმ საზომით, რაც იქ იყო“ (ინტ. ზ. თვარ.).

არ ნაწილაკთანაც იმიტომ გვხვდება თურმეობითი I, რომ მოქმედება არც შესრულებელია და, ცხადია, არც ნანახი: „**არც** მიფამია, **არც** წყალი დამილევია, **არ ავმდგარვარ** ლოგინიდან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მუზები ყოველ წუთში მოდიან, არამედ იმის, რომ

ესეთი რაღაცაც მომსვლია“; „არ ვიცი, იქ ცუდი არაფერი უთქვამთ. არ უთქვამთ, რომ ეს არ გამოსდის ან ეს... ეგეთი რამე არ ყოფილა“ (ინტ. ზ. თვარ.).

არ ნაწილაკთან იყენებენ **წყვეტილსაც** (არ გავაკეთე, არ დავ-ნერე), მაგრამ თურმეობით I-თან მისი სემანტიკა ნაკლებ კატეგო-რიულია. შდრ. არ დავწერე – არ დამიწერია, არ გავაკეთე – არ გამი-კეთებია. ამით ხაზი ესმება ადრესანტის დამოკიდებულებას, რომ ეს უნებური ქმედებაა და არა – გააზრებული პროტესტი (არ და ნუ ნა-ნილაკებზე იხ. ჭუმბურიძე, 1970).

იგივე ვითარებაა **II თურმეობითთან**, როცა ის აღნიშნავს უნი-ნარეს მოქმედებას და არა არარეალობას: შინ რომ მივედი, ნატოს სახლი დაელაგებინა. დალაგების პროცესს ადრესანტი არ დასწრებია, არაფერი იცოდა ამის შესახებ და მოქმედება მის მოსვლამდე მომხდარა. მაშასადამე, თუკი II თურმეობითი რეალურ ვითარებას გვიჩვენებს (უნინარეს მოქმედებას წარსულში), მაშინ კილო **უნახა-ობითია:** საღამოს ვნახე, რომ გიგას ყველაფერი დაეწერა. თუკი ეს ფორმა გამოხატავს არარეალურ მოქმედებას, კილო კავშირებითია: თავის დროზე რომ დაეწერა, აჯობებდა.

ენათმეცნიერთა შორის იყო კამათი ქართულში **უნებლიობის** კატეგორიის გამოყოფის შესახებ (იხ. შანიძე, 1984; ქავთარაძე, 1956; ფოცხიშვილი, 1969 და სხვ.). ჩვენი აზრით, უნებლიობა მართლაც არაა ცალკე გრამატიკული კატეგორია, არამედ მოდალობის, რო-გორც სემანტიკური კატეგორიის, ერთ-ერთი ნიუანსია. როგორც ვიცით, უნებლიობის სემანტიკის ზმზურ ფორმებში გამოიყენება **შე-მო-** ან წა(მო)- ზმნისწინი (ზმნა დგას მხოლოდ მომავალ ან წარსულ დროში): ფული შემომეხარჯება – შემომეხარჯა; შემომაკვდება – შე-მომაკვდა, შემომელახა, შემომატყდა, შემომელანძლა, წამომცდა, ხელი წამცდა... (მაგ., ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი ნათესავი შემო-მელანძლა). ასეთი ფორმა გამოხატავს, რომ მოქმედება მოხდა მოუ-ბარი პირის სურვილის გარეშე, უნებურად (შდრ. ფული დამხარჯა – ფული შემომეხარჯა). ჩვენ უნებლიობას მივიჩნევთ მოდალობის ერთ-ერთ **სემანტიკურ ნიუანსად.**

სიხშირის მიხედვით ქართულ საუბრებში განსაკუთრებით უნ-და გამოიყოს წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ფორ-მები (**დირექტიულ** სამეტყველო აქტებში: თხოვნა, ბრძანება, მუდა-რა, აკრძალვა, რჩევა) მოდალურ წაწილაკებთან ერთად ან მათ გა-რეშე, ასევე – კავშირებითი კილოს ფორმები (მოდი რა! დაწერე რა! ეგებ გააკეთო!).

**ნატვრის** გამომხატველ სამეტყველო აქტებში სხვა გრამატიკულ-ლექსიკურ საშუალებებთან კომპლექსში – კავშირებითის მწერივები (აწმყოს ან მყოფადის კავშირებითები, II კავშირებითი), წყვეტილი ან II თურმეობითი მეორეული მნიშვნელობით: ეპ., ნეტა ვწერდე (დავწერდე, დავწერო)! შდრ. ნეტა გაგვეკეთებინა! ნეტა გამაკეთებინა! ნეტა დამანერინა! **დალოცვისას** – წყვეტილი (ზენ გაიხარე! შენ აშენდა! თქვენი თავი მანახა გახარებული და ბედნიერი!), II კავშირებითი (უნდა გამრავლდეთ და იხაროთ!), III კავშირებითი (განსაკუთრებით – სადლეგრძელობში: კარგად გლენავლოს და გაგეხარებინოს დედ-მამის გული! გამრავლებულიყავით და გლესახელებინოთ სამშობლო!); წყევლისას – წყვეტილი, II კავშირებითი (ამონ-ყდით! თქვენ არ გაიხარეთ! თქვენი ოჯახი ამონყდა! იმათ გაუხმათ თავი! დაიქცეს თქვენი დამაქცევარი!), არარეალური პირობის გამოსახატავად გვეხვდება II თურმეობითი, ხოლო მთავარ წინადადებაში – ხოლმეობით-შედეგობითი (მაგ., ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, ალბათ აჯობობდა). დალოცვა ხშირად გამოიყენება **მსმენელის** სიგნალებში უკუკავშირის დასამყარებლად.

დიალოგურ მეტყველებაში დიდია ნაწილაკების ფუნქცია, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი სემანტიკური შეხამებულობის უნარის ცოდნა მნიჭრივებთან. მაგ., ეგებ მოვიდე (მოსულიყო, მოვიდა); ალბათ მოვა (მოვიდოდა, მოდის); შეიძლება მოვიდეს (მოსულიყო), უნდა და მოვიდეს (მოსულიყო). მაგ., ნუ მოვა! ნუ გააკეთებს! შდრ. არ მოხვიდე! არ გააკეთო! ვერ დავწერე. შდრ. არ დამიჩერია.

საინტერესოა მოდალობის გამოხატვა სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებში, რომელთა ნაწილი შორისდებულთა ჯგუფში შედის.

ეტიკეტური ფორმულების უმეტესობა ასახავს **რეალურ** მოდალობას და წარმოაჩენს მხოლოდ თავაზიანობას ადრესატისადმი. მოუბარი პირი არბილებს, ასუსტებს გამონათევამის კატეგორიულობას. ამ მიზნით ის მოიხმობს სხვადასხვა სამეტყველო **სტრატეგიას**: ბრძანების ნაცვლად იყენებს შეკითხვას, ბრძანებით კილოს ჩანაცვლებს კავშირებითით, იშველიებს მოდალური სემანტიკის ზნებს, ზმინზედებსა და ნაწილაკებს, ჩართული სიტყვა-გამოთქმებით აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და ა. შ. ასეთი ფორმულები ხშირად სტერეოტიპული კლიშეებია და ენობრივ კოლექტივში გაუცნობიერებლადაც იყენებენ, ამიტომ ზმინის კილოს ექსპლიციტურ ფორმას კი არ ცვლიან, არამედ იმეორებენ მზა სამეტყველო ფორმულებს თავაზიანობის ხაზგასასმელად.

მოდალობაზე, როგორც ერთ-ერთ ილოკაციურ ინდიკატორ-

ზე, განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას სამეტყველო აქტების თეორიაში და კილოს თვლიდნენ დისკურსის ანუ საუბრის ერთ-ერთ მარკერად. ამ თვალსაზრისით, ზმნის კილოს გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოდალურ სიტყვებსა და ჩართულებს, როგორც კომუნიკაციის შემარბილებელ საშუალებებს. მაგ., ბრძანება თავაზიანი არაა, ამიტომ მისი შერპილება შეიძლება ზმნის კავშირებითი ან პირობითი კილოს ფორმებით, მოდალური სემანტიკის ზმნის ან ნაწილაკის დამატებით, პირობით ან ვითარების გარემოებით დამოკიდებული წინადადებებით და სხვ.

მაგ.: – მომიტანე წყალი! – ბრძანებაა. უფრო თავაზიანი იქნებოდა: წყალი მომიტანეთ, რა! – წყალს ხომ ვერ მომიტანდით? შეიძლება წყალი მომიტანოთ? წყლის მოტანა შეგიძლიათ? ეგებ წყალი მომიტანოთ! თუ შეგიძლიათ, წყალი მომიტანეთ! და ა.შ.

როცა ასეთ გამოთქმებში გამოყენებულია ზმნები, მათ ექსპლიციტურად რომელიმე კილოსა და დროის ფორმა აქვთ, მაგრამ რეალურად გადაზრებულია და იქმნება მყარი ფორმულა. ამ გამონათქვამებსა და ჩვეულებრივ წინადადებებს შორის სხვაობა უნდა ვეძებოთ სტილისტურ მხარეში, სოციოლინგვისტურ მიმართებებში და არა დროსა და კილოში. აქ ექსპლიციტურად არარეალური მოდალობა (ბრძანებითი ან კავშირებითი კილო) იმპლიციტურად რეალურია.

მაგალითად, **ბოდიში:** ბოდიშს მოგიხდით! გთხოვთ მაპატიოთ! შეიძლება შაპატიოთ? თუ შეიძლება მაპატიეთ! მომიტევეთ! ნება მომეცით, ბოდიში მოგიხადოთ! ეგებ მომიტევოთ!..

**მადლობა:** გმადლობთ! მადლობა უნდა გითხრათ! მადლობას გიხდით! მადლობას გადაგიხდით! მადლობას მოგახსენებთ! მინდოდა მადლობა გამომეხატა! ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ (მადლიერება გამოვხატო)! მიიღეთ ჩემი ულრმესი მადლობა! და ა. შ. ვერ ვიტყვით, რომ „მაპატიოთ! მომიტევეთ! ნება მომეცით! მიიღეთ ჩემგან მადლობა!“ ბრძანებითია და არარეალობის მოდალობა აქვს, არც კავშირებითის ფორმები გამოხატავს არარეალობას, სასურველობას, შესაძლებლობას (ეგებ მაპატიოთ; ბოდიში რომ მოგიხადოთ). ბოდიშს ან მადლობას იხდიან მეტყველების (უბნობის) მომენტში.

შდრ. – გუშინ მინდლდა თეატრში წავსულიყავი! – აქ მოუპარი პირი აპირებს თეატრში წასვლას, მოდალობა არარეალურია, მასზე შეიძლება საპასუხო რეპლიკა: მერე რატომ ვერ წახვედი? – იმავეს ვერ ვუპასუხებთ სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებთან: მინდლდა

ბოდიში მომეხადა ან მადლობა გადამეხადა! ვერ ვიტყვით: მიდი, მო-  
მიხადე ბოდიში! კი, გადამიხადე მადლობა! – ეს ფორმები აღნიშნავს  
**რეალურ** ფაქტს, რადგან მოქმედება თქმის პროცესით შესრულდა  
კიდეც: ადრესანტმა გადაიხადა მადლობა და მოიხადა ბოდიში. კით-  
ხვაზე „შეიძლება მაპატიოთ?“ – დადებითი ან უარყოფითი პასუხი  
არცაა მოსალოდნელი: დიახ, შეიძლება! ან: არა, არ შეიძლება! ადრე-  
სანტი ითხოვს პატიებას.

მოდალობის ენობრივი საშუალებებით დიალოგში შეიძლება  
შეიქმნას ერთგვარი „ზღუდე“, რომ გამოვლინდეს თავაზიანი დამო-  
კიდებულება, კეთილგანწყობა ადრესატისადმი. რომელ ფორმას  
აირჩევს მოუბარი პირი, დამოკიდებულია მის მიზანზე: უნდა თუ არა  
შეარბილოს ნათქვამის კატეგორიულობა. ამიტომ ეს უკვე სამეტ-  
ყველო ეტიკეტის სფეროს განეკუთვნება.

როგორც ვხედავთ, ეტიკეტური ფორმულების ფორმასა და ში-  
ნაარსს შორის ხშირადაა სხვაობა, რადგან მათი უმეტესობა პერ-  
ფორმატიული შინაარსისაა. დიალოგი წარიმართება მოუბარსა და  
მსმენელს შორის კონკრეტულ ადგილასა და დროს ანუ კომუნიკან-  
ტები ერთმანეთის პირისპირ არიან მეტყველების მომენტში. **დროი-  
სა და კილოს** ექსპლიციტური ფორმა **იმპლიციტურად** გამოხატავს  
სხვა მნიშვნელობას.

მაშასადამე, ასეთ გამონათქვამებში ბრძანებითი კილო არ გა-  
მოხატავს **ბრძანებას**, **კავშირებითი კილო** – **არარეალობას**, კით-  
ხვითი ნინადადება – **კითხვას**. სამეტყველო ეტიკეტის სინონიმუ-  
რი ერთეულებიდან შესაბამისის არჩევა დიალოგში განპირობებუ-  
ლია მოუბარი პირის მიზანდასახულებით, სიტუაციით, ადრესატის  
ფაქტორით.

ეტიკეტური ფორმულები ხასიათდება სხვადასხვა საკომუნი-  
კაციო ფუნქციით და საჭიროა მათი დისტრიბუციის ცოდნა სამეტ-  
ყველო რეგისტრების შესაბამისად. იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი,  
რომ ბოდიში, მადლობა, მისალმება, გამომშვიდობება, მილოცვა, და-  
ლოცვა და ა.შ. ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებია და **პერფორ-  
მატივებს** წარმოადგენს: ვამპობთ მადლობას და ამით ვასრულებთ  
კიდეც მოქმედებას. შართალია, მათზე ზოგჯერ ჩვეულებრივი გამო-  
ნათქვამების მსგავსად შეიძლება პასუხის გაცემაც, მაგრამ ესეც ძი-  
რითადად სტერეოტიპული სამეტყველო კლიშეებია, თუმცა საზე-  
მოქმედებო ფუნქციის მქონე: ინვენს ადამიანების საპასუხო რეაქ-  
ციას (რეპლიკას, უესტს, მიმიკას, განწყობის ცვლას).

ამით დასტურდება, რომ ეტიკეტური ფორმულები ფრაზეო-

ლოგიზმებს ჰგვანან და ახასიათებთ გრამატიკულ კატეგორიათა ტრანსემანტიზაცია, პრაგმატიული კონტექსტით განპირობებული ჰერსონალიზმი, მოდალობა ან დრო.

ზოგიერთი მეცნიერი ასეთ შემთხვევებში საუბრობს სინტაქსური პირის, სინტაქსური მოდალობისა და სინტაქსური დროის შესახებ, რადგან სემანტიკური ცვლილებები ვლინდება მხოლოდ გამონათქვამში და არა ცალკე აღებულ ლექსიკურ ერთეულში (ფორმანოვსკაია, 1987).

საერთოდ, ძნელია დიალოგურ მეტყველებაში ცალკეული მორფოსემანტიკური კატეგორიის განხილვა იზოლირებულად, რადგან ყველა ენობრივ-არაენობრივი საშუალების არჩევანი განპირობებულია ექტრალინგვისტური ფაქტორებით და საკომუნიკაციო ფუნქცია სრულდება კომპლექსურად, მათი კომბინირებით.

#### IV. სხვა გრამატიკული კატეგორიებისა და ფორმების დანიშნულება დიალოგში

**გვარის** კატეგორიამაც შეიძლება ხაზი გაუსვას თავაზიანობას. მაგალითად, ოფიციალურ საუბრებში სპეციალურად იყენებენ აქტიურის ნაცვლად ზმის პასიურ ფორმებს. როცა მოუბარი პირი საჭიროდ თვლის, რომ მოქმედების სუბიექტი მიჩქმალოს, თავი აარიდოს მის პირდაპირ დასახელებას, ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს სამეტყველო ეტიკეტი. მაგ., საყვედურის თქმის დროს: – თქვენ არასწორად წერთ ამ საკითხზე! შდრ. ამ საკითხზე ხშირად არასწორად იწერება ხოლმე! ესაა პირის განუსაზღვრელად ქცევის ერთ-ერთი ხერხი (შდრ. არასწორად წერენ).

ამ ბოლო დროს ძალიან გავრცელდა პერიფრასტული ვნებითის ფორმები (მაგ., შემჩნეულ იქნა დამნაშავე, დაკავებულ იქნა, აყვანილ იქნა...) (იხ. ლვინაძე, 1989); ოფიციალურ სიტუაციებში ფუნქციურზმინიანი შესიტყვებების ასეთი გავრცელება მოწმობს ფსევდოკულტურულობას და არა თავაზიანობას: ვანარმოეთ გასროლა, განხორციელდა თავდასხმა, მოხდა აყვანა, ჩატარდა თესვის კამპანია და ა.შ. ძალიან მომრავლდა ასეთი ფორმები ტელევიზიაში ინფორმაციათა გადაცემისას (განსაკუთრებით „ვიდეოპატრულის“ ჩვენებისას), სახელმწიფო მოხელეთა და მთავრობის წარმომადგენელთა საუბრებში. ისინი სპეციალურად ცდილობენ, რომ გამოიყენონ მსგავსი შესიტყვებები, როგორც უფრო კულტურული და თავაზიანი.

დიალოგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებად მივიჩნევთ ადრესატისადმი პირდაპირი მიმართვების ხშირ გამოყენებას. მიმართვა მორფოლოგიურად გამოიხატება არსებითი ან ზედსართავი სახელების წოდებითის ფორმებით (ვოკატიური მიმართვები), მათ რიცხვში თვლიან ზმნურ მიმართვებსაც (ე.წ. იმპერატიული მიმართვები). სინტაქსურად ვოკატიური მიმართვა განკერძოებული სიტყვაა და წინადადებაში სხვა წევრებთან არ ქმნის სინტაქსურ წყვილს (იხ. შემდეგ, საკომუნიკაციო ინდიკატორებთან).

### 3.1.3.2. ქართული დიალოგური მეტყველების ლექსიკის ზოგიერთი თავისებურება

ფუნქციის მიხედვით საუბრის განსხვავებულ ტიპებში გვხვდება ორი სახის ენობრივი ერთეულები: **ინფორმერები** და **პრაგმები**. ინფორმერები ენის სხვადასხვა დონის ერთეულებია, რომელთა საშუალებითაც გადაიცემა ინფორმაციული შინაარსი, შეტყობინება, ე.ი. მათ აქვთ ინტელექტუალურ-ინფორმაციული ფუნქცია (იხ. ბარაქაძე, 2003ბ, 35). **ინფორმერებში** შედის: ნომინაციური ანუ სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ზმნა, ზმნისართი), დეიქტური (ნაცვალსახელები, ზმნიზედები) და რელაციური ერთეულები (კავშირები, ზმნისწინები).

**პრაგმები** ასრულებს პრაგმატულ ფუნქციას ანუ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, ემოციურ სფეროსა და ქცევაზე. მათში შედის: ემოციური, ემოციურ-შეფასებითი და ექსპრესიული სიტყვები (შორისდებულები, მოდალური სიტყვები, ნაწილაკები). ზოგჯერ ჭირს ზღვრის გავლება ინფორმებასა და პრაგმებას შორის და გვხვდება შუალედური ან კომბინირებული სახეობებიც.

დიალოგებში ენობრივ უნივერსალურად უნდა მივიჩნიოთ **პრაგმების** (მოდალური ნაწილაკების, ზმნიზედებისა და შორისდებულების) სიჭარე, რაც დადასტურდა ქართულ საუბრებშიც. მაგ.: არა? დიახ, ჰოო, აჲა; კი, კი; არა, არა; რაო? ხომ, ცხადია, შედარებით, ერთგვარად, ალბათ, ეგებ, ნეტა, მართლა? ყოჩალ! ოჲ, უჲ, აჲ, ვაი... ამ საშუალებებით შეიძლება გამოიხატოს მსმენელის **უკუკავშირი** მოუბარ პირთან (Rückskopplung), სტილისტიკაში მსგავს ლექსიკურ ერთეულებს უწოდებენ „გაცვეთილ (შემავსებელ) სიტყვებს“ (Flickwörter ან Füllwörter), მაგრამ დიალოგებში მათი საკომუნიკაციო მნიშვნელობა დიდია. ამას ადასტურებს მოდალურობისა და ემოცი-

ის გამომხატველი **ლექსიკური** საშუალებების უპირატესობა საუბრებში.

მოდალური ნიუანსის მქონე მეტყველების ნაწილებს ვაერთიანებთ მათი საკომუნიკაციო ფუნქციის მიხედვით და ვუწოდებთ **მოდალურ კომუნიკაციურ ერთეულებს** (მოდალური სემანტიკის ზმნები, ზმნიზედები, ნაწილაკები ან მათთან გათანაბრებული სიტყვები, ჩართულები, ზოგიერთი **შორისდებული**). მათი როლი დიდია საუბრების ორგანიზაციულ-შინაარსობრივ მოწესრიგებასა და კომუნიკანტთა დამოკიდებულება-შეფასების გამოხატვაში.

ქართულ დიალოგებში გავრცელებულია მოდალური კომუნიკაციური ერთეულები: **ზმნები:** მინდა, მსურს, შემიძლია, შეიძლება, (ნება) მაქვს, (ნებას) მაძლევს, (ვალდებული) ვარ, (იძულებული) ვარ; ვეჭვობ, საეჭვოა, სავარაუდოა, დასაშვებია, ვიმედოვნებ...

თავაზიან საუბარში დიდი ადგილი უკავია ე.ნ. პერფორმატიულ **ზმნებს:** გთხოვთ, გეხვეწებით, გემუდარებით, გევეძრებით, დაგლოცავთ, მოგიბოდმებით (ბოდიშს მოგიჩდით), მაღლობას გადაგიხდით (გმადლობთ), მაპატიეთ, მომიტევეთ, გილოცავთ, გისურვებთ, გემშვიდობებით, მოგესალმებით, დამავალებთ, გვიკადრეთ, ნუ წუხდებით და სხვ. ასეთი ზმნები შედის ეტიკეტურ სტერეოტიპულ გამოთქმებში და ზოგჯერ შესიტყვებას ქმნის. ამ ზმნების ნაწილი უკვე შორისდებულად ითვლება.

**ზმნიზედები:** 1. **ვითარების –** უცილობლად, აუცილებლად, უდავოდ, უეჭველად, სავარაუდოდ, საეჭვოდ, სადავოდ, ერთგვარად, ამგვარად, სხვაგვარად, ასე, ისე; 2. **ზომა-ოდენობის –** ნაკლებ, ნაკლებად, სავსებით, სრულებით, სრულიად, მეტად, ცოტად, ოდნავ, ესიღენ, სულ, მთლად, მთლიანად, საერთოდ, საზოგადოდ, ნაწილობრივ; 3. **უარყოფითი** (ვერ- ნაწილაკის შემცველი, რადგან გამოიხატება შეუძლებლობის სემანტიკაც) – ვერსად, ვერასდროს, ვერანაირად, ვერაფრით, ვერავითარ შენთხვევაში;

**ნაწილაკები:** 1. **კითხვითი –** ხომ, განა, ნუთუ; 2. **უარყოფითი –** ვერ, ვერც, ველარ; 3. **გაძლიერებითი –** -ც, -ც კი, კიდეც, მაინც, ბარემ; 4. **გამორჩევითი –** -ლა, მხოლოდ, მარტო; 5. **ნება-სურვილისა –** ნეტა, ნეტავი, ნეტამც, უნდა, ბარემ, ადე, ვინძლო, აბა, მოდი, ერთი; 6. **შესაძლებლობა-ვარაუდისა –** იქნებ, იქნება, ეგებ, ეგების, შეიძლება; 7. **მიახლოებითი –** კინაღამ, ლამის, თითქმის, -ოდე; 8. **მსაგასებისა –** ვითომ, თითქოს და სხვ. (ნაწილაკების შესახებ იხ. ბაბუნაშვილი, 1953; შერაზადიშვილი, 2003).

განსაკუთრებით დიდია ქართული დიალოგური მეტყველების

ორგანიზებისათვის რამდენიმე ნაწილაკის ფუნქცია: **აბა, მიღი, ერთი, რა, მერე** და სხვ. სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფით საუბრებში (ოფიციალურ სიტუაციაშიც) ძალზე გავრცელდა რუსული ენიდან შემოსული ნაწილაკი: **ნუ** (ნუ, აბა ახლა რა უნდა გითხრათ!).

დიალოგური მეტყველების ეს ლექსიკური ფენა ხშირად არბილებს გამონათქვამის კატეგორიულობას, ე. ი. წარმოადგენს ე. წ. „ზღუდეს“ (ინგლ. hedge, გერმ. Heckenausdrücke) (იხ. ლაკოფი, 1972).

დაგასახელებთ **თხოვნის** დროს გამოყენებულ ასეთ ენობრივ ერთეულებს:

ა. ვითარების ზმინზედები: ძალიან, ძმურად, ვაჟკაცურად; ერთგვარად, გარკვეულწილად;

ბ. ნაწილაკები: ეგებ, ვინძლო, იქნებ, ალბათ, შეიძლება, ერთი, აბა, რა, ხომ, ვერ, აკი, დიახ, კი, აბა რა, განა, ნუთუ;

გ. შორისდებულები საალერსო მიმართვებად: შენი (თქვენი) ჭირიმე, გენაცვალე, გეთაყვა, გეთაყვანე, შენ შემოგევლე და სხვ.

**ჩართულ სიტყვა-გამოთქმებში** შედის სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. მათი მეშვეობით წარმოჩნდება ჩვენი დამოკიდებულება ადრესატის ან თვით გამონათქვამისადმი, რბილდება სათქმელის კატეგორიულობა და ილოკუციური ძალა, გამოიხატება კეთილგანწყობა და ყურადღება თანამოსაუბრისადმი:

1. მოუბარი პირის **დარწმუნებულობა** ნათქვამის ან ფაქტის უეჭველობაში: რასაკვირველია, ცხადია, რა თქმა უნდა, აშკარაა, მართლაც, ბუნებრივია, უდავოა, ეჭვგარეშეა, არც მეტი, არც ნაკლები, სიმართლე რომ ვთქვათ, უნდა ვალიაროთ, გულზე ხელი დავიდოთ;

2. **ვარაუდი, ეჭვი:** საეჭვოა, ვგონებ, მე მგონი, შესაძლოა, იქნებ, ალბათ, ვინ იცის, ღმერთმა იცის, ეშმაკმა იცის, როგორც ეტყობა, როგორც ჩანს, ვეჭვობ, ვფიქრობ, ჩანს, ასე თუ ისე, როგორც ვატყობ, ცოტა არ იყოს, ვთქვათ, ყოველ შემთხვევაში, სადაცოა, საფიქრებელია, იმედი მაქვს;

3. **აზრის წყარო** ან მისი არცოდნა: ამბობენ, როგორც ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ, ჩემი აზრით, გაზეთების ცნობით, ხალხის შეხედულებით, ცხონებული (...-ის) სიტყვებით რომ ვთქვათ;

4. **მეტყველების** სტილის, აზრის გამოხატვის ფორმის **შეფასება:** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ, ასე რომ ვთქვათ, თუ შეიძლება ასე ითქვას;

5. **მიმართვა ადრესატისადმი** აზრის გასაზიარებლად ან თანაგრძნობა-თანხმობის დასტურად. ასეთ ეტიკეტურ გამოთქმებს

ხშირად ვხვდებით მოუბარი პირის ან მსმენელის სიგნალებად: მერწმუნეთ, ალბათ დამეთანხმებით, თქვენ წარმოიდგინეთ, ნუ გაგიკვირდებათ, ასე იფიქრეთ, როგორც იცით, თქვენც კარგად იცით, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ალბათ თქვენც გამოგიცდიათ, შენ ხარჩემი ბატონი, თუ ძმა ხარ, მოგიკვდი შენ, ჩემი სიკვდილი, ვაი, ჩემი ცოდვა, ღმერთო, რა შეგცოდე, ღმერთო, მიშველე, ღმერთო, მაპატიე, ღმერთო, რა დავაშავე, ღმერთო, დამიფარე! (ჩართულების შესახებ იხ. ახვლედიანი, 2001).

მაგალითად: ცხადია, არ შეგეშლებოდა, მაგრამ; უეჭველია, შენი აზრი მისაღებია, თუმცა; რასაკვირველია, კარგად მსჯელობ; ეჭვეგარეშეა, ეს მოსაზრება საინტერესოა და სხვ. წინადადებათა და-საწყისის ფორმულებად აღიქმება: თუ არ შენუხდებით; თქვენ გენაცვალეთ, დიდად დამავალებთ; ეგვე დამავალოთ; თუ დროს და-მითმობთ; თუ გცალიათ; თავს დიდხანს არ შეეგანყენთ და ა.შ.

როცა ადრესატის აზრი არ მოსწონთ, არამართებულად თვლიან ან ატყობენ, რომ რალაც არ იცის, არათაგაზიანია ასე თქმა: – ეს ტყუილია! შენ არაფერი გაგეგება! შენ ეს არ იცი! აზრზე არა ხარ! ხომ არ აფრენ? შენ რა, გაგიუდი? – არამედ სათქმელს არბილებენ მოდალობის გამომხატველი რომელიმე ენობრივი ერთეულით: – ეგვე მართალიც იყო, მაგრამ მანიც შევამონმოთ! – შეიძლება მთლად სწორად ვერ გაგიგე; – მჯერა, არაფერი შეგეშლებოდა, მაგრამ მანიც აჯობებს, რომ... (ეს დამოკიდებულია კომუნიკანტთა ურთიერთობაზე).

როგორც ვხედავთ, მოდალური კომუნიკაციური ერთეულები სემანტიკურად მრავალფეროვანია და ამიტომ ვაერთიანებთ მათ მხოლოდ ფუნქციურად. მართებულად არის შენიშნული, რომ მხლებელთა (განსაკუთრებით კი – ნაწილაკების) სემანტიკაში ჭარბობს მნიშვნელობის კონტექსტური ტიპი და ასეთი ერთეულები წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტებსაც წარმოადგენენ (კვარაცხელია, 1994). მართალია, ნაწილაკების ფუნქცია ემსგავსება სინტაქსურს, მაგრამ „ისინი აქტუალურნი არიან გამონათქვა-მის და არა წინადადების დონეზე“, ესაა კომუნიკაციური მნიშვნელობა, „რადგან იგი ხასიათდება პრაგმატული ინფორმაციით – ასახავს კომუნიკაციურ ორგანიზაციას“ (კვარაცხელია, 1997).

**დიალოგის** (დისკურსის) **სიგნალებში** ამ ერთეულებს იყენებენ კომპინირებულად, როგორც მოუბარი პირის ან მსმენელის სიგნალებს, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციულ და შინაარსობრივ კავშირს დიალოგური მეტყველების სეგმენტებს შორის (იხ. შემდეგ).

როგორც მოსალოდნელი იყო, საუბრებში აშკარაა **ემოციური** და **შეფასებითი** ლექსიკის სიხშირე. მოდალური ნიუანსისგან არაა დაცლილი ნათქვამის ემოციური შეფასებაც, რომელშიც ვლინდება მოუბარი პირის განწყობა-დამოკიდებულება: სიხარული, მნუხარება, სინანული და სხვ.

**შორისდებულის** შესახებ დღემდე არ შეწყვეტილა კამათი ენათმეცნიერთა შორის: სადავოა მისი მორფოლოგიური კვალიფიკაცია, სემანტიკიური დაჯგუფება, სინტაქსური დანიშნულება და სხვ. (ამის შესახებ იხ. ჩიქობავა, 1952; შამელაშვილი, 1958; უძენტი, 1965; შანიძე, 1973; გაჩეჩილაძე, 1979; ასევე საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული გ. მაჭავარიანს, გ. ნებიერიძეს, ნ. დარასელიას, 1999; 2006 და სხვ.). შორისდებულები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ცალსახა განმარტება და ერთი საკლასიფიკაციო ნიშნის გამოყოფა შეუძლებელია. მორფოლოგიურად ის ცალკე მეტყველების ნანილად ითვლება, სინტაქსურად კი განიხილება განკვერძობულ სიტყვა-გამოთქმებში. საუბრობები იმაზეც, რომ იგი წინადაღების ეკვივალენტია. თუკი შორისდებულად მივიჩნევთ მხოლოდ ადამიანის გრძნობებისა და განცდების გამომხატველ ენობრივ ერთეულებს (ე.წ. **პირველად** შორისდებულებას), მაშინ საკითხი უფრო მარტივად გადაიჭრება, თუმცა ჩვენთვის მნიშვნელოვანია შორისდებულთა გამოყენების სიხშირე და საკომუნიკაციო ფუნქციები სასაუბრო ენაში.

**ოფიციალური** დიალოგებში ყოველდღიურ ყოფით საუბრებთან შედარებით იშვიათადაა გამოყენებული შორისდებულები, რადგან ემოციურობა ნაკლებია ან თავშეკავებულად მულავნდება.

შორისდებულებით მჟღავნდება სხვადასხვა გრძნობა-ემოცია: **ნატვრა** (ეპ, ოპ, ახ), **სიხარული** და **აღტაცება** (ოპ, უპ, იპ, ვაპ, ვა), **გაკვირვება** (აპა-აპა, დახე, ერიპა, უპ), **დანანება** (ოო, ახ, ოხ, აი-აი, ეპ, დედა-დედა), **მნუხარება** (ვაი, უი, უიმე, ვაიმე, უპ, ოხ, ახ, დიდუ), **ზიზლი** (ფუპ, ფუი, ფუ), **ნაქეზება** (პა, აპა პე, აპა პო) და სხვ. ამ ბოლო დროს ახალგაზრდების მეტყველებაში გავრცელდა უცხოური შორისდებულებიც: **ვაუ** (გაოცებისა და აღტაცების ნიშნად), **იუპს** (მოულოდნელობის გამო).

შორისდებულები პოლიფუნქციურია და მათი სემანტიკური ნიუანსები კონკრეტდება სიტუაციით, პარა- და არავერბალური საშუალებებით, ამიტომ ერთი და იმავე შორისდებულს სიტუაციის მიხედვით შეიძლება ექნეს სხვადასხვა სემანტიკა და საკომუნიკაციო ფუნქცია.

შორისდებულების ერთ-ერთ ჯგუფად ითვლება **ეტიკეტური ფორმულები** (ეს მოსაზრება სადაცოა, მაგრამ ეს არაა ჩვენი მსჯელობის საგანი), რომელთა მნიშვნელობა განუზომლად დიდია საუბრებში:

**1. ფიცილის ფორმულები:** ღმერთმანი, დედაშვილობამ, დედაშვილობას, მამაშვილობამ, ძმობამ, დაძმობამ, შენმა მზემ, ჩემმა მზემ, გაფიცებ შვილებს, შენს თავს ვფიცავ, შენმა გაზრდამ, გაზრდა-გახარებამ, შენმა გახარებამ, დედ-მამის სული ნუ წამიწყდება...

**2. მისალმება:** გამარჯობა, გაგიმარჯოს, დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა...

**3. გამოთხოვება:** ნახვამდის, კარგად იყავით, ძილი ნებისა, მშვიდობით...

**4. მადლობა:** გმადლობთ, მადლობა...

**5. ბოდიში:** ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ, უკაცრავად, მომიტევეთ...

**6. დალოცვა:** ღმერთმა დაგლოცოთ, გაიხარე, იცოცხლე, აგა-შენა ღმერთმა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ღმერთმა გაგიმარჯოს, ღმერთმა დაგიფაროს, ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა გაგახაროს...

**7. საალერსო სიტყვები:** შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გეთაყვანე, შენ შემოგევლე, გენაცვა, გეთაყვა...

**წყევლის ფორმულებიც** ამ ჯგუფს ეკუთვნის: თქვენ ამოწყდით, შენ გადაშენდი, შენ არ გაიხარე, გადაგიშენდა ოჯახი, შენი ოჯახი დაიქცა, შენ ჩაგიწყდა ხმა, შენი ჯილაგი ამოწყდა, შენ არ მიხვედი სახლში ცოცხალი და სხვ.

**ფიცილის, საალერსო, დალოცვისა და წყევლის სიტყვები,** ჩვეულებრივ, უფრო გავრცელებულია ყოფით საუბრებში, ოფიციალურ სიტუაციაში კი იშვიათად გვხვდება, **მისალმება-გამოთხოვება, მადლობა, ბოდიში** კი ყველა სახის დიალოგის საწყისი ან დამასრულებელი ფაზების აუცილებელი შემადგენელია (სამეტყველო აქტების თეორიაში ამ ტიპის გამონათქვამებს უწოდებენ **კონდუქტივებს**).

სხვადასხვა საკომუნიკაციო რეგისტრის შესაქმნელად მნიშვნელოვანია **ლექსიკური ევფემიზმები** (არსებითი ან ზედსართავი სახელები), რომელთა გამოყენება მიღებულია **ოფიციალურ** (იშვიათად არაოფიციალურ) სიტუაციაში, განსაკუთრებით ტელე- ან რადიოგადაცემებში, პოლიტიკურ დებატებში. თავაზიანობისა და მოკრძალების გამო ზოგჯერ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ზედსართავი ან არსებითი სახელები, ზმნები ჩანაცვლებულია უფ-

რო შერბილებული სინონიმებით, რათა ტელემაყურებელთან, მსმენელთან (ე.წ. კოლექტიურ ადრესატთან) არ გამოიყენონ უხამსი, არასასიამოვნო ელფერის სიტყვები და უწმაწური გამოთქმები.

როგორც ვხედავთ, ქართულ დიალოგურ მეტყველებაში ჭარბობს პრაგმატიკა რაოდენობა: ემოციურ-შეფასებითი და ექსპრესიული სიტყვები მოუბარისა და მსმენელის სიგნალებში. შორისდებულებიდან აღსანიშნავია ეტიკეტური ფორმულების დიდი წილი ფატიკურ კომუნიკაციაში.

### 3.1.3.3. სინტაქსური დონე

დიალოგური მეტყველების ლინგვისტურ მახასიათებლებში სინტაქსურ დონეზე ყველაზე მეტად ვლინდება დისკურსის უნივერსალური ბუნება: ერთი მხრივ, ენობრივი საშუალებების ეკონომიურობა, მეორე მხრივ კი, კომუნიკაციურ ერთეულთა სიჭარბე, თუმცა აქაც თავს იჩენს სხვაობა საუბრის ტიპებს შორის.

**ოფიციალურ** გარემოში დიალოგური მეტყველება უფრო დახვეწილია, დიდად არ განსხვავდება ნერითი მეტყველებისაგან, რადგან ასეთ შემთხვევაში ზეპირი მეტყველება ფორმით სპონტანურია, მაგრამ შინაარსობრივად და სტრუქტურულად ნინასწარ არის მოფიქრებულ-მომზადებული (მაგ., სამთავრობო სხდომებზე, შეკრებებზე, სამეცნიერო დისპუტებზე, დისერტაციების დაცვაზე და სხვ.).

**არაოფიციალურ** სიტუაციაში ქართულ დიალოგებში გამოვლინდა შემდეგი უნივერსალური ნიშნები:

1. მარტივად აგებული გამონათქვამების უპირატესობა;
2. უსრული, მოკლე, ელიფსური ან შეწყვეტილი ნინადადებები;
3. რთული ნინადადების შემოკლების ტენდენცია (მაგ., მხოლოდ დამოკიდებულის გამოყენება);
4. წინადადების კონსტრუქციის რლვევა და გრამატიკული შეუსაბამობანი, განსაკუთრებით დიალოგის ან რეპლიკის დასაწყისში, ჯერის მიღების ან გადაცემის, თემების ცვლის დროს;
5. კავშირების გამოტოვება შერწყმულ, რთულ თანწყობილ, ქვეწყობილ ნინადადებებში ან მათი გამარტივებული ვარიანტები (რო, მარა...);
6. შესწორებები, გამეორებები მოუბარი პირის რეპლიკებში;
7. მოუბარის ფრაზების ან სიტყვების გამეორება ადრესატის მიერ;
8. კითხვა-პასუხის სიხშირე და მათი შინაარსობრივ-სტრუქ-

ტურული კავშირი (გამომდინარეობა ერთმანეთისაგან), ჩაკითხვები გაუგებრობის შემთხვევაში;

9. პირდაპირი მიმართვები კომუნიკაცითა შორის კონტაქტის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად;

10. რეპლიკებში ჩართული (პარენთეზული) კონსტრუქციებისა და მთელი ეიზოდების გამოყენება, შეფასებისა და სუბიექტური დამოკიდებულების გამოსახატავად და სხვ.

მოვიყვანთ პოლილოგის ნიმუშს, რომელშიც თითქმის ყველა დასახელებული სინტაქსური ნიშანი ვლინდება (მონანილეა სამი პიროვნება, საუბარი მიმდინარეობს ინტელიგენტთა წრეში):

„ა.- ძალიან კარგი სოფელი აქვს ფ-ს, აი...

ბ.- ვაიმე, არ გინდა რა ამაზე...

გ.- ჰა, ჰა, ჰა ((იცინის)).

ა.- მასწავლებელი იყო სკოლის დირექტორი, ესე იგი...

ბ.- წარმოგიდგენია?

გ.- უი!

ა.- ძველი სახლები ვნახე, ალბათ ოცდაათიან წლებში იქნება რემონტი გაკეთებული, აი, ლილას და რაღაც ბუნებრივ საღებავს რო გავს, დაახლოებით აი ჩუბჩიკას რო აქვს, აი ეგეთი რაღაცებია გაკეთებული, ძველებური ხალხურის იმიტაცია როა... დაახლოებით, აა, გახუნებული ლურჯი ისენი, აი, ძაან ძველი რო არი, ცემენტი რო არი კირში გარეული, გამოხუნებული როა, ჰოდა კიბეები ის კი არაა, პანელით აშენებული, აი, მასიურია, ქვის...

ბ.- დიდი სოფელია?

ა.- მე მგონი, საკმაოდ ძაან ეგრე არ ვიცი, არ დამითვალიერებია.

ბ.- კასპში არ ვარ ნამყოფი.

ა.- კაი ხეობაა თრიალეთის მხარეს. ჩვენ გვგონია, ჩავივლით და ჩავიდრიხინებთ ეგერ გორში და გვგონია ქართლში ვართ. ქართლი არის აქეთ მხარეს, თრიალეთისკენ, აი, მისადგომებზე, ქართლი იქაა შეფენილი, ისა კიდე თარხნიშვილების ერთაწმინდა... თავის დროზე ადრე მანდ დავხეტიალობდი ზურგჩანთით და ერთ ოჯახში აღმოვჩნდი სუფრაზე. გადმომიწყვეს ძველებური ხანჯლები...“ (ყოფ. საუბ. 1).

ეს კი ნაწყვეტია ტელეგადაცემიდან „ათასიდან ერთი შანსი“ (სამი ძირითადი მონანილე):

„ა.- შემდეგი შეკითხვა: ცხოვრებაში სიგიჟე თუ ჩაგიდენიათ?

ბ.- ბესო, დავიწყოთ თქვენგან!

გ. – მაგის ოსტატი ვარ და ((ისმის ტაში)).

ბ. – სერიოზულად, სხვათა შორის, მე მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენ არაჩვეულებრივად ცეკვავთ.

გ. – კი, ვცეკვავ და ისე, ყველას ვურჩევ, იაროს ცეკვაზე. ეს მარტო ცეკვა არ არის...

ბ. – აბა, რა არის?

გ. – ეს არის, ეს ასევე ფიზიკურად ადამიანს... უფრო მეგობრებს იძენს, კონტაქტი, სხვადასხვა ურთიერთობა” (გადაც. „ათ. ერთ.“ 1).

ეს არის საუბრების ზუსტი ჩანაწერები, რომლებშიც გვხვდება დაუსრულებელი ფრაზები, ელიფსური წინადადებები, გამორჩებები, გრამატიკული დარღვევები.

ყოველდღიურ ყოფითს საუბრებში (განსაკუთრებით, ახალგაზრდების, ბავშვების, დაბალი სოციალური ფენის ადამიანების მეტყველებაში) გვხვდება ცოცხალი ენისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიურ-სინტაქსური უზუსტობები. არაურბანული ტიპის დიალოგებში კი განსხვავებულია ინტონაცია და გავრცელებულია დიალექტური ფორმები (კახური, იმერული, გურული, აჭარული და სხვ.). ჩამოვთვლით ზოგიერთ გავრცელებულ გრამატიკულ დარღვევას ზეპირმეტყველებაში: ქვემდებარის არასწორი ბრუნვა გარდაუვალ ზმნებთან, ზმნის მრავლობითი რიცხვი ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებთან, ორცნებიან კომპოზიტებთან და უსულო ქვემდებარესთან; სხვათა სიტყვის -ო პირველ პირთან; მიმართებითი ნაცვალსახელების არასწორი შეთანხმება (მთავარი წინადადების ზმნისთვის ანგარიშის განევის გამო), დარღვევები სიტყვათა წყობაში, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებაში და სხვ.

ამდენად, დიალოგური მეტყველების სინტაქსური თავისებურებების შესწავლა საუბრის ტიპების მიხედვით მნიშვნელოვანია და ცალკე ენათმეცნიერულ დარღადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს.

საუბრებში ჯერობა გამოირჩევა შინაარსობრივ-სტრუქტურული ურთიერთკავშირით, რადგან ინიციატორული და მორეაგირე რეპლიკები (კითხვა-პასუხი) შენყვილებულ ერთობას ქმნის.

დიალოგების **სპონტანურობა** გულისხმობს აზრის ჩამოყალიბებას საუბრის პროცესში, რის გამოც მოსაფიქრებლად აუცილებელია შესვენება ან დაწყებული გამონათქვამის ფორმის შეცვლა, ზოგჯერ სინტაქსური თავისებურება გამოწვეულია საუბრის ჩქარი ტემპითაც. ალბათ ამ მიზეზებით უნდა აიხსნას შენყვეტილი კონსტრუქციები, ელიფსური წინადადებები, შეკუმშული გამონათქვამები.

გამოყოფენ ასევე დიალოგური მეტყველების დამახასიათებელ შემდეგ სინტაქსურ ნიშნებს: სინტაქსური მთელის დანაწევრებას (პარცელაციას, მიერთებას, ანტიციფაციას), პერიფრაზებს, დამაზუსტებელი თემის დამატებას, სიტყვათა წყობის ინვერსიას, ელიფსისა და სხვ. (იხ. ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994; გიორგე/შეს-ლიუტიხი, 1998; ლევანდოვსკი; 1994, ბუსმანი, 1990). ყოველივე ეს უნივერსალურია და გვხვდება თითქმის ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც.

უნდა დავამატოთ წინადადებათა მოდალობების ჩანაცვლება სათქმელის ირიბად გამოსახატავად: კითხვითი ან თხრობითი წინადადება ბრძანებითის ნაცვლად (განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ამ ხერხს თავაზიანი თხოვნის დროს). მაგ., ხომ არ იცით, რომელი საათია? ამ კითხვაზე პასუხი ვერ იქნება მხოლოდ დადებითი (დიახ, ვიცი), საჭიროა დროის დასახელება.

შეიძლება საკამათოდ მივიჩნიოთ, რამდენად არის სინტაქსის საგანი წინადადებების მოდალური (შინაარსობრივი) ტიპების განხილვა, მაგრამ უდავოა, რომ ეს იყო ყველაზე ადრინდელი ცდა, განეხილათ წინადადებები ილოკუციური ძალის (მოუბარი პირის ინტენციის) მიხედვით. წინადადებათა მოდალური სახეების ახლებური გადაზრება მოვცა სამეტყველო აქტთა თეორიამ, რომელმაც წინ წამოსწია გამონათქვამების კომუნიკაციურ-პრაგმატული ფუნქციები.

წინადადებათა მოდალური სახეებიდან რომელიმეს უპირატესობა დამოკიდებულია საუბრის სახეზე, საკომუნიკაციო სიტუაციაზე. მაგ., ყოფით საუბრებში ემოციურობის გამო ხშირია ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებები, კითხვა-პასუხში – კითხვითი და თხრობითი, ოფიციალურ სიტუაციაში – თხრობითი და ბრძანებითი.

აგებულების მიხედვით ყველა სახის წინადადება გვხვდება, მაგრამ ჭარბობს მათი ელიფსური ვარიანტები. თავაზიანობის ან ოფიციალურობის ხაზგასასმელად დასტურდება პასიური სინტაქსური კონსტრუქციები, განუსაზღვრელპირიანი, განზოგადებულპირიანი წინადადებები. აღსანიშნავია განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების დიდი რაოდენობა (ჩართული, მიმართვა, შორისდებული).

არ უნდა დავივინყოთ ასევე, რომ ადამიანის ინდივიდუალობა კარგად ვლინდება საუბრის მანერაში, ბევრ რამეს განსაზღვრავს თვით მოუბარი პირის კულტურისა და განათლების დონე, წიგნიერება, განწყობა, დამოკიდებულება თანამოსაუბრესთან, რაც მეტყველებას ინდივიდუალობას ანიჭებს.

### 3.2. დიალოგის სიგნალები

საუბარი, როგორც მთლიანობა, იყოფა გარკვეულ სეგმენტებად (ნაწილებად), მათ შორის კავშირი ანუ **ბმულობა** მყარდება სხვადასხვა ენობრივი და არაენობრივი საშუალებით. მოსაუბრეთა როლების ცვლა (ჯერობა) უნდა წარიმართოს ბუნებრივად, უხერხული პაუზებისა და ბორძიყის გარეშე, რომ არ დაიკარგოს კომუნიკაცითა „სახე“ და კომუნიკაცია წარმატებული იყოს.

რეპლიკები საუბრის დიდი სეგმენტებია, ხოლო თანამოსაუბრეთა სიგნალები ემსახურება დიალოგის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ და შინაარსობრივ მონესრიგებას. **დიალოგის ანუ დისკურსის სიგნალებში** ძირითადად შედის პრაგმები – შორისდებულები, ნაწილაკები, ზმნიზედები, ასევე მოდალური სიტყვები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები (პარენთეზული კონსტრუქციები) (იხ. მეცლერი, 1987), ეტიკეტური ფორმულები. თითქმის ყველა ამ ენობრივი ერთეულის შესწავლას თეორიულ ლინგვისტიკაში შედარებით მოკრძალებული ადგილი ეკავა, დიალოგის (საუბრის) ანალიზში კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ითვლება მათი საკომუნიკაციო ფუნქციის გამო.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოვყოფთ **დიალოგის სიგნალების ანუ საუბრის სიტყვების ორ ჯგუფს:** 1. კომპოზიციურ-შინაარსობრივ სიგნალებსა და 2. **შიდა მაკავშირებლებს.**

I. **სტრუქტურულ-კომპოზიციურ და II. შინაარსობრივ-მოდიფიკაციურ სიგნალებს** (იხ. ჰენე, 1979; ბუსმანი, 1990);

2. რაც შეეხება დიალოგის **შიდა მაკავშირებლებს (კონექტორებს)**, ისინი გამოხატავენ ლოგიკურ-სემანტიკურ მიმართებებს თვით გამონათქვამის შიგნით (დაჯგუფებას, იგივეობას, დაცალკევებას, დაპირისპირებას, შედარებას, მიზეზობრივ ან მიზნობრივ მიმართებას, თანადროულობას, უწინარესობასა და სხვ.). კონექტორები მორფოლოგიურად კავშირები ან ზმნიზედებია.

#### 3.2.1. დიალოგის სტრუქტურულ-კომპოზიციური სიგნალები

სტრუქტურულ-კომპოზიციური (მაორგანიზებელი) სიგნალები აკავშირებს დიალოგის სხვადასხვა ფაზას, რეპლიკებს, მიანიშნებს საუბრისა თუ ჯერის დასაწყისსა თუ დასასრულზე, გამოხა-

ტავს მოუბარი პირისა და მსმენელის აქტიურობას. ძალზე მოსახერ-ხებელია მათი გამოყენება ორი რეპლიკის ბუნებრივ მაკავშირებ-ლად და გაუთვალისწინებელი პაუზების შესავსებად, როცა მოუბა-რი ცდილობს, მიჩქმალოს უხერხული პაუზები, თითქოს არც აპი-რებს ჯერის გადაცემას და მხოლოდ მოსაფიქრებლად ჩერდება.

დიალოგის სიგნალები ხშირად პოლიფუნქციურია და ჭირს მა-თი სემანტიკის დაკონკრეტეტება. მაგალითად, ძალიან გავრცელებუ-ლია და სხვადასხვა საკომუნიკაციო დატვირთვა აქვს სიტყვებს: **აბა** ან **იცით**. შეიძლება მათი მეშვეობით აღინიშნოს რეპლიკის დასაწყი-სი, ყურადღების მობილიზება, ჯერის მიღება, ახსნა-განმარტებისა და დაზუსტების შემცველი რეპლიკის შემოყვანა, საწინააღმდეგო აზრის გამოხატვა, რამეზე უარის თქმისა და უხერხული მდგომარე-ობის ახსნა და სხვ.

ფუნქციის მიხედვით პირველი ჯგუფის სიგნალებში გამოვ-ყოფთ ორ ქვეჯგუფს: **1. დიალოგის ფაზების გამოყოფა და 2. ჯე-რობის დაცვის სიგნალებს** (იხ. სქემა №14).

### **1. დიალოგის ფაზების გამოყოფა:**

ა. ფაზის **დასაწყისის** სიგნალები, **ინიციატორები**: მისალმე-ბისა და მოკითხვის ეტიკეტური ფორმულები (გამარჯობათ, მოგე-სალმებით; იმედია, კარგად ბრძანდებით); ზოგჯერ დიალოგი ბოდი-შითაც იწყება (ბოდიში, მაპატიეთ, მომიტევეთ).

### **ბ. დიალოგის **დამანაწევრებელი** სიგნალები;**

გ. ფაზის **დასასრულის** სიგნალები ანუ ტერმინატორები: ბოლოს, დაბოლოს, სულ, დასასრულ, მაშ ასე, მაშასადამე; ამ ფუნქციას ას-რულებს მადლობის ან გამომშვიდობების ეტიკეტური ფორმულე-ბიც: გმადლობთ, დიდი მადლობა, მადლობას მოგახსენებთ, მადლო-ბას გადაგიხდით, კარგად ბრძანდებოდეთ, აბა, ჰე, ნახვამდის, მომა-ვალ შეხვედრამდე...


### **2. ჯერობის დაცვის სიგნალები:**

ა. ჯერის **დასაწყისის** სიგნალები, **ინიციატორები**: უპირველეს ყოვ-ლისა, პირველად, ჯერ, დასაწყისში, ჯერ ერთი... ერთი მხრივ... ო! მაშ, ასე... აბა, კარგი, ეი, ჰეი, ჰმ; ვფიქრობ; მინდოდა მეთქვა, რომ; ამაზე შეიძლება ითქვას...

ბ. ჯერის **ცვლის** სიგნალები: აბა, დაიწყე... ახლა გისმენთ... მოიხედე... მისმინე... აბა, ჰე!... მიდი!... იცი, რა მაინტერესებს ახლა?.. აბა, შენ რას იტყვი... ეს ასეა, დიას, აბა, მაინც...

გ. ჯერის **თანამიმდევრობის** სიგნალები: მეორე მხრივ, შემ-დგომ, შემდეგ, მერე, აქამდე, ამას ისიც უნდა დავამატოთ...

**სქემა №14. დიალოგის სიგნალები (საუბრის სიტყვები)**



დ. პაუზის შემავსებელი სიგნალები: ეე, აა, მმ... ე. ი., მაშდამე, ჰორ, ჰოდა, აჲა, კი, კი, ისა, იცით? იცი, რა, რა და, რა მინდოდა მეთქვა; ბატონო? რაშია, იცით, საქმე? რა ქვია; ასე რომ ვთქვათ, ფაქტობრივად, პრინციპში, ყოველ შემთხვევაში, მე შენ გეუბნები, მე-

უთხარი და სხვ.; ახალგაზრდებში: შე ჩემა, ტო, დედას ვფიცავ, მე მოვკვდე, ჩემი კარგი და ა. შ. (შდრ. ბაკარაძე, 2005; 2009).

რეპლიკის დასაწყისის სიგნალები საშუალებას აძლევს მოუბარს მოიფიქროს და ჩამოაყალიბოს სათქმელი სწორი, მისაღები ფორმით. რეპლიკათა შორის დამაკავშირებელი ხიდის გადებაც დიალოგის თანმხლები სიტყვების ფუნქცია.

ჯერის გადაფარვის დროს დიალოგის სიგნალები ხელს უწყობს ინფორმაციის მაქსიმალურ შენარჩუნებას, რადგან ერთი რეპლიკის დასასრული და მეორის დასაწყისი ხშირად ეტიკეტური ნაწილია და მყარ ფორმულებს შეიცავს, რომელთა გამოყენებას მოითხოვს სამეტყველო ეტიკეტი (გერმანულად გადაფარვის ასეთ არარელევანტურ მონაკვეთს უწოდებენ „შეჭმუხნულ“, „შეკუმშულ“ ზონას – Knautschzone).

ყოველდღიურ არაოფიციალურ სიმეტრიულ საუბრებში (ერთი ასაკის, საქმიანობის სფეროს, განათლების დონის კომუნიკანტებში), განსაკუთრებით მოზარდთა და სტუდენტურ წრეში, როცა მათ აქვთ ზიარი ფონისეული ცოდნა და სამეტყველო კომპეტენცია, დიალოგის ბმულობის (რეპლიკათა შორის შინაგანი კავშირის) გამოხატვა უფრო ემოციურია, შეიძლება არც არსებობდეს ეს სიგნალები, მაგრამ საუბარი მაინც ორგანიზებული იყოს. მაგ., ვერბალური საშუალებებით (ნაწილაკებით, სიტყვის გამეორებით...) შეიძლება ვანიშნოთ ადრესატს ჯერის გადაცემა: აპა, აჟ, ჰო, კი, იცი რა, ესე იგი, ანუ, ერთი მომისმინე, აქეთ მოიხედე, იცი, რა მინდა? რას ამბობდი? ჰო, მერე? მაშ, ასე... რაო, ეე..., შენი რიგია, აბა, დაიწყე! პარავერბალური სიგნალებით: პაუზა, შეყოვნება, საუბრის შეწყვეტა, ხმის ტონის დაწევა ან აწევა, საუბრის ტემპის შენელება... არავერბალური საშუალებებით: მხედველობითი კონტაქტი, ხელით მინიშნება, სხეულის მიბრუნება, გაღიმება და ა. შ.

ყოფითს დიალოგებში არაა მკაცრად დაცული საუბრის ფაზები, ნაწილები, რეპლიკათა მონაცვლეობა, არაა აუცილებელი თემის ბოლომდე ამონურვა. კომუნიკანტები ცდილობენ, რომ თავიდან აიცილონ დუმილი.

ფაზიკურ საუბარში ჭარბობს ნაკლებად ინფორმაციული ეტიკეტური ხასიათის სიგნალები (მორისდებულები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები), ე. ი. კომუნიკანტები ლაპარაკობენ ლაპარაკის გულისათვის, მაგრამ ამ სიგნალების ფუნქცია მაინც მნიშვნელოვანია: კონტაქტის დამყარება, მეგობრული ურთიერთობის განახლება, დადასტურება და შენარჩუნება.

**ოფიციალურ** საკომუნიკაციო ორგანისტრში (წინასწარ დაგევმილი საუბარი, ინტერვიუები, ტელეწამყვანების მიერ წარმართული დისპუტები, კითხვა-პასუხის საღამოები, კრებები და სხვ.) ეს სიგნალები უფრო თავშეკავებულია, მაგრამ აუცილებელი. ინიციატორი ანუ წამყვანი ხელს უწყობს დიალოგის დაუბრკოლებელ მიმდინარეობას საჭირო სიგნალების მოშველიებით.

### 3.2.2. შინაარსობრივ-მოდიფიკაციური სიგნალები

ქართული დიალოგური მეტყველების **შინაარსობრივ-მოდიფიკაციური სიგნალები** მოდალური და შემარბილებელი სიტყვებია, რომლებიც ასრულებენ მეტაკომუნიკაციურ ფუნქციას ანუ გამოხატავენ მოუბარი პირის ან მსმენელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი, შეფასება-კომენტირებას, აძლიერებენ ან არბილებენ კატეგორიულობას. ამ ჯგუფის სიგნალებს შეუძლია მოუბართა განწყობა-დამოკიდებულების გამოხატვა და ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ყოფითს დიალოგებში. ამ სიგნალებში შედის:

**1. მოუბარი პირის ყურადღების სიგნალები**, მიმართული ადრესატისადმი, ემსახურება მისი ყურადღების მობილიზება-მიკერობას, საინტერესო და არსებითი მომენტების გამოყოფას, ნათქვამის აღქმის გაადვილებას. მოუბარი პირი ამით რწმუნდება მსმენელის დაინტერესებულობაში, ითხოვს მისგან დასტურს, თანხმობას, შეფასებას, თანაგრძნობას: აბა! აბა! ერთი მოიხედე(თ)! ერთი მომხედეთ! მისმინე(თ)! მიყურეთ! შენ რას ფიქრობ? მოდი მითხარი! ასეა, არა? ხომ მეთანხმები? გაგიგა?

ეს სიგნალები აწესრიგებს ასევე საუბრის ორგანიზაციულ მხარეს ანუ ყოფს მას სეგმენტებად. **ვერბალური:** არა? პოო? იცირა? გესმის? იცი, რა მინდა? მოიხედე? მისმინე? იცი, რას გეტყვი? **პარა-ან არავერბალური:** პაუზა, ინტონაცია, ღიმილი, თვალის ჩაკვრა, შეხედვა, ხელით მინიშნება და სხვ.

**2. მსმენელის ანუ ადრესატის უკუკავშირის სიგნალები** აუცილებელია საუბრის სწორად და ჰარმონიულად წარმართვისათვის. ეს შეიძლება იყოს პასუხი შეკითხვაზე, ჩაკითხვა, გამეორება ან დიალოგური მეტყველების ორგანიზაციული მხრის მოსაწესრიგებელი სიგნალები. მსმენელი მათი მეშვეობით გამოხატავს საკუთარ ინტერესს საუბრის თემისა და მოუბარი პირისადმი, შეფასებას, კომენტარს, ემოციას, თანხმობას, უარყოფას, ეჭვს: უი, რას ამბობ? მართლა? ეს რა მითხარი! არ მჯერა! შე საწყალო! უჰ, დედა, დედა! აბა,

აბა! ეს რა გავიგე? ჰორ? კიდევ კარგი! აბა, რა! ესეც ასე! მაშ, რა ეგონა? მასე მოუხდება...

3. **ეტიკეტური** ფორმულები „სახის“ შესანარჩუნებლად და ნათქვამის კატეგორიულობის შესარბილებლად (უწოდებენ ასევე „ზღუდეს“; ინგლ. „hedge“, გერმ. „Heckenausdrücke“): ბოდიში, მაღლობა, ქათინაური, საალერსო სიტყვები, მილოცვა და სხვ.

4. **მოდიფიკაციური** სიგნალები ნათქვამის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ან შესასუსტებლად.

აქ გამოიყოფა სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსის გამომხატველი ერთეული: **თანხმობისა და დარწმუნების** (უჭველია, რა სათქმელია, ცხადია, მართლაც, თავისთავად გასაგებია, ეჭვგარეშეა), **უთანხმოების ან დაურწმუნებლობის** (რას ამბობ, შეუძლებელია, დაუჯერებელია, წარმოუდგენელია, ზღაპარია, არ მჯერა, მოგონილია, ტყუილია), **ეჭვისა და ყოყმანის** (ეგებ, შესაძლოა, ვინ იცის, ღმერთმა უწყის) და **ემოციების** გამომხატველი (ჩემდა გასაკვირად, მოულოდნელად, საუბედუროდ, საბედნიეროდ, ჩემდა გასახარად)...

ეტიკეტური ფორმულები, როგორც „ზღუდე“, აუცილებელი შემადგენელი ნაწილია დიალოგურ მეტყველებაში. მაგალითად, ბოდიში, მაპატიეთ და სხვ. არ გამოხატავს მხოლოდ ბოდიშის მოხდის სურვილს, არამედ აქვს რამდენიმე საკომუნიკაციო ფუნქცია მოუბარი პირის სიგნალებში: ადრესატის ყურადღების მიპყრობა ან მობილიზება, სიტყვის შენყვეტინება ან საკუთარი აზრის გამოთქმის დასაწყისი, გამეორების მოთხოვნა გაუგებრობის შემთხვევაში, ეტიკეტის წესის დარღვევის გაბათილება ან შერბილება (წინასწარ ან შემდეგ), ადრესატის მიმართ თავის გამართლების მიზნით (არასასიამოვნო ან საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისას), მორიდების გამოსახატავად და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიალოგის სიგნალებად გამოყენებული ნაწილაკებისა და შორისდებულების საკომუნიკაციო ფუნქცია. როგორც ვიცით, არსებობს ცალკე მდგომი ან სიტყვასთან შერწყმული ნაწილაკები, რომლებიც მნიშვნელობას უცვლიან სიტყვებს, ფრაზებს ან მათ შორის მიმართებას, კერძოდ, მოუბართა ცვლის დროს. ცალკე აღებული რომელიმე ნაწილაკის მნიშვნელობა ბუნდოვანია ანდა იმდენად პოლისემანტიკური, რომ უკონტექსტოდ გაუგებარია. ამის დასტურად გამოდგება მათი სალექსიკონო განმარტებები. ქართულში შეიმჩნევა მეტყველების ნაწილთა ნაწილაკად ქცევის ტენდენციაც. მაგალითად: **მოდი, დავიწყოთ!** ადექი და გააკეთე! **დაჯექი** და დანერე! **მიდი** და ეჩხუბე!

ზეპირმეტყველებაში ნაწილაკები და მოდალური სიტყვები მიაჩნდათ ზედმეტად, მანერულად, საუბრის დამამძიმებლად (გერმანულში მათ უნდღებენ Einsprengsel-ს ანუ „ჩაკვეხებულ ელემენტებს“), რომლებიც ტექსტს ხელოვნურად ბერავენ და შინაარსს აბუნდოვანებენ. ენათმეცნიერმა რაინერსმა მოსწრებულად უწოდა მათ „გერმანული ენის ბეწვში მოფუთფუთე მკენარები“ (ლინკე/ნუსბაუმერი/პორტმანი, 1994).

მართლაც, ცალკე, უკონტექსტოდ აღებული თითოეული ამ სიტყვის მნიშვნელობა ძნელი გასარკვევია, დიალოგში კი მათი საკომუნიკაციო როლი დიდია.

სრულიად მარტივი მაგალითიც კი გვარწმუნებს ნაწილაკის მნიშვნელობაში სათქმელის შინაარსისთვის. მაგ., – ლევანი არ მოვა? შდრ. ეგებ (ალბათ) ლევანი არ მოდის. ან: ნეტა ლევანი არ მოვიდეს! თუ პირველ ნათქვამში ინფორმაციაა, მეორე გამოხატავს ეჭვს, ვარაუდს, მესამე – სურვილს.

ჩამოყოფლით ნაწილაკების რამდენიმე შინაარსობრივ-მოდიფიკაციურ ნიუანსს საუბრებში:

1. საკუთარი მოლოდინისა და ვარაუდის დადასტურება: თქვენ ხომ შემოივლით კვირას? აკი დამპირდით!

2. ყოყმანისა და დაურწმუნებლობის გამოხატვა: როგორდაც ვერ გავიგე; თითქოს ბუნდოვანია ჩემთვის...

3. დამოკიდებულებისა და განწყობის გამოხატვა: მაინც რას აკეთებ? ლამის გული შემიწუხდა! ნუთუ ასე გაიგე ჩემი დარდი?

4. ნათქვამის სიმართლის დადასტურება-ხაზგასმა, სანდოობის ხარისხის გაძლიერება: დიახ, დიახ! ეს ასეა! ასეა, მაშ!..

ასევე დიდი საკომუნიკაციო დატვირთვა აქვს შორისიდებულებს, რომლებიც გამოხატავენ კომუნიკანტთა ემოციებს, შეფასებას, თანაგრძნობას, ხელს უწყობენ დიალოგის ორგანიზებას და თანამოსაუბრეთა შორის კოოპერაციულობას.

ქართული ყოფილი დიალოგების ერთ-ერთ სპეციფიკურ თვისებად ვთვლით მსმენელის ან მოუბარი პირის სიგნალებად ღმერთთან დაკავშირებული მყარი გამოთქმების, დიალოგის შინაარსობრივ-მოდიფიკაციური სიგნალების, სიხშირეს. ისინი გამოხატავენ:

**მადლიერებას:** ღმერთს მადლობა! მადლობა ღმერთს! ღმერთს მადლობა ვუთხრათ!

**დალოცვას** (ზოგჯერ მადლობის ნაცვლად): ღმერთმა დაგლოცოს! აგაშენა ღმერთმა! ღმერთმა გაგახაროს!

**დაეჭვებას:** ღმერთმა იცის! უფალმა უწყის!

**შემწეობის თხოვნას:** ღმერთო, შენ მიშველე! ღმერთო, შემე-ნიე! ღმერთო, დაგვეხმარ!

**საყვედურს:** რა შევცოდე, ღმერთო! ღმერთო, რა დაგიშვავე!

**დაფიცებას** საკუთარი სიმართლის დასამოწმებლად: ღმერ-თი, რჯული! ღვთის წინაშე ვფიცავ! ღმერთს ვფიცავ!

**წყველას:** ღმერთმა დაგნეევლოს! ღმერთმა შეგაჩვენოს! ღმერთმა გადაგიხადოს! ღმერთმა მოგაგოს! (იხ. ზექალაშვილი, 2001; შდრ. ასათიანი, 2000).

ეს საუბრები მდიდარია მეტაფორებით, ქარაგმული თქმებით, ენამოსწრებული გამოთქმებით, ფრაზეოლოგიზმებით.

საკომუნიკაციო სიტყვების ფუნქციები დიალოგში იმდენად მრავალფეროვანია, რომ დეტალურ შესწავლას საჭიროებს. არავერ-ბალურ საშუალებებთან ერთად ისინი ხშირად უცვლიან სათქმელს ნიუანსს, ზოგჯერ სრულიად საპირისპირო სემანტიკასაც ანიჭებენ, ასრულებენ ეტიკეტურ დანიშნულებას ან არბილებენ სათქმელის კა-ტეგორიულობას, უხეშ ტონს (ე. ი. წარმოადგენენ ერთგვარ „ზღუ-დეს“). ეს სიტყვები საუბრის შემალამაზებელი ორნამენტებიცაა და ემსახურებიან კომუნიკანტების „სახის“ შენარჩუნებას.

მაშასადამე, დიალოგის სიგნალების საკომუნიკაციო ფუნქცი-ებია: 1. დიალოგური მეტყველების თანხლება, საუბრის ორგანიზა-ცია და 2. შინაარსის მოდიფიკაცია, კატეგორიულობის შერბილება.

ქართულ დიალოგებში საუბრის სიგნალები (მოუბარი პირისა და მსმენელისა) მრავალფეროვანია და გამოხატავს მოუბარი პირის ყურადღებას, პატივისცემას ადრესატისადმი, მსმენელის ემპათიას ანუ თანაგრძნობას. **ამ საშუალებათა სიმდიდრე ყოველდღიურ ყოფით დიალოგებში მოწმობს თანამოსაუბრეთა აქტიურობასა და კომუნიკაციელობას.**

## თავი მეოთხე საკომუნიკაციო რეგისტრები ქართულ დიალოგურ მეტყველებაში

### 4.1. საკომუნიკაციო რეგისტრები და ფუნქციური სტილები

ჩვენ განვიხილეთ ქართული დიალოგური მეტყველება რამდენიმე დონეზე: **მაკროდონებები** (საუბრის ფაზები და მათი ურთიერთკავშირი), **შუა დონეზე** (დიალოგის მონაზილები და მათი როლები), **მიკროდონებები** (მორფოსინტაქსური და ლექსიკური საშუალებები; დიალოგის სიგნალების კომუნიკაციური დანიშნულება). ყველა ერთეულის დახასიათების დროს ვითვალისწინებდით სოციოლინგვისტურ მიმართებას, კომუნიკაციის ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს – კომუნიკანტთა სოციალურ მახასიათებლებს და მათი ურთიერთდამოკიდებულების ასახვას საუბარში.

დიალოგურ მეტყველებაში გამოყენებული ვერბალური და არავერბალური ერთეულების დახასიათება პრაგმატიული თვალსაზრისით მოიცავს მათს კომპლექსურ შესწავლას, მთლიანობის აღქმას ანუ ამ ერთეულთა ანალიზს რამდენიმე ასპექტით: გამოყენების სიხშირის, ენობრივ კოლექტივთან მიმართების, სოციალური ლირებულების, ემოციურ-სტილური შეფერილობისა და სხვ. მიხედვით.

ამ საკითხებზე საუბარია სტილისტიკასა და ლექსიკოლოგიაში (მაგ., ბასილაია, 1991; ღლონტი, 1971; ფოჩხუა, 1974 და სხვ.).

ქართული ენის ლექსიკური მარაგი პრაგმატიკული ასპექტით დახასიათებულია ლექსიკოლოგიაში და შეინიშნულია სრულმძიშვნელოვან სიტყვათა გამოყენების ნაკლები სიხშირე, მათი მოხვედრა ლექსიკური ფონდის პერიფერიაში (ფოჩხუა, 1974, 180). დადგენილია, რომ ზეპირმეტყველებაში უფრო ხშირადა გამოყენებული: ნაწილაკები, თანდებულები, კავშირები, მეშველი ზმნები, დეიქტური ანუ მითითებითი სიტყვები (ნაცვალსახელები, ზმნისართები), მაგრამ ეს არ ნიშნავს დანარჩენი ლექსიკური ერთეულების ნაკლებ მნიშვნელობას.

ლექსიკის მიმართება ენობრივ კოლექტივთან უკუფენილია ტერიტორიულ დიალექტებში, დარგობრივ და სპეციალურ ლექსიკაში; ენაში აისახება საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია. ამ თვალსაზრისით სიტყვებს ყოფენ წიგნურად, ამაღლებულად, სა-

საუბროდ, ვულგარულად, ფამილარულად, უხეშად (იხ. ფოჩხუა, 1974, 245).

დიალოგური მეტყველების ერთეულთა ანალიზი საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოყენების მიხედვით დაკავშირებულია ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკასთან, თუმცა სტილისტიკაში მეტი ყურადღება ექცევა წერის მეტყველებას და არა – ზეპირს.

მეცნიერები ხაზს უსვამენ სტილთა კლასიფიკაციის სიძნელეს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა სიმრავლისა და მათი ზემოქმედების ძალის განსხვავებულობის გამო. ზოგიერთი გარეენობრივი ფაქტორი, მართალია, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მეტყველებაზე, მაგრამ ქმნის არა მთლიან ფუნქციურ სტილს, არამედ უცვლის სტილურ შეფერილობას მის ვარიანტს, ქვესტილს, უანრს ან ცალკეულ გამონათქვამს (იხ. კვარაცხელია, 1990, 12).

ფუნქციურ სტილთა კლასიფიკაციის საფუძველია განსხვავებული სოციალური ღირებულებების ენობრივ საშუალებათა გამოყენება და მათზე გარეენობრივ ფაქტორთა ზემოქმედება (გარემო, სიტუაცია, მთხობელის ან მოსაუბრის მიზანი და სხვ.).

არსებობს ფუნქციურ სტილთა სხვადასხვა კლასიფიკაცია. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მათი დაყოფა ორ მთავარ სახეობად: **ობიექტურ** (საინფორმაციო ფუნქციის მქონე) და **სუბიექტურ** (საზემოქმედო) სტილით. ობიექტურ სტილში, თავის მხრივ, გამოყოფილია: ნეიტრალური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო და პუბლიცისტური (არამხატვრული სახეობა). სუბიექტურში: სასაუბრო, მხატვრული, ორატორული და პუბლიცისტური ქვესახეობა. ჩვენ კლასიფიკაცია ოდნავ შევცვალეთ: ფუნქციური სტილები ერთმანეთისაგან განვასხვავეთ საკომუნიკაციო არხის მიხედვით: **წერითი** და **ზეპირი** მეტყველება. თავის მხრივ, **წერით** სახეებში გამოვყავით შემდეგი ფუნქციური სტილები: 1. ოფიციალურ-საქმიანი (კანცელარიული, საკანონმდებლო, დარგობრივი); 2. სამეცნიერო (აკადემიური, პოპულარული, სასწავლო); 3. მხატვრული (ბელეტ-რისტული, ეპისტოლური და პოეტური); 4. პუბლიცისტური (საინფორმაციო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფელეტონური, სპორტული).

სტილისტიკა ცალკე გამოყოფს **სასაუბრო** სტილს, როგორც სუბიექტური ფუნქციური სტილის სახეობას, მის ფორმებად კი თვლის: **დიალოგისა** (კომუნიკაციას ორ პირს შორის) და **მონოლოგის** (თხობას, ლექციას, მოხსენებას, გამოცხადებას, საჯარო სიტყვას; საუბარს რადიოთი, ტელევიზიონით).

ზეპირმეტყველების **მონოლოგურ** სახეებად სქემაში გამოვყავით: 1. სამეცნიერო და 2. ორატორული (სასამართლოს ენა, პოლიტიკურ-დიპლომატიური, რიტუალური – საზეიმო და სამგლოვიარო) სტილები; **დიალოგურად** კი: 1. სასაუბრო ლიტერატურული (ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, სასწავლო, მასმედიის, თეატრისა და კინოს ენა); 2. საყოფაცხოვრებო (ყოველდღიურ-ყოფითი, მდაბიური, ვულგარული, გასართობი მასმედიის) (იხ. სქემა №15).


სხვადასხვა სახის ზეპირი საუბრის სტილური ნიშნების შესწავლა, (ცხადია, ვერ მოხერხდება ფუნქციურ სტილთა სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ზეპირმეტყველების ინდივიდუალური სტილის განსხვავებას ხაზს უსვამდა არნოლდ ჩიქობავა: „ყოველდღიურ მეტყველებაშიც ცალკე პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ნაწერი ხელი“ (ჩიქობავა, 1952, 317).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზეპირ მეტყველებაში ენობრივ და არაენობრივ ერთეულთა სტილური თავისებურებების მიხედვით უნდა გამოიყოს **საკომუნიკაციო რეგისტრები** (ანუ საუბრების ფუნქციური სტილები). მეტყველების სტილს განსაზღვრავს საუბრის სფერო და თემატიკა, სოციალური კონტექსტი (სიტუაცია, კომუნიკანტთა სოციალური როლი, სტატუსი, მათი ურთიერთმიმართება) და არხი ანუ ყოველივე ეს წარმოადგენს მის კონცეპტუალურ ჩარჩოს.

სტილისტიკა და ლექსიკონლოგია ახასიათებს ენობრივ ერთეულებს, როგორც **არამარკირებულსა** (ნეიტრალურს) და **მარკირებულს** (ოფიციალურ-საქმიანს ან ფამილარულ-შინაურულს), ოღონდ ძირითადად ყურადღებას აქცევს სალიტერატურო ენის ნიგნური სტილის სახეობებს, სასაუბროს კი მოყლედ ახასიათებს, თუმცა მასზე არაპირდაპირ მაინც გვხვდება მსჯელობა (სტილისტიკაში — ფუნქციურ სტილთა სახეები; ლექსიკონლოგიაში — ლექსიკის სოციალური დიფერენციაცია გამოყენების სფეროს მიხედვით და მისი ემოციური ელფერი), მაგრამ მწყობრი თეორია ზეპირმეტყველების ენობრივ ვარიანტებზე არ არსებობს.

ჩვენი განმარტებით, **საკომუნიკაციო რეგისტრი** არის დიალოგური მეტყველების სტილის კომპლექსური მახასიათებელი, რომელიც წარმოადგენს საუბრის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ (პარავერბალურ-არავერბალურ) საშუალებათა ერთობლიობას, შერჩეულს საკომუნიკაციო სიტუაციისა და კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით. მაშასადამე, საკომუნიკაციო რეგისტრი არის მეტყველების თავისებურებათა

## სქემა №15. ფუნქციური სტილები



ერთობლიობა, განპირობებული მისი კონცეპტუალური ჩარჩოთი.

საკომუნიკაციო რეგისტრების საკითხს ვაკავშირებთ „სახის“ ლინგვისტურ თეორიასთან, რომლის ძირითადი საკვლევი ობიექტია

თავაზიანობა. ეს თეორია ჩამოყალიბდა პრაგმატიკის შიგნით ენის ანთროპოლოგიური კონცეფციის ბაზაზე (იხ. ბრაუნი/ლევინსონი, 1978ბ). „სახის“ ცნება პირველად გამოიყენა ჩინელმა ანთროპოლოგმა ჰიუმ 1994 წელს, მაგრამ ლინგვისტიკაში დამკვიდრდა ამერიკელი სოციოლოგის ე. გოფმანის შრომების მიხედვით (იხ. გოფმანი, 1971ა, პ; 1972; 1981; 1994).

„**სახეს**“ მეცნიერები განსაზღვრავენ ცალკეულ ენობრივ კოლექტივში ურთიერთშეთანხმების შედეგად მიღებული საკომუნიკაციო ქცევის ნორმებად. ადამიანის სამეტყველო ქცევას განაპირობებს ზრუნვა საკუთარი ან სხვის „სახის“ დასაცავად (შესანარჩუნებლად) და თავის არიდება „სახის“ დამაზიანებელი საშიშროების-თვის (face-threatening-acts). ამისთვის კი შეიძლება დადგინდეს ადამიანის სამეტყველო ქცევის სტრატეგიები ცალკეული კულტურულ-ყოფითი სიტუაციისთვის (ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაშრომები: ჰოლი, 1979; 1986; ჰელდი, 1992; 1995; კოტჰოფი, 1988; 2001; 2002; 2003 და სხვ.).

მეცნიერებმა გამოყენეს ორი „სახე“: **დადებითი და უარყოფითი** (შესაბამისად – დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა), ოლონდ აქ პოზიტიური და ნეგატიური მხოლოდ ორი განსხვავებული (საპირისპირო) ტერმინია და კარგისა და ცუდის ოპოზიციასთან კი არ უნდა გაიგივდეს, არამედ გამოხატავს დიალოგში მოუბარი პირის განსხვავებულ მიზნებსა და სტრატეგიებს.

**დადებითს „სახეს“** ახასიათებს: ადრესატისადმი ძლიერი ინტერესი, კომუნიკანტთა ზიარი ინტერესების წინ წამოწევა, ფამილარობა. ამას ეძახიან მოსაუბრის ჩაბმის, ჩართვის სტრატეგიას.

**უარყოფითს „სახეს“** ახასიათებს: კომუნიკანტთა ინდივიდუალობის ხაზგასმა, პიროვნული ღირებულებების დაყენება ჯგუფურზე წინ, ოფიციალურობა. ამას უწოდებენ „**დამოუკიდებლობის**“ სტრატეგიას (იხ. სკოლონი/სკოლონი, 1997).

ე. გოფმანი იყენებდა ტერმინს **face work** – ანუ ესაა მოუბარი პირის მიერ საკუთარი და ადრესატის „სახის“ დასაცავად გამოყენებული სტრატეგია (სერხები).

„**სახე**“ შეიძლება მოსაუბრის შეხედულებების, ფასეულობების და რწმენის გამოხატულებად მივიჩნიოთ“ (გოქსაძე, 2002, 111), მაგრამ ეს ფასეულობები განსხვავებულია ეთნოკულტურულ გარემოში და დამოუკიდებულია ექსტრალინგვისტურ სიტუაციასა და მოსაუბრის ყოფით-კულტურულ ფონზე.

არსებობს „სახის“ ფასეულობათა რამდენიმე სახე: ზოგადსა-

კაცობრიო, ეროვნული და ინდივიდუალური. ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფს აქვს საკუთარი ადათ-წესები და ამ საზოგადოებაში მიღებული ხორმები. ცხადია, ინდივიდუალური ფასეულობებიც ამ ფაქტორთა გათვალისწინებით იქმნება (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი), თუმცა მთლად დაპირისპირებული ვერ იქნება საზოგადოდ აღიარებულთან. აღნიშნულ ფასეულობათა გაცნობიერებული, გამიზნული თუ უნებლიერ დარღვევა იწვევს „სახის“ დაკარგვას (face loss).

საკომუნიკაციო რეგისტრის შესაქმნელად ისევე, როგორც „სახის“ დასაცავად, აუცილებელია თავაზიანობის ხარისხის განსაზღვრა და შესაბამისი სტრატეგიის (ანუ „სახის“ სტრატეგიის) შერჩევა, რისთვისაც გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს:

1. მოსაუბრის **შედარებით ძალაუფლებას** ( $P = \text{Power}$ ) მსმენელზე ( $H$ ):  $+P$ ;  $-P$ ;

2. სოციალურ დისტანციას ( $D=\text{Distance}$ ) მოსაუბრესა და მსმენელს შორის:  $+D$ ;  $-D$ ;

3. **ზემოქმედების ხარისხს** ( $R=\text{Rank of imposition}$ ) ან თავსმოხვევის ხარისხს ( $W=\text{Weight of imposition}$ ):  $+W$ ;  $-W$ .

ამ ფაქტორების – ძალაუფლების, დისტანციისა და ზემოქმედების ხარისხის – მიხედვით გამოყვეს სამი ძირითადი ტიპი (სკოლონი/სკოლონი, 1997): 1. დეფერენციული (პატივისცემის) თავაზიანობის სისტემა, 2. სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა, 3. იერარქიული თავაზიანობის სისტემა.

როცა კომუნიკანტთა შორის დისტანციაა, ისინი ერთმანეთს ოფიციალურ დონეზე იცნობენ და განსხვავებული ძალაუფლება აქვთ, მაშინ მოქმედებს **იერარქიული** ან **დეფერენციული** სისტემები.

როცა კომუნიკანტთა შორის დისტანცია არ არის და თანაბარი სოციალური პოზიცია აქვთ, არაა სხვაობა ძალაუფლებას შორის, ისინი ერთმანეთს იცნობენ არაოფიციალურ დონეზე და მეგობრულად, ახლობლურად არიან, მაშინ ირჩევენ **სოლიდარობის** თავაზიანობის სისტემას: ერთიდან მეორე სისტემაზე გადასვლა დაუშვებელია და ორივე შემთხვევაში იწვევს „სახის“ დაკარგვას, რღვევას ან ყოფითს შოკსაც (იხ. რუხაძე, 2002, 217; უოლკერი, 2004).


ადგილად შეიძლება შევნიშნოთ, რომ თავაზიანობის ეს სისტემები სხვა ტერმინებით აღნიშნული საკომუნიკაციო რეგისტრებია: იერარქიულობის სისტემა იგივე ოფიციალური **რეგისტრია**, პატივისცემისა – **ნეიტრალური**, სოლიდარობისა კი – **არაოფიციალურ-შინაურული**. თავაზიანობის ხარისხის განმსაზღვრელია ჩვენ მიერ დასახელებული ძირითადი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რო-

მელთა ზეგავლენითაც ყალიბდება მოსაუბრეთა საკომუნიკაციო სტრატეგია და შეირჩევა შესაბამისი რეგისტრი. აღნიშნული თეორია დიდ ყურადღებას აქცევს კომუნიკაცითა შორის არსებულ სოციალურ განსხვავებებს ანუ **სიმეტრიულობას** ან **ასიმეტრიულობას** დიალოგის მონაწილეთა შორის (სოციალური მდგომარეობის, როლის, სტატუსის ან სიტუაციის მიხედვით).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ დიალოგურ მეტყველებაში არ ჩანს მკვეთრი ზღვარი ნეიტრალურსა და ოფიციალურ საკომუნიკაციო რეგისტრებს შორის ენობრივ საშუალებათა მიხედვით, ამიტომ უფრო მისაღებად გვეჩვენება ორი ძირითადი სახის გამოყოფა: **ოფიციალურისა** და **არაოფიციალურის** (შინაურულის). ეს ემთხვევა „სახის“ თეორიაში გამოყოფილ ორ „სახესაც“: დადებითსა და უარყოფითს (შდრ. არაოფიციალურობა და ოფიციალურობა).

ქართულში საკომუნიკაციო რეგისტრის მთავარ ინდიკატორად მივიჩნევთ **შენ/თქვენ ფორმათა** ოპოზიციას ნაცვალსახელებსა და ზმები, მასთან ერთად კი მიმართებას – ქალბატონი/ბატონ (+ ან-თროპონიმი), პირში მონაცვლე ზმებს, ყველა დანარჩენი მახასიათებელი კი ამ ეხამება ამ ერთეულებს.

საჭიროა ასევე, რომ საკომუნიკაციო რეგისტრების ქვესახეობებად თავაზიანობის ხარისხის მიხედვით გამოიყოს: I. ოფიციალურ რეგისტრში – 1. ნეიტრალური და 2. ოფიციალურ-საქმიანი (თავაზიანი), II. არაოფიციალურში – 1. შინაურული და 2. ფამილარულ-ვულგარული (არათავაზიანი) (იხ. სქემა №16).



ზოგჯერ რეგისტრის მნიშვნელობით იყენებენ სხვა ტერმინებსაც – ტონალობას, „ვარიაციულ იარლიყებს“ ან ტენორს (იხ. გოქ-

საძე, 2001, 68). ჯ. ლიჩი და თანაავტორები ტენორს თვლიან მოლაპარაკისა და მსმენელის ოფიციალური, ნაკლებად ოფიციალური და შინაურული ურთიერთდამოკიდებულების ამსახველად (ლიჩი/სვარტვიკი, 1983). შემდეგ გამოყოფილია ტენორის სამი საფეხური: 1. ოფიციალური, 2. არაოფიციალური, 3. ნეიტრალური.

ჯ. ლიჩის რეგისტრის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია **საუპრის სფერო** (field/domain), **ტენორი** და **არხი** (ანუ ზეპირი და წერითი არხი). სოციალური კონტექსტი იქცევა სემიოტიკურ გარემოცვად, რომელშიც ადამიანები (მოუბარი პირები) ცვლიან მნიშვნელობებს.

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს ტენორის მეტ ჯგუფსაც. **მ. ჰელიდეი** ეყრდნობა ამ სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობას: ადამიანის ცხოვრების საერთო ზოგადი მიმართულება, ძაფი, სტილი, მეტყველების ზოგადი მიმდინარეობა. მისი შეხედულებით, ტენორი რეგისტრის ერთ-ერთი მხარეა: საუპრის ოფიციალურობა-არაოფიციალურობის ხარისხის მაჩვენებელი, ხოლო რეგისტრს კი მეცნიერი მიიჩნევს ტექსტის სემანტიკური ერთეულის ვარიანტად მოლაპარაკის მიხედვით, რომელიც ცვალებადია გარკვეული სიტუაციის შესაბამისად (დროის მოცემულ მონაკვეთში). რეგიონალური თუ სოციალური დიალექტი ვარიაციაა ხმარების მიხედვით და გასდევს მოლაპარაკეს მთელი ცხოვრების მანძილზე. როგორც ვხედავთ, **რეგისტრი** მიიჩნეულია უფრო ფართო ცნებად, ვიდრე ტენორი (ჰელიდეი, 1977; 1990).

სამართლიანია შეხედულებაც, რომ ეს ცნებები – რეგისტრი, სტილი, „ვარიაციული იარლიიყები“ – არ გამოიჩინევა დიდი სიზუსტით, ცალსახად ვერ ასახავს მოვლენას, რაც დიდი ნაკლია ტერმინისათვის. ჩვენ ვთვლით, რომ მოსაზრება რეგისტრისა და ტენორის გამიჯვნის შესახებ, მართალია, ყურადსალებია, მაგრამ ტერმინი რეგისტრი უფრო გავრცელებულია და ტრადიციულობის გამო ვამჯობინებთ მის გამოყენებას სწორედ ვიწრო მნიშვნელობით, როგორც კომუნიკაციის ოფიციალურობის ხარისხის აღმნიშვნელისას.

დედაენაზე მოლაპარაკე ადვილად და ბუნებრივად ახერხებს საჭირო საკომუნიკაციო რეგისტრის ამორჩევას (ზოგჯერ უნებურადაც) და მასზე გადართვას ავტომატურად, ე.ი. ირჩევს ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაფერ ენობრივ რესურსებს (ლექსიკურ, გრამატიკულ და სტილისტურ საშუალებებს). მაგალითად, სტუდენტი სხვაგვარად მეტყველებს ლექტორთან, მაღალჩინისანთან (ოფიციალურ სიტუაციაში) და სხვაგვარად – თავის თანატოლებთან, მეგობრებთან ან ოჯახურ წრეში. ეს მას სპეციალურად არც უსწავლია, ბუნებ-

რივად აითვისა, მის საკომუნიკაციო კომპეტენციად იქცა და ადეკვატურ გარემოს, სიტუაციას უკვე ინტუიციურად გრძნობს. ის ლექტორს არ ეტყვის: ვა, ტო, რა შაგარი ხარ! მაგრა ასწორებ! ჯიგარი ხარ!; არც მეგობართან დაინტერაციის მიზანით საუბარს: ბატონო გიორგი, ნება მომეციო გთხოვოთ..., მინდა მადლობა მოგახსენოთ გულისხმილებისათვის!.. ცხადია, მას ვერ გაუგებენ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, პირველ სიტუაციაში კი თავ-ხედად ჩათვლიან კიდეც.

საქართველოში საკომუნიკაციო რეგისტრთა უნებლიერ აღრევა ოფიციალურ სიტუაციაშიც არაა უცხო. ერთ-ერთ ტელეგადაცემაზე, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები (მათ შორის – ერთ-ერთი მინისტრი), ხშირად მაღალჩინოსნებსა და ხანდაზმულ პიროვნებებს იხსენიებდნენ შინაურული სახელებით (გოგა, ბუკა...), რაზეც მართებულად მიუთითა დისკუსიის მონაწილეებმ, ნ.ა.-მა: „– აქ სახლში არა ვართ, რა ქართულია „ბუკა, გუკა, ვიკა“, როცა უნდა მიგმართოთ ერთმანეთს ბატონობით და ქალბატონობით“ (გადაც. „რეაქც“ 1).

სამწუხაროდ, ადამიანები ოფიციალურ გარემოში ხშირად იბნევიან და შინაურულ რეგისტრზე გადადიან ხოლმე. ესაა მიზეზი, როცა ერთსა და იმავე პიროვნებას ერთი ტელე- ან რადიოგადაცემის მანძილზე ხან ფამილარულად „შენობით“ მიმართავენ, სახელის ალერსობით-კნინობითი ფორმით (მიშა! ნიკა! პავლიკა! ვიკა!), ხან – „თქვენობით“ და ბატონობით: ბატონო მიხეილ, ბატონო ნიკოლოზ!

უცხოელისთვის არაოფიციალური სამეტყველო სტილის გაგების თუ გამოყენების სირთულეს ქმნის ენობრივი კომპეტენციის არარსებობა. როცა კომუნიკანტებს აქვთ მაღალი ხარისხის **ზიარი ფონისეული ცოდნა** (background knowledge), მეტყველებაც უფრო ლაპინიურია, მინიშნებებითა და ქარაგმებით სავსე. ამ დროს „მით უფრო ადვილად და ზუსტად ხდება გადაცემული შეტყობინების დეკოდირება“ (გოქსაძე, 2001, 9).

ვერც ერთ კომუნიკაციურ ერთეულს ვერ განვიხილავთ რეგისტრის გაუთვალისწინებლად. ცხადია, ენაში უამრავი ერთეულია ნეიტრალური, არამარკირებული, მაგრამ აუცილებელია ოფიციალურ-საქმიანი და არაოფიციალური რეგისტრების (შინაურული, ვულგარულ-ფამილარული), სოციალური ან ტერიტორიული (რეგიონალური) დალექტისათვის დამახსასიათებელი ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული ფორმების დისტრიბუციისა და სტილისტური ელფერის ცოდნა.

## 4.2. საკომუნიკაციო რეგისტრთა ინდიკატორები

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში საკომუნიკაციო რეგისტრთა ინდიკატორებად გამოვყოფთ ენობრივ ერთეულებს გრამატიკულ (მორფოლოგიურ, სინტაქსურ) და ლექსიკურ დონეებზე. ეს ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდება მარკირებულობის მიხედვით და აქვთ გამოყენების არეალი. კომუნიკანტების საუბრებში სინონიმური ენობრივ-არაენობრივი საშუალებებიდან საჭირო აირჩევა ექტრალინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობის გათვალისწინებით და ასე იქმნება სასურველი საკომუნიკაციო რეგისტრი.

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში საკომუნიკაციო რეგისტრების ინდიკატორებია (იხ. სქემა №17):

I. მორფოლოგიურ დონეზე: ზმნის პირისა და რიცხვის, კილოს, გვარის (მაგ., აღნერილობითი ვნებითი) კატეგორიები, მწკრივის ფორმები (კავშირებითები, ხოლმეობითი, თურმეობითები), ნაცვალსახელური და ზმნური მიმართვები („შენობითი“ ფორმა – ზმნის ნულოვანი ფორმანტით; „თქვენობითი“ ფორმა – –თ ფორმანტით), პირში მონაცვლე ზმნები.


II. მორფოლექსიურ დონეზე: ვოკატიური მიმართვები, მოდალური კომუნიკაციური ერთეულები და შემარბილებელი სიტყვები – ე.ნ. „ზღუდე“, შორისდებულები (მათ შორის ეტიკეტური, საალერსი, ფიცილის, დალოცვისა და წყევლის ფორმულები), სხვადასხვა სტილური შეფერილობის ლექსიკური ერთეულები, შეფასებითი და ემოციური სიტყვები.

სიტყვაწარმოებაში: ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები, მარკირებული სიტყვამანარმოებელი აფიქსები (კნინობითი, წინა ვითარების, ოდნაობის, დანიშნულების).

III. სინტაქსურ დონეზე: ირიბი სამეტყველო აქტები (წინადადებათა მოდალობის ჩანაცვლება), პირობით დამოკიდებული ან ნატვრითი წინადადებები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა დონეზე გამოიყოფა ნეიტრალური (არამარკირებული) და მარკირებული (ოფიციალურ-თავაზიანი, შინაურული და ფამილარულ-ვულგარული ანუ უხეში) ერთეულები. მაგ., ჰეი, ხო, კი – არაოფიციალურ რეგისტრში გამოიყენება, ხოლო – დიახ, გისმენთ, რა გნებავთ? – ოფიციალურში; ჯიგარი ხარ! გაასწორე! – ვულგარულ-ფამილარული შეფერილობისაა.

**სქემა №17. საკომუნიკაციო რეგისტრების  
ინდიკატორები**



სტილური დიფერენციაცია ვლინდება მყარ ეტიკეტურ ფორმულებშიც: „უკაცრავად“, „მომიტევეთ“ უფრო თავაზიანია, ვიდრე „ბოდიში“, ხოლო „ნება მომეცით, ბოდიში მოგიხადოთ“ – ოფიციალური სიტუაციისთვის გამოდგება.

**პარა- და არავერბალური** საშუალებებიც შეიძლება იყოს ნეიტრალური და მარკირებული (თავაზიანი ან ვულგარული). მათს მართებულ გამოყენებას ადამიანის ქცევის წესები განსაზღვრავს. მაგ., ცერა თითის აწევა მონონების ნიშანად, თვალის ჩაკვრა გასამხნევებლად, თითით ყელის გამოწევა თხოვნის შესრულების მიზნით ძირითადად არაოფიციალურ, შინაურულ დიალოგებში გვხვდება,

ოფიციალურ სიტუაციაში კი ეტიკეტის დარღვევად აღიქმება. ვულ-გარულ საუბრებში იყენებენ უხამს უესტებს: კეფასთან თითის ან ხელის დატრიალება, სამი თითის კოშბინაცია, შუათითის ჩვენება, ენის გამოყოფა.

მაშასადამე, საკომუნიკაციო რეგისტრის შესაქმნელად ქართულ დიალოგურ მეტყველებაში გამოიყოფა მარკირებული (ოფიციალურ-საქმიანი, ფამილარულ-ვულგარული) და არამარკირებული (ნეიტრალური) ენობრივი ერთეულები, რომლებსაც ახასიათებთ შესაბამისი ემოციურ-სტილური ელფერი და დისტრიბუცია.

საკომუნიკაციო რეგისტრების ინდიკატორების შესახებ ვისაუბრეთ ზოგადად დიალოგური მეტყველების მიკროდონებები (გრამატიკულ-ლექსიკურ თავისებურებებზე მსჯელობისას), ახლა კი ამ საშუალებებს დავახასიათებთ თავაზიანობის ხარისხის მიხედვით:

### I. მორფოლოგიური დონე:

1. საკომუნიკაციო რეგისტრის **ძირითადი ინდიკატორია** თავაზიანი **თქვენ** და **ჩვენ** ფორმები ანუ მრავლობითი რიცხვის მეორეული მნიშვნელობა (ე.წ. თავაზიანი „თქვენ“ ან ავტორისეული „ჩვენ“), თუმცა „თქვენ“ გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება სულაც არ იყოს თავაზიანი: „თქვენ, ეი, გამოიხედოთ!“ || პ. მრ. რიცხვის ფორმა კარგავს თავაზიანობას ზოგიერთი სემანტიკის ზმნასთან: „აქედან გაეთრიეთ!“, „მოკეტეთ!“ და სხვ. ასევე აუცილებელია საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინება ხუმრობით ან ირონიით თავაზიანი ფორმების გამოყენებისას, როცა აღრეულია რეგისტრები (მაგ., თქვენ ფორმით მიმართვა ბავშვთან, ახლობელთან). ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია დიალოგური მეტყველებისათვის, რომ ცალკე ქვეთავებში განვიხილეთ (იხ. მიმართვებთან).

2. ქართულში რამდენიმე ზმნას (ყოფნას, დაჯდომას, ადგომას, შესვლას, გამოსვლას, ასვლას, ნასვლას, ჭამას, აღებას, მიცემას, თქმასა და სხვ.) მოეპოვება როგორც თავაზიანი (**პირში მონაცვლე**) სინონიმები, ე.წ. **ლექსიკური ევფემიზმები**, ისე ვულგარულ-ფამილარული ანუ **არათავაზიანი**. „თქვენობითი“ ფორმა იხამებს თავაზიანობის გამომხატველ ზმნებს, რომელთა გამოყენება ქართულში სისტემურ ხასიათს ატარებს:

**ყოფნა:** „როგორ ხართ?“ – თავაზიანი ფორმაა, მაგრამ პირში მონაცვლე ზმნა აძლიერებს თავაზიანობას: „როგორ ბრძანდებით?“

სად ხარ? – სად **ბრძანდებით?** შდრ. ვულგარული: სად აგდი-ხარ?

ვარ – გახლავართ, არის – გახლავთ. შდრ. არათავაზიანი ვაჭ-  
დივარ.

სკლა: ა. შემოდი! – შემობრძანდით! გვიკადრეთ! შდრ. შემო-  
გორიე!

ბ. ჩადი! – ჩაბრძანდით! შდრ. ჩაეთრიდ! ჩაშავდი!

გ. გადაღი! – გადაბრძანდით! შდრ. გადაეთრიე! გადაშავდი!

დ. სად დადიხარ? – სად დაბრძანდებით? შდრ. სად დაეთრე-  
ვით? სად დაბოლიალობთ?

ე. ადი! – აბრძანდით! შდრ. აეთრიდ! აეგდე!

ვ. შენთან მოვა – გვახლებათ. შდრ. მოვეთრევა.

დაჯდომა: დაჯექი! – დაპრძანდით! შდრ. დაეგდე!

ადგომა: ადექი! – აბრძანდით! შდრ. აეთრიდ! აეგდე!

თქმა: თქექი! – ბრძანეთ! რა ბრძანეთ? როგორც ბატონშა ივა-  
ნემ ბრძანა. შდრ. ამოშაქრე! ამოალაშე!

გეტყვი – მოგახსენებთ;

ალება: აილე! – ინტეტ!

სურვილი: გინდა? – გნებავთ? როგორც გნებავთ, როგორც  
გენებოთ. რა გნებავთ?

ჭამა: ჭამე! – მიირთვით! შდრ. ჩახეთქე! ვჭამე – გვახლით,  
გემრიელად მივირთვი, შდრ. ჩავხეთქე, გავსავდი.

მოცემა: მოგცემ – მოგართმევთ! შდრ. მოგაშავებ!

ნება მომეცი! – ნება მიბოძეთ!

პატივისცემა: პატივი გვეცი – პატივი დაგვდეთ! დაგვაფა-  
სეთ! გვიკადრეთ!

ცოდნა: როგორც იცი – როგორც მოგეხსენებათ! (იხ. აფრი-  
დონიძე, 2003; კავკიძე, 1999).

ეს ზმნები უპირატესად ენაცევლება II პირის ფორმებს, მაგრამ  
გამოიყენება III პირშიც, თუკი პიროვნებაზე პატივისცემით ვლაპა-  
რაკობთ: როგორ ბრძანდება ბატონი გიორგი? ჩამობრძანდა ქალბა-  
ტონი ნინო? ბატონი პროფესორი არ გახლავთ სახლში. რა ბრძანა  
პატივცემულმა ირაკლიმ? და ა.შ. I პირში გახლავართ (=ვარ), გვახ-  
ლით (=ვჭამე) ფორმაც ადრესატისადმი პატივისცემას უსვამს ხაზს.

ეს ზმნები პირველ პირში ირონიული მნიშვნელობით ან ხუმ-  
რობითაც გამოიყენება: ჩვენ ვბრძანდებით გამოჩენილი ადამიანები;  
ახლახან მოვბრძანდი და მივირთვი საჭმელი.

პირში მონაცევლე ზმნებს ქართულში იყენებენ ევფემიზმებად,  
როცა ოჯახში ვინმეს ბატონები აქვს. ესაა ძველთაგან დამკვიდრე-  
ბული ტრადიცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ტაბუ, რომ პირდა-

პირ არ აღნიშნონ ავადმყოფობა და მოიხსენიონ მოწინებით, კრძალვით, როგორმე არ გაძრაზდეს. თვით „ბატონებიც“ ევფემიზმია (ზოგიერთ კუთხეში ეძახიან „ანგელოზებს“). მაგ., ბატონები მოპრძანდნენ, ბატონები უპრძანდებათ, ბატონები მოუპრძანდათ (იხ. ჯორჯანელი, 1977, 60-61). ქართლში პურისჭამის დამთავრებისას, როცა სუფრა უნდა აალაგონ, იტყვიან ხოლმე: – აბა, ახლა სუფრას ვუპრძანოთ.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურდა „გადაბრძანდა“ ზმნის საინტერესო სემანტიკური ნიუანსი, როცა მას ევფემიზმიად იყენებენ „მოკვდა-“ს ნაცვლად: „როდის გადაბრძანდა (=მოკვდა) დედათქვენი?“ ამ ზმნას ამბობენ ახლობელ მიცვალებულზეც: „საცოდავი მამაჩემი ორი წლის წინათ გადაბრძანდა“. ვფიქრობთ, ესაა „გარდაიცვალას“ ეკვივალენტი და მისი მეტაფორული ხატი შეინარჩუნა (გადაბრძანდა საიქიოში, სულეთში ანუ გარდაიცვალა).

სამეტყველო ეტიკეტის მოთხოვნები განაპირობებს ზმნის პირთა ურთიერთჩანაცვლებას და სემანტიკურ სახეცვლილებებს (მაგ., I პირის ნაცვლად II განზოგადებული პირის ფორმის გამოყენება, II-ის ნაცვლად – I პირისა, განუსაზღვრელი III პ. მრ. რიცხვის ფორმა კონკრეტული პირის მაგივრად და სხვ.), რაც განვიხილეთ ქვეთავში პერსონალობის შესახებ.

3. დიალოგური მეტყველებისთვის მნიშვნელოვანია ზმნის კილო, რომელიც სინტაქსურ და ლექსიკურ საშუალებებთან ერთად ქმნის ქართულში მოდალობის ველს. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წართემითი და უკუთემითი ბრძანებითი კილოს ფორმები დირექტიულ სამეტყველო აქტებში, მოდალურ ნაწილაკებთან ერთად ან მათ გარეშე.

თავაზიანობის ხარისხი კავშირებითი კილოს ფორმებში მეტია ბრძანებითთან შედარებით. თუკი ბრძანებითის გამოყენება აუცილებელია, იშველიერენ თავაზიანობის სხვა საშუალებებსაც: შდრ. დაწერე! – თუ შეიძლება, დაწერეთ! ეგებ როგორმე დაწეროთ! ძალიან დამავალებთ, თუ დაწერთ!

თავაზიანობის ხაზგასასმელად ქართულ დიალოგურ მეტყველებაში კავშირებით კილოს ფუნქციით ხშირად გვხვდება ხოლმეობით-შედეგობითი მწკრივის ფორმები (მაგალითად, პირობით დამოკიდებულ წინადადებებში). ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში ასეთ შემთხვევაში კავშირებითი კილოს გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. მაგ., ქართულად: ხომ ვერ დამებარებოდით? ხომ ვერ

მეტყოდით? შდრ. გერმ. Könnten Sie mir helfen? Würden Sie mir sagen? ინგლ. Which wine would You recommend? (რომელ ღვინოს მირჩევდით?) We would like to learn about the production of engines! (გვინდოდა გავცნობოდით ძრავების წარმოებას!).

კავშირებითის ფორმები ქართულში გვხვდება ზოგიერთი ნაწილაკის შემდეგ ან მოდალური სემანტიკის მქონე ზმნებთან: ეგებ დამეხმაროთ! შეიძლება მითხვათ? მინდა გთხოვოთ! შდრ. ინგლ. Which window should I go to? (რომელ სარკმელთან უნდა მივიდე?) Where should I sign? (სად უნდა მოვაწერო ხელი?) Could You replace this? (შეიძლება ეს შემიცვალოთ?) და სხვ.

ვფიქრობთ, თავაზიანობის მორფოსემანტიკური კატეგორიის მქონე ენებში კავშირებითის ნილი თავაზიანობის გამოსახატავად ნაკლებია და მეტი მნიშვნელობა ენიჭება თავაზიანობის „თქვენობით“ ფორმებს (ზმნებსა და ნაცვალსახელებში) ან დამატებითს ლექსიკურ საშუალებებს (პირში მონაცვლე ზმნებს, ნაწილაკებს, ეტიკეტურ ფორმულებს და სხვ.). შენ/თქვენ ფორმათა შორის განსხვავების არქონა გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ზმნებში კავშირებითის ფორმებს თავაზიანობის გამოსახატავად (როგორც ესაა ინგლისურ ენაში).

**ნატვრის** გამომხატველ სამეტყველო აქტებში სხვა გრამატიკულ-ლექსიკურ საშუალებებთან ერთად გამოიყენება კავშირებითის მწკრივები (აწმყოს ან მყოფადის კავშირებითები, II კავშირებითი), წყვეტილი ან II თურმეობითი მეორეული მნიშვნელობით: ნეტა გაგაკეთებინა! ნეტა დამანერინა! დალოცვისას – II კავშირებითი და III კავშირებითი (ასევე სადლევრძელოებში). არარეალური პირობის გამოსახატავად – II თურმეობითი, მთავარ წინადადებაში – ხოლმეობით-შედეგობითი (მაგ., „ჩემთვის რომ დაგვჯერებინა, ალბათ აჯობებდა“).

4. როგორც ვიცით, ქართულში ზმნის დრო-კილოთა ფორმების (მწკრივების) ფუნქციები მჭიდროდაა დაკავშირებული დროისა (ტემპორალობის) და კილოს (მოდალობის) კატეგორიებთან და დამოუკიდებლად ვერც განვიხილავთ, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი მწკრივი პოლიფუნქციურია და კომუნიკაციაში დამატებითს ნიუანსს იძენს.

დიალოგურ მეტყველებაში მოუბარი პირის დამოკიდებულების გამოხატვა გამონათქვამის სარწმუნობისადმი შესაძლებელია თურმეობითის მწკრივებით. უნახაობითობა, როგორც კილოს ერთ-ერთი სახე (მაგ., თქვენთვის უთქვამთ, რომ მე ყველაფერი ვი-

ცოდი, მაგრამ ეს ასე არაა) და **უნებლიობის** ფორმებიც (მაგ., ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ნათესავი შემომელანძღვა) ხშირად თავაზიანობის ხაზგასმას ემსახურება და არბილებს სათქმელის კატეგორიულობას.

მნიშვნელოვანია მწკრივებთან მოდალური ნაწილაკების სემანტიკური შესამებულობის ცოდნა. მაგ., **ეგებ** მოვიდე (მოსულიყო, მოვიდა); **ალბათ** მოვა (მოვიდოდა, მოდის); **შეიძლება** მოვიდეს (მოსულიყო), **უნდა** მოვიდეს (მოსულიყო), **ნუ** მოვა! ნუ გააკეთებს! შდრ. არ მოხვიდე! არ გააკეთო! ვერ დაწინერე და არ დამინერია (შდრ. პაპიძე, 1981).

5. ზოგჯერ **გვარის** კატეგორიით ხაზი ესმება თავაზიანობას, როცა მოუპარი პირი საჭიროდ ჩათვლის, რომ აქტიური ზმნის ნაცლად გამოიყენოს პასიური ფორმა, ანუ მიჩქმალოს სუბიექტი და თავი აარიდოს მის პირდაპირ დასახელებას. მაგ., საყვედურის თქმის დროს: – თქვენ არასწორად წერთ ამ საკითხზე! შდრ. ამ საკითხზე ხშირად იწერება არასწორად!

ამ ბოლო დროს **ოფიციალურ-საქმიან** დიალოგებში ძალიან გავრცელდა პერიფრასტული ვნებითის ფორმები (მაგ., შემჩნეულიქნა დამნაშავე, დაკავებულიქნა დამნა ბოროტმოქმედი, აყვანილიქნა თანამდებობის პირი...), ფუნქციურზმნიანი შესიტყვებებით მოუპარ პირს სურს ხაზი გაუსვას თავაზიანობას: გავაკეთე გასროლა (გადაც. „პატრ.“ 2); ვანარმოეთ გასროლა, განხორციელდა თავდასხმა, მოხდა აყვანა; ჩვენ მრავალგზის ვიყავით შემოწებულები (გადაც. „პატრ.“ 1); პატრულმა ანარმოა თვალთვალი (გადაც. „პატრ.“ 3); მანქანა იყო ამობრუნებული მდგომარეობაში; დაზარალებული იქნა გადაყვანილი პატრულის მიერ; პილოტმა განახორციელა დაჯდომას; ნატო ეკიპირებას გაუწევს გადაცემას (გადაც. „პატრ.“ 3) და ა.შ.

ოფიციალურ დიალოგებში (მაგ., ტელევიზიაში) მომრავლდა ასეთი ფორმები, რაც, სამწუხაროდ, უფრო ააშკარავებს კომუნიკანტთა განათლების დაბალ დონეს და არა – თავაზიანობას. ესაა საქმიანი ქალალდების სტილი და ხშირად შეუფერებელია ზეპირი მეტყველებისთვის.

II. **ლექსიკურ** დონეზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს მიმართვები, ეტიკეტური ფორმულები და **ლექსიკური ევფემიზმები**:

1. საკომუნიკაციო რეგისტრების შესაბამისი მარკირებული ფორმებია აპელატიური **მიმართვები**, რომელთა მრავალფეროვნება ქართულში ასახავს სოციალური ურთიერთობის ნაირფერ პალიტ-

რას. „თქვენ“ შეეხამება ქალბატონო/ბატონო+სახელი-ს შემცველ მიმართვას (ასეთ მოვლენას ენობრივ ერთეულთა **სოციოლინგვისტურ პმულობას** უწოდებენ); „შენ“ – მხოლოდ სახელს წოდებით ბრუნვაში, მიმართვებს ახლობლებთან (დედა! მამა! მამიდა! დეიდა! ბიძია! ბიცოლა! ბებია! პაპა!), სახელების კნინობით-ალერსობითს შინაურულ ფორმებს, ახალგაზრდულ წრეში – მეტსახელებს. საერთოდ, ანთროპონიმების მნიშვნელობა დიალოგურ მეტყველებაში ძალზე დიდია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ადრესატის ყურადღების მიპყრობითა და მობილიზებით. ამას უკავშირდება ე.ნ. ორნამენტული მიმართვების ფართოდ გავრცელებული ფორმები (იხ. დაწვრილებით შემდეგ ქვეთავში).

2. ამ დონეზე განიხილება ასევე დიალოგური მეტყველების თანმხლები საშუალებები, რომელთა ნაწილი სინტაქსურად ჩართულ სიტყვა-გამოთქმებად გამოიყენება და არბილებს გამონათქვა-მის კატეგორიულობას, ე. ი. ნარმოადგენს ე. წ. „ზლუდეს“: ა. ზმნი-ზედები, ბ. ნაწილაკები, შორისდებულები (საალერსო მიმართვები: შენი (თქვენი) ჭირიმე, გენაცვალე, გეთაყვა, გეთაყვანე, შენ შემოგევლე; ფიცილის ფორმულები: დედაშვილობას, დედაშვილობამ, მამაშვილობას, შენმა მზემ, შენმა გაზრდამ, გაზრდა-გახარებამ, შენმა გახარებამ; ეტიკეტური გამოთქმების სინონიმური ერთეულები, ღმერთან დაკავშირებული მყარი ფორმულები: ღმერთმა გაგი-მარჯოს! აგაშენოს ღმერთმა! ღმერთმა დაგიფაროს! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ღმერთმა დაგლოცოს! ღმერთმა გაგახაროს! ღმერ-თო, მიმველე! ღმერთო მაპატიე! ღმერთო, დამიფარე! (ზექალაშვილი, 2001).

ეტიკეტურ ფორმულებს სამეტყველო აქტთა თეორიაში უწოდეს **კონდუქტივები**, რომელთა შორის გამოიყოფა: **მისალმება** (მოგესალმებით, გამარჯობათ), **გამომშვიდობება** (გემშვიდობებით, გამოგეთხოვებით, ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ), **ბოდიში** (მაპატიეთ, მომიტევეთ, უკაცრავად, მოგიბოდიშებთ, ბოდიშს მოგიხდით), **მადლობა** (დიდი მადლობა, მადლობას გადაგიხდით, გმად-ლობთ), **თხოვნა** (გთხოვთ, გეხვენებით, გემუდარებით, გევედრებით), **დალოცვა** (დაგლოცავთ, გაიხარეთ, აშენდით), **მილოცვა** (გი-ლოცავთ, გისურვებთ ბედნიერებას, დიდად დამავალებთ, გვიკად-რეთ, ნუ წუხდებით), ფიცილი, წყევლა და სხვ. (იხ. ქურდიანი, 2000).

ეტიკეტურ გამონათქვამებს გამოხატვის ბევრი სინონიმური საშუალება აქვს, რომელთა სილრმისეული სტრუქტურა (შინაარსი) ერთი და იგივეა, ზედაპირულ სტრუქტურაში კი სხვაობაა: მაგალი-

თად, პოდიშის გამოხატვა შეიძლება ზმნის პრძანებითი კილოს ფორმებით (მაპატიეთ! მომიტევეთ! ნება მომეცით მაპატიოთ!), ცალკე მდგომი არსებითი სახელით (ბოდიში!), ზმნიზედით (უკაცრავად!), პერფორმატიული ზმნის თხრობითი კილოს ფორმით (ბოდიშს მოგიხდით) ან კავშირებითით (გთხოვთ მაპატიოთ, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, გთხოვთ მომიტევოთ!), მოდალურ ზმნებთან, ნაწილაკებთან დაკავშირებული შესიტყვებებით (ეგებ მაპატიოთ, უნდა მაპატიოთ, თუ შეიძლება მაპატიეთ...).

ეტიკეტური ფორმულების მარკირებულობას საკომუნიკაციო რეგისტრების მიხედვით წარმოვადგენთ ერთ-ერთი ნიმუშით (იხ. სქემა №18), რომელშიც მოცემულია „გამომშვიდობების“ სინონიმური ერთეულების დახასიათება კომუნიკანტთა სოციალური ნიშნების, სიტუაციის, რეგისტრთა ქვესახეობებისა და ექსპრესიულ-სტილისტური ნიუანსების მიხედვით. ყველა რეგისტრში გამოიყენება: „ნახვამდის!“, „შეხვედრამდე!“, ოფიციალური რეგისტრის ნეიტრალურ სახეობაში – „კარგად იყავ!“, „მომავალ შეხვედრამდე! ხვალამდე!“; ოფიციალურ-საქმიანში – „კარგად ბრძანდებოდეთ!“ (ამაღლებული სტილი), „მშვიდობით!“, „ნება მომეცით გამოგემშვიდობოთ!“ (მაღლაფარდოვანი) (შდრ. ს. ომიაძე, 2009, 59-60).

| N | „გამომშვიდობება“ | დამატებითი სემანტიკური დახა-სიათება | ადრე-სანტი                 | ადრესა-ტი             | საკომუნიკაციო სი-ტუაცია | შენ/თქვენ მიმართვის ფორმები | საკომუნიკაციის ტრიკის ქვესახეობა | ექსპრესიულ-სტილისტური დახასიათება |
|---|------------------|-------------------------------------|----------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------------|----------------------------------|-----------------------------------|
|   |                  |                                     | ასაკი სი-მეტრია/ას იმეტრია | სოციალური მდგომარეობა |                         |                             |                                  |                                   |
| 1 | ნახვამდის!       | –                                   | ყველა ასაკში               | თანასწ.               | არაოფიციალ.             | შენ, თქვენ                  | ყველა რეგისტრში                  | ნეიტრალური                        |
| 2 | შეხვედრამდე!     | მცირე ხეილ განშორებისას             | ყველა ასაკში               | თანასწ.               | არაოფიციალ.             | თქვენ                       | ყველა რეგისტრში                  | ნეიტრალური                        |

|    |  |                                     |                                       |                    |                  |       |                                     |                                   |
|----|--|-------------------------------------|---------------------------------------|--------------------|------------------|-------|-------------------------------------|-----------------------------------|
| 3  | კარგად<br>იყავი!<br>ხვალამ-<br>დე!               |                                     | ყველა<br>ასაკში                       | თანასწ./<br>დაბალი | არაოფი-<br>ციალ. | შენ   | ნეიტრა-<br>ლური                     | ნეიტრა-<br>ლური                   |
| 4  | აპა, კარ-<br>გად!                                |                                     |                                       | თანასწო-<br>რი     | არაოფი-<br>ციალ. | შენ   | ფამილა-<br>რული                     | ყოველდღ.-<br>ყოფითი               |
| 5  | აპა, ჰე!   |                                     | ახალგაზ-<br>რდული                     | თანასწ./<br>დაბალი | არაოფი-<br>ციალ. | შენ   | ფამილა-<br>რულ-<br>შინაურუ-<br>ლი   | ყოველდღ.-<br>ყოფითი               |
| 6  | პაკა!<br>პაკა, პა-<br>კა!                        |                                     | ახალგაზ-<br>რდული<br>ჟარგონი          | თანასწ./<br>დაბალი | შინაურული        | შენ   | ფამილა-<br>რული<br>(კულგა-<br>რული) | ვულგა-<br>რული                    |
| 7  | ბაი, ბაი!  | იუმორით                             | ახალგაზ-<br>რდული<br>ჟარგონი          | თანასწ.            | შინაურული        | შენ   | ფამილა-<br>რული<br>(კულგა-<br>რული) | ფამილა-რუ-<br>ლი (მანერუ-<br>ლი)  |
| 8  | მშვიდო-<br>ბით!                                  | დიდი<br>ხნით გან-<br>შორები-<br>სას | ყველა<br>ასაკში                       | თანასწ./<br>მაღალი | ოფიცია-<br>ლური  | თქვენ | ოფიცია-<br>ლური                     | მაღალი (სა-<br>ლიტ.)              |
| 9  | კარგად<br>ბრძანდე-<br>ბოდეთ!                     |                                     | საშუალო<br>და უფრო-<br>სი თაო-<br>ბის | თანასწ./<br>მაღალი | ოფიცია-<br>ლური  | თქვენ | ოფიცია-<br>ლურ-საქ-<br>მიანი        | ამაღლებ.<br>(სალიტ.)              |
| 10 | ნეპა მო-<br>მეციო,<br>გამოგემ-<br>შვილო-<br>ბოთ! |                                     | საშუალო<br>და უფრო-<br>სი თაო-<br>ბის | მაღალი             | ოფიცია-<br>ლური  | თქვენ | ოფიცია-<br>ლურ-საქ-<br>მიანი        | მაღალფარ-<br>დოვანი (სა-<br>ლიტ.) |

სქემა №18. „გამომშვიდობების“ სინონიმური რიგის დახასიათება საკო-  
მუნიკაციო რეგისტრების მიხედვით

არაოფიციალური რეგისტრის ფამილარულ-შინაურულ სახე-ობაში – „აბა, კარგად!“, „აბა, ჰე!“; ფამილარულ-ვულგარულში – „პაკა, პაკა!“, „ბაი, ბაი!“ (ჟარგონული), ახალგაზრდებში მიღური გახდა ასევე: „აბა, კისები!“ და სხვ. ყველა ასეთი სინონიმური ერთეულის დახასიათება შეიძლება მარკირებულობის, ასაკობრივ ჯგუფებში გამოყენების სიხშირის, სოციალური მდგომარეობის სიმეტრიულობა-ასომეტრიულობის, სიტუაციის ოფიციალურობის მიხედვით და ა. შ. მათი დისტრიბუცია ხშირად განსხვავდება, ამიტომ გამოყენება შეიძლება მხოლოდ შესაბამის საკომუნიკაციო რეგისტრში, რადგან მათი პრაგმატული მახასიათებლები თავაზიანობის ხარისხის მიხედვით განსხვავებულია.

3. ცალკე ჯგუფს ქმნის **ლექსიკური ევფემიზმები** (არსებითი ან ზედსართავი სახელები), რომელთა გამოყენება მიღებულია ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სიტუაციაში, განსაკუთრებით ტელე-ან რადიოგადაცემებში, პოლიტიკურ დებატებში. თავაზიანობისა და მოკრძალების გამო ზოგჯერ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ზედსართავი ან არსებითი სახელები, ზმნები ჩანაცვლებულია უფრო შერბილებული სინონიმებით, რათა ტელემაყურებელთან, მსმენელთან (ე.წ. კოლექტიურ ადრესატთან) არ გამოიყენონ უხამსი, ვულგარული სიტყვები, სკაბრზული გამოთქმები. მაგ., კომერციული სექსმუმაკები (=უნესო ყოფა-ქცევის ქალები); სექსმობი (=მებაობა); კადრების მოყვანა შესაბამისობაში (=კადრების შემცირება); ამავე მნიშვნელობით უმაღლეს სასწავლებლებში კათედრებზე დარიგებულ ფურცლებზე ენერა: სასწავლო პროცესის ნორმალიზაცია, ადამიანური რესურსების კანონით დადგენილი ნორმატივების განხორციელება და სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია. ასეთ ფორმულირებაში, ერთი შეხედვით, ძალზე ძნელია მარტივი შინაარსის ამოცნობა: ადამიანების განთავისუფლება სამსახურიდან და ა. შ.

### III. სინტაქსურ დონეზე გამოიყოფა შემდეგი საშუალებები:

1. **ჩართული** სიტყვა-გამოთქმები, რომელთა საკომუნიკაციო ფუნქცია ხშირად მოდალურობის გამოხატვაა (მოუბარი პირის დამოკიდებულება ადრესატისადმი ან პირიქით, ასევე გამონათქვამის ფორმის ან შინაარსისადმი). ამ დროს წინაა წამონეული კომუნიკანტის მიერ შეფასება, სუბიექტური პოზიცია, რომლის მიხედვით, ნათქვამი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან არაჭეშმარიტი. ასეთი სიტყვა-გამოთქმები არბილებს გამონათქვამის კატეგორიულობას (მაგ., კამათის დროს, საკუთარი არგუმენტების მოშველიების შემთხვევა-

ში, რომ განსხვავებული მოსაზრება ნაკლებად კატეგორიული იყოს, არ აღმოჩნდეს შეურაცხმყოფელი ადრესატისთვის) (იხ. ცქიტიშვილი, 1988).

2. სხვადასხვა მოდალობის წინადადება-გამონათქვამების **ჩანაცვლება** ირიბი სამეტყველო აქტებისათვის: თხრობითი ან პრძანებითი წინადადებისა – კითხვითით ან პირიქით, რიტორიკული შეკითხვის ან კითხვა-ძახილის წინადადების მოშველიება უშუალო მიმართვისთვის თავის ასარიდებლად; „თუ“ კავშირით დაწყებული თხოვნის გამომხატველი კითხვითი წინადადებები: „თუ იცით, სად მდებარეობს საგარეო საქმეთა სამინისტრო?“ „თუ გაგიგიათ, სად ცხოვრობს ეს პიროვნება?“

3. ასიმეტრიულ დიალოგებში – **პირობით დამოკიდებული წინადადებები:** თუ მოხვალთ, დამავალებთ! თუ დამებმარებით, ძალიან გამახარებთ! თუ შემოგვირბენ, ძალიან კარგია იქნება! თუ გვესტურებით, ყველას გაგვახარებთ! დიდად გავიხარებთ, თუ გვიკადრებთ და მოპრძანდებით! მოხარული ვიქნებით, თუ თქვენს ლექსებს წაგვიკითხავთ! კარგს იზამ, თუ დამებმარები ამ საქმეში! ზოგჯერ ეს წინადადებები იწყება ან მთავრდება სიტყვებით: „თუ შეიძლება“ ან „თუ შეგიძლიათ“: თუ შეიძლება, დამებმარეთ! თუ შეიძლება, ეს ტექსტი გამისწორეთ! თუ შეგიძლიათ, მითხრათ...

4. **კვემდებარული ან დამატებითი დამოკიდებული წინადადებები დასაწყისით:** შეიძლება, რომ... შეგიძლიათ, რომ... მაგ., შეიძლება, რომ მითხრათ, სად იყოდება ეს წიგნი?

კითხვით წინადადებებში ხშირად გამოიყენება ნაწილაკები „ხომ“, „ვერ“ და „ეგებ“: ხომ დამებმარებით? ხომ არ იცით...? ხომ ვერ დამირეკავთ? ხომ ვერ მიპასუხებთ...? ხომ ვერ შეძლებთ, რომ ამ საქმეში დახმარება გამინიოთ? ეგებ დამებმაროთ?

5. დამოკიდებული წინადადებები მთავრის გარეშე აწმოს, მყოფადის ან ხოლმეობითის მწკრივებთან: – თუ არ შეწუხდებით..., თუ დამავალებთ..., თუ მოხვიდოდით..., თუ გვიკადრებთ..., თუ შეგიძლიათ ორიოდე წუთით მოცდა! თუ მომიცდით ერთი-ორ წუთს!

**თფიციალურ** საკომუნიკაციო რეგისტრში გვხვდება მაღალ-ფარდოვანი, ამაღლებული სტილისთვის დამახასიათებელი ერთეულები, ხოლო **არათფიციალურ-შინაურულში** – ახლობლურ-მეგობრული ან უხეში სტილური შეფერილობისა (შენობით მიმართვა, საალერსი ფორმულები, კნინობითი საკუთარი სახელები, მეტსახელები; ვულგარულ ახალგაზრდულ მეტყველებაში: ჟარგონიზმები, სკაპრეზული გამოთქმები, გამომწვევი ჟესტები და ა.შ.).

საუბარში ყველა ვერბალური საშუალება ქმნის ერთიან ქსოვილს – რეპლიკების თანამიმდევრობას, ორგანულად შერწყმულს პარა- და არავერბალურ საშუალებებთან. ამიტომ კომუნიკაციებს სჭირდებათ საუბრის წარმართვის კანონზომიერებათა ცოდნა, ყველა ერთეულის ფუნქციის, ურთიერთგანპირობებულობისა და კომპლექსურობის გათვალისწინება. მათი შერჩევა კი განსაზღვრულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა კომბინაციით (უპირველეს ყოვლისა, სიტუაციითა და კომუნიკაციას სოციალური მახასიათებლებით).

საკომუნიკაციო რეგისტრების ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორები ექსპლიციტურია, რომელთა ამოცნობა შედარებით იოლია კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ენობრივ კოლექტივში, მაგრამ არსებობს თავაზიანობის **იმპლიციტური** გამოხატვის ხერხებიც: როცა მოუბარი იყენებს ირიბ სამეტყველო აქტებს, მინიშნებას, ქარაგმულ თქმას, არავერბალურ ქცევას, ასეთ შემთხვევაში კომუნიკატორის ინტენცია იმპლიციტურად, ფარულად შედის გამოხატვაში და ზოგჯერ გაუგებარიც კია. მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია ე.წ. **კომუნიკაციური იმპლიკატურის** საშუალებით, ე.ი. მსმენელი ასრულებს რთულ გონებრივ-განსჯით ოპერაციას, ცდილობს ამოიცნოს გამოხატქვამის იმპლიციტური ინტენცია და შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. არ არის გამორიცხული, რომ ნებით თუ უნებლივთ მოხდეს არასწორი ინტერპრეტაცია, მაშინ მოუბარი იძულებული ხდება, ნაკლებად თავაზიანი ფორმით, მაგრამ ექსპლიციტურად გამოხატოს სათქმელი.

ლინგვისტები თვლიან, რომ **ირიბი** (ქარაგმული) სამეტყველო აქტებისთვისაც რელევანტურია გამოხატქვამის სიტყვასიტყვითი სემანტიკა, რადგან პირდაპირ და ირიბ მნიშვნელობათა შორის კავშირი ნებისმიერი ვერ იქნება, თუმცა მათი ჩათვლა კომუნიკაციურ ეკვივალენტებად შეუძლებელია (იხ. ფრანკი, 1975, 223). ქარაგმულად თქმით მოუბარი თავიდან იცილებს უხერხულ, საჩინორო სიტუაციას, დაბრკოლებებს და არბილებს გამოხატქვამის კატეგორიულობას, შეურაცხმყოფელ სიტყვებს ცვლის ევფემიზმებით. სწორედ ამას მიიჩნევენ ილოკუციათა ირიბად გამოხატვისთვის უპირატესობის მინიჭების მიზეზად (იხ. შლიბენი/ლანგე, 1975, 90).

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ თავაზიანი ქცევა (მათ შორის ვერბალურიც და არავერბალურიც) კონვენციური ხასიათისაა და თავისთავად კი არაა თავაზიანი, არამედ გარკვეულ ენობრივ კოლექტივში ითვლება ასეთად, სხვაგან ის შეიძლება არათავაზიანად აღიქვან, ე.ი. ყოველი არავერბალურ-ვერბალური ქცევის ინტერ-

პრეტაციის საფუძველია ანალიზატორის (კომუნიკანტის, თანამოსაუბრის) კონცეფცია და ინტერპრეტაციის ნორმები (იხ. ამის შესახებ: შულცე, 1985, 245). სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის სხვაობამ შეიძლება გამოიწვიოს კულტურული შოკი (აფაქიძე, 2005; უოლკერი, 2004).

მაშასადამე, ყველა ლინგვისტურ-არალინგვისტური მახასი-ათებელი თავს იყრის დიალოგურ მეტყველებაში ანუ მასში ხდება ენაში პოტენციურად არსებული საშუალებების რეალიზაცია. გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიები და ლექსიკური ერთეულები კონტექსტში ავლენენ სტილისტიკურ-სემანტიკურ მრავალფეროვნებას. ადამიანის სამეტყველო კომპეტენცია გულისხმობს საკომუნიკაციო რეგისტრების ინდიკატორთა ზუსტი დისტრიბუციის ცოდნას და ამ საშუალებათა აღეკვატური გამოყენების უნარს.

#### 4.2.1. ოფიციალური რეგისტრი

##### 4.2.1.1. ნეიტრალური სახეობა

ახლა კი მოკლედ დავახასიათებთ საკომუნიკაციო რეგისტრებს გამოყენების სფეროს მიხედვით. ოფიციალური რეგისტრის ძირითად ინდიკატორად მივიჩნევთ „თქვენობით“ მიმართვას (სხვა ენობრივ ერთეულთა სოციოლინგვისტური ბმულობით). „სახის“ თეორიის მიხედვით, ესაა უარყოფითი „სახე“, შესაბამისად – თავაზიანობაც უარყოფითია, დამახასიათებელი დამოუკიდებლობის სტრატეგიისათვის, ესადაგება თავაზიანობის დეფერენციულ (ანუ პატივისცემისა და თავაზიანობის) სისტემას.

ოფიციალურ რეგისტრში, თავის მხრივ, გამოვყოფთ ორ ქვესახეს: ნეიტრალურსა და ოფიციალურ-საქმიანს (თავაზიანს), რომელსაც ახასიათებს დამოუკიდებლობის სტრატეგია და შეესაბამება თავაზიანობის იერარქიულ სისტემას.

ნეიტრალური სახეობა გამოიყენება საქმიან დიალოგებში (კოლეგებს შორის), თხრობის დროს, ექსკურსიებზე, სასწავლო პროცესში (პედაგოგის თხრობა გაკვეთილზე, ლექტორისა – ლექტიაზე, სემინარზე), საქმიან მსჯელობებში, ასიმეტრიულ საუბრებში უწოდებთან საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ, უურნალისტებთან – ინტერვიუებზე, შეხვედრებზე მრგვალ მაგიდასთან, უცხოსტუმართან და სხვ.

ამ სახის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ემოციისა და ექსპრესიის ნაკლებობა, თავშეკავებულობა ენობრივი და არაენობ-

რივი საშუალებების შერჩევაში: არ გვხვდება უარყოფითი შეფასების ემოციური ლექსიკა, ჭარბობს სტილურად ნეიტრალური, არამარკირებული სიტყვები; ტონიც მშვიდია, ტემპი – ზომიერი, აუდილვებელი;

ზოგიერთი მყარი გამოთქმა შეიძლება ფსევდოკულტურულად ჩაითვალოს (მაგ., განვახორციელეთ თავდასხმა, ვანარმოეთ შემოწმება, იყო ჩატარებული აღწერა...), როცა მოსაუბრეს სურს ხაზი გაუსვას თავაზიანობას (იხ. რეგისტრების ინდიკატორებთან).

ნეიტრალური სახეობა დამახასიათებელია შუა ან უფროსი ასაკის ინტელიგენტური წრისათვის, განათლებული ფენისათვის ასიმეტრიულ საუბრებში დაწესებულებებში (საჯარო მოხელეებთან, ოფიციალურ პირებთან, უცნობებთან (სხვაგვარად მას დარბაისლურ ქართულსაც უწოდებენ). ძირძველ თბილისელებს კიდევ შემორჩათ დინჯი, დახვენილი ქართულით საუბარი, დარბაისლური მსჯელობა, თხრობა, რაც დღევანდელ ახალგაზრდა თაობაში იშვიათობაა.

#### 4.2.1.2. ოფიციალურ-საქმიანი სახეობა

ოფიციალური რეგისტრის ოფიციალურ-საქმიანი (თავაზიანი) სახეობა დამახასიათებელია ასიმეტრიული და სიმეტრიული დიალოგებისათვის პოლიტიკურ სფეროში (ხელისუფლებაში, პარლამენტში), იურიდიულ და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, დაწესებულებებში, ორგანიზაციებთან, საზოგადოებებთან, პარტიებთან, იქნება ეს ოფიციალური შეხვედრა უმაღლეს დონეზე თუ მოლაპარაკება სხვა ქვეყნების ხელმძღვანელ პირებთან, ბიზნესთაბირი ან საქმიანი საუბარი უცხოურ ფირმებთან, სხვადასხვა სახის დელეგაციის მიღება-გაცილება, საზეიმო შეხვედრები, ოფიციალური ცერემონიები, სასამართლოს პროცესები და ა.შ.

პოლიტიკურ სფეროში დიპლომატებისათვის არსებობს სპეციალური წესების ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ქცევის ნორმებს: რა შეიძლება მათთვის და რა – არა, როგორ იმეტყველონ, რა თქვან, როგორ მიმართონ ერთმანეთს, როგორ გადასცენ ან მიიღონ საჩუქარი და ა.შ.

ცხადია, აქ ლაპარაკია საერთოდ ქცევაზე, რომელშიც შედის სამეტყველო ქცევაც ყველა თავისი ატრიბუტით: მიმართვა, თავაზიანობის ენობრივი გამოვლენა, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მოხსენიება და ტიტულირება, ოფიციალური გამოსვლის სტრუქტურა, საუბრის მანერა და ა.შ.

ოფიციალურ-საქმიანი დიალოგებისთვის დამახასიათებელია: აზრის სრულად, გარკვევით ჩამოყალიბება, წინასწარ მომზადებული ტექსტები; სათქმელის გამოხატვის ლაკონიურობა, ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ფრაზები, თავშეკავებული ემოციურობა, შაბლონური მეტაფორების გამოყენება.

**გრამატიკულ-ლექსიკური** თავისებურებებიდან ალსანიშნავია: თქვენობითი ფორმები, პირში მონაცვლე ზმნები, ქალბატონი/ბატონი+სახელი მიმართვებად, ანთროპონიმთა ოფიციალური ფორმები, ლექსიკური ევფემიზმები, სპეციალურ ტერმინთა გამოყენება (პოლიტიკური, ეკონომიკურ-ფინანსური, იურიდიული...); ზმნის სანციისებისა და მიმღებების, პასიურ კონსტრუქციათა სიჭარბე (მაგ., აღნერილობითი ვნებითი), უცხო სიტყვები, ყოველდღიურობაში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიური ერთეულების, შტამპების, კლიშეების, ფუნქციურზმნიანი მყარი გამოთქმების ხმარება (მაგ., დახმარებას უწევს, წვლილი შეაქვს, მონაწილეობას იღებს, ბრძოლას უცხადებს, დადგენილება გამოაქვს, მზადყოფნა გამოთქვა და ა.შ.).

არავერბალური და პარავერბალური ნიშნები: თავშეკავებული და უემოციო უესტ-მიმიკა, აუდელვებელი და ნელი ტემპი, ხმის ტონის ზომიერი მოდულაცია.

ნიმუში ა: პარლამენტის სხდომაზე ერთმა პარლამენტარმა მეორე მოიხსენია „ნაძირალად“, „ავაზაკად“, „ქვეყნის დამქცევად“, „ქურდ-ბაცაცად“, პარლამენტის თავმჯდომარემ გააფრთხილა:

„— ბატონო დ., გთხოვთ შეიკავოთ თავი არაეთიკური გამოთქმებისაგან! აქ პარლამენტია და არა — ბაზარი. თუ ბოლიშს არ მოუხდით თქვენს კოლეგას, შეგიძლიათ დატოვოთ დარბაზი!“ („პარლ.“).

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტარმა დაკარგა კონტროლი და ოფიციალური სიტუაციის შეუსაბამო გამოთქმები გამოიყენა, მას მაინც დელიკატურად შეახსენეს, რომ ასეთი რამ მიუღებელია.

ნიმუში ბ: (ა — მასპინძელი, ბ — საპატიო სტუმარი).

„ა. — დაბრძანდით, გთხოვთ! რას ინებებთ?

ბ. — (დელიკატურად) გმადლობთ, ნუ წუხდებით! პოო, დღეს რაღაც ძალიან ცხელა!

ა. — დიახ, ბატონო ირაკლი, მართლაც დახუთული ჰაერია. ალბათ, აჯობებს კონდიციონერი ჩავრთოთ, ხომ არაფერი გექნებათ სანინააღმდეგო?

ბ. — არა, რას ბრძანებთ, ძალიან დამავალებთ!

ა. — ეგებ ცივი „ბორჯომი“ გნებავთ?

ბ. – გმადლობთ, ნუ შეწუხდებით!

ა. – რა შეწუხება? ახლავე მოგართმევთ, ეს რა პრობლემაა!

ბ. – კარგი, ძალიან დამავალებთ!“ (ყოფ. საუბ. 21).

ამ საუბარში, როგორც ვხედავთ, გამოყენებულია თავაზიანობის ენობრივი ინდიკატორები: პირში მონაცვლე ზმნები, თავაზიანი მიმართვები, თქვენობითი ფორმები, ეტიკეტური ფორმულები, შემარბილებელი ნაწილაკები.

#### 4.2.2.არაოფიციალური რეგისტრი

##### 4.2.2.1. შინაურული სახეობა

არაოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრის ძირითადი ინდიკატორად გამოვყავით „შენობითი“ მიმართვა (მასთან დაკავშირებული ვერბალურ-არავერბალური საშუალებებით). „სახის“ ოეორიაში ამ სახეობას შეესაბამება დადებითი „სახე“ (ასევე დადებითი თავაზიანობა), ესაა ე. წ. ჩაბმის, ჩართვის სტრატეგია და გულისხმობს თავაზიანობის სოლიდარულ სისტემას. არაოფიციალურ რეგისტრში შედის ორი ქვესახეობა: **შინაურული და ფამილარულ-ულგარული.**

ზოგჯერ შინაურულ სახეობაში გამოყოფენ **სალიტერატურო** და **არასალიტერატურო** სახეობებსაც. მაგ., საუბარი ცოლ-ქმარს, და-ძმას, მშობლებსა და შვილებს, ახლო მეგობრებს შორის შეიძლება წარიმართოს როგორც სალიტერატურო ენით, ისე არასალიტერატუროთი, ეს დამოკიდებულია კომუნიკანტთა განათლებაზე, წარმომავლობაზე, საკომუნიკაციო ადგილზე (ქალაქი, სოფელი, დიალექტური არეალი). არასალიტერატურო ფორმა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება დაბალი კულტურისა და განათლების ოჯახებში. ესაა ე. წ. **მდაბიური** მეტყველება, რომელიც გავრცელებულია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (ახალგაზრდებში, შუა ხნის და ხანდაზმულ ხალხში). ცხადია, მათ შორის სხვაობაა: ახალგაზრდებში ეს უფრო უხამისი ვულგარული საუბარია, ასაკოვან ადამიანებში კი – პროვინციული მეტყველება (ძირითადად, დიალექტური).

არაოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრის **შინაურული** სახეობა გამოყენებულია ახლობელ ადამიანებთან სპონტანურ, მოუმზადებელ საუბრებში ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობებისათვის, გამოირჩევა დიდი ემოციურობითა და ექსპრესით.

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ხშირად ესაა **პოლილოგი** (კითხვა-პასუხები, მოკლე რეპლიკები, თხრობის ან აღნერის ეპიზოდები). **თემატიკის** მიხედვით: ერთმანეთისა და ნაცნობ-მეგობ-

რეპის ამბების თხრობა, ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესება, შევილების შესახებ საუბარი, ახალგაზრდებში – შეყვარებულთა ამბების გამოკითხვა და სხვ. ძალზე გავრცელებულია არაფრისმთქმელი, უწყინარი საუბრები, ე. ნ. ფატიკური კომუნიკაცია (მოკითხვა, მილოცვა, დამშვიდობება, ქათინაურები, მობოდიშება...). ყოველგვარი ადამიანური ემოცია ამ სახის დიალოგებში გამოიხატება დაუფარავად, შეუნილბავად.

**ლექსიკური** თავისებურებებია: კნინობით-ალერსობითი სახელებით მიმართვები, „შენობითი“ ფორმა, მეტსახელთა გამოყენება, ემოციური შეფასებისა და სხვა ექსპრესიული სიტყვები, ფამილარული გამოთქმები, ბარბარიზმები, ემოციური შირისდებულები და ნანილაკები; შინაურული საალერსო და თავაზიანი ფორმულები, დალოცვა ან პირიქით: სალანძღვ-დამამცირებელი სიტყვები (ზამაკაცებსა და ვაჟებში: გინება, ქალებში – წყევლა); გადატანითი მნიშვნელობით (იუმორით, მასხრობით, შეხუმრებით, ე. ნ. შაყირით ან ირონიით) ლაპარაკი, სიტყვებით თამაში, კალამბურები, სიტყვა-პარაზიტები.

**სინტაქსური** მახასიათებლებია: სალიტერატურო ნორმების დაუცელობა, დაუდევრობის გამო არასწორი ფორმების გამოყენება (მაგ., ქვემდებარე-შემასმენლის შეუთანხმებლობა რიცხვში, ქვემდებარის არასწორი მართვა პრუნვაში გარდაუვალ ზმებში, საზღვრულის რიცხვში შეთანხმების წესების დარღვევა); მარტივი წინადადებების სიჭარბე რთულთან შედარებით, ელიფსური წინადადებები, შემოკლებული წინადადებები, სიტყვათა გამეორება, შესწორებები, შეფასებითი ხასიათის ჩართული სიტყვა-გამოთქმები, არაფრისმთქმელი მრავალსიტყვაობა.

**პარალინგვისტური** საშუალებებისთვის დამახასიათებელია: ინტონაციური მრავალფეროვნება, შემავსებელი პაუზები, ხმამაღლი საუბარი, ჩქარი ტემპი (სხვაობა შეინიშნება საქართველოს კუთხების მიხედვით: გურიაში, იმერეთში საუბარი უფრო ჩქარია, ქართლში ან რაჭაში – დინჯი).

**არავერბალურ** საშუალებებში შენიშნება ინტენსიური ჟესტიკულაცია, ემოციური ჟესტები, ხშირი სიცილი, ექსპრესიული მიმიკა და სხვ.

ამ საკომუნიკაციო რეგისტრის შინაურულ სახეობაშიც შეიძლება შეგვევდეს სალიტერატურო ქართულით საუბარი. ნიმუშად მოვიყვანთ **პოლილოგურ** ჩანაწერს (ფილოლოგთა წრეში), როცა სპონტანურ საუბარში მრავალი თემა წამოიჭრა და გაახსენდათ რე-

ზო ინანიშვილი. ამ პოლილოგში დადასტურდა ზეპირმეტყველების-თვის დამახასიათებელი ფორმები, გამეორებები, პაუზები, ემოციური შეძახილები. მონაწილე **ხუთია**, მათგან ერთს საერთოდ არაფერი უთქვამს, მეოთხეც პასიურია, ხოლო ინიციატორის როლი იკისრა პირველმა მოსაუბრები:

- ა. „ – შატაიძეს კარგი მოთხრობები აქვს ძალიან.
- ბ. – კი, კი.
- ა. – მაგარი ქართველია. რეზო ინანიშვილის იმაშია, რანგშია.
- ბ. – საწყალი, რა დროს მოკვდა გახსოვთ? ადამიანიც კი ვერ

მივიდა... დასაფლავებაზე.

- გ. – დეკემბერი იყო.

- ა. – ხო, დეკემბერი იყო.

- გ. – ხო, ხო, დეკემბრის ბოლო სადღაც.

ა. – რეზო იყო... კი არ იცინოდა, კუჭკუჭებდა რა. საოცარი კაცი იყო. სხვათა შორის ერთხელ ვნახე, ცხოვრებაში შორიახლო ვიყავი... ჰოდა, ერთადერთხელ ვიყავი სხდომაზე, სულ კვინტლები აყარა ((სიცილი)). კახელი არი, რაო, იზა ამბობს, ორჯონიკიძე, და ნახე, როგორ ((სიცილი)) აყარაო...

- ა. – მიზეზი რა იყო?

- გ. – მიზეზი იქნებოდა, აბა...

ა. – მდივანი იყო და თითქოს ახლა გამოიჩინა რაღაცა... არ იყო მაგის კაცი, ევლო სულა ტყეში. რო დადიოდა, რაღაც კარგად წათლილი ფანქრები ქონდა და მოთხრობებსა წერდა.

- ბ. – იმიტო, რო ძაან ქართულია, რასაც კითხულობ, გულიანია...

- გ. – ძარღვიანი ქართულით წერს.

- დ. – სიტუაციას ხატავს, ის რო არი...

ა. – ჰო, ნუ, ახლა, მაგას მერე სულ ბავშვობიდან ვკითხულობ... გახსოვთ, რო წერს, მოათრევსო, დაღალა ღორიო, გავიხედე, ეხლა იქედან მოათრევსო, დაიმორჩილაო, მიიყვანა სახლში, სახლში მიიყვანაო, დაღალაო, დაკლესო, ააშიშხინეს მწვადებიო და ჩავუხტეთ და ჩავუხტეთო, საღამოს რო გაიხსენეს, ღმერთმა არა ქნას, რომ ეგეთი ვინმეეს ჩაუხტესო...

- ბ. – როგორ დაამთავრებს ხოლმე...

- გ. – ძაან მაგარია.

- ა. – დიდებიო, დიდრონებიო, ჩუმებიო, საოცარი რაღაცებია.

ბ. – ვამე, ის რო არის, „შორი თეთრი მწვერვალი“. ეს მოთხობა რატო მომწონს, იცით? გრამატიკა და ლიტერატურა რომაა დაპირისპირებული. ხომ გახსოვთ? ამ დროს ბავშვი ოცნებაშია სად-

ღაც და გრამატიკაზე რომ ეკითხებიან. გაიკარ, ბიჭო, ორიანიო? ((სიცილი))

გ. – საოცარი რაღაცები აქვს. შედითარ პირდაპირ და...

დ. – „უკულმა დაჭედილი“?

გ. – უიმე, რა საყვარელია!

ა. – ლეილა ძიგრაშვილი კითხულობდა პრწყინვალედ „ბიბოს“, საოცარი რაღაცა“ (ყოფ. საუბ. 2).

როგორც ვხედვათ, შინაურულ გარემოშიც მნიშვნელობა აქვს კომუნიკაცითა განათლებას, სპეციალობასა და ლაპარაკის მანერას.

#### 4.2.2. ფამილარულ-ვულგარული სახეობა

საქართველოში არაოფიციალური რეგისტრის ფამილარულ-ვულგარული ანუ არათავაზიანი სახეობა დღესდღეობით ძალიან გავრცელდა. ვულგარული საუბარი თითქმის ყველგან ისმის: შინ თუ გარეთ, უკვე ბევრ ახალგაზრდულ რადიო- თუ ტელეშოუში (მაგ., გასართობი გადაცემი), დიჯეის მეტყველება, უურნალისტების საუბარი მაყურებელთან პირდაპირ ეთერში, მოკლე ტექსტური შეტყობინებების კითხვა...). მაგალითად, მომლერალ ეთერ კაკულიას მისწერეს: „– ქალბატონო ეთერ, თქვენ გენაცვალეთ და გეხუტუნეთ! ვეცემი თქვენს ხმაზე, ძალიან მიყვარსართ, თქვენი ფანი ვარ. – გაიხარე!“ (გადაც. „I სტ.“); წამყვან გოგონას მისწერეს: „– თამუნა, მაგრა ვეცემი შენზე, რუს ქალებზე ჭკუა მეკეტება! ვაფანატებ შენზე! – სპასიბა! პაკა!“ (გადაც. „I სტ.“).

სამწუხაროდ, თანდათან მოდად იქცა ვულგარული საუბარი (ჟარგონიზმებით). მისთვის დამახასიათებელია: ქართული სალიტერატურო ზეპირმეტყველებისათვის უცხო, წაგრძელებული ინტონაცია, არასწორი მახვილები; განსაკუთრებით კი: ქარგონიზმების, ინგლისური და რუსული სიტყვების სიმრავლე, უხამსი მიმართვები, ვაჟებში – უწმანური, სკაპრეზული გამოთქმები (ამას თან ახლავს თავშედური ტონი და მანერები).

ნიმუში 1: ძმაკაცი ართმევს მობილურ ტელეფონს და დიდხანს ლაპარაკობს:

„ა. – რა, მუქთია? ეგ ტელეფონი ბებიაშენს კი არ მოჰყოლია მზითევში! მუქთად იშოვე?

ბ. – რა ბებიაშენისა გინდა, შე უმოტო?“ (ყოფ. საუბ. 12).

ნიმუში 2. საუბარი ძმებს შორის:

„ა. – მოგიტანა იმ შენმა გამოშტერებულმა ძმაკაცმა ფოტოა-პარატი!

ბ. – მერე შენ რა, შე ქლიავო, მაინც არ გათხოვებ, მჭირდება! „(ყოფ. საუბ. 10).

ვულგარული მეტყველების ნიმუშები:

„ა. – იმენა, გუშინ, ძმაო, მაგარი პონტები გაიჩითა. კაროჩე, ერთი ძმაკაცი მყავს, მაგარი ქეში ტიპია და კაი მოსაწევი დაითრია რა! მაგრა დაგვოლდით და მერე იცი, რა ვქენით? არყები ჩაგარტყით! მაგარი ბუხო ავედი ბაითში...“

ბ. – ვა, ტო, გლიჯავს რა!.. იტოგში გუშინ მაგრა ჩაიარა დაბადების დღემ. ორი მოშნად დაზმანული დეტყაც გავჩითე!“ (ყოფ. საუბ. 13).

„ა. – აუ, ეხლა პროსტა აზრზე მოდი, რა! რას ახურებს ეს დიტო, არა, ტო? ეგეთი ჟილკა არ მჭირდება რა! ეგეთი ნაგლი როჟა რათ მინდა, ტო?“

ბ. – ნუ იგრუზები ახლა! ერთი თქვი, ტო, და ჩვენ იმენა მაგ კვერცხს ყველაფერს გავუიასნებთ, რაზეა ბაზარი?

ა. – მაყუთი მომცეს, ბიჭო, რას აჯდება, ტო?“ (ყოფ. საუბ. 4).

„ა. – მაგარი გვათოხლა და სად გადაიხვენა?“

ბ. – რას გვებლატავება, ტო?

ა. – მასეთებს არც ვურტყავ, პროსტა, თორემ“ (ყოფ. საუბ. 4).

„ა. – წამოდი, რა დავიადე!

ბ. – ვა, რა მაგარია!“ (ყოფ. საუბ. 3).

„ა. – ორი თვეა დაგრუსნულია, მგონი, იმ ჩემისამ დაადო.

ბ. – მაგარი დაზმანული დადის და წუწუნებს, მაყუთი არა მაქვსო.

ა. – ტო, საიდან ექნება? აზრობ, ორი წელია, წამალზეა შემჯდარი!“ (ყოფ. საუბ. 4).

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, არაოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრის შინაურულ-ვულგარულ სახეობაში გამოყენებულია მკვეთრი ემოციური შეფერილობისა და ნეგატიურად მარკირებული საშუალებები.

#### 4.3. მიმართვათა ფუნქციები სამეტყველო რეგისტრის

##### შექმნაში ქართულ დიალოგებში

###### 4.3.1. შენ/თქვენ მიმართვები

ქართულ დიალოგურ მეტყველებაში სიტუაციის შესატყვისი რეგისტრის შესაქმნელად ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია მიმართვა (ვოკატიური და ზმნური) და პირში მონაცელე ზმნები, რომელთა შესახებ ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში მეტად

საინტერესო ნაშრომები არსებობს (იხ. აფრიდონიძე, 2003; კიკვიძე, 1999; 2004).

სამეტყველო რეგისტრის შესაქმნელად „შენობით“ ფორმასთან იყენებენ სახელით მიმართვას, ხოლო „თქვენობით“ ფორმასთან – ქალბატონი/ბატონ + სახელი. სახელ-მამისსახელობითი მიმართვა ქართულისთვის მიუღებელია, თუმცა ალაგ-ალაგ დღესაც დასტურდება მხოლოდ მამის სახელით მიმართვა (სახელის გარეშე) სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანისადმი (დირექტორი, შეფი, მაღაზიის მეპატრონე, მენარმე). მაგ., პლატონიჩ, ივანიჩ, პავლოვიჩ, ივანოვნა, ისაევნა და სხვ. ყოფითს სიტუაციებში შესაძლებელია ირონიულად მეულლისადმი, ოჯახის დიასახლისისადმი, ასაკოვანი ადამიანისადმი გამოყენებაც. საერთოდ ახლა, საბჭოთა პერიოდთან შედარებით, გაცილებით იშვიათად დასტურდება მამის სახელით მიმართვა ქართულში.

ჩვენ სქემატურად წარმოვადგენთ შენ/თქვენ ფორმების გამოყენების სიტუაციურ და სოციალურ-უზუალურ პირობებს ქართულ დიალოგურ მეტყველებაში (ზეპირ დისკურსში).

ზოგიერთ ენაში დიდი მსგავსება შეინიშნება ქართულთან ამ თვალსაზრისით (მაგ., რუსულში, პოლონურში), ზოგან საერთოდ არ განასხვავებენ შენ/თქვენ ფორმებს. მაგ., თანამედროვე ინგლისურ ენაში მხოლოდ You არსებობს (ანუ თქვენ) და ბავშვს თუ უფროსს, ნაცნობსა და უცნობს – ყველას ერთნაირად მიმართავენ. ივრითში II პირის მხ. და მრ. რიცხვი მიმართვისას განასხვავებს სქესს: მამრ. სქ. შენ – „ათა“, თქვენ – „ათემ“, მდ. სქ. შენ – „ათ“, თქვენ – „ათენ“, მაგრამ „თქვენ“ არ გამოიყენება თავაზიანად, ერთი პირის მიმართ (ასეთ ფორმებს უწოდებენ ალოკუტურს, გვხვდება ბასკურშიც); გერმანულ ენაში განსხვავებულია Du – Sie ფორმები, ოღონდ წარმოშობით თქვენ (Sie) არის III პირის მრ. რიცხვი (ისტორიულად გამოიყენებოდა თავაზიანობისთვის მრ. რ. II პირიც – Ihr).

შენ/თქვენ ფორმათა დისტრიბუცია სპეციფიკურია ყოველ ენაში, მათ შორის ქართულ ენობრივ კოლექტივში და არაქართველთათვის სპეციალური შესწავლის საგანი უნდა იყოს, რადგან საკომუნიკაციო რეგისტრის ძირითადი ინდიკატორია.

ისევე, როგორც ნებისმიერი დიალოგის დასაწყებად, საჭიროა საკომუნიკაციო მოდელით განსაზღვრული მიმართებების გააზრება, ე.ი. მოუბრის არჩევანს შენ/თქვენ ფორმების გამოყენებაში წინ უძლევის ექსტრალინგვისტური ფაქტორების გაცნობიერება, კერძოდ, მიმართვის ობიექტის ანუ ადრესატის სოციალური მახასია-

თებლების შეფასება. მსმენელი დაადგენს, ასიმეტრიულია ეს მიმართება თუ სიმეტრიული და სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხის მიხედვით შეარჩევს „თქვენ“ ან „შენ“ ფორმას (იხ. სქემა №19).

|   | ზოგადი<br>მახასიათებლები                      | კომუნიკაცია მახასიათებლები                       |                                   | შენ       | თქვენ         |
|---|---|--|-----------------------------------|-----------|---------------|
| 1 | კომუნიკაცია<br>ნაცნობობის<br>ხარისხი          | უცნობი, ნაკლებად ნაცნობი                         |                                   |           | +             |
|   |   | კარგი ნაცნობები                                  |                                   | +         |               |
|   |   |  |                                   |           | კომუნიკაციები |
| 2 | სიმეტრიულ-<br>ასიმეტრიული<br>როლები           | მახასია-<br>თებელი                               | ადრესანტი                         | ადრესატი  | შენ           |
|   |   | ასაკი  | უმცროსი                           | უფროსი    |               |
|   |   |  | უფროსი                            | უმცროსი   | +             |
|   |   |  | თანაბარობი                        | +         | +             |
|   |   | სოციალური<br>მდგომარეობა                         | ხელქვეითი                         | უფროსი    |               |
|   |   |  | უფროსი                            | ხელქვეითი | +             |
|   |   |  | თანაბარი სოციალური<br>მდგომარეობა | +         | +             |
|   |   | ცივი, თავშეკავებული, თავაზიანი<br>დამოკიდებულება |                                   |           | +             |
|   |   | თბილი, ფამილიარული, მეგობრული                    |                                   | +         |               |
| 3 | კომუნიკაცია<br>ურთიერთ-<br>დამოკიდებულება     | ოფიციალური გარემო                                |                                   |           | +             |
|   |   | არაოფიციალური (შინაურული) გარემო                 |                                   | +         |               |
| 4 | სიტუაციის<br>ოფიციალურობა/<br>არაოფიციალურობა |  |                                   |           | +             |

### სქემა №19. შენ/თქვენ მიმართვების გამოყენება

დიალოგის დასაწყისშივე, მისალმების პირველივე სიტყვები-დან, აშკარაა, რომელი რეგისტრი აირჩია მოუბარმა და რამდენად ადეკვატურია ეს სიტუაციასთან. **ოფიციალური** რეგისტრისათვის, რომელშიც ხაზი ესმება დისტანციას, დამახასიათებელია: თავაზიანობის ფორმულები, **თანიანი** ფორმები მეორე პირისთვის, პირში მო-

ნაცვლე ზმნები (ბრძანეთ, შემობრძანდით, ინებეთ, მიირთვით...). შენ/თქვენ ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად შედის ფატიკური კომუნიკაციის ფორმებშიც. მაგ., გაუმარჯოს, გამარჯობა, აბა ჰე, ბოდიში, მაპატიე, მადლობა – გულისხმობს „შენობით“ ურთიერთობას, ხოლო გამარჯობათ, კარგად ბრძანდებოდეთ, მაპატიეთ, გმადლობთ – „თქვენობითს“.

მაგ., **ოფიციალური** რეგისტრი: – ბოდიშს გიხდით, ბატონო, რომ განუხებთ, ეგებ როგორმე დამეჩმაროთ! – უკაცრავად, ქალბატონო, ხომ ვერ მეტყოდით...

**ნეიტრალური:** – მოქალაქევ, გააჩერეთ მანქანა! – მეგობარო, ვერ მიმასწავლით ცენტრისკენ გზას?

**არაოფიციალური:** – ბოდიში, გენაცვალე, მითხარი ერთი... – მაპატიე, გოგონა, იცი, სადაა...

**შინაურულ-ვულგარული:** – ჯიგარო, მაგრა გაასწორებ, ვიპაზროთ რა....

ზეპირი კომუნიკაციის ნებისმიერ ფორმაში მოქმედებს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა კომბინაცია, კერძოდ, მათი ოთხი ძირითადი ჯგუფი. მხოლოდ მეოთხე ეხება სამეტყველო სიტუაციას, დანარჩენები კი – კომუნიკანტებს:

1. კომუნიკანტთა ნაცნობობის ხარისხი;
2. კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი და როლი;
3. კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება;
4. საკომუნიკაციო სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხი.

არ შეიძლება თითოეული ამ ფაქტორის განხილვა იზოლირებულად, რადგან გასათვალისწინებელია მათი კომბინაცია ცალკეულ შემთხვევებში.

ისტორიულად ქართულში მიმართვად მეგობრულ და ახლობლურ წრეში დამკვიდრდა თბილი, ინტიმური „შენ“, ცივი, თავშეკავებული დამოკიდებულების დროს კი – თავაზიანი „თქვენ“, თუმცა ამ ფორმათა დისტრიბუცია დიაქრონიულ ჭრილში ცვალებადია.

### **1. კომუნიკანტთა ნაცნობობის ხარისხი**

ამ თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი სახეობები: უცნობები, ნაკლებად ნაცნობები და კარგად ნაცნობები. **შენ** – მიღებულია კარგად ნაცნობთან მიმართვისას; **თქვენ** – ნაკლებად ნაცნობსა და უცნობთან.

გვხვდება გრადაციებიც, თუ გავითვალისწინებთ ადრესატის ასაკს, სქესს, სოციალურ მდგომარეობას.

ა. ბავშვები, როგორც წესი, ერთმანეთში „შენ“ ფორმას იყენებენ პირველი შეხვედრისთანავე. მათ უჭირთ საერთოდ „თქვენ“ ფორმის ათვისება, რადგან მარტო მრ. რიცხვთან აიგივებენ. ახალგაზრდებშიც, უცნობებს შორის, თანდათან იყიდებს ფეხს „შენ“ მიმართვა (მაგ., ტელეგადაცემებში პირდაპირ ეთერში წამყვანისა და მაყურებლის საუბარი).

ბ. საქართველოში უცნობი სტუდენტები ერთმანეთს პირველ ხანებში „თქვენობით“ ელაპარაკებიან, მაგრამ მალე გადადიან „შენ“ ფორმაზე. ამის გამო სპეციალური მოძრაობა და გამოსვლები არ მოუწყვიათ, როგორც ეს იყო XXI-ის 60-იან წლებში გდრ-ში. გერმანიაში უცნობი სტუდენტები ერთმანეთს „შენობით“ მიმართავენ და შემდეგაც, დისტანციური დამოკიდებულების მიუხედავად, სახელით.

## 2. კომუნიკანტთა სოციალური სტატუსი და როლი

კომუნიკანტთა სიმეტრიულ-ასიმეტრიული როლები მოიცავს რამდენიმე მახასიათებელს: ასაკს, სქესს, სამსახურებრივ მდგომარეობას ანუ სოციალურ სტატუსს, განათლებას და სხვ.

სიტუაცია სიმეტრიულია, თუ კომუნიკანტების მახასიათებლები თანასწორია (ერთი ასაკის, სქესის, განათლების დონის, სოციალური სტატუსის ადამიანებს შორის წარიმართება). აյ შენ/თქვენ მიმართვათა არჩევანი დამოკიდებულია დანარჩენ ფაქტორებზე.

ასიმეტრიულ სიტუაციაში ასაკით უმცროსი, სოციალური მდგომარეობით დაბალ საფეხურზე მყოფი უფროსი, მაღალ საფეხურზე მყოფს მიმართავს „თქვენობით“, ხოლო უფროსი უმცროსის – „შენობით“. თუმცა აქაც შეინიშნება სხვადასხვაობა.

სიმეტრიულ ყოფილს საუბრებში ოჯახში: ა. საქართველოში ცოლ-ქმარი ერთმანეთს არასოდეს მიმართავს „თქვენობით“, ეს უცნაურად, უჩვეულოდ უდერს. ქართველი არ იტყვის სხვასთან საკუთარ ცოლზე: – ქალბატონმა ნინომ მოგიკითხათო. მით უმეტეს, წარმოუდგენელია ასეთი ოფიციალური მიმართვა, თუ ეს არაა ხუმრობა. რუსეთში კი ასეთი რამ ხშირია, თან დასტურდება სახელ-მამისსახელობითი მიმართვების გამოყენებაც მეუღლეებს შორის (განსაკუთრებით, სოფლებში) (იხ. კალაძე, 1984).

ზოგიერთ ქვეყანაში ცოლი უნდა დაელაპარაკოს ქმარს „თქვენობით“, ქმარი – „შენობით“ (მაგ., იაპონიაში). კავკასიის ხალხებში ბევრი აკრძალვაა ქალების მეტყველებასთან დაკავშირებით, რაც წინათ მათს დისკრიმინირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს. ქართულ სინამდვილეში ასეთი შეზღუდვა არ არსებობს და, საერთოდ,

ქალის მიმართ ოდითგანვე მიღებულია მხოლოდ მოწინებისა და პატივისცემის გამოხატვა, ცოლთან – „შენობით“ ლაპარაკი.

ბ. შვილები მშობლებს (ან ბებია-ბაბუას) მიმართავენ „შენობით“ (ზოგჯერ მამიდას, დეიდას, ბიძასა და ბიცოლასაც). თუკი „თქვენობით“ ფორმას გამოიყენებენ, იქმნება გამიზნული სახუმარო სიტუაცია: – ბატონო დავით, თქვენო პრწყინვალებავ, ხომ არ ინებებთ სადილად მობრძანებას!

წინათ მაღალი წრის საზოგადოებაში შვილები დედ-მამასაც „თქვენობით“ და „ბატონობით“ მიმართავდნენ (მაგ., დედავ ბატონო! ბატონო მამავ!).

**უცხო** ან **ოფიციალურ** გარემოში: ა. ბავშვს, მოზარდს ყველა მიმართავს „შენობით“: მასწავლებელი – მოსწავლეს, უცნობი პირი – ქუჩაში გამვლელ ბავშვს. უფროს კლასებში ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეს მიმართავს „თქვენობით“, ასევე ლექტორი – სტუდენტს (ზოგჯერ „შენობითაც“).

სოციალური მდგომარეობის მეცნიერო სხვაობის დროს: სამსახურში ხელქვეითთან უფროსი „შენობითი“ ფორმით ხაზს უსვამს მათ შორის სოციალურ სხვაობას, უპატივცემლობას, მაგრამ ეს ინდივიდუალურია.

ბ. დამლაგებელს, შვეიცარს სკოლაში (ან უმაღლეს სასწავლებელში) უხარის, თუკი უფროსი „შენობით“, სახელით მიმართავს და მეგობრულად გამოელაპარაკება. ეს მათში აღძრავს მეტ ნდობას და დადებითად განაწყობს.

გ. „**შენ**“ ფორმა გამოიყენება ჯარში ჯარისკაცებს შორის, ციხეში – პატიმრებს შორის, ხელოსნებში, ტაქსის მძღოლებში.

### **3. კომუნიკაცია ურთიერთდამოკიდებულება**

აქ შეიძლება გამოიყოს ორი სახე: ა) თავშეკავებული ანუ დისტანციური; ბ) ახლობლური ანუ არადისტანციური.

პირველ შემთხვევაში იყენებენ „თქვენ“-ს, მეორეში – „შენ“-ს, რეგისტრების აღრევა შეიძლება იყოს გამიზნულიც: თუკი „თქვენ“-ს ჩაენაცვლა „შენ“ შეუსაბამო სიტუაციაში, ადრესანტს გამიზნული აქვს ადრესატის შეურაცხყოფა, აგდება, დამცირება; ხოლო „შენ“ თუ „თქვენ“-მა შეცვალა, მიზეზი შეიძლება იყოს ირონია ან ხუმრობა, იუმორი, რადგან იქმნება უჩვეულო სიტუაცია, შეუსაბამობა სოციალურად დაკანონებულ წესსა და რეალურ განხორციელებას შორის ანუ მსმენელის მოლოდინი ცრუვდება, ის იწყებს იმპლიციტური გამიზნულობის ახსნას და ხვდება დაფარულ აზრს (ხუმრობას ან

ირონიას), თუკი ამის საშუალებას აძლევს მოუპართან ზიარი საკო-  
მუნიკაციო კომპეტენცია.

ადამიანთა ურთიერთობაში მიმართვათა ფორმები არაა ერ-  
თხელ და სამუდამოდ დადგენილი, ზოგჯერ მათ ცვლიან გამიზნუ-  
ლად ან უნებლივთ. „თქვენობითი“ საუბრიდან „შენობითზე“ გადას-  
ვლისთვის ითხოვენ სპეციალურ ნებართვას ან იხდიან ბოდიშს. „შე-  
ნობითი“ მიმართვის შეცვლა „თქვენობითით“ კი ინდიკატორია შინა-  
ურულიდან ოფიციალურ დამოკიდებულებაზე გადასვლისა (მაგ.,  
განაწყენების, გაპრაზების დროს).

განვიხილოთ მიმართვის ერთი ფორმიდან მეორეზე გადას-  
ვლის შესაძლებლობები:

ა. გადასვლა „თქვენ“-იდან „შენ“ ფორმაზე შესაძლებელია თან-  
დათან, როცა უცნობები ახლო ნაცნობები ხდებიან ან სულაც დამე-  
გობრდებიან. ამას წინ უძლვის სპეციალური ნებართვის აღება კომუ-  
ნიკანტისაგან: – მაპატიეთ, მაგრამ „შენობით“ ვილაპარაკოთ! ან: –  
ძალიან გთხოვ, ნულარ მომზართავ „თქვენობით“, მეუხერხულება!

ბ. არაა გამორიცხული, რომ კარგა ხნის ნაცნობებშიც ვერ მო-  
ხერხდეს „შენობით“ ფორმაზე გადასვლა, თუკი დამოკიდებულება  
მეგობრობამდე არ მივა.

გ. ახლო მეგობრებს შორის შეიძლება კამათის, უსიამოვნებისა  
და უთანხმოების შემდეგ „შენობითი“ ფორმა შეიცვალოს „თქვენო-  
ბითით“, რაც ხაზს უსვამს ახლობლური დამოკიდებულებიდან ოფი-  
ციალურზე, თავშეკავებულზე გადასვლას ანუ იცვლება პოზიცია და  
ამას მოჰყვება რეგისტრის ცვლაც.

დ. ქალისა და მამაკაცის, გოგონასა და ვაჟის საუპარში  
„თქვენ“-იდან „შენ“-ზე გადასვლა შეიძლება ნიშნავდეს გარდატეხას  
ურთიერთობაში ან მინიჭნებას დაახლოების სურვილზე (როცა პი-  
რიქით ხდება, ეს გაუცხოების სიგნალია).

ამ გადასვლით იცვლება ურთიერთდამოკიდებულებაც: უფრო  
ახლობლური ხდება, თითქოს გადაილახება დისტანცია, იმატებს  
ნდობა ერთმანეთში, ოფიციალურობის ყინული ლლვება.

ე. ზოგჯერ ეს ჩანაცვლება არასასურველია, ზედმეტ კადნიე-  
რებად, შეურაცხყოფად აღიქმება (განსაკუთრებით ასაკობრივი ან  
სამსახურებრივი მდგომარეობის სხვაობის დროს) და ახალგაზრდა  
სპეციალურ შენიშვნასაც იმსახურებს ხოლმე. მაგ., – ყმანვილო, არ  
იცით, ვის როგორ ელაპარაკოთ? მე თქვენთვის „შენ“ არა ვარ!

#### **4. საკომუნიკაციო სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხი**

ქართულ დიალოგებში ოფიციალურ გარემოში კომუნიკანტები ერთმანეთს „თქვენობით“ ელაპარაკებიან, **არაოფიციალურში** – „შენობით“, თუკი კომუნიკანტთა ურთიერთდამოყიდებულება (ასაკი, ნაცნობობა, სოციალური სტატუსი და სხვ.) სიმეტრიულია. ძალიან ახლო მეგობრები და კოლეგებიც კი ოფიციალურ სიტუაციაში გადადინ „თქვენ“ და ქალბატონო/ბატონო მიმართვებზე (დისერტაციის დაცვის, კონფერენციების, სიმპოზიუმების, შეკრებების, ყრილობების და ა.შ. დროს) და ფამილიარული „შენ“ არ გამოიყენება. მაგ., – ნება მომეცით, კითხვა დავუსვა დისერტანტს, ქალბატონ თამარს!

– ბატონო გიორგი, მადლობას მოგახსენებთ საქმიანი შენიშვნებისთვის! (დისერტ. დაცვა).

ქართულ სინამდვილეში, რუსულთან, გერმანულთან და ინგლისურთან შედარებით, ადამიანები ერთმანეთთან უფრო ნაკლებად ოფიციალურები არიან, ადვილად აძლევენ თავს უფლებას, დაარღვიონ ოფიციალური საკომუნიკაციო სტრატეგიის მოთხოვნები, შედარებით შინაურული გარემო შექმნან ყველგან და ყოველთვის (მაგ., წიგნის განხილვისას, პრეზენტაციაზე, კამათში და სხვ.).

რაც შეეხება **ასიმეტრიულ** საუბრებს უცნობებთან ან ნაკლებად ნაცნობ ადრესატებთან, ყოველთვის იყენებენ „თქვენობით“ მიმართვას (მოზრდილებთან).

როგორც ვხედავთ, **შენ/თქვენ** მიმართვები მთელი დიალოგის ენობრივი ქსოვილის (საკომუნიკაციო რეგისტრის) ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და სხვა ერთეულებთან კომბინაციაში ქმნის მას. შესაბამისი რეგისტრის არჩევაზე ზემოქმედებას ახდენს ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა ერთობლიობა, ხოლო ადეკვატურ ვერბალურ საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს კომუნიკაციის წარმატებულობას.

მაშასადამე, **შენობითი (ფამილიარულ-შინაურული)** მიმართვის ფორმა თანამედროვე ქართულ დიალოგებში გვხვდება:

**სიმეტრიულ** საუბრებში: 1. თანატოლებში (მოზარდებში, ახალგაზრდულ-სტუდენტურ წრეში), ბავშვებში, მეგობრებში;

2. ნათესავებსა და ახლობლებში – მშობლები და შვილები, ცოლი და ქმარი, ბებია-პაპა და შვილიშვილი, და და ძმა.

3. კოლეგებსა და ერთი პარტიის წევრებში არაოფიციალურ სიტუაციაში;

3. ჯარში ჯარისკაცებს შორის, ციხეში – პატიმრებს შორის, ხელოსნებში, ტაქსის მძღოლებში (ე. ი. შედარებით დაბალ სოცია-

**ლურ საფეხურზე მყოფებში).**

**ასიმეტრიულ საუბრებში:**

1. თანამდებობით უფროსი მიმართავს ხელქვეითს, თუკი დისტანცია მათ შორის დიდია (მთავარი ექიმი – სანიტარი, დარაჯა; დირექტორი ან შეფი – დამლაგებელს);
2. ასაკით უფროსი – ბავშვს ან ახალგაზრდას, უმცროსსა;
3. ახალგაზრდულ ტელეგადაცემებში (პირდაპირ ეთერში მაყურებელთან საუბრებში).

„მენ“ ფორმა დამკვიდრებულია ზოგიერთ ცხოვრებისეულ სიტუაციაშიც:

1. მიმართვა ღვთისადმი (ღმერთო, დამიფარე! ღმერთო, მიშველე! ღმერთო, მიხსენი!) (იხ. ასათიანი, 2000);
2. მიმართვა წმინდანებისადმი, ღვთისმშობლისადმი, ზეციური არსებებისადმი;
3. სამგლოვიარო სიტყვაში (მიცვალებულის წინაშე).

**„თქვენობითი“ ფორმა გამოიყენება თავაზიანი  
მიმართვისთვის:**

**სიმეტრიულ საუბრებში** საუბრებში ოფიციალურ სიტუაციაში ერთი ასაკის ადამიანებში;

**ასიმეტრიულ საუბრებში:**

1. ასაკით უმცროსის მიმართვაში უფროსისადმი;
2. თანამდებობით, ცენტით დაბალ საფეხურზე მყოფისა – მაღალ საფეხურზე მდგომისადმი;
3. უცნობის მიერ უცნობთან (ქუჩაში, ტრანსპორტში, დაწესებულებაში და ა.შ.).

ადამიანები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიალოგურ მეტყველებაში მიმართვებს, რადგან ეს ასახავს კომუნიკაციას შორის დამოკიდებულებას და ზეგავლენას ახდენს მათს ურთიერთობებზეც.

#### **4.3.2. ვოკატიური მიმართვები თანამედროვე ქართულ დიალოგებში**

##### **4.3.2.1. საზოგადო სახელები მიმართვებში**

ადრესატის ყურადღების მისაპყრობად და მასთან კონტაქტის დასასმყარებლად მოუბარი ხშირად იყენებს მიმართვას, რომელთა სახეები და დისტრიბუცია ასახავს ქვეყნის სოციალურ-ისტორიული ვითარების რომელიმე ეტაპს.

საბჭოთა პერიოდში გავრცელებული იყო მიმართვები: ამხანა-  
გო! მოქალაქეებ!, რომლებიც დღეს ქართულში იშვიათად გამოიყენე-  
ბა და აშკარა ნებატიური ელფერი ახლავს. არავინ ამბობს: ამხანაგო  
პოლიციელო! ამხანაგო გამყიდველო! ამხანაგო მძღოლო!.. ეს აღიქ-  
მება საბჭოურ გადმონაშთად.

მიმართვა მიუთითებს ადამიანის სოციალურ წრესა ან როლზე  
(პროფესიულზე, სამსახურებრივზე, ასაკობრივზე, ოჯახურზე).  
მაგ., ბატონი პრეზიდენტო! ბატონო მოსამართლევ! ექიმო, ვექილო,  
პროფესორო, პატივცემულო პროფესორო, პატივცემულო მასწავ-  
ლებელო! ამხანაგო, მეგობარო, ძმაო, დაო, დედა, მამა, შვილო, ბე-  
ბია, პაპა (ბაბუა), დეიდა, ბიძია, მამიდა, ბიჭო, გოგონა, ქალო, კაცო,  
ყმანვილო, ახალგაზრდავ! ქალებო, კაცებო, ბავშვებო, ყმანვილებო,  
მეგობრებო, მოქალაქებო, ამხანაგებო, მგზავრებო, მყიდველებო!  
და ა.შ.

თანამედროვე დიალოგურ მეტყველებაში მიმართვის დისტრი-  
ბუციისთვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციისა და კომუნიკანტების  
ყველა პარამეტრის გათვალისწინება (სიტუაცია, ნაცნობობის ხა-  
რისხი, კომუნიკანტთა დამოკიდებულება, ადრესატის ასაკი, სქესი,  
სოციალური როლი და სხვ.). ამასთან დაკავშირებით 2004-2006 წლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებულ  
მონაცემებს.

ყოველ მიმართვას აქვს საკუთარი დისტრიბუცია, ახლავს  
ემოციურ-შეფასებითი ელფერი, ზოგჯერ ისტორიულად (დიაქრო-  
ნიულად) ცვალებადიც; განსხვავებული ნიუანსი ემატება მიმარ-  
თვებს დიალექტურ არეალში.

მიმართვასთან ხშირად გეხვდება შემფასებლური ატრიბუტი.  
**პოზიტიური:** ჩემო ძვირფასო მეგობარო! საყვარელო დედა! ჩემო  
ტკბილო ბებო! უსაყვარლესო შვილო! შე დალოცვილო! შე ოჯახაშე-  
ნებულო! შე კაი დედმამიშვილო! ჩემო ლამაზო! ძვირფასო! საყვარე-  
ლო! ჩემო სიცოცხლევ! ჩემო მშვენიერო! თქვე დალოცვილებო!  
თქვე ოჯახაშენებულებო!..

**ნეგატიური:** შე გამოშტერებულო! შე სულელო! შე ზარმაცო! შე  
ჩერჩეტო! შე ოჯახდაქცეულო! შე ამოსაგდებო! შე ბებერო! შე საძაგე-  
ლო! შე საზიზლარო! შე გადარეულო! შე ნეულო! შე გველო! შე ძალ-  
ლო! შე შტერო! დებილო! დეგნერატო! შე ლორიშვილო! ძაღლიშვი-  
ლო! შე ვირიშვილო! შე ლმერთგამწყრალო! თქვე ამოსანყვეტლებო!

ახლობელთა წრეში იყენებენ უარყოფითად მარკირებულ მი-  
მართვებს **პოზიტიური** სემანტიკითაც: შე სულელო! შე უჭკუო! შე

ჩერჩეტო! შე გლახა! შე ცუდო! ჩემო სულელო გოგო!.. არაა გამორიცხული, რომ ასეთ მიმართვათა ფუნქციონირების ფესვები ტაბუ-ირებაში იყოს. დღესაც პატარა ბავშვზე არ იტყვიან, რომ ლამაზია, საყვარელია, კარგი ზნისაა, რათა არ გაითვალოს, არამედ იყენებენ ნეგატიური მნიშვნელობის ეპითეტებს: შე ცუდო! მახინჯო! და სხვ.

I. ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს აქვთ პირველადი ნო-მინაციები (პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება). ლინგვისტთა დიდ ინტერესს იმსახურებს ქართულში ასეთ მიმართვათა კნინო-ბით-ალერსობითი ფორმების მრავალფეროვნება (განსხვავებული დიალექტური არეალის მიხედვით). მაგ., დე! დედი! დედიკო! დედი-ლო! დედულო! დედაია! დედიკონა!.. მა! მამი! მამიკო! მამილო! მამიკონა!.. დაკო! ძამიკო!..

თუ დედა ან მამა ძალიან ახალგაზრდაა (მით უმეტეს, დეიდა, მამიდა, ბიძა), შვილი მარტო სახელითაც მიმართავს, მაგრამ ეს ნორმა არაა. შეინიშნება ისიც, რომ საკმაოდ მოხუცებულებს ზოგ-ჯერ შვილები და შვილიშვილები სახელით მიმართავენ და მოიხსენიებენ, რითაც ნაკლებ პატივისცემას გამოხატავენ. მაგ., (დედას): ნა-დია, საჭმელი არ გინდა? (მამას): ნოდარ, წამალი დალიე?

ადამიანები მტკიცნეულად განიცდიან ასეთ ცვლილებებს მი-მართვებში. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ქმრის მამინაცვალს ოჯახში რძალი „მამას“ ეძახდა პატივისცემის ნიშნად, შვილიშვილებიც, რომლებიც მის ხელში გაიზარდნენ – ბაბუას, ბაბულიკას, ბაბუკას. კარგა ხნის შემდეგ, როცა მას ცოლი გარდაეცვალა, მდგომარეობა შეიცვალა: შვილიშვილები იშვიათად ეძახდნენ ბაბუას, რძალი მი-მართვად სახელით: გივი! გიგუ! – რასაც ბატონი გივი მტკიცნეულად განიცდიდა და გულისტყივილს გამოთქვამდა: აღრე „მამა“ და „ბაბულიკა“ ვიყავი, ახლა კი „გიგუ“ და „გივი“ გავხდი, არაფრად მაგდებენო. რაც შეეხება გერს, მას არასოდეს მიუმართავს მამინაც-ვლისთვის არც სახელით, არც სიტყვით „მამა“, საერთოდ ცდილობდა, პირდაპირ არაფრად ეთქვა ან აუცილებლობის შემთხვევაში მე-სამე პირში ასახელებდა (ყოფ. საუბ. 20).

საკმაოდ უჭირთ რძალსა და სიძეს დედის ან მამის დაძახება დედამთილ-მამამთილისა და სიდედრ-სიმამრისთვის, ზოგჯერ ბო-ლომდე ამჯობინებენ დისტანციურ დამოკიდებულებას და იყენებენ ქალბატონოს ან ბატონოს, „თქვენ“ ფორმას, ხანაც – მარტო სა-ხელს. ამ ბარიერის დაძლევა ქალებს უფრო უადვილდებათ.

ენათმეცნიერებმა მიაქციეს ყურადღება, რომ ქართულისთვის სპეციფიკურია რეფლექსური მიმართვები ნათესაობის აღმნიშვნელ

სიტყვებში (პოედერი, 1985; 1988; აფრიდონიძე, 2003):

- მოდი, **მამა**, ჩემთან! (მამა ეუბნება შვილს)
- დაიღალე, **დედა**? (დედა მიმართავს შვილს)
- **დეიდა**, დაწყნარდი, არ იტირო! (დეიდა – დისშვილს)
- რა გააკეთე, **მამიდა**, დღეს? (მამიდა – ძმისშვილს)
- მოდი, გაკოცო, **ბებია!** (ბებია – შვილიშვილს)
- შენ შემოგევლე, **ბაბუა**, როგორ გამახარე! (ბაბუა – შვილიშვილს)
- მოდით, **ბიძიებო** (**ბაბუებო**), დასხედით! (ასაკოვანი კაცი – ახალგაზრდებს).

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების **მეორეული** ნომინაცია მაშინ დასტურდება, როცა უცნობ ადამიანს ან არანათესავს მიმართავენ. მაგ., დედა, მამა, ძმაო, დაო, დეიდა, მამიდა, ბიძია, ბებია, ბაბუა, პაპა (დიალექტებში – ძალო, დიდედა, ბაბუდა). მათი მოფერებითი ფორმები მეორეული ნომინაციით უფრო იშვიათად გვხდება (ბებიკო, დედიკო, მამიკო, ძამიკო, დაიკო...).

უცნობი ადამიანისადმი ამ მიმართვების გამოყენებისას იგრძნობა ადრესანტის შედარებით დაბალი კულტურული დონე, რადგან ეს შეიძლება შეურაცხმყოფელიც აღმოჩნდეს ადრესატისადმი (მაგ., ბაზარში, ტრანსპორტში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში).

ახალგაზრდები ზოგჯერ ამჟღავნებენ უფროსი ასაკის ადამიანებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას, რაც ვლინდება მიმართვებშიც: ბიძაჩემო! დეიდაჩემო! (ადრე თბილისში მიმართვებად იყენებდნენ: დედი-ჯან! მამი-ჯან! ბები-ჯან-ს).

**II. ოფიციალურ გარემოში დღეს გვხვდება ქალბატონი/ბატონი** სახელთან ერთად. ერთ დროს ძალიან გახმაურდა კამათი ამ მიმართვების შესახებ ქართულ სინამდვილეში. მათ ებრძოდნენ, წარსულის გადმონაშთად მიაჩნდათ, მის მთექმელს ხალხის მტრადაც კი რაცხდნენ. „ქალბატონებო და ბატონებო“ XX საუკუნის 1990 წლიდან ფართოდ შემოვიდა ხმარებაში, როცა საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული მთავრობა მოვიდა. პირველად ბევრმა იუცხოვა ის „აშხანაგებო“-ს ნაცვლად, შემდეგ კი ჩვეულებრივად იქცა. დღეს აუდიტორიას მომხსენებელი (წამყვანი) მიმართავს: ქალბატონებო და ბატონებო! მეგობრებო! ძვირფასო სტუმრებო! და ეს არავის ეუცხოება.

მიმართვები უცნობებს შორის: 30 წლის შემდეგ ადამიანები ერთმანეთს მიმართავენ ქალბატონი/ბატონთი (სახელის გარეშე).

**უფროსი** ან ხანში შესული ადამიანი – სასკოლო ასაკის **გოგონას:** გოგონა, გოგონი! ჩემო გოგონი! ჩემო შვილო! ვაჟს: ბიჭი, ბიჭუნა, შვილო! ჩემო ბიჭო! ჩემო შვილო! ახალგაზრდა – **მოხუც** ქალს: ქალბატონო! დეიდა! იშვიათად: ბებია! დედი!; მოხუც მამაკაცს: ბატონო! ბიძია! იშვიათად: პაპა! ბაბუა! ბაბუ!

**ბავშვი** ასაკით **უფროსს** მიმართავს: დეიდა! ბიძია! **მოხუცს:** ბებია! პაპა! ბაბუა!

**III.** ქართველებში **არაოფიციალურ** საუბრებში **გვარით** მიმართვა მიღებული არაა, გარდა სასამართლოსა და ჯარისა. ყველაზე ხშირია „ქალბატონო“, „ბატონო“-ს გამოყენება საშუალო ასაკის ადამიანისადმი, თუმცა შეიძლება ზოგჯერ ასეთი მიმართვაც უხერხულად, საწყენად (ასაკის მომატებად) აღიქვან.

სტუდენტი **ბატონო/ქალბატონოთი** არც ერთი ლექტორი არ მიმართავს, მით უმეტეს – გვართან ერთად (მაგ., ბატონო ლლონტო! ქალბატონო წერეთელო!), რაც ჩვეულებრივია უცხოეთის უნივერსიტეტებში (მაგ., Herr Jäger, könnten Sie den Text übersetzen? Frau Schmidt, antworten Sie auf diese Frage!). რეგისტრთა ასეთი აღრევა ქართველისთვის ერთგვარი შოკია, რადგან მსგავსი მიმართვა მისთვის უზვეულოა და პირიქით, უცხოელისთვის ძნელი შესაგუებელია ქართული ვითარება (იხ. უოლკერი, 2004).

თანატოლ **ახალგაზრდებში** ბევრი ნიუანსი შეიმჩნევა. ქართველი ქალიშვილები თითქმის არ იჩენენ ინიციატივას, რომ უცნობ ყმაწვილს თვითონ გამოელაპარაკონ, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში იწყებენ ლაპარაკს მიმართვისთვის თავის არიდებით (უმეტესად მაშინ, თუ რამე სათხოვარი აქვთ) და საბოდიშო სიტყვებით ჩაანაცვლებენ: – უკაცრავად, ხომ ვერ მეტყოდით... მაპატიეთ შეწუხებისთვის... გოგონებს არ მოსწონთ, როცა მათ მიმართავენ: გოგონა, ქალიშვილო! ვაჟებიც ცდილობენ თავი აარიდონ უშუალო მიმართვას, რამეს იკითხავენ ბოდიშით, რათა საუბარი გააბან, გაიცნონ ქალიშვილი.

**გოგო, ბიჭო!**-ს მიმართაც აშკარად ნეგატიური განწყობა შეიმჩნევა. მეგობრებში, კარგ ნაცნობებში კი მათ გაუცნობიერებლადაც კი იყენებენ არა მარტო ახალგაზრდებში, არამედ შუა ხნის ადამიანებსა და მოხუცებში: – **გოგო,** რა მოხდა, რამდენი ხანია არ დაგირეკავს? შენა, **ბიჭო,** სადა ხარ? **გოგოებო,** რა უნდა გახაროთ, იცით? **ბიჭებო,** რა დრო გვიტარებია ერთად, ჰა?

**თანატოლ** **ახალგაზრდებში** (ვაჟებში) გამოიყენება: ძმაო! ჩემო ძმაო! ძამიკო! მეგობარ გოგონებს ვაჟი მიმართავს: დაო! დაიკო!

მაგრამ იშვიათია, რომ გოგონები ერთმანეთს მიმართავდნენ ასე.

ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა (განსაკუთრებით ვაჟებში) უხამსი მიმართვები მხოლოდ ყურადღების მისაპყრობად ან სიტყვის მასალად: შე ჩემა! შე კვერცხო! შე ქლიავო! შე ლელვო! შე კოდალა! შე ქათამო! შე სირო! შე ყვავო! (უფრო უხეშიც, რაც იმდენად გავრცელდა, რომ მასთან ბრძოლა უკვე ძნელია). ძმაკაცები ერთმანეთს „ამკობენ“ ასეთი მიმართვებით და შეურაცხყოფად არც მიიჩნევენ.

**დიალექტურ** არეალში გვხვდება: ქალო! დედაკაცო! კაცო! შორისდებულური მიმართვები: ქა! გო! ცაგ! ჯო! ბიო! ჭო!

თბილისში გავრცელებულია: ტო! ქუთაისში: სიმონ!

ნიშანდობლივია **პროფესიის ან წოდების** დასახელებაც მიმართვად: ექიმო! ბატონო ექიმო! ბატონო პროფესორო!

**სამკურნალო** დაწესებულებაში ექიმი პაციენტს იშვიათად ეუბნება „ქალბატონო/ბატონო“-ს, უფრო ხშირია დეიდა, ბიძია, ბებია, ბაბა, ბაბუ (ასაკოვან პაციენტებთან), ბიჭი, გოგონი, შეილო (ბაგშვებთან); ექიმი ექთანს ან სანიტარს მიმართავს სახელით, პაციენტი ან დაბალი სამედიცინო პერსონალი კი მას: ექიმო! გიორგი ექიმო! საერთოდ, სამედიცინო დაწესებულებებში მკაცრად იცავენ თანამშრომლებში იერარქიულ დამოკიდებულებას (იხ. რუხაძე, 2006).

**სკოლაში:** მასწავლებელს მოსწავლები მიმართავენ: მასნ.! ეს უკვე, სამწუხაროდ, თითქმის ნორმად იქცა: გოგი მასნ.! ნინო მასნ.!; ლექტიორს უმაღლეს სასწავლებელში: პატივცემულო! ბატონო ნოდარ! ქალბატონო თამარ!

**ეკლესიაში:** სულიერ დებსა და ძმებში მიღებულია დაო! ძმაო! მოძღვარს მიმართავენ ასე: მამაო! მამაო გაბრიელ! წინამდღვარ ქალს: დედაო! დედაო ფეხბრონია!

მიმართვები ახასიათებს არა მარტო ადრესატს (სქესის, ასაკის, რაიმე ნიშან-თვისების, პროფესიის მიხედვით), არამედ ადრესანტსაც: ვიგებთ მისი კულტურის დონეს, ნარმოშობას (პროვინციელობას), თავაზიანობას თუ უზრდელობას. ეს ფორმები სოციალურად მარკირებულია, შეიცავს შეფასების ნიშნებს, ასახავს კომუნიკანტთა (ნაცნობების, მეცობრების, ნათესავების, უცნობების) დამოკიდებულებას (მიმართვებზე იხ. აფრიდონიძე, 1997; 2003).

შენ/თქვენ ფორმებთან ერთად ვოკატიური მიმართვების (საკუთარი და საზოგადო სახელების) გამოყენება ქართულ დიალოგურ მეტყველებაში ასახავს რთულ ურთიერთდამოკიდებულებას საზოგადოების ნევრებს შორის (ნათესაობას, ნაცნობობას, უფ-

როს-უმცროსობას, სოციალურ მდგომარეობას, ასაკობრივ სხვაობას, საკომუნიკაციო სიტუაციის ხასიათს).

#### 4.3.2.2. ანთროპონიმები მიმართვებად

განვიხილოთ **ანთროპონიმთა** მიმართვებად გამოყენებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი თანამედროვე ქართულ დიალოგურ მეტყველებაში.

**ოფიციალური** საკომუნიკაციო რეგისტრი აუცილებლად გულისხმობს სახელის სრულ ფორმას: გიორგი, ნიკოლოზ, ნინო, დავით, თამარ, ქეთევან, მარიამ, არჩილ, თამაზ, კონსტანტინე და სხვ.

**არაოფიციალური** (**შინაურული**) რეგისტრში საკუთარ სახელს იყენებენ კნინობით-ალერსობითი ფორმით. ზოგიერთი იმდენად გავრცელდა, რომ ცალკე ერთეულად თვლიან (მაკო, მაკა, ქეთი, თაკო, თამთა, თამუნა, გიზი, გუჯა, გოგი, კოტე და სხვ.) და საპასპორტო ოფიციალურ სახელადაა დაფიქსირებული. შეინიშნება ტენდენცია, რომ ბიბლიურ, სახარებისეულ და სხვა უცხოურ საკუთარ სახელებს მოეძებნოს ქართული ან უცხოურიდან გადმოღებული კნინობით-საალერსო ვარიანტები, რომლებშიც ზოგჯერ ძნელი საცნობია სახელი: **იოსები** – სოსო, სოსიკო, სოსუკა, სოსია, სოსოია; **ილია** – ილო, ილიკო, ილუშა, ილა; **დავითი** – დათო, დათა, დათუნა, დათიკო, დათკა, დათია, დათუჩა; **ივანე** – ივა, ივიკო, ვანო, ვანიჩკა, ვანიკო; **თამარ** – თამუნა, თაკო, თამუკა, თამთა, თათა; **ლიანა** – ლია, ლიკა, ლიკო, ლიკუშა; **სალომე** – სალი, სალუკა, საკო; **მარიამ** – მაკა, მაკუნა, მაკუშა, მაკუშკი, მაკაკო, მარი, მარიკა, მარიკუნა და ა.შ.

ამათგან ზოგს **დადებითი** ელფერი აქვს (გიორგი: გიო, გიგა, გიგი, გოგი, გოგი, გიგუშა; **აკაკი**: კაკო, კაკი, აკა; **ზურაბ**: ზურა, ზუეა, ზუკაკო, ზურიკო; **ირაკლი**: იკაკო, იკა, ირა; **ლევან**: ლევიკო, ლევანიკო, ლევანჩიჩო; **ავთანდილი**: ავთო, ათუკა, ათული; **ქეთევანი**: ქეთი, ქეთა, ქეთინო, ქეთათო, ქეთუშა, ქეთუნია, ქეთუჩა, ქეთუშკი; **ნინო**: ნინი, ნინკა, ნინუცა, ნინჩო, ნინუჩო, ნინუსია; **თინათინი**: თიკო, თიკა, თინიკო, თინა; **რუსულანი**: რუსიკო, რუსი, რუსო, რუსა, რუსკა; **ელენე**: ელიკო, ელა, ელენკა; **ელისაბედი**: ელისო, ლიზი, ლიზიკო, ლიზა), ზოგს კი – **უარყოფითი** ან აშკარად დიალექტური (გიგაია, გიგოია, ლევანია, ავთოია, ქეთინია, ქეთოია, ნინოია, ნინიკია, თინიკია...). დღევანდელ ახალგაზრდობაში მოდურია: **სალო**, **სალი**, **საკო**, **ლევიკო**, გიზი, გუჯა, იკაკო, იკა, თაკო, მაკო, ნინი, ნინუცა, ნინიკო, ელი, თამთა, თეკლა, გვანცა, მიშკა, ნანკა, ვიკა, ნინკა, ელენკა, ნინჩო და ა.შ. (გამოკ. 2, 3).

სტატისტიკური სოციოლოგური მონაცემებით, საქართველოში ყველაზე გავრცელებულია რამდენიმე სახელი: **გიორგი, დავითი, ნინო, თამარი, სალომე**. აშკარაა შვილებისთვის ისტორიული და ბიბლიური სახელების შერჩევის ტენდენცია: **ერეკლე, ირაკლი, ცოტნე, ლუკა, ლაშა, საბა, სულხანი, მარიამი** და სხვ. (იხ. სილაგაძე/თოთლაძე, 1997).

ვფიქრობთ, ეს ფენომენი ძალზე საინტერესოა როგორც წმინდა და ლინგვისტური, ისე სოციოლინგვისტური თვალსაზრისით (იხ. ლლონგი, 1983; 1986; ჭუმბურიძე, 1977; 1982; აფრიდონიძე, 2003).

სტუდენტებში გამოკითხვამ დაადასტურა ახალგაზრდების ემოციური დამოკიდებულება საკუთარ სახელებთან. გამოკითხულთა **85%-ის აზრით**, თბილისში საკუთარ სახელთა, მათი ფორმების მოდა არსებობს და ქველმოდურად მიიჩნევენ სახელებს: უუუნა, მაყვალა, ციალა, ლიანა, ლამარა, ლენა, ნადია, ნანული, მზევინარი, ნუგზარი, ვახტანგი, ჯემალი, ჯუმბერი, ხოლო ბერძნული სახელები უკვე მხოლოდ დიდი ბებია-პაპების კუთვნილებად აღიქმება: აგრაფინა, პელაგია, ეფროსინე, ავქსენტი, ბიკენტი, გერონტი, დომენტი, ევგრაფი, ელეფთერი, კორნელი, ოლიფანტე და სხვ.

მოდად იქცა საკუთარ სახელთა რუსულიდან ნასესხები დაბოლოებები: **-კა:** ნანკა, ნინკა, ირინკა, მიშკა, დათკა, ელენკა, ლენკა, ნატკა; ასევე სუფიქსები: **-ივ(ა), -ჩიკ, -ჩო, -უსია, -ულია, -შვა(ი):** პავლივ(ა), ტოლიკა, ლევანჩიკ, ვალერჩიკ, ნინჩო, ლევანჩო, მანჩო, თამუსია, ტატულია, ქეთუშვი... ქართულისაგან განსხვავებით, **-კა** სუფიქსს საკუთარ სახელებთან რუსულში უარყოფითი ემოციურექსპრესიული ელფერი ახლავს და ნაკლებად თავაზიან მიმართვებში გამოყენება მოზარდთა წრეში, თუმცა გარკეყულწილად ზოგჯერ ინტიმურ, ახლობლურ ნიუანსსაც შეიცავს (იხ. ფორმანოვსკაია, 1987, 99).

ახალგაზრდები მტკიცნეულად განიცდიან, თუ მათ მოძველებული, არამოდური სახელები ჰქვიათ (ბების ან პაპის) და ცდილობენ, გადაიკეთონ. განსაკუთრებით შეინიშნება ეს პროვინციიდან ჩამოსულ სტუდენტებში, რომლებსაც სურთ თბილისელებს დაემსგავსონ და მალე ზურაბი ან ზურიკო იქცევა ზუკად, ირაკლი – იკაკოდ, იკად, სალომე – საკოდ და სალიდ, ქეთევანი – ქეთად, ქეთუშად, ელგუჯა – გუჯად, მიხეილი – მიშკად, თინათინი – თიკოდ, თამარი – თაკოდ ან თამთად, ნინო – ნინიდ ან ნინკად, ციცინო – ციცილ, მანანა – მანჩოდ ან მაცაცოდ და ა.შ. მაგ., ერთ-ერთმა სტუდენტმა ლექტორს სთხოვა, მე გულიკო არ მქვია, **გულინკა** დამიძახეთო. მერე

დაიწყო დასაბუთება, რომ ეს სახელი ბებიას ხათრით დაარქვეს, რომ აღიზიანებს, აკომპლექსებს და თავი რომ უფრო თანამედროვედ და უკეთ იგრძნოს, „გულინკათი“ შეიცვალა (გამოკ. 2); სხვა სტუდენტმაც, რომელსაც ვარვარა ერქვა, თავაზიანად ითხოვა, ძალიან დამავალებთ, ეგებ „ბარბარე“ დამიძახოთ (გამოკ. 3).

ზოგიერთ ენაში საკუთარი სახელი უცვლელია და კნინობით-ალერსობითი ფორმები არ გააჩნია. მაგ., გერმანიიდან ჩამოსულ, წარმოშობით ქართველ დავით კ-ს ძალიან გაუკვირდა, რომ ლექტორმა „დათო“ დაუძახა. სტუდენტმა გაუსწორა, რომ მას „დათო“ კი არ ჰქვია, არამედ „დავითი“ (გამოკ. 3).

ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ ვინ როდის როგორ მიმართავთ და მშვენივრად ამჩნევენ, როდისაა მიმართვა თავაზიანოფიციალური, თბილი, ყურადღებიანი, შინაურულ-ახლობლური, როდის აისახება მასში ადრესატისადმი დამოკიდებულების ცვლა.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ სოციუმში მიმართვებად გამოყენებულ ადამიანთა სახელებს მარტო ყურადღების მისაპყრობი დანიშნულება კი არა აქვთ, არამედ რთულ სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებებს ასახავენ. მათთან დაკავშირებულია ნეგატიური თუ პოზიტიური ემოციები, შეფასებები, შეუძლიათ განწყობის შექმნა, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ დიალოგის მსვლელობაში და საუბარში შემოაქვთ ამა თუ იმ რევისტრის ელფერი (ურთიერთობის ტონალობა). საინტერესოა, რომ ირონიით ან ხუმრობით შეიძლება რომელიმე რევისტრის დამახასიათებელი მიმართვები საპირისპიროდ იქნეს გამოყენებული (მაგ., გადაცემაში „ბასტი-ბუბუს კარუსელი“ წამყვანი ხშირად მიმართავს პატარა მონაწილეებს „თქვენობით“, ბატონო/ქალბატონთი და სერიოზული გამომეტყველებით, რაც აძლიერებს იუმორის-ტულ ეფექტს).

## **ქართული დიალოგური მეტყველება**

**(ზოგადი მიმოხილვა და დასკვნები)**

**1. XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან დაიწყეს ენობრივი მოვლენების კვლევა ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით ანუ ცოცხალი ენის შესწავლა ბუნებრივ გარემოში, რაც იქცა ენათმეცნიერების მოპრუნებად პრაგმატიკისაკენ.**

**პრაგმატიკის კვლევის საგანია მეტყველებაში ენობრივ ნიშანთა ფუნქციონირება და კომუნიკაციური ურთიერთობის წესები. ლინგვისტიკის პრაგმატიკულ დარგებად მიჩნევენ: სამეტყველო აქტების თეორიას, კონვერსაციული იმპლიკაციურის თეორიას, ტექსტის ლინგვისტიკას, საუბრის (დისკურსის) ანალიზს და სხვ. დისკურსის (საუბრის) ანალიზის საკვლევი ობიექტია დიალოგური მეტყველება პარავერბალურ და არავერბალურ საშუალებებთან კომპლექსში.**

**2. ლინგვისტიკაში დღემდე სადავოა ტექსტისა და დისკურსის ლინგვისტიკათა კვლევის საგნები და საზღვრები, რადგან ფართო მნიშვნელობით ტექსტი და დისკურსი სინონიმებად გამოიყენება. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინ **დიალოგს (დიალოგურ მეტყველებას)**, როთაც ხაზს ვუსვამთ ზეპირმეტყველების ამ ფორმის ინტერაქციურობას.**

**დიალოგური მეტყველების ანალიზი ემპირიულად ორიენტირებული მეთოდია, რომლის მეშვეობითაც შეისწავლება საუბრის (დიალოგისა და პოლილოგის) ორგანიზაციულ-სტრუქტურული ასპექტები და მისი პრაგმატული ორიენტაცია.**

**3. დიალოგური მეტყველების კვლევის ისტორია არც ისე ხანგრძლივია. ლინგვოპრაგმატიკაში ახალ ეტაპად იქცა საუბრის ანუ დისკურსის ანალიზის ჩამოყალიბება ცალკე ენათმეცნიერულ დარგად. საზღვარგარეთულ და რუსულ ლინგვისტიკაში ამ მიმართულებით გამოიყოფა შესასწავლი პრობლემების ფართო სპექტრი: ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები, ანალიზის ხერხები, დიალოგის ექტრალინგვისტური ფაქტორები, დისკურსის ძირითადი ერთეულები, ჯერობის მექანიზმი, დიალოგის სტრუქტურა და ფაზები, კომუნიკანტთა ქმედებები და უფლება-მოვალეობები, კომუნიკაციის კონკრეტული სახეები სხვადასხვა სიტუაციაში (ტელედა რადიოსაუბრები, კონსულტაციები, სამედიცინო-თერაპიული საუბრები, მასწავლებლისა და მოსწავლის, ლექტორისა და სტუდენ-**

ტის საუბრები, სასამართლოში, პარლამენტში, საჯარო დაწესებულებებში წარმართული საუბრები და სხვ.), გენდერის პრობლემები, ფატიკური კომუნიკაცია და მისი სემანტიკური ჯგუფები, დისკურსის მარკერები, პარალინგვიზმები, არავერბალური საშუალებები, სამეტყველო ეტიკეტის საკითხები და სხვ.

საქართველოში დაწყებულია ტექსტისა და დისკურსის პრაგმატიკული ხასიათის კვლევა, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევები ქართულენოვანი მასალის საფუძველზე.

4. სამეტყველო აქტის მონაწილეები არიან **კომუნიკანტები** (ადრესანტი და ადრესატი), ხოლო დიალოგის ძირითადი ერთეულებია: რეპლიკები, **ჯერი**, **ჯერობა**, დიალოგის სიგნალები, მიმართვები. დიალოგის სპეციფიკას განაპირობებს საუბრის მონაწილეთა ჯერის ცვლა (ჯერობა), ე.ი. მოუბრისა და მსმენელის როლების მონაცვლეობა. დიალოგური მეტყველების ყველაზე გავრცელებული ფორმაა **კითხვა-პასუხი**, გვხვდება **დისკურსია**, ვრცელ რეპლიკაში შეიძლება ჩართული იყოს **თხრობის** ეპიზოდიც.

5. დიალოგური მეტყველების ენობრივ-არაენობრივი მახასიათებლების შერჩევა დამოკიდებულია გარეენობრივ ფაქტორთა კომბინაციაზე კონკრეტულ სიტუაციაში.

ქართული დიალოგური მეტყველების რელევანტური ექსტრალინგვისტური ფაქტორები დავყყავთ სამ ჯგუფად:

I. **კომუნიკანტები**: მათი რაოდენობა; მოუბარი პირისა და მსმენელის სოციალური მახასიათებლები; კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება ანუ იერარქიულობის ხარისხი – ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური სიმეტრია-ასიმეტრია და ფიზიკური დისტანცია; მოუბარი პირის ინტენცია და შერჩეული საკომუნიკაციო სტრატეგია; კომუნიკანტთა ენობრივ-პრაგმატიკული ანუ საკომუნიკაციო კომპეტენცია და ურთიერთქმედების ნორმები.

II. **საკომუნიკაციო სიტუაცია** ანუ **გარემო**:

1. სოციალური ჩარჩო (ოფიციალურ-საქმიანი და არაოფიციალური);
2. ფსიქოლოგიური გარემო;
3. დროულ-სივრცული მიმართება (საუბრის დრო და ადგილი ანუ ფიზიკური გარემოცვა);

III. **დიალოგური მეტყველების შინაარსი და ფორმა**:

1. საუბრის თემა;
2. სამეტყველო არხი (ზეპირი ან შერეული);
3. სასაუბრო შანერა (სერიოზული, სახუმარო, დაუდევარი);
4. სამეტყველო ფორმა: სტილი (ნეიტრალური, ოფიციალური, შინაურული); მეტყველების სიტუაციური ვარიანტი; სოციოლექტი; ლოკალური ვარიანტი (დიალექტი, სალიტერატურო ენა); დიალოგის წარმართვის ხერხი.

ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა ჩვენებული კლასიფიკაცია ეყ-

რდნობა სოციოლინგვისტთა გამოცდილებას და აკონკრეტებს მას.

6. ქართულ დიალოგურ მეტყველებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსაუბრეთა სოციალური მახასიათებლები: სოციალური როლი ან სტატუსი, ასაკი, განათლების დონე, სოციალური მდგომარეობა, თანამდებობა და წარმომავლობა. ამ თვალსაზრისით არსებობს სიმეტრიული და ასიმეტრიული საუბრები (როცა სოციალური პარამეტრები არათანაბარია). მათში განსხვავებულია პარტნიორთა სამეტყველო ქცევები და საუბრის თანმხლები სამუალებები.

ა. სოციალური სტატუსის მიხედვით დაცულია „სწორ-უფროსულ-უმცროსული“ დამოკიდებულება ანუ იერარქია, რაც ვლინდება განსხვავებული საკომუნიკაციო რეგისტრის შერჩევაში: კომუნიკანტთა შორის დისტანციის არსებობის დროს გამოყენებულია ოფიციალური საკომუნიკაციო რეგისტრი, თანასწორობის შემთხვევაში – არაოფიციალური (შინაურული).

ბ. ასაკი: შეიმჩნევა დიალოგური მეტყველების დიფერენციაცია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: კლასიკური განათლების მქონე ძველი თაობის ინტელიგენტებისთვის დამახასიათებელია სიდარბაისლე, სიდინჯე, აუდელვებლობა, თავაზიანობა, წიგნიერება; საშუალო თაობის ინტელიგენტების (ძირითადად ქალების) მეტყველებისთვის – ე. ნ. რუსულ-ქართული „სალონური საუბრები“, რაც ხშირად ითვლებოდა ინტელექტის საზომად, განსაკუთრებით 60-80-იან წლებში; ეს მოდა გადმოიდეს თბილისელმა ახალგაზრდებმაც, რაც გამოწვეულია გამორჩეულობის, არაპროვინციულობის ხაზგასმის სურვილით; დღევანდელი ქართველი ახალგაზრდების მეტყველებაში საგრძნობია ლექსიკის სიმზირე, მოდური რუსული და ინგლისური სიტყვები (ბარბარიზმები), უარგონიზმები, ზმნად ქცეული არაქართული სიტყვები, თუმცა, მეორე მხრივ, ვლინდება დინამიკურობა, მდიდარი ფანტაზია ახალ ენობრივ ფორმათა შექმნაში, სწრაფვა ინოვაციებისკენ, ექსტრავაგანტურობისკენ, ყოფითი მეტაფორიზაცია, მიმართვების მრავალფეროვნება, მეტსახელთა გამოყენების სიხშირე; თბილისში შეიმჩნევა საკუთარ სახელთა და მათი კნინობით-აღლერსობითი ფორმების მოდაც.

გ. სქესის მიხედვით ქართულ დიალოგურ მეტყველებაში დიდი დიფერენციაცია არ შეიმჩნევა. ერთი მხრივ, აშკარაა ქართველი ქალის მორიგებულობა, თავმდაბლობა, პასიურობა საუბრებში, მაგრამ, მეორე მხრივ, ვლინდება უკუპროცესიც: სწრაფვა ემანსიპაციისაკენ, რაც ასახულია მეტყველებაშიც. ქართველი ქალი საუპარში

უფრო კორექტულია, იცავს სამეტყველო ეტიკეტის წესებს, ერიდება ადრესატის ლანძლვა-ვინებასა და შეურაცხყოფას, თავშეკავებულია, იჩენს განსაკუთრებულ დელიკატურობასა და გულისხმიერებას, თანაუგრძნობს პარტნიორს – დაუფარავად გამოხატავს ემპა-თიას. ამას გარდა, ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ინტენ-სიურად იყენებენ ემოციურ ლექსიკურ საშუალებებს, უკუკავშირის ენობრივ-არაენობრივ სიგნალებს.

**დ. წარმომავლობა** ვლინდება საუბრების ენობრივ-არაენობ-რივ პარამეტრებში. ამ მხრივ გამოყენებით **ურბანული** (თბილისური) და **არაურბანული** (პროვინციული) ტიპი.

**ე. ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა.** ჩამოთვლილ ინსტი-ტუციათა რაოდენობის ან უკვე შესწავლილი დიალოგების ფორმათა მიხედვით ძნელი სათქმელია, ვლინდება თუ არა მათში ეროვნულ-კულტურული თვისებები. საუბრების ზოგადი მახასიათებლები იმ-დენად მსგავსია სხვადასხვაენოვან გარემოში, რომ ერთი შეხედვით განსხვავება არ იგრძნობა.

თუ ქართულ ყოფას გადავხედავთ, უცხოელისთვის თვალში საცემია სხვაობა მეტყველების თანმხელებ საშუალებებში (ემოციუ-რობა და ინტენსიურობა), ქართული სუფრის (ლხინისა თუ ჭირის) წარმართვის წესებში, თამადის ენამზეობაში; ოფიციალურ სიტუა-ციებში – ნაკლებ პედანტურობაში, რეგლამენტისა და რეგისტრის შესაბამისი სტილის დაუცველობაში; **ყოფითს საუბრებში** – ხუმრო-ბების ჩართვაში (ე.წ. მასხრობა, ღადაობა ან შაყირი), სიტყვებით თამაში, საალერსო ფორმულების, **ფრაზეოლოგიური** ერთეულე-ბისა და ენამოსწრებული თქმების გავრცელებულობაში და სხვ.

**7. ნებისმიერ ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ საშუალე-ბას აქვს მარკირებული და არამარკირებული სინონიმები.**

დიალოგურ მეტყველებას თან ახლავს არავერბალური საშუა-ლებები, ასევე დამახასიათებელია ფონიაცია (ინტონაცია, საუბრის ტემპი, პაუზები, ხმის დინამიკა, ტემბრი), მაგრამ საკომუნიკაციო მნიშვნელობა ენიჭება **პარალინგვიზმების** მარკირებულ სახეო-ბებს: აჩქარებულ ან შენელებულ ტემპს, ძალზე ხმამაღლა ან ჩუმად ლაპარაკს, ხშირ პაუზებს ან უპაუზო საუბარს, თუმცა ეს ვლინდება ზოგჯერ არა მთელი საუბრის მანძილზე, არამედ მის გარკვეულ მო-ნაკვეთში ან თუნდაც ცალკეულ ერთეულში (მაგ., ხაზგასმით ნელა ან ჩუმად სიტყვის წარმოთქმა, ხელის მოძრაობით მისი სემანტიკის გამოკვეთა და სხვ.), მნიშვნელოვანია დუმილის საკომუნიკაციო დატვირთვაც, ასევე ღიმილი, ჩაცინება, ჩახველება, მთქნარებაც კი.

**8. არავერბალური** საშუალებები (საკომუნიკაციო მნიშვნელობის მქონე მოძრაობები ანუ **კინესიკა**) მოიცავს უესტიკულაციას, მიმიკას, მხედველობითს კონტაქტს, პოზას, პროქსემიკას (კომუნიკანტთა სივრცულ განლაგებას), ტაქტილურ არხს (კოცნას, ამბორს, ხელის გადასმას, ჩამორთმევას და სხვ.). ესაა ვერბალური კომუნიკაციის თანხლება, რომელიც შეიძლება იყოს საუბარში გამოთქმული აზრის სინონიმური ან საპირისპირო სემანტიკისა. კინესიკა ხაზს უსვამს კომუნიკანტთა დამოკიდებულებას, ავსებს მათს რეპლიკებს, ანესრიგებს დიალოგის ორგანიზაციულ-შინაარსობრივ მხარეს (ჯერის მიღებას, გადაცემას, დიალოგის ფაზების გამოყოფას და სხვ.) ან აფასებს გამონათქვამას.

ზოგჯერ საუბრის ტემპი განსაზღვრავს მის ფონაციურ თავი-სებურებებს (სიტყვათა შემოკლებას, ბერების ამოვარდნას, თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივებას). ზეპირმეტყველებაში თვალში საცემია ელიფსური წინადადებების, შენყვეტილი სტრუქტურების, მოკლე კითხვა-პასუხების სიხშირე, გამეორებები, სინტაქსური მთელის დანაწევრება, პერიფრაზები.

**9. ძნელია საუბრის ტიპების უნივერსალური დაჯგუფება, მაგრამ მაინც ვცადეთ, მოგვეცა ქართული საუბრების ჩვენეული კლასიფიკაცია:** 1. საუბრის წარმართვის ხასიათის მიხედვით გამოყვავით ორი ძირითადი ჯგუფი: I. უშუალო (პირისპირ) და II. გაშუალებული (თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებითა და მასმედიოთ):

**I. უშუალო საუბრები:** სიმეტრიული დიალოგები ნაცნობებთან (ნათესავებში, მეგობრებში, კოლეგებში; სუფრასთან) და ასიმეტრიული ყოფითი საუბრები (არაოფიციალურ და ოფიციალურ გარემოში); **a. ოფიციალურ-საქმიან** გარემოში: სამეცნიერო, სასწავლო, პოლიტიკისა და დიპლომატიის, პროფესიული (დარგობრივი) სფეროები, სამართალდამცავ ორგანოებში, სამკურნალო დაწესებულებებში; **ბ. არაოფიციალურ** გარემოში: ყოფითი საუბრები მომსახურების სფეროში, ტრანსპორტში, მაღაზიებსა და სუპერმარკეტებში, კულტურულ-გასართობ დაწესებულებებში.

**II. გაშუალებული დიალოგები:** თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებითა (ტელეფონით, კომპიუტერით) და მასმედიაში (რადიო, ტელევიზია).

თემის მომზადებულობის მიხედვით გამოიყოფა დიალოგის ორი ძირითადი ტიპი: 1. წინასწარ დადგენილი, ფიქსირებული თემების შემცველი; 2. მოუმზადებელი, სპონტანური საუბრები. შეიძლე-

ბა იყოს ბუნებრივი, ინსცენირებული ან ფიქტიური დიალოგები, რაც განაპირობებს კიდევ მათს ფორმას.

10. ქართული დიალოგური მეტყველების ანალიზი მოიცავს მის ორგანიზაციულსა და თემატურ-შინაარსობრივ მხარეს **მაკრო-**, **საშუალო** და **მიკროდონებზე**. საუბრის ენობრივი სპეციფიკა მეტნაკლებად ვლინდება სამივე დონეზე, მაგრამ ამ თვალსაზრისით ძირითადია მიკროდონე (ლექსიკურ-გრამატიკული).

ამას გარდა, კონკრეტულ სახეობაში თავაზიანობის ფენომენი განსაზღვრავს დიალოგური მეტყველების წარმართვის წესებსა და პარამეტრებს. **თავაზიანობის ველი** მოიცავს ადამიანის ვერბალურ-არავერბალურ ქცევას, ყველა ენობრივი დონის ერთეულს (სიტყვას, სამეტყველო აქტს, რეპლიკას, მთელ საუბარს). ამ ველის დონეები მჭიდროდაა დაკავშირებული დისკურსის ანალიზის დონეებთან. მაგალითად, ქართულში თავაზიანობის ველის **მიკროდონე** მოიცავს მორფოლოგიურ-ლექსიკურ საშუალებებს (მათ შორის ევფუმიზმებს), **შუა დონე** – გამონათქვამებს, ირიბ სამეტყველო აქტებს, ფატიკური კომუნიკაციის სემანტიკურ-თემატურ ჯგუფებს; **მაკროდონე** კი აერთიანებს მეტყველების დიდ სეგმენტებს (რეპლიკას, კომუნიკანტთა სიგნალებს, მთელ საუბარს).

საკომუნიკაციო კომპეტენცია მოიცავს ამ საშუალებათა სწორად შერჩევის უნარს. ამიტომ დისკურსის ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული სამეტყველო ეტიკეტისა და თავაზიანობის წესებთან.

11. ქართული დიალოგური მეტყველების **მაკროდონეზე** განვიხილეთ საუბრის ფაზები: 1. დასაწყისი ანუ შესავალი; 2. ძირითადი ნაწილი (თემის გაშლა, თემათა ცვლა, არგუმენტირება და სხვ.); 3. დასასრული ანუ დასკვნითი ნაწილი. თითოეული ფაზის ხანგრძლივობა და ფორმა დამოკიდებულია სიტუაციაზე, კომუნიკანტთა ინტენციაზე, სამეტყველო ეტიკეტის წესებზე. ქართულ სინამდვილეში **სიმეტრიული ყოველდღიური** დიალოგების დასაწყისი და ბოლო ფაზები ყველაზე მეტადაა რიტუალიზებული, ხშირად შედგება ფატიკური კომუნიკაციის ერთეულებისაგან (მისალმება, მადლობა, ბოდიში, გამომშვიდობება, მოკითხვა).

12. ქართულ სინამდვილეში შედარებით **ტაბუირებული** და **საჩითირო** თემებია: ინტიმური საკითხები, სექსუალური პრობლემები (თუმცა თანდათან ეს ტაბუ ირლვევა), საუბარი კომუნიკანტის ფიზიკურ ნაკლასა და ავადმყოფობაზე, მის ნარუმატებლობასა და მარცხზე.

